აკაკი მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთქმელი ანდერძი



აკაკი მახარაძე

უთქმელი ანდერძი

რომანი

ბათუმი

2014

წინათქმა

... მე ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ... მიყვარს ჩემი ერი, სამშობლო... ჩემი მთა და ველი, ხევი და კაპანი, ღელეღურდანი... მიხარია ქართველობა და მიყვარს საქართველო, ვეფერები საქართველოს და მტკივა საქართველო. მიხარია წარმატებული და პატრიოტი ქართველი და მტკივა უზნეო, გზააბნეული, გადაგვარებული თანამემამულე.

წიგნი ეძღვნებათ განზოგადებულ პიროვნებებს, რომელთა პროტოტიპები, საუბედუროდ, ბოლო დროს ერთობ მომრავლდნენ, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული... მიჭირს წერა, განა იმიტომ, რომ ფაქტობრივი მასალა, რეალური პიროვნებების ისტორიები არ მიდევს წინ... რამდენიმეს პირადად ვიცნობ, ან ვიცნობდი. წარსულ დროში იმიტომ ვწერ, რომ ზოგიერთი აღარ არის ამქვეყნად. მიცვალებულებს არ ასამართლებენო, - ნათქვამია, არაა ვაჟკაცის მოსაწონი ამბავი, მაგრამ საქმენი მათი „საგმირონი," ვთვლი, რომ უნდა გამოვიტანოთ სამზეოზე, ვიმსჯელოთ, შევაფასოთ, რათა მავანმა წაიკითხოს და დაფიქრდეს, მოიგონოს სულმნათი რაფიელ ერისთავის უკვდავი სტრიქონი ლექსისა „სამშობლო ხევსურისა":

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა"...

ან სტროფი ზურაბ გორგილაძის ლექსისა „ჩაუმქრალი სანთლები":

„საქართველოვ, ჩემო დედავ,
ჩემი სუნთქვა გენაცვალა,
ჩემი ყველა მქუხარება,
მწუხარებაც გენაცვალა".

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ, ზურაბ გორგილაძისა არ იყოს, საქართველოს სიტყვის სიცოცხლისთვის, ჭერის სიმაღლისთვის, რჯულის საჯილდაოდ და ქართველი კაცის საიდენტიფიკაციო ნიშას - ვაზის დამრგველი აღარ ჰყავდეს ან გადაშენდეს...

ღმერთმა დაგვიფაროს...

უფლისა და ღვთისმშობლის მადლით ეს არ მოხდება.

საქართველოს დასაკარგავი შვილები არ ჰყავს...

მეც ამას მივსტირი...

თუ ვინმე ჩემი რომანის რომელიმე გმირში თავის თავს ამოიცნობს, ეს უბრალო დამთხვევა იქნება და მეტი არაფერი.

თუ კი ჩემი რომანის გმირების უკეთურობანი ვინმეს გულს ატკენს, მოგონებებს აუწეწს და სულს აუფორიაქებს, მიყენებულ, მაგრამ უკვე შეხორცებულ ჭრილობებს პირს გაუხსნის, ვთხოვ, მაპატიოს...

მკითხველმაც მომიტევოს, რადგანაც ეს ის თემაა, რაზეც ჯეროვნად არ წერენ, ან შეგნებულად, დელიკატურად გვერდს უვლიან...

მე კი შევეჭიდე და ...

ავტორი

”მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირის უკანაო.”

გონივრული ანდაზა

თავი I

... ერთი უბრალო ქართველი ვარ. უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი მივითვალე. ვარ მამა, ბაბუა. ამჟამად რუსეთში ვცხოვრობ, კრასნოდარის მხარის კავკაზსკის რაიონის დაბა გორკოვსკოეში.

თითქმის ოცდაშვიდი წელია აქ ვარ. ბედნიერებისთვის თითქმის ყველაფერი მქონდა : მყავს ერთგული თანამეცხედრე, რომლის გულისთვის ბევრი რამ დავთმე, მოსიყვარულე შვილები, შვილიშვილები, დამფასებელი და დაფასებული სიდედრ-სიმამრი, კეთილი და შეგნებული მეზობლები, გულითადი მეგობრები და თანამშრომლები. მუყაითი, ალალი შრომით შემიქმნია და შემიძენია საცხოვრისი, ქონება და სარჩო-საბადებელი. ნაცნობები და ახლობლები პატიოსან, გულითად, გამრჯე და კარგ მეოჯახე კაცად მიცნობენ. ბევრს სამაგალითოდაც მივაჩნივარ. ბევრი ქალი ინდომებდა ჩემისთანა კაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას...

წარსული თითქმის დავიწყებული მქონდა. მეხსიერებას წარსული ცხოვრება ღრმად დაელექა, ფერფლი და დავიწყების ობი შრეებად წაეფარებინა და აღარც მაწუხებდა, სულსა და გონებას აღარ მიფორიაქებდა. სინდისის ქენჯნასაც არ ვგრძნობდი, ვთვლიდი: არავისი ვალი არ მედო, სრული უფლება მქონდა, ბედნიერად და უდარდელად მეცხოვრა.

ასე იყო, ვიდრე უნებლიეთ ერთ ტრაგიკულ შემთხვევას არ შევესწარი. ამან გული დამითუთქა, განვლილ ცხოვრებაზე ჩამაფიქრა, გონება ამიწეწა, წარსული სხვანაირი თვალით დამანახა. ძილი გამიკრთა, მოსვენება დავკარგე, ცხოვრების ამაოების ფილოსოფიას შევეჭიდე, ცოტა რამ განვჭვრიტე... გამუდმებით ეჭვის ჭია გულს მიღრღნის და სულს მიფორიაქებს ... ახლა უკვე გათავისებული ღალატის საფრთხე და შეუნდობლობა მაშინებს. სრული ბედნიერებისთვის მხოლოდ მიწიერი უშფოთველი ცხოვრება არაფერი ყოფილა. იგი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მთელი კასკადია, ჯადოსნური ლაბირინთი... ბედნიერია ის, ვინც ცხოვრების ყველა ჯებირს ღირსეულად გადალახავს, ლაბირინთებს კაცურად გაივლის, არ ჩაიკარგება, არ გადაიჩეხება და სიცოცხლის დასალიერზე ცოდვას მადლი გადაწონის, სიკეთეს და დაფასებულ ამაგს მიითვლის... სიკვდილის სარეცელზე უფლის ნებას მინდობილი სუფთა სინდისითა და გაცისკროვნებული გულით იტყვის : მეც კაცური კაცის ქუდი მეხურა, მეც ღირსეულად ვიცხოვრე და ვალმოხდილი ვტოვებ წუთისოფელს...

ეტყობა, ყველაზე ბედნიერი ისაა, ვინც შენდობილი, ცოდვებმონანიებული მიდის წუთისოფლიდან.

ადრე კი მეგონა, არასდროს დამიდგებოდა სინანულის, თვითგვემის და თვითგნაკიცხვის ჟამი.

ბრძენს უთქვამს, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ვწუხვარ, ეს ჩემთვის არ თქმულა. ეს ჩემთვის გასათავისებლად, უფრო სწორად, აღსაქმელად და გასააზრებლად ძნელი აღმოჩნდა.

ცხოვრება რთული რამ ყოფილა. ახლა ვხვდები, ბევრი შეცდომა დამიშვია, მათ შორის საბედისწეროც, ბევრი ცოდვაც ჩამიდენია, მათ შორის ღალატის ტოლფასიც.

ერთი სიტყვით, ჩემო გონებაგამჭრიახო და პირუთვნელო მკითხველო, გადაგიშლი ჩემი ცხოვრების გზას, შენ კი შეაფასე, განსაჯე, მოჩხრიკე, გაანალიზე და მერე გამომიტანე განაჩენი.

ერთსაც გეტყვი, ჩემისთანები ბევრზე-ბევრია. ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი - სამშობლოზე ტკბილი არაფერი ყოფილა. თავს მოვალედ ვთვლი, ერთი რჩევა მოგცეთ:

ნუ მიიღებთ საბედისწერო გადაწყვეტილებას,

ნუ მიატოვებთ მამაპაპისეულ სახლს, დედასამშობლოს, ნათესავ-მოკეთეებს, ახლობლებს!!!

ოოჰ! რა მწარეა უცხო ქვეყნის ხიზნობა, რა მწარეა დამადლებული პური. სახიზნეთში მხიარულებაც და ბედნიერებაც სევდიანია... იქაური ცხოვრების თანმხლებია სევდა და ნოსტალგია.

სულ ვფიქრობ: ნუთუ, მეც მომელის ვასო მილორავას დღე და ხვედრი?!.

200... წლის 12 მაისს, გორკოვსკოედან ქალაქ კროპოტკინში მივდიოდი. ეს ქალაქი ჩვენი საცხოვრისის ადმინისტრაციული ცენტრია. მანქანაში მარტოდ ვიყავი. ვიდრე მთავარ გზაზე გავიდოდი, მანქანებისა და ხალხის უცნაურ შექუჩებას მივაქციე ყურადღება. ეს ადგილი უკაცრიელია. დასახლებული პუნქტები მოშორებითაა. ახლოს მივედი. დავინახე პოლიციისა და სასწრაფო დახმარების სპეცმანქანები, გზა ჩახერგილი იყო, გვერდს ვერ აუვლიდი, რომ მოძრაობა გაგეგრძელებინა. მანქანა გადავაყენე და მივედი ავტოკატასტროფის ადგილას. პირველივე შემხვედრს ვკითხე:

-რა მოხდა?

გულგრილად შემომხედა, ცოტა ამრეზით და სარკაზმით მითხრა, უფრო კი თავისთვის ჩაილაპარაკა:

- ვიღაც არარუსია. ვერ შეძლო მანქანის დამორჩილება, დიდი სიჩქარით გადავიდა სავალი ნაწილიდან და გზის გაყოლებაზე ხეს შეასკდა.

ამ ცნობამ უცნაურად ამიფორიაქა გული და მომინდა, უფრო მეტი გამეგო ავტოსაგზაო შემთხვევისა და დაზარალებულის შესახებ. პოლიციელმა შემომზღუდავი ზონარის იქით გასვლის ნება არ დამრთო. ცნობისმოყვარეობა უფრო გამიცხოველდა და პოლიციელს ვკითხე:

- ცოცხალია დაზარალებული?

მან, რატომღაც, იქედნურად, გულგრილად და ცოტა აგდებითაც კი მითხრა:

- შენ ვინ მიგდიხარ, რომ ანგარიში ჩაგაბარო!

მისმა ტონმა ცოტა კი გამაღიზიანა, მაგრამ განსაკუთრებული ემოცია არ გამოუწვევია. მივეჩვიე. აქ არასლავური წარმოშობის ადამიანებისადმი ასეთი ფორმით და ტონით მიმართვა და შეკითხვებზე რეაქცია ჩვეულებრივი მოვლენაა.

როგორც შემეძლო, მშვიდად ვუთხარი:

- მე ქართველი ვარ. გავიგე, რომ დაზარალებულიც არასლავური წარმოშობის ყოფილა. იქნებ, ამოვიცნო ან რაიმე დახმარება აღმოვუჩინო. ამით, ალბათ, თქვენც დაგეხმარებით.

პოლიციელმა გაკვირვებით შემომხედა, რაღაცაზე ჩაფიქრდა, კარგიო, მითხრა და დამრთო ნება, სასწრაფო დახმარების მანქანასთან მივსულიყავი.

დაზარალებული საშინელ მდგომარეობაში იყო. მძიმედ სუნთქავდა. გაცრეცილი, ჩალურჯებული ტუჩები უთრთოდა და რაღაცას დაბალი ხმით ჩურჩულებდა. საცოდავი სისხლში ცურავდა. მანქანა ხეს მძღოლის მხრიდან შეჯახებოდა. საწყალს სახე ჩალურჯებოდა, შუბლიდან და მარჯვენა საფეთქლიდან სისხლი სდიოდა. ალბათ, საქარე მინას შეასკდა. სახის მოწითალო-ჩაშავებული ადგილები იმაზე მეტყველებდა რომ გულის შეტევა მოსვლოდა.

მივუახლოვდი. ჩემდაუნებურად მივაყურადე ექიმების საუბარს. ერთერთი ამბობდა:

- სლავური წარმოშობის არაა, რადგან რუსულად დასმულ შეკითხვებზე არ რეაგირებს, მხოლოდ ჩვენთვის გაუგებარ ენაზე უაზრო სიტყვებს წამოისვრის.

ყური მივუგდე. ვაიმე, ღმერთო! - მომაკვდავი დედას საშველად ქართულად უხმობდა. ქართველი ყოფილა, ჩემი თანამემამულე! ნეტა, რა ქარმა გადმოაგდო აქ? დავიხარე და ათთრთოლებული ხმით ვუთხარი:

- ძმაო, მეც ქართველი ვარ, არ მიგატოვებ გასაჭირში, ბოლომდე გიპატრონებ, ოღონდ მითხარი, ვინ ხარ, სადაური, რომ შენს ჭირისუფალს შევატყობინო.

სიმწრით და რაღაც ორაზროვანი ირონიით ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოიკვნესა:

- რუსეთში ერთი უთვისტომო კაცი ვარ, ვასო ვარ, მილორავა... წარმოშობით ზუგდიდიდან... დიდი ხანია აქ ვარ გადმოხვეწილი... გულკევიჩში ვცხოვრობ რუს ქალთან... დაძაბული საუბრობდა. დაიღალა. ცოტა შეისვენა, სული მოითქვა და მკითხა, უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა:

- რუსეთში დავბერდი კაცი, ქართული თითქმის დამავიწყდა... ამათ ჩემი არ ესმით, რაღაც გაუგებარ ენაზე მელაპარაკებიან... ვერ გამიგია, რა ხდება... - გაჩუმდა, ღრმად ამოიოხრა და თვალები მილულა.

ამ საცოდავს, ეტყობა, ინფარქტმა დაარტყა, შოკშია და მხოლოდ ბავშვობის ენა ახსოვს. გამახსენდა ქართული ფილმი " ფესვები"- დოდო აბაშიძის გმირის ინფარქტის შემდგომი ყოფა. რაღაც ჩამწყდა გულში. უჩვეულო სევდა მომეძალა. ექიმებს ავუხსენი:

- დაზარალებული ქართველია. ეტყობა, ინფარქტმა დაარტყა, შოკშია და მხოლოდ ბავშვობის ენა - ქართული ახსოვს.

ახალგაზრდა ექთანმა გაკვირვებით და გაურკვეველი გამომეტყველებით მომაშტერა თვალები, ექიმი კი მიმიხვდა ნათქვამს, თავი გააქნია და სინანულით თქვა, შესაძლებელიაო და გააგრძელა ვასოსთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ჯერ საძილე არტერიის მიდამოებში პულსი გაუსინჯა, თავი გადააქნია და სასწრაფოდ მოიმარჯვა წნევის საზომი აპარატი. ექთანი გულმოდგინედ ეხმარებოდა, უსიტყვოდ და ზუსტად ასრულებდა ყველა მის მითითებას. ექიმმა უიმედო გამომეტყველება მიიღო, ჩაილაპარაკა, წნევა დავარდნილიაო. ექთანს უბრძანა რაღაც ნემსის გაკეთება, თვითონ კი უსინჯავდა სხეულს, მოტეხილობებს და ჭრილობებს ეძებდა, ალბათ... დაზარალებულის თავი რომ მოაბრუნა, სახტად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავრჩი - საცოდავს მარჯვენა საფეთქლის არეში ღია ჭრილობა ჰქონდა, საიდანაც შავი, ბლანტი სისხლი ჟონავდა... ექიმმა, ყველაფერი გასაგებიაო და დამხმარე პერსონალი ააჩქარა, მომაკვდავი სასწრაფოდ საკაცეზე დაეწვინათ და სამედიცინო დახმარების კარეტაში მოეთავსებინათ. მეც ვეხმარებოდი. ფრთხილად წამოვუწიე თავი. ვასომ მომაპყრო ცრემლით დანამული და სევდიანი თვალები, რაღაცის სათქმელად ბაგეები გახსნა, მაგრამ მხოლოდ ტუჩების ცმაცუნიღა მოახერხა, თვალები ფართოდ გააღო, თითქოს იქიდან მოელის შველასო, ზეცას ახედა და მისი მზერა უსასრულობაში ჩაიკარგა...

ხელები მოჭრილი ტოტებივით ჩამოუცვივდა და გაქვავდა. ამას ექიმიც უყურებდა. გათავდა საცოდავიო, - თქვა, ხელი ჩაიქნია, გადგა გვერდზე და სიგარეტს მოუკიდა.

ვასო მილორავა გადავიდა სხვა განზომილებაში.

ვასოს უსიცოცხლო სხეული მანქანის სალონში დაასვენეს და დაელოდნენ ექიმის მითითებებს. ექიმმა სიგარეტი ნახევარზე დაიყვანა, ნამწვი მანქანის ბორბალს მიაჭყლიტა და პოლიციელებისკენ გაემართა.

- დაზარალებული გარდაიცვალა. მე აქ აღარაფერი მესაქმება, ცხედარს გადავასვენებ ქალაქის პროზექტურაში, - მოახსენა ოფიცერს.

პოლიციელი ცოტა ხნით რაღაცაზე ჩაფიქრდა, შემდეგ ხელი ჩაიქნია, კარგიო, დაეთანხმა, დაავალა ექსპერტიზის ჩატარება და სათანადო დასკვნების მომზადება, თვითონ კი ავარიის ადგილის დათვალიერება გააგრძელა. შემთხვევის ადგილის ფოტო-ვიდეო გადაღება ჩემამდე მოესწროთ.

სასწრაფო დახმარების მანქანა დაიძრა ქალაქის მიმართულებით. მე ცოტა ხანს გავჩერდი.

სადაური სად დაიღუპა... დამენანა თვისტომი. დაღონებული, ნანახით და გაგონილით განადგურებული, თავჩაქინდრული ნელი ნაბიჯით ჩემი მანქანისკენ გავემართე.

სადღაც შორიდან ყრუდ პოლიციელის ხმა ჩამესმა. თავისთან მიხმობდა.

მივედი. მომთხოვა საბუთები. მონაცემები და ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და მთხოვა: დილის ათი საათისთვის პოლიციის რაიონულ განყოფილებაში გამოვცხადებულიყავი და გარდაცვლილის ვინაობისა და სადაურობის დადგენაში დავხმარებოდი. კარგი-მეთქი უგემურად დავეთანხმე და წავედი მანქანისაკენ... ფიქრის თავი აღარ მქონდა. იმდენად ვიყავი ემოციურად დატვირთული. ჩავედი ქალაქში, ბაზარში შევიძინე საყიდლები და მაშინვე შინ დავბრუნდი.

თავი II

დათქმულ დროს პოლიციის განყოფილებაში მივედი. მორიგე ოფიცერს ავუხსენი: დაბა გორკოვსკოეს ახლოს გუშინდელი ავტოკატასტროფის გამო საგზაო პოლიციაში დაბარებული ვარ-მეთქი და გავდექი გვერდზე. ცოტა ხნის შემდეგ მორიგემ მიხმო და ამიხსნა, თუ როგორ უნდა მიმეგნო ჩემთვის საჭირო კაბინეტი.

კარზე დავაკაკუნე და კაბინეტში შევაბიჯე. ჩემთვის უკვე ნაცნობი ოფიცერი მომესალმა და მაგიდასთან მიდგმულ სკამზე მიმითითა. ერთ ხანს დოკუმენტებს გულმოდგინედ უკირკიტა, შემდეგ კი მომიბრუნდა:

- კონსტანტინ შოთაევიჩ, შენ, ალბათ, უკვე იცი, რომ ავტოკატასტროფის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქე შენი თანამემამულეა.იგი მილორავა ვასილ გერონტისძეა, დაბადებული 1953 წელს საქართველოში, ზუგდიდის რაიონში. 1989 წლიდან ჩაწერილია და ცხოვრობს კრასნოდარის მხარის კავკაზსკის რაიონის სტანიცა პაშკოვსკაიაში. პასპორტი და მართვის მოწმობა, ასევე მანქანის ტექნიკური პასპორტი თან ჰქონდა. ამან გააადვილა მისი ვინაობის დადგენა.

მისამართის სხვაობა არ გამკვირვებია. აქ ბევრი ჩაწერილია ერთ მისამართზე, ხოლო ცხოვრობს სხვა ადგილას.

პოლიციელს ვაცნობე:

- მომაკვდავმა მითხრა,რომ ქალაქ გულკევიჩში ერთ დედაკაცთან ვცხოვრობო. იქნებ, დაგვე-ზუსტებინა მისამართი და დედაკაცის ვინაობა.

ერთი სიტყვით, გადავწყვიტეთ, ვასოს ადგილსამყოფელის დადგენა დაგვეწყო ჩაწერის ადგილიდან. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რაღა შენ გაგისკდა პოლიციასთან თანამშრომლობის ბუშტიო, მაგრამ მინდა დაგამშვიდოთ, ვატყობდი, ვასოს აქ ჩემს გარდა პატრონი არავინ ჰყავდა, მინდოდა უკანასკნელი პატივი მიმეგო ჩემთვის უცნობი, მაგრამ ჩემსავით ემიგრანტი ქართველისთვის.

ეეჰ! ემიგრანტი ქართველი...

ოფიცერმა ვიღაცას უხმო. შემოვიდა ახალგაზრდა თანამშრომელი. ზემდგომმა აუხსნა, რომ მე მიცვალებულის თანამემამულე ვარ და, იქნებ, ერთობლივი ძალისხმევით დავადგინოთ მისი საცხოვრებელი ადგილი და შესაძლო ჭირისუფლები. ჩააწერინა ვასოს მონაცემები, მისამართი და წარმატებები გვისურვა. პოლიციელს ვალერი ერქვა, ჩემდაგასაკვირად გულისხმიერი და კაცთმოყვარე აღმოჩნდა ეს ახალგაზრდა კაცი.

შევთავაზე ჩემი მანქანით წასვლა. მალევე მივაგენით იმ სახლს, უფრო სწორად, ნახევრადდანგრეულ ხატას, სადაც ვასო მილორავა იყო ჩაწერილი. ეზო-კარი მოუვლელი იყო, მიტოვებულს ჰგავდა. ვალერიმ კარზე რამდენიმეჯერ დააკაკუნა, მაგრამ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მივმართეთ შუახნის ქალს, რომელიც ბოსტანში ფუსფუსებდა. გვაინტერესებდა ვინ ცხოვრობდა იმ სახლში.

ქალმა ხელი თვალებზე მოიჩრდილა, წელში გასწორდა და გვითხრა:

- იმ სახლში ვერა დანილოვნა ცხოვრობს, მარტოხელა მოხუცი, რომელიც ამჟამად ჩვენს ბებოსთან ერთად ჩაის მიირთმევს.

გაგვიხარდა, ასე იოლად რომ მივაგენით და ვთხოვეთ, დაეძახა. ქალმა მოიბოდიშა, წინსაფარი მოიხსნა, ხელები შეიწმინდა, ბოსტნიდან გამოვიდა და სახლში მიგვიპატიჟა. მე მეუხერხულა, ეტყობა ვალერისაც. ვთხოვეთ, გარეთ ეხმო ვერა დანილოვნასთვის. ცოტა ხნის შემდეგ სახლიდან გამოვიდა შუახანს გადაცილებული მიმზიდველი გარეგნობის ქალი, შეგვათვალიერა და გვითხრა:

- მე ვარ ვერა დანილოვნა, რისთვის შემაწუხეთ, რაში გამოგადგებით?

ვალერი წარუდგა და შესთავაზა მის სახლში შევსულიყავით, სადაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ჩვენთვის საინტერესო ცნობების მიღება. დამხდურმა რაღაც წაიდუდუნა და შინ მიგვიწვია.

ვერა დანილოვნა იქნებოდა ასე სამოც წელს მიტანებული, საშუალოზე ცოტა მაღალი, ჩასხმული აღნაგობის, საკმაოდ კარგად შენახული, სანდომიანი, ცისფერთვალება დედაკაცი. სახლში შესვლისთანავე სამზარეულოში აფუსფუსდა. შემოგვთავაზა, ჩაის ინებებთ თუ ყავასო. მე ყავა ვარჩიე, ვალერიმ - ჩაი. მილიციელი მაგიდას მიუჯდა, ჩემი ყურადღება კი კედლებზე გამოფენილმა, ძველ ჩარჩოებში ჩასმულმა საოჯახო ფოტოსურათებმა მიიპყრო. ძველი, ჩაყვითლებული სურათებიდან იცქირებოდნენ ასაკიანი და ახალგაზრდა ადამიანები. აქა-იქ ბავშვების მომღიმარი სახეებიც იკვეთებოდა. ერთმა სურათმა დამაინტერესა. ჩარჩოდან იმზირებოდა ლამაზი ქალიშვილი - საქორწინო კაბით და ფატით. გვერდს უმშვენებდა ახალგაზრდა ოფიცერი.

ვერა დანილოვნამ მაგიდაზე ჩაის და ყავის ფინჯნები დაალაგა და შოკოლადის ფილა დატეხა. თვითონაც გვერდით ჩამოჯდა და ცნობისწადილით მოგვაცქერდა.

ვალერიმ უთხრა:

- უხერხული თუ არ იქნება, რამდენიმე კითხვას დაგისვამთ და, ძალიან გთხოვთ, ამომწურავად გვიპასუხეთ.

ვერა დანილოვნა მოსწორდა სკამზე და თავი დაუქნია.

ვალერიმ ამოიღო ბლოკნოტი, საჭირო ჩანაწერს მიაგნო და ჰკითხა:

- ვერა დანილოვნა, ეს სახლი თქვენი საკუთრებაა? რამდენი წელია აქ ცხოვრობთ?

- ეჰჰ! შვილო, ეს სახლი მამა-პაპისეულია. აქ დავიბადე და გავიზარდე. აქვე დავამთავრე სკოლა, შემდეგ საბუხალტრო კურსები... - ქალი გაჩუმდა, პასუხი ამომწურავად ჩათვალა.

- მარტოდ ცხოვრობთ? ქმარ-შვილი ან სხვა ნათესავები არ გყავთ?

- დედისერთა ვარ. მამაჩემი საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა ტრაქტორისტად. პარალელურად, პურის აღების დროს, კომბაინსაც მართავდა. მაღალი გამომუშავება ჰქონდა. დედა სტანიცის ამბულატორიის ექთანი იყო. ერთი სიტყვით, კარგი შემოსავალი გვქონდა. მრავალი სტუმარი გვყავდა. მამა ხშირად სვამდა, მით უმეტეს, რომ სოფლად ტრაქტორისტი დაფასებული კაცია. მეზობლებს ხშირად ეხმარებოდა, რაზედაც ძირითადად ნატურით უმასპინძლებოდნენ, ესე იგი სამაგონით და არაყით. ხშირად პურ-მარილითაც. ამან გაალოთა და მშობლები მალე დაშორდნენ ერთმანეთს. დედას აღარ შეეძლო ლოთი ქმრის უხეში მოპყრობის, ცემის, ლანძღვა-გინებისა და დებოშის ატანა. მამამ, გაბრაზებულმა, ჩაალაგა ჩემოდანი და წავიდა... მას შემდეგ მის შესახებ არაფერი ვიცი.

- ვერა დანილოვნა, ბოდიშს გიხდით, მაგრამ მინდა გკითხოთ, გათხოვილი არ ყოფილხართ?

- რა თქმა უნდა, შვილო, მყავდა ოჯახი. მიყვარდა ჩემი თანაკლასელი. ის წესიერი, გონიერი და ნიჭიერი ყმაწვილი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ტაშკენტის უმაღლეს სატანკო სასწავლებელში. მე, დედის რჩევით, კროპოტკინის პროფტექნიკურ სასწავლებელში გავაგრძელე სწავლა საბუხალტრო აღრიცხვის სპეციალობით. რა თქმა უნდა, მინდოდა ოლეგისთან, ასე ერქვა ჩემს შეყვარებულს, ერთად წავსულიყავი ტაშკენტში. იქაც ვისწავლიდი, მაგრამ მარტოდ ვერ დავტოვებდი დედას, მით უმეტეს, რომ ჯანმრთელობა საკმაოდ შერყეული ჰქონდა. ოლეგმა წარჩინებით დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და მოიპოვა მისთვის სასურველი სამხედრო ოლქისა და ნაწილის შერჩევის უფლება (იყო ასეთი შეღავათი საბჭოთა კავშირის დროს წარჩინებულდიპლომიანებისათვის- ავტ.შენ.). ერთი სიტყვით, გაამწესეს კრასნოდარის მხარეში. ოლეგის პირველივე შვებულების დროს შევუღლდით, ვცხოვრობდით სამხედრო ნაწილის საერთო საცხოვრებელში. როგორც უკვე მოგახსენეთ, დედაჩემი ხშირად ავადმყოფობდა, ამიტომ მეტ დროს მასთან ვატარებდი. ნაწილი რამდენიმე საათის სავალზე იყო და ვახერხებდი საღამომდე დედის მიხედვას, შემდეგ კი ქმართან ვბრუნდებოდი. ასე განვლო რამდენიმე წელმა. შემდეგ შვილი შეგვეძინა, ანდრეი დავარქვით, ბაბუის სახელი. ამასობაში დედის ჯანმრთელობა ისე გაუარესდა, რომ მწოლიარე ავადმყოფი შეიქმნა. ქმართან შეთანხმებით მე და ანდრეი გადმოვედით დედასთან. პირველ ხანებში ოლეგი ყოველ შაბათ-კვირას მოდიოდა, შემდეგ კი უკლო სახლში სიარულს. არ უნდა გაძნელებოდა, რადგან "ჟიგული" შევიძინეთ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ მშვენიერ დღეს ქალთან ერთად გამომეცხადა, მამცნო, რომ მასზე შეყვარებულია და ბავშვს ელოდებიან. შემთავაზა მშვიდობიანად გაყრა. ასევე გამომიცხადა, რომ არ იხსნის ვალდებულებას, იზრუნოს შვილზე და კეთილსინდისიერად იხადოს ალიმენტი. ისტერიული ტირილი ამივარდა და ჩავიკეცე... დანარჩენი უჩემოდ მოაგვარა ოლეგმა. ფოსტალიონმა მომიტანა სააღსრულებო ფურცელი და განქორწინების მოწმობა. დავრჩი პატარა, თოთო ბავშვით ხელში და საპყარი, მოსავლელი დედით. ვერა ილინიჩნა დადუმდა. თვალები ცრემლებით დაენამა და სევდიანად ამოიხვნეშა.

- ვერა ილინიჩნა, ვიცით, რომ კიდევ ერთი მამაკაცი იყო თქვენს ცხოვრებაში. რას გვეტყვით მასზე?- დელიკატურად ჰკითხა ვალერმა.

ვერა ილინიჩნამ ცრემლები მანდილის ყურით შეიმშრალა, მომიბრუნდა და მე მკითხა:

- თქვენ რუსი არ უნდა იყოთ,ქართველს ჰგავხართ?

თავის დაქნევით დავუდასტურე.

ქალმა სევდანარევი თვალები უსასრულობას მიაპყრო და განაგრძო:

- კი, კიდევ ერთი მამაკაცი იყო ჩემს ცხოვრებაში, ამის თანამემულე... ეშმაკმა დალახვროს! - თქვა და გვერდზე გააფურთხა.

არ მომეწონა, რომ უდიერად მოიხსენია ჩემი თანამემამულე. თუნდაც უსინდისო, მაგრამ მაინც ქართველი.

ვალერი მიმიხვდა და თანამოსაუბრეს ჰკითხა:

- მოგვიყევით, გეთაყვა, რაიმე მის შესახებ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენთვის ძნელი ან არასასიამოვნო არ იქნება...

ვერა ილინიჩნამ ჩაახველა, უსიამოვნო სახე მიიღო და შემდეგი გვიამბო:

- ქმართან გაცილებამ შოკისმომგვრელად იმოქმედა ჩემზე. ერთი პერიოდი ცხოვრების ხალისიც კი წამერთვა, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია... შვილი და დედა ზრუნვას საჭიროებდნენ... მივმართე მეურნეობის დირექტორს თხოვნით, გაეთვალისწინებინა ჩემი მდგომარეობა და სპეციალობით დავესაქმებინე. დირექტორი ნამდვილი კაზაკი იყო, ომგამოვლილი ვაჟკაცი, სათნო და გულისხმიერი. ყურადღებით მომისმინა, შემაქო, რომ სიძნელეებს ყოჩაღად ვუმკვლავდები და გასცა განკარგულება მოლარე-მოანგარიშის ვაკანტურ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის შესახებ. ერთი სიტყვით, ვუვლიდი დედას და ვზრდიდი ანდრეის. ამასობაში ანდრეი სკოლაში წავიდა, დედა კი გარდამეცვალა. მეურნეობის ადმინისტრაციის და მეზობლების დახმარებით ყველა წესი სათანადოდ ავუგეთ. დავრჩი მარტოხელა ქალი შვილთან ერთად. ვცხოვრობდით მე და ანდრეი განსაკუთრებული პრობლემებისა და სიძნელეების გარეშე.

1985 წლის გვიანი გაზაფხული იყო... ჩვეულებრივი სამუშაო დღე... სალაროს სარკმელთან მოვიდა სანდომიანი, მხიარული ახალგაზრდა და მოითხოვა ხელფასი. ვკითხე სახელი, გვარი და ბრიგადა. მან მომნუსხველად შემომხედა, კარგი ნაცნობივით თვალი ჩამიკრა და მომახარა:

- ვასო მოლორავა, მექანიზატორთა ბრიგადა.

ვასო იქნებოდა 34-35 წლის, საშუალოზე მაღალი, მხარბეჭიანი, შავთვალწარბა, ქერათმიანი, მრგვალსახიანი. ძალიან უხდებოდა ქართული, ოდნავ კეხიანი ცხვირი... ადრე ქართველები არ მენახა, მაგრამ მათზე ბევრი მსმენოდა, კარგიც და ცუდიც. ვისთანაც მისაუბრია, ყველა მოხიბლული იყო საქართველოს სილამაზით და თვალწარმტაცობით. საამო ჟრუანტელმა დამიარა ტანში და სითბო ჩამეღვარა სულში. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვასო და მე დავმეგობრდით. საახალწლოდ გადმოვიდა ჩვენთან საცხოვრებლად. გულისხმიერი და მოსიყვარულე მამაკაცი იყო. ანდრეი საკუთარი შვილივით უყვარდა. მისი დამსახურებაა, რომ ჩემი შვილი წესიერი, ზრდილობიანი და ბეჯითი ადამიანი დადგა. ვასოს რჩევით ანდრეიმ მამის პროფესია აირჩია. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იქორწინა ჩვენი სტანიცის მზეთუნახავ, კოხტა გოგონაზე. ამჟამად მსახურობს ჩიტის ოლქში. შვებულებისას ჩამოდის ცოლშვილთან ერთად. ვასო ახლაც მამასავით უყვარს, ძალიან განიცდის ჩვენს დაშორებას. ერთხელ ეძება კიდეც, მაგრამ ვერ ნახა... მე დავუმალე ... არ მინდოდა, ურთიერთობა აღედგინათ... ვერ ვაპატიე ვასოს ღალატი.

- კი, მაგრამ ვასო მოლორავა აქ აღარ ცხოვრობს? - ჰკითხა ვალერიმ.

- ეეჰ, შვილო, ადამიანის გრძნობა-გონებას და ზრახვებს რას გაუგებს კაცი. ვასო კარგი მეოჯახე იყო, მაგრამ გულჩათხრობილი და ხშირად სევდიანი. არ უყვარდა საკუთარ თავსა და წარსულზე საუბარი... მხოლოდ ერთხელ ნასვამს წამოსცდა, ყველა ქალი ერთნაირი ხართ, ეშმაკზე ადრე დაბადებულები... რომ არა ქალის მზაკვრობა, განა, რა მჭირდა ისეთი, უცხო მხარეში გადმოვხვეწილიყავ... უთვისტომო და მიუსაფარი... ისე გულამომჯდარი ქვითინებდა, რომ გული მომეწურა. ნუგეშის მიცემა ვერ მოვახერხე. ვერ გავბედე, მიზეზი მეკითხა. მსმენია ქართველების სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის შესახებ, მოყვასის მოფერებასა და თავდადებაზე. ალბათ, რაიმე განსაკუთრებული მოხდა ვასო მოლორავას ცხოვრებაში, რამაც ეს საწყალი აიძულა, გადმოხვეწილიყო უცხო მხარეში ისე, რომ თითქმის ოცი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გასჩენია სამშობლოს და ახლობლების მონახულების სურვილი, ქალის მზაკვრობა ახსენა. შეყვარებულმა უღალატა თუ უორგულა? ვინ იცის... ეს იყო და ეს... თავისი წარსული ცხოვრების შესახებ აღარაფერი უთქვამს. ისე კი ძალიან მაინტერესებდა. კატეგორიულად ამიკრძალა ამ თემაზე საუბარი. უცნაური ისიც იყო, რომ არც ბავშვის გაჩენა სურდა. ერთი სიტყვით, ასე სიამტკბილობით და ვასოს იდუმალი წარსულით ვცხოვრობდით 2000 წლის შემოდგომამდე. თითქმის 16 წელი ერთად გავატარეთ და ცუდი არასდროს წამოსცდენია ჩეზე და ჩემს შვილზე. სევდიანი, მოწყენილი და გულჩათხრობილიც მინახავს არაერთხელ. ბოლო ხანს უფრო ძუნწსიტყვიანი გახდა... მალე ღიზიანდებოდა და ვერიდებოდი. თითქმის არ სვამდა. მუშაობდა მეურნეობის სატვირთო მანქანაზე, ბეჯითი და საზრიანი იყო. გამომუშავება კარგი ჰქონდა, ფულის ყადრი იცოდა. იყიდა მსუბუქი ავტომობილი "ვოლგა გაზ -24," იმ დროისთვის საკმაოდ ძვირი და პრესტიჟული მანქანა. მეც მეტი რა მინდოდა, ვცხოვრობდით ხმაშეწყობილად და თითქმის ბედნიერად. ხელი მოწერილი არ გვქონდა, არ სურდა... - თქვა და ჩაფიქრდა, მწარე მოგონებებში ჩაიძირა.

- ვერა დანილოვნა, მერე რა მოხდა, რამ დაარღვია თქვენი იდილია, ახლა სადაა ვასო მილორავა? - ფრთხილად შეაპარა ვალერმა.

ქალი ფიქრებიდან გამოერკვა, ხელი ჩაიქნია, რაც იყო იყოო, ჩაილაპარაკა და განაგრძო:

- მართალი იყო ვასო. ყველაფერში ქალის მზაკვრობაა დამნაშავე. იყო ჩვენს სტანიცაში ექიმი ქალი, ამბულატორიის გამგე ქალაქ გულკევიჩიდან. ასე 35-36 წლის. ლამაზი, მიმზიდველი... რამდენადაც კარგი ექიმი იყო, იმდენად ხარბი და შურიანი. თურმე შეშურდა ჩემი მაგ გველამუას, მოეწონა ვასო და გადაწყვიტა, დაპატრონებოდა. მოახერხა კიდეც მისი გულის მოგება. წამართვა კაცი. ვიჩხუბეთ და დავშორდით მე და ვასო. გადავიდნენ საცხოვრებლად გულკევიჩში. იქ ექიმს საკუთარი ბინა აქვს. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მთელი ცხოვრება გავიდა. ვასო აღარ მინახავს, აღარც მსმენია რამე მის შესახებ... - სათქმელი დაასრულა და ამოიოხრა.

უხერხული სიჩუმე ვალერმა დაარღვია:

- ვერა დანილოვნა, თუ იცით ვასოს მისამართი გულკევიჩში, ან იმ ქალის სახელ-გვარს ხომ ვერ გვეტყვით?

- ჩემო ძვირფასო, - მიმართა ვერა დანილოვნამ, რაში მჭირდება ვასოს და მისი ძუკნას მისამართი. ჩემგან წავიდა. უკან მაინც აღარ მობრუნდება. მისამართი არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ექიმი კაზაკოვა მარინა გრიგორის ასული იყო. ახლა იქნება 40-41 წლის... მისმა სიქორფემ და მიმზიდველობამ მიიქცია ვასოს მსუნაგი და გაუმაძღარი თვალი. მე ხანშიშესული ვიყავი, ვერ გავუწევდი ახალგაზრდას კონკურენციას. მოულოდნელად ვერა დანილოვნამ ხელები გაასავსავა,თვალები გაუფართოვდა,წამოხტა და არაბუნებრივად წამოიძახა:

- ნამდვილი სულელი ვარ, ვზივარ, ჩაის მივირთმევ პოლიციელთან და უცხო კაცთან, ჩემს წარსულ ცხოვრებაში ვიქექებით და ამ ბებერ უჭკუოს და სულელს ერთხელაც არ მომსვლია აზრად, მეკითხა, რატომ ეძებთ ვასო მილორავას, რა საქმე გაქვთ მასთან, დააშავა რამე? რა ხელი აქვს მასთან პოლიციას... მომიყევით ახლავე! - თქვა და მაგიდას დაარტყა მარჯვენა მუშტი.

ეს ბუნებრივი რეაქცია იყო...

თვალით ვანიშნე ვალერის, ეცნობებინა ავტოავარიის და მილორავას ტრგიკული სიკვდილის შესახებ.

მოკლედ ყველაფერი უამბო.

ვერა დანილოვნამ ერთი მწარედ ამოიკვნესა, მაგრამ მაშინვე მკაცრი და სასტიკი გამომეტყველება მიიღო და ახითხითდა:

- აბა, რა ეგონა? ღმერთი სამართლიანია, არ აპატია ჩემი ღალატი და ორგულობა, ამდენი სიკეთე და თანადგომა!- წამოიძახა და გავარდა მეორე ოთახში.

მე და ვალერის რაღა დაგვრჩენოდა, ავდექით, გამოვედით სახლიდან და ...

თავი III

მთელი გზა ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის. მე ჩემი საფიქრალი მქონდა, ვალერის - თავისი. პოლიციის განყოფილების შენობას რომ მივუახლოვდით, განტვირთვა გავაკეთოთ-მეთქი და ვალერი ვახშამზე შევპატიჟე.

- ჯერ უფროსს მოვახსენებ შედეგებს, მერე კი მოვეშვათ, თორემ გასკდა გული... - მომიწონა წინადადება.

ვალერი შევიდა შენობაში. ისე დაძაბული და მორალურად დაღლილი ვარ, არც ფიქრის თავი მაქვს და არც განსჯის.

თურმე ვალერიც გორკოვსკოედანაა. ეს აადვილებს საქმეს. ავედით გორკოვსკოეში. ბარში შევედით და ვივახშმეთ. ვასოს შესანდობარიც დავლიეთ და შევთანხმდით, რომ დილით გულკევიჩში მილორავას საყვარელი მოგვეძებნა. ათი საათისთვის უკვე იქ ვიყავით. პოლიციის განყოფილებაში ვიკითხეთ, სად შეიძლებოდა ექიმ მარინა კაზაკოვას ნახვა. მორიგე ოფიცერმა კატალოგი გადმოიღო და მალევე მოძებნა. გადავწყვიტეთ, კაზაკოვასთვის რაიონულ სავაადმყოფოში მიგვეკითხა. მან თავაზიანად მიგვიღო. როცა ჩვენი ვიზიტის მიზეზი გაიგო, დაგვიდასტურა, რომ ვასო მილორავა მისი მეგობარია და დღესაც ერთად ცხოვრობენ. მერე კი მოიკითხა:

- რატომ დაინტერესდა პოლიცია მისით და მისი მეგობრით?

საყვარლის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს, ჩვენდა გასაოცრად, საკმაოდ მშვიდად შეხვდა. დასანანიაო, მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა და ფანჯარა გამოაღო. ერთხანს გარინდული გაჰყურებდა შორეთს, შემდეგ კი მიუბრუნდა ვალერის და ჰკითხა:

- სად მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. თუ ჩაუტარდა გვამს ექსპერტიზა. დადგინდა გარდაცვალების მიზეზი?

- ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ტრასაზე, დაბა გორკოვსკოეს გადასახვევთან. ექსპერტიზა დღეს იგეგმება, მაგრამ ავტოავარიის თავისებურების და მიცვალებულის სახის ლაქების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ინფარქტთან უნდა გვქონდეს საქმე, - აუხსნა ვალერმა.

- ნამდვილად, ვასო ბოლო ორი წელია უჩიოდა ჭვალებს მკერდის არეში, მაგრამ სერიოზული გართულებები არ აღენიშნებოდა. ისე კი, სიმართლეს გეტყვით, ბოლო ხანს ვასოსთან ურთიერთობები აღარც მქონია, დროდადრო თუ შევხვდებოდით. გადაბარგდა გარაჟში და სახლში თითქმის არ ამოდიოდა.

- რამ გამოიწვია ურთიერთობის გაცივება? როგორც ჩვენთვის ცნობილია, ათი წლის წინათ ვასოზე იყავით შეყვარებული და ყველაფერი გააკეთეთ, ძველი მეგობრისთვის რომ დაგეშორებინათ, - უთხრა ვალერმა და გამომცდელად ჩაჰხედა თვალებში.

- აჰა, გასაგებია! იმ ბებერმა კალოშამ უკვე გიამბოთ არა, ყველაფერი... კი ბატონო, მაშინ ვასო მიმზიდველი და სანდომიანი მამაკაცი იყო, მაგრამ ერთად ცხოვრების პერიოდში დავრწმუნდი, რომ შევცდი. ის ისეთი რაინდული თვისებების მამაკაცი არ აღმოჩნდა, როგორიც თავიდანვე მეგონა. მალე მოსწყინდა ჩემზე ზრუნვა და ქათინაურები, გადაიქცა ძუნწ და ბუზღუნა მამაკაცად. მართალია, ერთად ვცხოვრობდით, საერთო მეურნეობა და ბიუჯეტი გვქონდა, მაგრამ ძველებური გრძნობები და ურთიერთლტოლვა აღარ იყო. ბოლოს სულ აუტანელი გახდა. რამდენჯერმე შელაპარაკება ჩხუბსა და ოჯახურ კონფლიქტში გადაიზარდა, მეზობლებიც კი ჩაერივნენ.

- როგორ ფიქრობთ, რას შეეძლო, ასეთი აგრესიული გაეხადა ვასო მილორავა, როცა, როგორც თქვენ ამბობთ და ამას ადასტურებს ვერა დანილოვნაც, ძალიან ყურადღებიანი, წინდახედული და მოსიყვარულე ადამიანი იყო? - ჩავერიე საუბარში.

- მართალი ბრძანდებით, თავიდან ვასო ნამდვილად ასეთი იყო, მაგრამ წლებთან ერთად აგრესიაც ემატებოდა, განსაკუთრებით ქალების მიმართ. ვფიქრობ, მიზეზი უნდა ვეძებოთ უფრო ღრმად, ვგულისხმობ მიზეზს, რის გამოც ახალგაზრდა კაცი იძულებული შეიქმნა, დაეტოვებინა სამშობლო, განშორებოდა ნათესავებს და ახლობლებს, რუსეთში გადმოხვეწილიყო. ისიც ყურადსაღებია, რომ თითქმის ოცდაექვსი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უცდია მათთან დაკავშირება და არასდროს ჰქონია სამშობლოში დაბრუნების სურვილი.

- მარინა გრიგორიევნა, გთხოვთ გაიხსენოთ, საქართველოდან ამოკვეთის მიზეზის შესახებ ხომ არ უთქვამს რამე თქვენთვის, ვთქვათ, ან გაბრაზებულს, ან ნასვამ მდგომარეობაში მყოფს?

- ვასო, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ სვამდა, მგონი, ერიდებოდა კიდეც... ადრე მხიარული და იუმორით სავსე იყო. უყვარდა ოხუნჯობა, ანეგდოტები, მაგრამ ხანში რომ შევიდა, სრულიად გამოიცვალა. ხშირად ცდილობდა, განმარტოებით დარჩენილიყო, საათობით იჯდა გაუნძრევლად, რაღაცას მიაშტერდებოდა და ჩაიძირებოდა ფიქრებში. მაშინ მის გვერდით ბომბიც რომ გამსკდარიყო, არ მიაქცევდა

ყურადღებას. გახდა უხეში, მკაცრიც კი... ქალიც ისე აღარ აინტერესაებდა, როგორც ადრე. თავგადადებული მექალთანე დაცხრა და განიავდა ფეტვივით. ასე გაცივდა ჩვენი ურთიერთობა და თითქმის უცხოები გავხდით... მე პატივს ვცემდი და მიყვარდა, მქონდა ხათრი და მახსოვს ბევრი კარგი მისგან, ამიტომ ვერ ვკადრე დაშორება ან სახლიდან გაშვება, მაგრამ, როგორც გითხარით, მთელი წელიწადია ერთად აღარ გვიცხოვრია. გარაჟში რჩებოდა ღამის გასათევად. მას მხოლოდ მანქანა უყვარდა, მისი ერთადერთი შენაძენი და პირადი ქონება...

- ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მიცვალებულს პატრონობა უნდა, გაპატიოსნება, გასვენება, სათანადო წესის მიგება... განა, ქრისტიანისადმი სხვანაირად მოპყრობა შეიძლება? - ჰკითხა ვალერმა.

- რა ვქნა, გენაცვალეთ, მე მარტოხელა, უსუსური ქალი ვარ. იმდენი საშუალება არ მაქვს, რომ გასვენებასთან და ქელეხთან დაკავშირებულ ხარჯებს გაუვმკლავდე, თანაც, როგორც გითხარით, ჩვენი ხელიც არ გვქონდა მოწერილი და არც რაიმე ვალდებულება აგვიღია ერთმანეთის წინაშე. ძალიან განვიცდი და მინდა რაიმე სარგებელი მივაგო საწყალს, მაგრამ თავს ზევით ძალა არაა. მუნიციპალიტეტს აქვს სპეცფონდი და მან გაიღოს ხარჯები... მე არაფერი შემიძლია, - თქვა და მიგვახვედრა, საუბარი დამთავრებულიაო.

- თუ დაიბარა, გუშინ სად მიდიოდა ან ვინმესთან შესახვედრად ხომ არ წასულა? - გადაწყვიტა ბოლო დეტალების დაზუსტება ვალერმა.

- ვასო,მიუხედავად უამრავი ნაცნობისა, უმეგობრო კაცი იყო. ერიდებოდა ახლო ურთიერთობებს მეზობლებთანაც კი. გაურბოდა სტუმრიანობას. არც თვითონ უყვარდა ვინმესთან სტუმრად წასვლა. თანამემამულე ქართველებთან შეხვედრებს საერთოდ ერიდებოდა.რამდენიმე წლის წინათ ჩვენს ქალაქში ქართული ოჯახი დასახლდა, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე. კარგი და თავაზიანი ცოლი ჰყავდა. ჩემთან ბავშვი მოიყვანეს გასასინჯად. ვასოს ვთხოვე, გასცნობოდა, მაგრამ მისი ვინაობითაც არ დაინტერესებულა. მსმენია, რომ ქართველები ძალიან სტუმართმოყვარეები არიან, უყვართ ერთმანეთი, თანაუგრძნობენ, ერთმანეთს ეხმარებიან და გვერდში უდგანან, ვასო კი სრული ანტიპოდი იყო. ჩანდა, მის ცხოვრებაში მოხდა რაღაც ისეთი, რამაც ყველაფერზე ხელი ააღებინა და ამოუკვეთა ფეხი სამშობლოდან და ქართველებთან კონტაქტზე უარი ათქმევინა. ეს საიდუმლოც თან წაიღო საიქიოს საცოდავმა, - ეს თქვა და მოიღუშა, თვალები აუწყლიანდა და დადუმდა...

მივხვდით, მარინა გრიგორიევნა საყურადღებოს ვეღარაფერს გვეტყოდა, მიცვალებულის მიმართ თანადგომასა და ჭირისუფლობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. გამოვემშვიდობეთ და თავჩაქინდრულები გამოვედით სავაადმყოფოს შენობიდან. გზაზე სასადილოში შევიარეთ, თითქმის უსიტყვოდ ვისადილეთ და კროპოტკინში გავბრუნდით.

უფროსმა ვალერის ამომწურავი მოხსენება რომ მოისმინა, დანანებით ჩაილაპარაკა,- მილორავა მთელი სიცოცხლის მანძილზე იმ ორ ქალზე ზრუნავდა, მათ კი ერთი ცრემლიც ვერ გაიმეტესო. მე ხომ სულ განადგურებული ვიყავი მათი გულგრილობის გამო.

- ბატონო ოფიცერო, იმ ქალებს კისერიც უტეხიათ, იმედია, უფალი სამაგიეროს მიუზღავს ყველას, მაგრამ ამ საცოდავს რა ეშველება, ვინ უპატრონებს, ვინ გააპატიოსნებს, საფლავის მოწყობის და დამარხვის ხარჯებს ვინ გაიღებს, პირუტყვივით ხომ არ შეიძლება ორმოში ჩაგდება? - მივმართე ოფიცერს.

- საუბედუროდ რუსეთის სინამდვილეში ჩვეულებრივი მოვლენაა უპატრონო მიცვალებული ან მიცვალებულზე უარის თქმა. ეს კანონმდებლობამ გაითვალისწინა და ყველა მუნიციპალური წარმონაქმნის ბიუჯეტში გამოყოფილია სპეციალური ფონდი, რომელიც ხმარდება სტიქიური უბედურების შედეგად ან უპატრონოდ დარჩენილი ცხედრების გაპატიოსნებას, გასვენებას და საფლავის მოწყობას... - დამამშვიდა ოფიცერმა.

- დასრულდება სასამართლო ექსპერტიზა,რა დროში დაიხურება საქმე და მიღებული იქნება გადაწყვეტილება ცხედრის გასვენების შესახებ? - ვკითხე.

- ერთი კვირა მაინც დასჭირდება, მანამდე კი ცხედარი პროზექტურაში იქნება დასვენებული.

ყველაფერი ნათელი იყო. დავემშვიდობე და გარეთ გამოვედი.

თავი IV

ისე ვიყავი გაოგნებული და განადგურებული მომხდარითა და გაგონილით, გული და გონება გადამიტრიალდა. ვერ აღმექვა და გამეგო, როგორი უმადური, უგულო და გულგრილი უნდა იყო, რომ პირველ შემთხვევაში თექვსმეტ წელიწადს, მეორე შემთხვევაში კი თითქმის ათ წელიწადს ადამიანი გიყვარდეს, ერთად ცხოვრობდე, ცოლქმრულ სარეცელს იყოფდე, საერთო ბიუჯეტი გქონდეს, პირველ შემთხვევაში ამხელა ამაგი დასდოს სხვის შვილს, აღზარდოს და ცხოვრების გზაზე დააყენოს და ეს კაცი ღირსიც არ გახადო თანაგრძნობის, ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ არ გამოიგლოვო, არ გააპატიოსნო და სათანადოდ ანდერძი არ აუგო, ღმერთო, სადამდე შეიძლება უგულო და უმადური იყოს ადამიანი...

ამ ფიქრებით დამძიმებული მივედი სახლში, გარაჟში გავაჩერე მანქანა და პირდაპირ სამზარეულოში შევედი. განჯინიდან არაყის ბოთლი გადმოვიღე და სულმოუთქმელად, ზედიზედ, სამი სირჩა გადავკარი. სითბომ საამოდ დამიარა სხეულში და ცოტათი მოვდუნდი. შევედი მისაღებ ოთახში და გაუხდელად სავარძელში მივესვენე. თვალდახუჭული. ასე ვიყავი ერთხანს. ცოტა დავმშვიდდი და მერეღა აღმოვაჩინე, რომ მეუღლე სამუშაოდან ჯერ არ დაბრუნებულიყო. ისევ სამზარეულოში გავედი, მოვიძიე კიტრის მწნილი და პური, ბოთლი ბოლომდე დავცალე. დალევა არ მიყვარს, იშვიათად რომ არაყს მივეტანო, ღვინოს უფრო ვცემ პატივს. ასე ჯერ არ დავმთვრალვარ, თანაც მარტო... ისევ დავბრუნდი ოთახში, ჩავრთე ტელევიზორი და გავიშხლართე დივანზე...

არ ვიცი, როდის დაბრუნდა მეუღლე სამუშაოდან, მაგრამ როცა გამეღვიძა, უკვე შებინდებული იყო. კინაღამ გაგიჟდა, მთვრალი რომ მნახა. ამ მდგომარეობაში ჯერ არ ვენახე. გაოგნებული და შეცბუნებული კი არ მეკითხებოდა, მემუდარებოდა, ამეხსნა, რა მოხდა, რა შემემთხვა, რატომ დავლიე უზომოდ და საფრთხეში ჩავიგდე თავი. სიმართლე გითხრათ, არც სათანადო განწყობა და სურვილი მქონდა, ამეხსნა რამე, მაგრამ საშველი არ დაადგა... იძულებული გავხდი, მოკლედ მომეთხრო ყველაფერი. რა თქმა უნდა, ჩემი აზრის და განცდების შესახებ არაფერი მითქვამს. ქალმა ყურადღებით მისმინა, შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა, აი, სულელიო და შეეცადა ჩემს დამშვიდებას:

- მოგცლია, ვიღაც ვიგინდარას და უსახლკაროს გამო ორი დღეა თავგადაკლული დარბიხარ და ქალაქ-ქალაქ დაწანწალებ, ეძებ მის ბოზებს და ხავერებს, მის ქალებს, რომლებსაც ამდენი ხანია უვლიდა და პატრონობდა, იმათ კი არც ნახვა და არც დატირება ისურვეს. შენ რომელი დედა ტერეზა ხარ, რომ თავს იკლავ?!

ცოლის ასეთმა უტიფრობამ და უგულობამ უეცრად ამაფეთქა და გამომიყვანა მდგომარეობიდან:

- როგორ შეიძლება, ასეთი უგულო და უსისხლო იყო. ეს ხომ ადამიანს ეხება, რომელიც სამშობლოდან შორს, უპატრონო და მიუსაფარი ტრაგიკულად დაიღუპა...

ქალი არ ცხრებოდა, ერთი ძარღვიც არ შეტოკებია, ისე მომაძახა:

- ახლა არ ამატირო და არ ჩამაცვა ძაძები გადამთიელის გამო!..

ამან ხომ სულ გამომიყვანა მოთმინებიდან:

- ქალო, ხომ არ გაგიჟდი, რა გადამთიელი, რის გადამთიელი!.. ის ქართველი იყო, ჩემი თანა-მემამულე! გესმის? ჩემი თანამემამულე, ქართველი!.. - სიბრაზისაგან ცოფებს ვყრიდი.

ქალი არ იშლიდა:

- მერე რა, რომ ქართველია! იცნობდი?! შენი ახლობელი იყო?! გქონდა მასთან რაიმე ურთიერთიერთობა?! რა, ყველა ქართველი უნდა შეიცოდო?! ყველას უნდა გადაჰყვე?! ყველასი ჭირისუფალი უნდა იყო?! - მომაყარა და ატირდა.

გავითავისე შექმნილი მდგომარეობა, შევეცადე, მომეთოკა ნერვები და თავი. გავისიგრძეგანე, რომ ცოლი ვერ გამიგებდა. თანაგრძნობასა და გულისხმიერებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. თანაც შემეშინდა, ცუდად არ გახდეს-მეთქი. მოვლბი, დავუყვავე და მკერდზე მივიკარი. პატარა ბავშვივით ვეფერებოდი და თავზე ხელს ვუსვამდი. კარგა ხანს იბორგა და ისლუკუნა. როგორც იქნა, დავაწყნარე. შევედი სამზარეულოში, ჩაი მოვამზადე და გავუმასპინძლდი. ამ თემაზე საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. შეუძლოდ ყოფნა მოვიმიზეზე და გავედი საძინებელში. დავწექი ლოგინში, მაგრამ ვერაფრით დავიძინე. ცოტა ხნის შემდეგ ცოლიც მომიწვა. არ მახსოვს, როდის ჩამეძინა.

ირიჟრაჟა...

უსიამოვნო გრძნობით გამეღვიძა.

ალკოჰოლის ზემოქმედება გასულიყო, მაგრამ ცოტა თავბრუ მეხვეოდა და საფეთქლებზე სისხლის მოწოლას ვგრძნიბდი. ისე კი საკმაოდ მხნედ ვიყავი.

ცოლს მშვიდად ეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხანდელ**ი** კამათი გამახსენდა. ვერ ავხსენი, ასე რის გამო გაანჩხლდა და გაბოროტდა. ამეკვიატა მწარე ფიქრები. მეც გარკვეულწილად გადმოხვეწილი ვარ უცხოეთში, მაგრამ ასეთ რამეებზე არასდროს მიფიქრია. გულით, მთელი არსებით მიყვარდა ქალი და ბედნიერი ვიყავი... გამაოცა მისმა ასეთმა უგულო რეაქციამ. განა მარტო უგულობამ? მის ქცევაში ასეთი აგრესია და სხვა ადამიანისადმი დაუჯერებელი, სიძულვილით გაჟღენთილი გულგრილობა ჯერ არ შემიმჩნევია. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ჩემი მოსიყვარულე, დინჯი და გაწონასწორებული მეუღლე ასეთი გულქვა და შეუწყნარებელი იქნებოდა სხვისი ჭირისა და უბედურებისადმი.

ჩემს არსებასა და სულიერ სამყაროში სერიოზული ძვრები ხდებოდა. ჯერ არ ვიცოდი, რა დამერქმია - იმედების გაცრუება, წარმოდგენებისა და იდეალების მსხვრევა, ადამიანის ვერშეცნობის, თუ პიროვნების სიღრმისეულად შეუცნობლობის გამო წუხილი და სინანული.

უკვე მთელი სიმძაფრით ვგრძნობდი, რომ გუშინდელი კონსტანტინე ხოშორაძე აღარ ვიყავი.

... თითქოს თვალი ამეხილა, გავიღვიძე, გამოვედი წყვიადიდან და ბურუსი მოვიტოვე... კრიტიკული თვალით შევხედე ჩემს ყოფას, ელვისებურად, ერთი წამით გადავავლე თვალი განვლილ ცხოვრებას და სახტად დავრჩი. რისთვის? ვის გამო გავიღე აუწყავი და ასეთი სერიოზული მსხვერპლი?

გულის არეში ლოდის სიმძიმე ვიგრძენი და მას შემდეგ ვერა და ვერ მოვიშორე... ნეტავი, როდემდე უნდა ვზიდო ეს ლოდი? მთელი სიცხადით ვიგრძენი, უფრო სწორად, გუმანმა მიკარნახა:

მთელი ცხოვრების მანძილზე.

სანამ ცოცხალი ვარ...

სულ სხვა ადამიანი დაიბადა ჩემში, ახალი კოტე ხოშორაძე. მაგრამ, ალბათ, უკვე გვიანია...

ეჭვის ჭია უფრო ღრმად ძვრება ტვინში, სულში, გულში. სულ უფრო იპყრობს ჩემს არსებას.ნამდვილად სხვა ადამიანი დაიბადა ჩემში. თვალახელილი... მონატრება და ნოსტალგია გაცოცხლდა ჩემში. თვალწინ დამიდგა გატანჯული მშობლების უსაშველოდ გრძელი, ოცდახუთწლიანი, ღამენათევი, ჩაღამებული თვალები... უშრეტი სევდა... ბაგეზე მიმხმარი საოცნებო და სანატრელი უკანასკნელი სიტყვა:

შვილო, კოტე...

შვილის მიერ დაუტირებელი მშობლები და ერთადერთი ბიჭის მიერ პეშვმიწამიუყრელი მათი საფლავები.

საქართველოში მიტოვებული ცოლის ოცდაათწლიანი ლოდინი და იმედი.

ცოცხალი მამით,მაგრამ დაობლებული ოთხი შვილის სევდა და ნატვრა.

მამის ალერსსა და მზრუნველობას მოკლებულნი...

სურათით დამახსოვრებული მამა...

ოოჰ, ღმერთო!!!

ბოლოს გადავწყვიტე: ჩემი სახელით, მთელი საქართველოს სახელით, ჩემი დაუტირებელი მშობლების სახელით ბოლომდე ვუპატრონო, ყველა წესი ავუგო ვასო მილორავას.

მე ვიქნები მისი ჭირისუფალი...

მე მოვუვლი მის საფლავს...

თავი V

მოგვიანებით ცოლმაც გაიღვიძა. ისევ საყვედურები უადგილო ლოთობის გამო. უცხო მიცვალ-ებულზე თავგამოდების გამო. აინუშშიც აღარ ჩავაგდე. არც მისაუზმია. ფარეხიდან მანქანა გამოვიყვანე და გავედი ქუჩაში.

ხუთი წელია ჩემი მანქანით გავვერთიანდი ტაქსების კერძო ფირმაში და ვტაქსაობ.სამარშრუტო ხაზზე.

მთელი დღე უხასიათოდ ვიყავი. ფიქრები ვასო მილორავას, მისი ქალების და ჩემი მეუღლის ირგვლივ ტრიალებდა. აზრები მერეოდა, მაწვალებდა და მიწეწავდა გრძნობა-გონებას... მთელი დღე ვმუშაობდი, კლიენტები შედარებით ბლომად მყავდა. მაისში აქ, როგორც ჩემს ბათუმში, ხშირად წვიმს ან ღრუბლიანი ამინდია. დღესაც ასე იყო. ეტყობა, ამანაც განაპირობა კლიენტების სიმრავლე. მათთან ურთიერთობამ გამაძლებინა, თორემ ნამდვილად გავგიჟდებოდი. ამდენი არასდროს მიფიქრია და არ მინერვიულია. უფრო პრაგმატულად და ფილოსოფიურად ვუდგები ცხოვრებას, რუსული ანდაზისა არ იყოს: მოსალოდნელი აუცილებლად ახდება. მართალია, კლიენტი უცხო პირია, თანაც ნაკლებ დროს ატარებს მანქანაში, მაგრამ ზოგიერთი განწყობილია სასაუბროდ, კონტაქტურია. მასთან საუბარში გადის დრო, ცოტა მაინც ხალისობ, იფანტება უსიამოვნო ფიქრები. ჭამის ხასიათზეც არ ვიყავი. ბოლოს ძალიან მომმშივდა და რამდენიმე ფუნთუშით დავიცხრე შიმშილი.

საღამოს ჩვეულებრივზე გვიან მივედი სახლში. მანქანა გავრეცხე, შევაყენე გარაჟში და ჩამოვჯექი ფანჩატურში.

სიმართლე გითხრათ, სახლში შესვლა არ მინდოდა, ქალის აბეზარ მონოლოგებს ვერ ავიტანდი. სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი და ვარსკვლავების მზერით ვიქცევდი თავს. ამასობაში მეუღლეც მოვიდა. მას მამისგან ერგო მანქანა, რომელიც, როგორც დიდი სამამულო ომის ვეტერანს, სახელმწიფომ აჩუქა. თითქოს გუშინ არაფერი მომხდარიყოს, მომესალმა, დაინტერესდა ჩემი ჯანმრთელობით და გუნება-განწყობით და შემთავაზა სახლში შესვლა.

დატრიალდა. ხელდახელ სუფრა გაშალა. შამპანურის ბოთლიც მოიტანა. თვითონვე გახსნა, ჩამოასხა, აიღო ბოკალი და შერიგება შემომთავაზა. მომიბოდიშა. ენამ გონებას გაუსწროო,- იმართლა თავი. გავიფიქრე, ღმერთს მადლობა, ეს მაინც გაგიგია-მეთქი. ისე, ჩემი მეუღლე საკმაოდ გამოცდილი, ნაკითხი და საზრიანია. ახლაც ვთვლი, რომ გუშინ არ უნდა შეშლოდა. ამ თემაზე საუბრის გაგრძელება არ მინდოდა, ამიტომ მოკლედ მოვუჭერი:

- რაც გინდა იფიქრე და რამდენიც გინდა იყვირე, გადავწყვიტე, ვასო მილორავა არ დავტოვო უპატრონოდ. მე დავასაფლავებ და ყველა წესს ავუგებ, ხარჯებსაც თავად გავიღებ.

მეუღლე ცოტა წამოწითლდა, საპირისპირო აზრის გამოთქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. იცოდა ჩემი ხასიათი, რომ გადაწყვეტილებებს არ ვიცვლი და ვაკეთებ იმას, რაც მსურს. არ ვიცი, ამას ახირებად მითვლის თუ სიჯიუტედ, მაგრამ ამაში მტკიცედაა დარწმუნებული. არ ვიცი, ეს გაითვალისწინა თუ იფიქრა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო და დამთანხმდა;

- კარგი, იყოს ისე, როგორც გადაწყვიტე. ჩემი დახმარება დაგჭირდება?

- მხოლოდ დაბის ადმინისტრაციასთან. ერთად მივიდეთ. მინდა სასაფლაოს ფართობი მოვზომოთ. ვასო დავმარხოთ და კიდევ რამდენიმე ადგილი მოვინიშნოთ, შენი მშობლები უკვე მოხუცდნენ, ჩვენც მიწის შვილები ვართ...

- ამ საქმეში პრობლემა არ შეგვექმნება. კანონით ჩვენც გვეკუთნება სასაფლაო ნაკვეთი, შეგვიძლია, შევარჩიოთ და მოვნიშნოთ. ხვალ ერთად მივიდეთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან. ცოტა ჩაფიქრდა და მკითხა:

- ვასო ჩვენი ნათესავი არაა, როგორ ავუხსნათ, ვის ვმარხავთ?

- არაფერია დაუჯერებელი და საეჭვო. ვასო ქართველია, ძნელი არ იქნება იმის მტკიცება, რომ ვასო ჩემი ახლობელია. აქ რა იციან, მარლთა ნათესავია თუ არა. მთავარია, ვასო რუსეთის მოქალაქეა. აქ მისი ცხოვრება ლეგალიზებულია, ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩაწერაც აქვს, ხოლო ცოლ-შვილი ჰყავს თუ არა, ეს ვინმესი საქმე არაა.

მეუღლე დამთანხმდა,

- ჩემო კოტე, ბოდიში მინდა მოგიხადო გუშინდელი გაცხარებისთვის. ვიცი, უტაქტოდ და უგულოდ მოვიქეცი, პატივი არ ვეცი შენს გრძნობებს და ქმედებებს. ვიქცეოდი, როგორც ტიპიური რუსი დედაკაცი, ეგოისტი და ინდივიდუალისტი, დამავიწყდა, რომ ქართველის ცოლი ვარ, რომელსაც განსხვავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლმხედველობა და ცხოვრების პორინციპები აქვს. ეს მე, როგორც ქართველის მეუღლეს და პედაგოგს არ უნდა შემშლოდა, - თქვა, თვალები მოეწყლიანა, გულზე მომადო თავი და მომეფერა.

მომილბა გული, გავმხნევდი, გაგებისა და თანადგომისთვის მადლობა გადავუხადე და მისი სადღეგრძელო დავლიე.

ღამე შედარებით მშვიდად მეძინა. გადადებული საქმე არ მიყვარს, დილით წავედით დაბის ადმინისტრაციაში. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - თამარ ილინიჩნა ზემცოვას კარგად ვიცნობ. თითქმის თანატოლები ვართ. კარგი ადამიანია, გულისხმიერი. ამიტომაცაა, რომ უკვე მეათე წელია შეუცვლელად ხელმძღვანელობს დაბას.

მოკრძალებით შევაღეთ კაბინეტის კარი.

მოგვეგება.

- მობრძანდით, ჩემო ძვირფასებო. კონსტანტინ შოტაევიჩ, ნატალია ვასილევნა! ასე ადრიანად რა პრობლემამ მოგიყვანათ ჩემთან, მოხდა რამე? რით შემიძლია გემსახუროთ?

არ გამკვირვებია მისი თავაზიანობა, ასეთია ყოველთვის - განათლებული, გულისხმიერი და ინტელიგენტი ქალია.

მეუღლემ მოკლედ აუხსნა ჩვენი სურვილი და დასძინა:

- საქმე იმაშია, რომ ვასო მილორავა ჩაწერილია სტანიცა პაშკოვსკაიაში, ფაქტიურტად ცხოვრობდა ქალაქ გულკევიჩში, მაგრამ კონსტანტინ შოტაევიჩის გარდა რუსეთში სხვა ნათესავი არ ჰყავს. გადავწყვიტეთ, ჩვენ ვუჭირისუფლოთ, ამიტომ გაწუხებთ. საფლავს მიწის ნაკვეთის გამოყოფა სჭირდება, მოწყობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვერდზე გვექნება სასაფლო და გაგვიოლდება მისი მოვლა-პატრონობა.

თამარ ილინიჩნა გაგებით მოეკიდა ჩვენს თხოვნას და მაშინვე მოამზადა განკარგულება, რომ დაბის სასაფლაოს ბრიგადირმა ჩვენი შერჩევით მოზომოს ორმოცდაათი კვადრატული მეტრი სასაფლაო ადგილი და გაატაროს ჩემი სიმამრის ვასილ სერგეევიჩ ლოსევის სახელზე.

თამარ ილინიჩნას მადლობა მოვახსენეთ და წამოვედით სახლში.

ხასიათი სრულიად გამომიკეთდა...

ნაშუადღევს შევიარე სასაფლაოზე, მოვძებნე ბრიგადირი და გადავეცი თამარა ილინიჩნას მიწერილობა. ბრიგადირი ქართველი აღმოჩნდა. ეს მისი საუბრის მანერით, ქართული აქცენტით და იერით იოლი მისახვედრი იყო.

გავეცანით ერთმანეთს.

ირაკლი ივანიაძე წარმოშობით აჭარიდანაა, ჩემი თანარაიონელი. მეც მოივახსენე ჩემს შესახებ. ირაკლი კაი მოსაუბრე, გულისხმიერი და თავმდაბალი კაცი აღმოჩნდა. მიმიწვია სამუშაო ფარდულში, დივანზე მიმითითა, დაბრძანდიო და შემომთავაზა ქართულად გაცნობა, ესე იგი, დალევა. დაფაცურდა პურმარილის გასაშლელედ.

- ჩემო ირაკლი, შენთან ერთად დიდი სიამოვნებით დავლევ, მაგრამ მძღოლი ვარ, ტაქსისტი. ნებისმიერ დროს შეიძლება ოპერატორმა დამირეკოს და კლიენტთან გამგზავნოს. მოდი, ეს საქმე გადავდოთ, - მოვუბოდიშე.

- კაი, ასე იყოს, - ჩაილაპარაკა და მკითხა, - პირველ რიგში მინდა მწუხარება გამოვთქვა დანაკარგის გამო, მაგრამ მინდა დავაზუსტო, ვინ გარდაგეცვალა - ქალია თუ კაცი?

ავუხსენი საქმის ვითარება და დავსძინე:

- ჩემო ირაკლი, შენთან მიადვილდება, გაგაცნო ჩემი გადაწყვეტილება, შენც ქართველი ხარ და გამიგებ. აქ, სამშობლოდან შორს, ჩვენ უნდა ვიყოთ ერთმანეთის პატრონი და ჭირისუფალი. მე ქართველ კაცს უპატრონოდ ვერ მივატოვებ... არ ვიცი, სხვა რას იზამდა ჩემს ადგილას, მაგრამ მე სხვანაირად ვერ მოვიქცევი...

ირაკლიმ მომიწონა გადაწყვეტილება, შემაქო, მომეხვია და დახმარებას შემპირდა. თანაც დაამატა:

- ჩემო კოტე, შენ არხეინად იყავი, მიწასაც მოგიზომავ, ვასოს საფლავსაც გამზადებულს დაგა-ხვედრებ, ჯვარს და საფლავის ქვასაც მოვამზადებ, ოღონდ მითხარი მისი მონაცემები და კონკრეტული დრო, ცხედარს პროზექტურიდან როდის გამოგატანენ. დანარჩენი ჩემზე იყოს.

ძალიან გამახარა ირაკლის გულისხმიერებამ, ვაჟკაცობამ. გრძნობამორეული გადავეხვიე და შევთავაზე მეგობრობა. გავცვალეთ მისამართები და ტელეფონის ნომრები. ამასობაში ოპერატორმა დამირეკა და კლიენტის მისამართი მიკარნახა. ირაკლის დავემშვიდობე. გახარებულმა, რომ კაი ქართველი გავიცანი და ვასოს გასვენების საქმეც ასე კარგად აეწყო, გეზი ავიღე ქალაქისკენ.

ასეთი ხალისიანი კაი ხანია არ ვყოფილვარ. მომაგონდა რუსული ანდაზა : ” нет худа без добра” (არ არსებობს ცუდი, სიკეთე რომ არ მოჰყოლოდეს). უნებურად გამეღიმა და გადავწყვიტე, შევიარო პოლიციაში. მინდა დავაზუსტო, როდის გამომატანენ პროზექტურიდან ვასოს ცხედარს. გამომძიებელს ისიც უნდა მოვახსენო, რომ გასვენების ყველა პროცედურა მოგვარებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამომდე ვიმუშავე. პოლიციის განყოფილებაში შევლაც მოვასწარი. ნაცნობმა ოფიცერმა ვასო მილორავას საქმე გადაფურცვლა, ამოიღო ექსპერტიზის დასკვნა და წაიკითხა: მილორავა ვასილი გერონტისძე, დაბადებული 1953 წლის 12 დეკემბერს. დაბადების ადგილი - საქართველო, ზუგდიდის რაიონი, სოფელი N. საცხოვრებელი ადგილი - რუსეთის ფედერაცია, კრასნოდარის მხარე, კავკაზსკის რაიონი, სტანიცა პაშკოვსკაია, პარტიზანების ქუჩა, სახლი 18. გარდაიცვალა 2010 წლის 12 მაისს ავტოავარიის შედეგად. გარდაცვალების მიზეზი: გულის გავრცობილი ინფარქტი გულსისხძარღვთა უკმარისობის გამო... დანარჩენი აღარ მაინტერესებდა და აღარც ვუსმენდი. ოფიცერმა ჩაათავა კითხვა და მომმართა:

- ფაქტიურად ყველაფერი დადგენილი და გამოძიებულია. ვფიქრობ, პროკურორს საქმის დახურვაზე პრეტენზიები არ ექნება. ასე, რომ სამი დღის შემდეგ, დღის 12 საათზე, მოიყვანე კატაფალკა და ცხედარსაც გაგატანთ.

მადლობა გადავუხადე და კაბინეტიდან გასვლა დავაპირე.

ოფიცერმა შემაჩერა:

- გარდაცვლილ ვასილ მილორავას საკუთრებაშია ავტომანქანა "გაზ-2401." როგორც ჩვენთვის ცნობილია, რუსეთში მას არცერთი თანრიგის მემკვიდრე არ დარჩენია. როგორ მოვიქცეთ საკუთრებასთან მიმართებაში?

- მე მემკვიდრედ არ გამოვდგები. ავტოავარიის ადგილას შემთხვევით ვნახე და ვერ მივატოვე, როგორც თანამემამულე. მოელაპარაკეთ თქვენს ხელმძღვანელობას, თუ შესაძლებელია, სახელმწიფოს სახელით გაიყიდოს ავტომანქანა, ამოღებული ფული მოხმარდეს საფლავის ნაკვეთის შეძენას და კეთილმოწყობას. შევახსენე, რომ ასეთ შესაძლებლობას კანონიც ითვალისწინებდა.

ოფიცერმა ცოტა გაიკვირვა, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შემომხედა, მძღოლის კვალობაზე საკმაოდ გათვითცნობიერებული ხართო,- ჩაილაპარაკადა და შემპირდა, ყველაფერს გაგირკვევო. შენობიდან რომ გამოვედი, დავურეკე ირაკლის, მოკლედ გავაცანი ვასო მილორავას გარდაცვალების მიზეზი და ჩავაწერინე მისი ანკეტური მონაცემები.

თავი VI

პროზექტურის მორიგემ საბუთები შეამოწმა. ყოველი შემთხვევისთვის პოლიციის განყოფილებაში მორიგეს დაურეკა. დასტური მიიღო. ვასო მილორავას ცხედარი ჩავასვენეთ კუბოში და მოვათავსეთ კატაფალკაში.

დაბის სასაფლაოზე მელოდნენ სიმამრი - ვასილ სერგეევიჩი, ჩემი მეუღლე ნატალია და ირაკლი ივანიაძე. ირაკლის წინასწარ დაეჭირა თადარიგი: მყუდრო, მაგრამ გამოსაჩენ ადგილას იმაზე მეტი ფართობი მოეზომა, ვიდრე მერგებოდა. მოემზადებინა ჯვარი და მოჩუქურთმებული დაფა ვასო მილორავას ეპიტაფიით. საფლავიც გაეთხარათ.

ორი მესაფლავის დახმარებით ვასო მილორავას ტანჯული და ნაგვემი ცხედარი დავასვენეთ წინასწარ მომზადებულ შემაღლებულ ადგილას. მიცვალებულს ოთხი ჭირისუფალი ჰყავდა, თუ არ ჩავთვლით კიდევ ორ მესაფლავეს და მეტი არავინ... წარმოვიდგინე, როგორი ხალხმრავლობა, ზარი და მოთქმა იქნებოდა ზუგდიდში. ნათესავი ქალების გულწრფელი გოდება და ცრემლი, მამაკაცების დანამული თვალები, სიმწრის ოხვრა და გათანგული სახეები. ვასო არავის დაუტირია, არავის დაუნამია მისი კუბოს ფიცარი მდუღარე ცრემლით, არავის დაუდია აღთქმა, რომ მის ჯალაბს და მონაგარს უპატრონებენ, მოუვლიან, ობლობას არ აგრძნობინებენ... არავის არ დაულოცავს სასუფეველი... არავის უთქვამს გამოსათხოვარი სიტყვა.... მუხლებში არ ჩაკეცილა შავოსანი ქვრივი, გული არ ამოუყოლებია სასოწარკვეთილ კივილისთვის, არ დაუხოკავს სიმწრით ლოყები... ყოველივე ეს რომ წარმოვიდგინე, გული ამიჩუყდა და მწარედ,ჩუმად ავქვითინდი: დავტიროდი ვასოს, მის ოხერტიალ აღსასრულს, ბედის უკუღმართობას, დავტიროდი ჩემს ბედს. მეც ხომ არ მომელის იგივე?.. მალულად გავაპარე ირაკლისკენ თვალი. ისიც ჩემს ყოფაში იყო, მისი ლოყებიც დაენამა მდუღარე ცრემლებს. სიმამრი და მეუღლე მოღუშულნი იდგნენ. მესაფლავები კი მოუთმენლად ელოდნენ კუბოს საფლავში ჩაშვების ნიშანს, რათა დროზე მიეღოთ "პოლიტრის" ბოთლი. შესაძლოა, ისინიც წუხდნენ. ან სიბრალული შეეძლოთ კი?.. დუმილი დაარღვია ვასილ სერგეევიჩმა, მესაფლავეებს უბრძანა, ჩაესვენებინათ კუბო... მათაც პროფესიულად სიფრთხილით ჩააუშვეს კუბო სამარეში და წააყარეს მიწა. მალე წამოიზარდა ვასოს საფლავზე პატარა ბორცვი. პატარა ბორცვი მთიანი ქვეყნის შვილის გოროზ გულზე... დავდგით ჯვარი ეპიტაფიით. ნატალიამ ხელოვნური ყვავილების გვირგინი მიასვენა ჯვართან და მოაბნია წითელი მიხაკები, რომლებიც ნესტიან შავ მიწაზე სისხლის წითელი წვეთებივით აკიაფდნენ.

ვასილ სერგეევიჩი შეუძლოდ გახდა, წნევამ აუწია, ალბათ. გასაკვირი არც იყო, 83 წლისაა, ასაკი თავისას აკეთებს. ნატალიას ვთხოვე, მამა სახლში წაეყვანა.

ვასოს საფლავს ორი ქართველი შევრჩით ჭირისუფლად, ორი ემიგრანტი ქართველი... ნოსტალგიის და მონატრების ორი ტყვე.

მესაფლავეებს გადავეცი ცელოფნის პარკი, სადაც ჩალაგებული მქონდა არაყი, პური, ძეხვი და კიტრის მწნილის ქილა.ერთ-ერთ მათგანს ჩავუგდე ჯიბეში 500 რუბლი და მადლობა გადავუხადე.

სუფრა იქვე მდგარ პატარა მაგიდაზე გავშალე. შამპანურით გავავსე პლასტმასის სამი ჭიქა. ირაკლიმ პირველმა აიღო სასმისი, მივიდა ვასოს საფლავთან და ასხურა ღვინო. დავლიეთ ვასოს შესანდობარი.

ოო,რა მწარედ მენიშნა,მეხსიერებიდან მოულოდნელად ამოტივტივებული, დიადი ტატო ბარათაშვილის სიტყვები:

"ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის.
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მყივარნი!"

მართალია, "შავ ყორანს" არ გაუთხრია მისთვის საფლავი და არც ქარიშხალს "ზარითა და ღრიალით" მიწა არ მიუყრია, მაგრამ ავტოავარიას შემთხვევით რომ არ შევსწრებოდი, ეს ასეც მოხდებოდა. რუსეთის უსახელო საფლავებს კიდევ ერთი ეული ქართველის სამარეც შეემატებოდა. საყვარელი

ადამიანებისა და სატრფოს ცრემლი და გლოვა კი არ ეღირსა და არც აღარასოდეს ეღირსება ვასო მილორავას...

ძნელია ამაზე ფიქრი, ძალიან ძნელი!

ალბათ, ღირს ჩემო ქართველო, სანამ უცხოეთში გადაბარგების გადაწყვეტილებას მიიღებ, კარგად დაფიქრდე.

მაგრამ, განა მაქვს მორალური უფლება, ვინმეს ვურჩიო, ვასწავლო ან დავარიგო...

ოჰჰჰ!!! ამის გააზრებამ გული შემიკუმშა და მომითუთქა...

თავი VII

მოდი, დღევანდელი საღამო ვასოს ხსოვნას მივუძღვნათ,- თქვა ირაკლიმ,- და მეც მხარი ავუბი. სასაფლაოს ადმინისტრაციულ შენობაში გადავედით და უფრო მყუდროდ მოვეწყეთ. სუფრას ირაკლიმაც შემატა ნობათი და მივუსხედით მაგიდას.

ირაკლი თამადობდა. სადღეგრძელოების თემატიკაც მან განსაზღვრა. აკი, ვთქვი, ემიგრანტის ცხოვრებას თან სდევს-მეთქი ნოსტალგია და მუდმივი მონატრება. ეს ჩვენს სუფრაზეც მთელი სიცხადით იგრძნობოდა. ვასოს ხსოვნისა დავლიეთ, მონატრებული სამშობლო დავლოცეთ, ახლობელ-მოკეთეები და ბევრი რამ სხვაც...

დანამული თვალებით და სატირლად მომზადებული ბაგეებით ვჩურჩულებდით, ვუფრთხილდებოდით და ვზოგავდით ერთმანეთს, რათა მოშუშებულ თუ ჯერ კიდევ მოუშუშებელ ჭრილობებს უნებლიეთ არ შევხებოდით...

ეჰ!!! საქართველოში ხომ ლაღები, ამაყები და გაბედულები ვიქეიფებდით... მრავალჟამიერსაც შემოვსძახებდით ან სევდიან სიმღერას წავიღიღინებდით... აქ კი ვერიდებით ერთმანეთს, რომ რაიმე არ ვატკინოთ... ვეხმარებით, ვანუგეშებთ, რათა სევდას და დარდს გავუმკლავდეთ.

ბოლოს შევთავაზე:

- ჩემო ირაკლი, ბედმა თითქმის ერთნაირი ხვედრი გვარგუნა, მძიმე ჯვარია ჩვენთვის მუდმივი ნოსტალგია. მოდი, ვიმეგობროთ და თუ საჭირო გახდა, ვიზრუნოთ ერთმანეთზე. როგორც რუსები ამბობენ, უფლის ზრახვანი შეუცნობადია, ვინ იცის, ბედი რას გვიმზადებს, როდის რა მოგვივა, განა, წინასწარ შეცნობადია?..

ირაკლი დამეთანხმა და მომითხრო შემდეგი:

დაიბადა 1961 წელს, ესე იგი, ჩემზე ორი წლით უმცროსია. ბავშვობა გაატარა მშობლიურ სოფელში. მრავალშვილიანი ოჯახის შვილია. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. მსახურობდა ქალაქ ომსკში. აქ გაიცნო და დაუახლოვდა ქერათმიან, ცისფერთვალება ირინას, რომელმაც სრულად დაიპყრო მისი გული და გონება. დემობილიზაციის შემდეგ ერთხანს ირინასთან დარჩა. მისმა მშობლებმა და ნათესავებმა თავისიანად მიიღეს. დიდი ხანია არ ყოფილა საქართველოში. ვერ შესძლო უმშობლებოდ, უსამშობლოდ რუსეთში დიდხანს დარჩენა და შესთავაზა ირინას, საქართველოში გაჰყოლოდა. ირინამ თავის მხვრივ დაუდო პირობა, ჯერ მარტოდ წასულიყო, ბინის და სამუშაოს საკითხები მოეგვარებინა და მერე გაჰყვებოდა და იცხოვრებდნენ ერთად და ბედნიერად.

მშობლიურ გარემოში თავს ბედნიერად გრძნობდა, მაგრამ ირინა აკლდა. ერთხელაც მამას გაანდო გულის ნადები და თხოვა, დახმარებოდა ბათუმში ბინის და სამუშაოს გამონახვაში. მამას არ მოეწონა რუსი რძლის სახლში შეყვანა, გაუჭირდებაო რუსეთში გაზრდილ ქალიშვილს სამშობლოსა და ახლობლებისგან შორს, მისთვის უცხო ქვეყანაში, ხალხსა და გარემოში ცხოვრებაო. ჩვენი ყოფა, ტრადიციული ცხოვრების წესი და თავისებურებანი უცხო იქნება მისთვის და, შესაძლოა, ვერ შეეგუოსო... ორივე დაიტანჯებით, ვინ იცის, ეს ყველაფერი რით დასრულდებაო.

ირაკლის სატრფოსათვის მიცემული პირობა არ დაურღვევია.

მამა და სხვა ახლო ნათესავები დაითახმა ირინაზე ქორწინებაზე. მამის შემწეობით ბათუმში შეიძინა ბინა, მოეწყო სამუშაოდ პორტში დოკერად და აფრინა დეპეშა ომსკში: მოკლედ აუხსნა ყველაფერი და სთხოვა, პირობისამებრ, ჩამოსულიყო საქართველოში.

”ძველებურად მიყვარხარ, შენთან შეხვედრაზე ვოცნებობ, მაგრამ უცხო მხარეში ცხოვრებას ვერ შევეგუები. ჩამოდი, აქ შევქმნათ ოჯახი”, - ეწერა საპაუხო დეპეშაში.

ირაკლი საგონებელში ჩავარდა: არ ეთმობოდა სამშობლო, მშობლები, ახლობელ-ნათესავები, მშობლიური გარემო... მაგრამ რა ექნა, ირინა გაგიჟებით უყვარდა. მამას რჩევა სთხოვა... მამაც დაღონდა - რა ერჩია შვილისთვის, სიყვარულის ერთგულება თუ ყვალაფრის დათმობა, რაც მას სამშობლოსთან აკავშირებს...

ბოლოს ურჩია:

- ჩვენშიც არიან ლამაზი და პატიოსანი ქალიშვილები, ჭეშმარიტი ოჯახიშვილები, რომლებიც მოსიყვარულე ცოლები და დედები იქნებიან. შენთვისაც გამოვარჩევთ ღირსეულსო.

თითქმის დაარწმუნა მამამ.

დრო მიდიოდა, გულის ხვაშიადი კი მძიმდებოდა. ვერა და ვერ დაივიწყა ირინა - მისი სურნელი, მისი ალერსი, გულწრფელი სიყვარული და სირინოზის დარი წკრიალა ჟღურტული, ცისფერი, ალერსიანი თვალები, თავბრუდამხვევი მოფერება და სითბო...

ერთხელაც მამამ ახარა:

- შვილო, შეგირჩიეთ შენი შესაფერი გოგონა. გაიცანი, თუ მოგეწონა და გაუგეთ ერთმანეთს, ნიშნობაც გავმართოთო.

...ლალი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მეორე კურსზე სწავლობდა. გაიცნეს ერთმანეთი. სიმპათიური, მოხდენილი და ეშხიანი ქალიშვილი იყო, მორიდებული და კდემამოსილი. კაცი სხვას რას ინატრებდა, თუ ასეთი დიასახლისი შეაბიჯებდა ოჯახში. მაგრამ ირაკლიმ ირინა ვერ ამოიგდო გულიდან... ლალის კი უფრო და უფრო უმძაფრდებოდა გრძნობები ირაკლის მიმართ და აღარც მალავდა მისდამი სიმპათიებს. ირაკლი ვერ ისვენებდა, ადგილს ვერ პოულობდა, ერთის მხვრივ თავს მოღალატედ თვლიდა, მეორე მხვრივ კი მატყუარად. არ იქნა და ვერ შეიყვარა ლალი, ვერ მოიბრუნა მისკენ გული.

ისევ სიყვარულმა სძლია. მიატოვა ყველა და ყველაფერი და ეროსს მინებდა. გაიპარა სახლიდან, სამშობლოდან შორეულ ომსკში. ციმბირის სუსხიან და უკიდეგანო სტეპებსა და ტაიგაში...

ირინამ და ირაკლიმ იქორწინეს. ბედნიერები იყვნენ, მაგრამ ციმბირის მკაცრ პირობებს ვერ შეეგუა სამხრეთელი ბიჭი, ხშირად ავადმყოფობდა. ამიტომ გადმოსახლდნენ ჩრდილო კავკასიაში. კრასნოდარის მხარეში დამკვიდრდნენ. სამშობლოსთანაც ახლოს არის, გარმოც ჩამოჰგავს და კლიმატიც თითქმის ერთნაირია. დასახლდნენ კროპოტკინში. შეიძინეს ბინა და მსუბუქი ავტომანქანა. ირინა მოეწყო მუნიციპალიტეტში, კადრების სპეციალისტია. ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად, მაგრამ შვილი არ შეეძინათ. ექიმების აზრით ირაკლის ბრალია... ამას ცოლ-ქმარი ძალიან განიცდის, მაგრამ შვილის აყვანას ჯერ არ აპირებენ...

ეეჰ! "ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ"...

კიდევ ერთი უგზო-უკვლოდ და უშვილ-ძიროდ გადაგდებისთვის განწირული ქართველი...

გვიანობამდე დავრჩი ირაკლისთან. ბლომადაც დავლიეთ. ერთად ბევრი ვიფიქრეთ, გავიხსენეთ, ვინატრეთ. ბოლოს დავურეკე ნაცნობ ტაქსისტს და ვთხოვე სახლში მიყვანა. ნასვამი მანქანის მართვას ვერიდები. არ მინდა საგზაო პოლიციასთან პრობლემები, ჯარიმა, ან მანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა. მე ხომ ამ ხელობითა და საშუალებით ვარჩენ ოჯახს...

მანქანა ირაკლისთან დავტოვე.

თავი VIII

სახლში მისულს მეუღლე ბუზღუნის და საყვედურების გარეშე შემეგება. მიმიხვდა ყველაფერს. ალბათ, ჩაიხედა ჩემს აწეწილ სულში და ამჯობინა, იქ ხელები აღარ აფათუროს. მომეფერა, მიმაცილა საწოლთან. ტანისამოსის გახდაში დამეხმარა და ძილი ნებისა მისურვა.

დილით ადრე გამეღვიძა.

რატომღაც ვასო მილორავა მომაგონდა. შემდეგ ირაკლი ივანაძე. ორი ქართველი ემიგრანტის განსხვავებული ბედი...

ამეკვიატა მწარე ფიქრები.

ამ დღეებში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვები დამიგროვდა. შევძლებ კი მათზე ოდესმე პასუხების გაცემას?!

ჩემს თავზე დავფიქრდი: ვინ ვარ მე? ამაზე ადრე არასდროს მიფიქრია…

მკითხველო, ჩემო ჭემარიტო მსაჯულო!

გინდა, ჩაიხედო ჩემს სულსა და გულში?!

რას ნახავ იქ?

გულის მაგივრად მხოლოდ ფერფილი რომ დაგხვდეს?!

ან სულაც ცარიელი ადგილი?

კონსტანტინე ხოშორაძე უგულო ყოფილა, იტყვი და მართალიც იქნები...

მარტო უგულო?!

იქნებ...

კარგი, მოგიყვები და თავად განმსაჯე:

დავიბადე 196... წლის 28 აგვისტოს, აჭარის მთიანეთის ერთ-ერთ თვალწარმტაც სოფელში. მშობლები შეძლებული კოლმეურნეები იყვნენ. ოთხი დედმამიშვილი ვიყავით, სამი და და ერთი ძმა. მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ქართული ოჯახისთვის, განსაკუთრებით ტრადიციული მთიანი აჭარის მკვიდრი ოჯახისთვის, ნანატრი ბიჭი. როგორც დები და მეზობლები იტყოდნენ, მე რომ დავბადებულვარ, დედას და ბებიას სიხარულისაგან გული წასვლიათ. მამა, თურმე, სიხარულით ყვიროდა, დარბოდა უაზროდ და უმისამართოდ. ვეღარ აზროვნებდა, გიჟს გავდა თურმე... თოფის სროლაც კი დავიწყებია. ადრე მთელ საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც, ბიჭის დაბადებას თოფის სროლით და დიდი ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ. ეს ადათი დღესაც არის შემორჩენილი.

ყველაზე მეტად ბაბუაჩემს გაჰხარებია - აივანზე თოფით გავარდნილა და რაც ვაზნები ჰქონია, სულ დაუცლია. მთელი სოფელი დიდხანს იგონებდა, ბრძოლა ჰქონდათო ხოშორაძეებს. მამა მალე გამორკვეულა. მაშინვე წამოუქცევია წინდაწინ შეგულებული და შეპირებული მოზვერი და გამართულა ლხინი. მთელი სამი დღე ქეიფი და დროსტარება ყოფილა. სანათესავო, მოყვრები თუ ახლობლები ულოცავდნენ მამას და ბაბუას მემკვიდრის დაბადებას. ერთი სიტყვით, მთელი ოჯახი მე შემომხაროდა. იცინოდნენ, როცა ვიცინოდი, უხაროდათ, როცა მე მიხაროდა. ჭამდნენ, როცა მე ვჭამდი. მოიწყენდნენ, როცა ვჭირვეულობდი და მოვიწყენდი. დაღვრემილი და შეწუხებილი დადიოდნენ, როცა ვტიროდი ან უქეიფოდ ვიყავი. ვინ გაბედავდა კრინის დაძვრას ან გაფაჩუნებას, როცა მე მეძინა. ერთი სიტყვით, ჩემით იყვნენ ბედნიერები, თავს მევლებოდნენ, ზედ მყვებოდნენ. წარმოიდგინეთ, შვიდ წლამდე დედა ძუძუს მაწოვებდა.

განსაკუთრებით მანებივრებდნენ დედა და ბებია, დებისთვის კი სანუკვარი თოჯინა ვიყავი. სულ ჩხუბი ჰქონდათ, არა მე უნდა დავარწიო აკვანი და ატატებული ვასეირნო, არა მეო. ბებიას მოუგვარებია ეს დავა - დაუწესებია რიგი ასაკისა და შეძლების მიხედვით. ხუთი წლის რომ გავმხდარვარ, მამას და ბაბუას ჩემს სახელზე თეთრი ბედაური უყიდიათ. ხშირად შემსვამდნენ და მაჯირითებდნენ. ნატრობდნენ, როდის შეძლებს ჩვენი კოტე, გაანავარდოსო მერანი სოფლის შარაზეო.

ერთხელ მამას ბიძამისთან ჩემს გამო ჩხუბიც მოსვლია. ოთხ თვეს ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს

საქმე შემდეგში ყოფილა:

მამაჩემის ბიძა, ესე იგი ბაბუაჩემის უმცროსი ძმა (მამაზე ათი წლით ყოფილა უფროსი, გვიან დაქორწინებულა და ჩემი კბილა შვილები ჰყავდა), გამოირჩეოდა თავმდაბლობით, სიქველითა და კაცთმოყვარეობით, მრავალშვილიანი ოჯახის თავკაცობით. ორ ქალიშვილსა და ხუთ ვაჟიშვილს ზრდიდა. დოვლათით და შემოსავლით ჩვენს ოჯახს არაფრით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ხარჯიც ბევრი ჰქონდა. მასთან სტუმრად ხშირად ვიყავი, თითქმის მის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი. თავიდანვე მივაქციე ყურადღება ოჯახის წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სხვაობას. ჩვენთან ბაბუაჩემი ავტორიტეტი იყო, მაგრამ ხაზინადარი და საქმეთგამრიგე მამაჩემი იყო. მამა ბრიგადირად მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლიდან ადრე დილით მიდიოდა და საღამოთი გვიან ბრუნდებოდა. ჩვენი თეთრონი მისი განუყრელი მეგობარი და თანამგზავრი იყო. არ ვიცი, რის ბრალი იყო, სოფლის კვალობაზე ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა და ამიტომ, თუ რის გამო, მკაცრი და ზვიადი ხასიათი ჰქონდა. დედას, დებს, ნათესავებს და თანასოფლელებს, ყველას უხეშად ეპყრობოდა. ბაბუის და ბებიის რიდი ჰქონდა მხოლოდ. ერთადერთი, ვისაც ეფერებოდა და ანებივრებდა, მე ვიყავი...

სწორედ ეს არ მოსწონებია ირაკლი ბაბუას. ერთხელ უთქვამს კიდეც: რადიკალურად საპირისპირო მიდგომა შენი ქალიშვილებისა და ვაჟის მიმართ არასწორია. ამით დათვურ სამსახურს უწევ ბიჭს - ქედმაღალი, გულქვა, ამპარტავანი და შეუბრალებელი გაიზრდება, ქალიშვილები კი დაბეჩავებული, გულჩათხრობილი და ადვილად დასაჯაბნი იქნებიან... ვინ იცის, როგორი ზნის და ხასიათის ქმრები შეხვდებათ, დააბეჩავებენ და დაიმონებენ საცოდავებსო. ურჩია, - ნუ განასხვავებ შვილებს, ნუ აგრძნობინებ, რომ რომელიმე განსხვავებულად გიყვარს. ასე მომავალს გაუმწარებ გოგონებს და გულქვა და ქედმაღალ, ამპარტავან ბიჭს უმეზობლობისა და უმეგობრობისთვის გასწირავ. ასე გაზრდილი შვილი არც შენ გამოგადგება და არც სამშობლოს. კრიტიკულ მომენტში გრძნობააყოლილ მუტრუკს დაემსგავსება... თავის კეთილდღეობას ანაცვალებს დედ-მამასაც და დებსაც. ასე აღზრდილს არც სათანადოდ ცოლი ეყვარება, არც შვილები. შვილებს ერთნაირად მოეპყარი, მკაცრი იყავი, მაგრამ არა დესპოტი, რადგან დესპოტობას და სიძულვილს შორის ერთი ნაბიჯია. ვერავის ვეღარ დაუმტკიცებ, რომ შვილებს მკაცრად და პრინციპულად ზრდიდი. ყველა იფიქრებს, რომ ადამიანი გძულს, გულქვა და უსისხლო ხარო.

ამაზე მამაჩემი არეულა - შენი ჭკუის სასწავლებელი რა მჭირს, საკუთარ ჯალაბს მიხედე, შენი შვილები აღზარდე და მოუარე, შენი შეგონება და დარიგება არ მჭირდება, შენთვის შეინახე და მოიხმარეო... ერთი სიტყვით, მამა ქუხდა და ბობოქრობდა...

ირაკლი ბაბუას თავშეკავებამ და სიმშვიდემ გამაკვირვა და გამაოგნა. ვიფიქრე, დახოცავენ ერთმანეთს-მეთქი, მაგრამ ასე არ მოხდა. ირაკლი ბაბუა მამას მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა:

- ჩემო შოთა, მე, როგორც ბიძამ და კეთილისმსურველმა, გირჩიე, შენი სიკეთე და ბედნიერი მომავალი მინდა, თორემ ჩემს ოჯახს და შვილებს, მეუღლესთან ერთად, მეგობრულად და თანასწორუფლებიან მოქალაქეებად ვზრდი. მგონი, გსმენია დიდი შოთას შეგონება - "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, გინდა ხვადია."

ამაზე მამაჩემი მთლად გაგიჟდა, დახე, ლექსად ალაპარაკდაო.

ირაკლი ბაბუამ სინანულით გაიქნია თავი. "რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო," - ჩაილაპარაკა და ნელი, მძიმე ნაბიჯით წავიდა სახლისკენ.

დასანანია, რომ მაშინ მამამ ბიძიას ვერ გაუგო, მგონი, აწყენინა კიდეც, თუმცა ამ უკანასკნელმა ეს არ შეიმჩნია.

მამა დიდხანს ვერ დაწყნარდა. ბაბუასაც გადაჰკრა, - შენი ძმა ბევრს ღებულობს თავზე, უთხარი, თავის კანში დაეტიოსო. დედას აგინა, დებსაც უღრიალა და ყველას დაგვიშალა, ირაკლის სახლში თქვენი ფეხი აღარ ვნახოო. განსაკუთრებით მე მომდგა,- ბიძაშვილებთან ურთიერთობა, თამაში და დალაპარაკებაც კი ამიკრძალა. მათგან ვერაფერს ისწავლი, რა ბიჭების საქმეა ძროხების და ხბოების მწყემსვა, თხებსა და თიკნებზე დევნა კლდეებსა და ტყეში, თივის და შეშის ზურგით თრევა, თამბაქოს ფოთლების შეტეხვა-ანემსვა და სხვა მრავალიო.

მიკვირდა, რასაც მამა ირაკლი ბაბუას შვილებს უძრახავდა, სოფლის ნებისმიერი ბიჭი აკეთებდა და აკეთებს. ამით მშობლებს ეხმარებიან, მამას კი ეს ქალის საქმედ მიაჩნდა. მაშინ ამას ვერ ვხვდებოდი და მიხაროდა, რომ განსაკუთრებული ვიყავი. ეს შეგრძნება თანდათან ქედმაღლობასა და უგულობაში გადამეზარდა. ამას გვიან მივხვდი. მაშინ მიხაროდა, უსაქმურობა და შინაურების მხრიდან გადაჭარბებულ ყურადღებას ჩვეულებრივ ამბად ვთვლიდი. ამაყი და თავდაჯერებული დავაბიჯებდი სოფელში. ყოველთვის ახალთახალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მეცვა, თანატოლები კი ამით განებივრებული არ იყვნენ, ზოგიერთი სულაც დაკერებული ტანისამოსით დადიოდა.

სასკოლო ასაკის რომ გავხდი, მამამ საგანგებოდ ბათუმიდან ამომიტანა ახალი სასკოლო ფორმა, კრიალა ფეხსაცმლები, ლამაზი ჩანთა, წიგნი და რვეულები, ფერადი ფანქრები, სამელნე და ჩუქურთმიანი საწერკალამი. ერთი სიტყვით, კოპწიად გამომაწყვეს.

უფროს დას რვაწლედი დამთავრებული ჰქონდა, საშუალო განათლების მიღება მამას ქალისთვის ზედმეტად მიაჩნდა. ისიც, როგორც სოფლის მამაკაცთა უმრავლესობა, ქალის სწავლას სისულელედ და დროის ფუჭ ხარჯვად თვლიდა. ქალის საქმე ოჯახის შექმნა და ოჯახის წევრებსა და მეურნეობაზე ზრუნვაა,- იტყოდა.

უმცროსი დები, ჩემთან შედარებით, საკმაოდ სადად და ღარიბულად იყვნენ ჩაცმულნი, მამამ მარტო ახალი წინსაფრები და ბაბთები შეუძინა... მგონი, ფეხსაცმელებიც შარშანდელი ეცვათ.

სკოლაში მამამ მიმიყვანა.

ჩემი თანაკლასელია ირაკლი ბაბუას მესამე ვაჟი - ალეკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა რვაკლასიანია. ერთსართულიანი, ლამაზი შენობა შუშაბანდებითაა გაწყობილი. წინ დიდი ეზო აქვს. მარჯვენა ბოლოში - მინაშენში სასადილო და ბუფეტია, მარცხენა მხარეს კი სპორტული დარბაზი. კალათბურთის და ფრენბურთის მოედნები ეზოს ერთ კუთხეშია მოწყობილი.

სკოლის შესასვლელში დარაჯი დაგვხდა. მან მამას მოულოცა ვაჟის პირველკლასელობა, ხელი ჩამომართვა და დამლოცა. მამას უთხრა, დირექტორმა ბრძანა, მოედანზე საზეიმო მიტინგი უნდა ჩავატაროთო.

ამასობაში სხვა ბავშვებიც მოვიდნენ.

პირველკლასელები მშობლებთან ერთად იყვნენ. შეშინებულები უფროსებს ჩაფრენოდნენ - ზოგი ხელზე, ზოგიც კაბაზე. ფართოდ გაღებულ, ცნობისმოყვარე თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და სიახლის მოლოდინში გატრუნულები იდგნენ.

სკოლის მოედანი მალე შეივსო.

აი, ალეკოც მოვიდა დედასთან ერთად. თინა ბიცოლა სოფლის ქალებთან შედარებით სუსტი აღნაგობის, ქერათმიანი და ცისფერთვალება ქალია. ქალაქელია. დღესაც ყველას უკვირს, როგორ გაბედა მაღალმთიან სოფელში გამოთხოვება და მკაცრ პირობებსა და შრომასთან შეგუება. შვიდი შვილის დედა მოწინავე კოლმეურნე, ღირსეული მანდილოსანი და დაფასებული ქალია.

ირაკლი ბაბუა საშუალოზე ცოტა მაღალი, მხარბეჭიანი, ქერათმიანი, ჭრელთვალა და ოდნავ ჯმუხი ვაჟკაცია. ყველა მოხიბლულია მისი თავმდაბლობით, ალალგულობითა და შრომისმოყვარეობით. ალბათ, ამ და სხვა თვისებებმა მოხიბლა თავის დროზე ქალაქელი გოგონა.

ალეკოს ოდნავ გახუნებული, უფროსი ძმის გამონაცვალი სასკოლო ფორმა აცვია, მაგრამ ისეა გაუთოებულ-გატკიცინებული, ახალს არაფრით ჩამოუვარდება. უბრალო ზამშის ტუფლები და ჩანთა აქვს. მივესალმე, თანაც თვალი მამისკენ გავაპარე, ბიძაშვილებთან სიახლოვე ხომ დღესაც აკრძალული მაქვს. ეს ბავშვებმაც იციან, მაგრამ არ იმჩნევენ. ჩვეულებრივ გულთბილად, მეგობრულად მეპყრობიან. სიმართლე გითხრათ, მე მათ არც ვჭირდები. სახლში შვიდნი არიან. ხუთი ბიჭი, ხუთი მეგობარი. ერთმანეთს ჯიბრში არასოდეს უდგანან და არც ჩხუბობენ. უყვართ ერთმანეთი, გვერდში უდგანან ერთმანეთს.

აი, ვის უნდა მივბაძო, ვისთან უნდა ვიმეგობრო. მამა კი ჯიუტად იმეორებს, მათგან რა უნდა ისწავლოს ჩემმა შვილმა, ან რა უნდა გაიგონოს კარგიო.

რა ვიცი...

როგორც იქნა, გამოვიდა დირექტორი პედაგოგებთან ერთად.

მოგვაწყეს კლასების მიხედვით.

საზეიმო სიტყვა დირექტორმა წარმოთქვა. რამდენიმე მშობელმაც, მათ შორის, მამაჩემმაც და ირაკლი ბაბუამაც მოულოცეს მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება.

პირველკლასელებს ყველა განსაკუთრებით გვეფერებოდა...

დაირეკა პირველი ზარი. მისი განსაკუთრებული ჟღერადობა ყურში დღესაც ჩამესმის. მაშინ ის ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებდა. შესამჩნევად ვღელავდი. ჩემს გვერდით მდგომ თანატოლებს გადავხედე. თვალი ალეკოსკენ გავაპარე. იგი ფართოდ გაღებული მოლურჯო-მწვანე თვალებით ირგვლივ მყოფთ ათვალიერებდა და ყურადღებით უსმენდა გამომსვლელებს...

თავი IX

ჩვენი საკლასო ოთახი სკოლის შენობის მარჯვენა ნაწილშია. მასწავლებელი ბიძად მერგება - ალექსანდრე ხოშორაძე. მან მერხებზე სიმაღლის მიხედვით გაგვანაწილა. მე და მეზობლის ბიჭი - ამირანი ერთ მერხზე მოვხვდით. ალეკო განკარგულებას არ დალოდებია, პირველ მერხზე მოკალათდა.

ალექსანდრე მასწავლებელი მოგვესალმა. მოსწავლის ქცევის წესები გაგვაცნო და ჩვენი გვარები ამოიკითხა. ჩვიდმეტნი ვართ. თითქმის დაბადებიდან ვიცნობთ ერთმანეთს. საკლასო ოთახიდან მშობლების გასვლა არ გვინდოდა. ზოგიერთმა ცოტა წაიტირა კიდეც.

სკოლას მალე შევეგუე...

მეორე მეოთხედში ოქტომბრელი გავხვდი. სამკერდე ნიშნებიც დაგვირიგეს.

სწავლა არ მიჭირდა, საკლასო მასალას ადვილად ვითვისებდი.

როგორც იქნა, ნანატრი ზაფხულიც დადგა, დაგვეწყო არდადეგები.

უფროსები მინდვრის სამუშაოებზე იყვნენ გასული, ჩვენთვის ვეღარ იცლიდნენ. თამაშით და მდინარეში ჭყუმპალაობით ქანცგაწყვეტილები ვიყავით.

* * *

მესამე კლასში ვსწავლობდი, როცა ჩვენს ოჯახს უბედურება დაატყდა, რამაც ჩემს ფსიქიკასა და მომავალს წარუშლელი დაღი დაასვა. საქმე იმაში გახლავთ, რომ მამას მოსწონებია მეზობლის ქალიშვილი, მისი ბრიგადის წევრი, შეუცდენია და ეს უბედური დაფეხმძიმებულა. მისი ორსულობა გამჟღავნდა. გოგოს მშობლები და ნათესავები მამაჩემს მოსაკლავად დასდევდნენ. მაშინ სოფელში ამას ვინ გაპატიებდა. ბაბუაჩემი და მისი ძმები გაცოფებული არიან. ეს გვარის შერცხვენა და თავის მოჭრაა. თანაც საშვილიშვილო მტრობას და შუღლს ბოლო არ ექნება. ან მოგკლენ, ან სამაგიეროს გადაგიხდიან. შეიძლება სოფლიდან გაგასახლონ კიდეც. მამას კი მეუღლე და ოთხი შვილი ყავს, მათ შორის სამი თითქმის ზრდასრული ქალიშვილი... ეს ესმით ჩვენს უფროსებს... გამოსავალი უნდა ინახოს. მტრობა არ უნდა ჩამოვარდეს.

ბევრი ფიქრის, შუამავლებისა და სოფლის თავკაცების ჩარევით მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება - მამა დედას უნდა გაშორდეს და ის ქალი შეირთოს. ასევე გადაწყდა, რომ ჩვენ, დედა და შვილები ოჯახში ვრჩებით, მამა კი სხვაგან უნდა გადავიდეს ახალ ოჯახთან ერთად. ბევრი ფიქრისა და ბჭობის შემდეგ ბაბუაჩემმა გადაწყვიტა ეზოს მეორე ბოლოში ახალი სახლის აგება და ახალი ოჯახის იქ დაბინავება.

სამ თვეში, ძმების და სხვა ნათესავების ძალისხმევისა და მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, ახალი ფიცრული მზად იყო. ყოველგვარი ზარზეიმის გარეშე ბაბუაჩემმა მოიყვანა გულნაზი - ასე ერქვა მამის მეორე ცოლს. მამა გადავიდა იმ სახლში. ჩვენ აღარ გვეკარებოდა.

გულგატეხილობამ, დარდმა და ცრემლმა დაიდო ბინა ჩვენს ოჯახში. ბაბუა სულ მოღუშულია, წვრილმან რამეებზე ბრაზობს, ყვირის... ყველაზე მეტი საწყალ ბებიაჩემს უწევს. ისაა ბაბუას წყრომისა და რისხვის ძირითადი მსხვერპლი, ჩვენი კი - მეხამრიდი. დედას ერთი წუთითაც არ უფიქრია თავის მშობლებთან წასვლა და ჩვენი მიტოვება. საწყალი ქალი... დარდმა დაადნო და დაივრდომა. ჩემი უფროსი დებიც ძალიან განიცდიან. ხშირად მინახავს დედასთან ჩახვეულები, ტირილით და მოუნელებელი დარდით დაოსებულები და თვალდასიებულნი.

ჩემშიც მოხდა გარდატეხა. დამემსხვრა იდეალები. მე ხომ მამა სამაგალითო კაცად მიმაჩნდა. ძალიან მიყვარდა. ახლა კი სიძულვილისა და ტკივილის მეტს მის მიმართ ვერაფერს ვგრძნობ. სწავლაზეც ამეყარა გული. ერთ დროს წარმატებული მოსწავლე საწყალი სამოსანი გავხდი. ძალიან მიჭირდა თანაკლასელებთან, სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობა. მრცხვენოდა მამაჩემის საქციელის გამო. ვღიზიანდებოდი, თუ ვინმე ჩემს, ან ჩემი დების მიმართ სიბრალულს ან თანაგრძნობას გამოხატავდა. მერიდებოდნენ ბავშვები. წვრილმან რამეზე ვეჩხუბებოდი.

ამას ისიც დაერთო, რომ მამაჩემის მეორე ცოლის ნათესავი ბავშვებიც მტრობდნენ. ცდილობდნენ ხელსაყრელი მომენტის ხელში ჩაგდებას, რათა დავემცირებინე ან გაველახე. ეს რომ ჩემმა ბიძაშვილებმა გაიგეს, მხარში ამომიდგნენ. განსაკუთრებული ერთგულება და თანადგომა მქონდა ირაკლი ბაბუას ბიჭების მხრიდან. ბავშვური შუღლისა და ჩხუბისათვის რომ ბოლო მოეღოთ, მოწინააღმდეგე მხარის ბიჭები შეკრიბეს და გააფრთხილეს: თუ არ მომეშვებოდნენ, სამაგალითოდ დაისჯებოდნენ. როგორც იტყვიან -

ძალა აღმართს ხნავსო. თავი დამანებეს. ალეკო კი სულ ჩემთან იყო. მამხნევებდა, სწავლაში მეხმარებოდა, მექომაგებოდა.

მამას მეორე ქალთან ქალიშვილი შეეძინა. ჩვენ არ გადავდიოდით. ბავშვებს იმ ოჯახთან რაიმე შეხება არ გვქონდა. დედა დამშვიდდა. მოთმინება და ჭირთათმენა ისწავლა. ჩვენც გვამხნევებდა და გვარიგებდა, მამა არ შეგვძულებოდა. გვთხოვდა, გაგებით მოვკიდებოდით მის ამ სისუსტეს. სწამდა, რომ ადრე თუ გვიან დაბრუნდებოდა შინ, ბოდიშს მოიხდიდა, მოინანიებდა და კვლავ ერთად, ერთ ძლიერ და მოსიყვარულე ოჯახად ვიცხოვრებდით.

ასე გავიდა სამი წელი. ვერ გეტყვით, რა მოხდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად გარდაიცვალა ჩემი ნახევარდა. ყველასათვის ნამდვილი ტრაგედია იყო. საგვარეულო სასაფლაოზე დაასაფლავეს. განვიცდიდით, რა თქმა უნდა. მივედით თანაგრძნობისა და მხარდაჭერისათვის, მაგრამ გულნაზმა არც ჩვენ, ბავშვები, და არც დედა სახლში არ შეგვიშვა. ჩვენთვის მოულოდნელად, იმ ქალზე დაქორწინების შემდეგ, მამა პირველად გამოგვექომაგა. მეუღლე დატუქსა და მკაცრად გააფრთხილა:

- ჩემს შვილებს ბეწვიც არ ჩამოუარდეთ, თორემ დედაბუდიანად მოგთხრიო!

ბავშვის გარდაცვალებიდან სამი თვე იქნებოდა გასული, მამის მეორე ოჯახში ხმაური ატყდა. მე და ბაბუა გავვარდით ვითარების გასარკვევად. მისვლა ვერც მოვასწარით, გულნაზი თმააწეწილი და სახეშეშლილი, კივილით გამოვარდა სახლიდან, უკან კი მამა ცულით ხელში, ლანძღვა-გინებით მოსდევდა. ბაუაჩემმა მოუწოდა, დაწყნარებულიყო. მამა შეჩერდა, ეტყობა მოხუც, დარბაისელ მამას ყაიდა გაუწია... შედგა... ბაბუამ და მე დრო ვიხელთეთ და ცული წავართვით. შევეცადეთ, დაგვეწყნარებინა. გულნაზი კი კივილით გარბოდა მამამისის სახლის მიმართულებით.

შემდეგ გაირკვა: ბავშვის მოულოდნელი გარდაცვალების გამო გამწარდა საწყალი ქალი. ვიღაცებმა დააეჭვეს, ხომ არ მოგიწამლესო. ამის გამო მამა და გულნაზი ხშირად კამათობდნენ და ჩხუბობდნენ. მამის ზვიადი და თავმომწონე, ამპატრავანი ხასიათი ამას ვერ შეეგუებოდა. სიყვარული სიძულვილმა და გაუტანლობამ შეცვალა. იმ დღესაც, მამას გაღვიძებია და რას ხედავს, - გულნაზი თავს წამოსდგომია ცულით ხელში და მოკვლას უპირებს. მამას ხერხი უხმარია, ცული წაურთმევია, ერთი შემოურტყამს ცულის ტარი და იქით გამოსდგომია მოსაკლავად. ბაბუა და მე ფინალს შევსწრებივართ.

იმ სახლში მამა მარტოდ დარჩა. ბაბუა და მისი ძმები შეიკრიბნენ, ითათბირეს და გადაწყვიტეს ჩემი მშობლების შერიგება. ჯერ დედას მოეთათბირენ. მართალია, განვლილი სამი წლის განმავლობაში დედამ ბევრი ტანჯვა და დარდი გამოიარა, მაგრამ მაინც გაგებით მოეკიდა შემოთავაზებას - ოჯახს პატრონი სჭირდებოდა, შვილებს კი - მამა... ერთი სიტყვით, იმ საღამოსვე მოიყვანეს თავჩაქინდრული და გაწბილებული მამა. დედას მოუბოდიშა, პატიება სთხოვა. მშობლები შერიგდნენ. ჩვენ, ბავშვებს თან გვწყინდა, თან გვიხაროდა - მამა დაბრუნდა სახლში. ამიერიდან ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

გამოხდა ხანი. მამა თავის ამპლუას დაუბრუნდა. მის მკაცრ და არაორდინალურ ხასიათს ერთიც დაემატა: ფრთხილი და ეჭვიანი გახდა. ეშინოდა სამაგიეროს გადახდის. მით უმეტეს, რომ გულნაზის მამა და ძმები არ მალავდნენ აგრესიას და სამაგიეროს გადასახდელად ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ.

ლოგიკურადაც ასე იყო, ბაბუაც და მამაც ყველაზე მეტად ბავშვებს გვიფრთხილდებოდნენ. ოჯახში სამი მოწიფული, გასათხოვარი ქალიშვილი და ერთადერთი ვაჟიშვილი ვყავდით. არ იყო გამორიცხული, ანალოგიური ფორმით ჩვენს ოჯახზე შური ეძიათ. დამოუკიდებლად სახლიდან არ გვიშვებდნენ. განსაკუთრებით გოგონებს.

ღვთის შეწევნით ორი წლის განმავლობაში გათხოვდნენ დები. შესანიშნავი ოჯახები შექმნეს.

თავი X

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენს სოფელში რვაწლიანი სკოლაა. საშუალო სკოლა მეზობელ სოფელშია. მერვე კლასის დამთავრების შემდეგ იქ გავაგრძელე სწავლა. სკოლა საკმაოდ შორსაა - თითქმის სამი კილომეტრი მანძილის გავლა გვიწევს. სკოლას ინტერნატიც აქვს, მაგრამ ამით მხოლოდ ზამთარში, ისიც დიდთოვლობისას ვსარგებლობთ. მაღალმთიან სოფელში დაბადებულ-გაზრდილებს არ გვიჭირს სკოლაში ფეხით სიარული. მით უმეტეს თანასოფლელები საკმაოდ ბევრნი ვართ. ზაფხულში ხუმრობა-ლაზღანდარობით "ვიმოკლებთ" გზას, ზამთარში კი დაილოცოს თხილამურები. მთაში თოვლი დიდი იცის...

აჭარაში ტრადიციულად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევენ. უხსოვარი დროიდან ზაფხულობით პირუტყვი გადაჰყავთ საზაფხულო იალაღებზე, ალპურ ზონაში, სადაც მსუყე ბალახია და გრილა. ბარში ამ დროს ცხელა. ერთ ან რამდენიმე სოფელს ისტორიულად კუთვნილი სამთო საძოვრები აქვს. ჩვენი იალაღები სამი სოფლის კუთვნილებაა. ყველა ოჯახს იალაღზე ბოსელი და ფიცრული სახლი უდგას. მთაში, ძირითადად, ბებია-ბაბუები მირეკავენ პირუტყვს. მათ მემთეურებს ეძახიან. ისინი უვლიან ცხვარ-ძროხას, ამზადებენ რძის პროდუქტებს, ერთი სიტყვით, ოჯახისთვის ზამთრის სარჩოს ქმნიან... ბარში დარჩენილები მიწათმოქმედებით არიან დაკავებული. იალაღებზე სამ თვეს რჩებიან, სანამ არ აცივდება და ბარშიც ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს არ მორჩებიან.

მთაბარობის შუა დროს ემთხვევა ტრადიციული სახალხო დღესასწაული "შუამთობა." ეს ყველასთვის საყვარელი ზეიმი შორეულ წარსულში იღებს სათავეს. დღესასწაული ორ-სამ დღეს გრძელდება. ბარელები დიდიანპატარაიანად მთაში მიდიან. ქალაქელებიც ახარებენ მემთეურებს სტუმრობით.

ოდითგანვე ამ დღესასწაულს მრავალფუნქციური დატვირთვა ჰქონდა. მემთეურები თავს იწონებენ თავიანთი ნამთიურით, უმასპინძლდებიან რძის ნაწარმისდაგან დამზადებული ტრადიციული კერძებით, ბარელებიც ხილ-ბოსტნეულით და ტკბილეულით ხელდამშვენებული სტუმრობენ მემთეურებს და "ანგარიშს აბარებენ" სოფელში ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

დღესასწაულის ძირითადი მშვენებაა ახალგაზრდობა. თვალხატულა, ტანკენარი ქალიშვილები და ერისა და ყვეყნის იმედი - ახალგაზრდა ვაჟკაცები, რომლებიც შუამთობას მოუთმენლად ელოდებიან... ბებიები სარძლოებს შეიგულებენ, ქალ-ვაჟები ეცნობიან ერთმანეთს. ამას ხელს უწყობს სადღესასწაულო განწყობა. იმართება ცეკვა-თამაში, გოგო-ბიჭების გაშაირება, სახელდახელოდ გამართული თეატრალიზებული წარმოდგენებიც კი... მიდის პურობა, ქეიფი. შებინდდება თუ არა, რამდენიმე უბანში, წინასწარ შეგულებულ ადგილზე, ცაში აიჭრება კოცონის ენები, მხიარული გადაძახილები და სიცილ-კისკისი აჯადოებს არემარეს, აქეზებს და აგულიანებს ახალგაზრდებს და იწყება ცეკვა-თამაში... დილამდე ხმიანობს მადლიანი ქართული ჰანგები, ხალხური სიმღერები... აი, სწორედ ამ დროს იჭედება სიყვარული... აი, აქ ლოყებშეფაკლული ქალ-ვაჟები დებენ ფიცს მარადიულ ერთგულებასა და სიყვარულზე.

მეც ასე მომივიდა. მეგობრებთან ერთად გავედი საგულდაგულოდ შერჩეულ სადღესასწაულო მოედანზე. ენთუზიასტებს სამყოფი შეშა მოეგროვებინათ და მუსიკოსებისთვის ძელსკამები დაედგათ. ცოტაც და კოცონი აგიზგიზდა... ქართული ხალხური მუსიკალური საკრავების ჰანგები ჯერ დაბალ ხმაზე, შემდეგ კი მთელი ძალით აჟღერდა, მოედო არემარეს. ახალგაზრდები ჯერ მორცხვად, შემდეგ კი უფრო აქტიურად ჩაებნენ ფერხულში.

ერთმა ჯგუფმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, განსაკუთრებით კი ანგელოზის სადარმა მშვენიერმა ქალიშვილმა. მის სილამაზეს სხვების მზერაც მიეტაცებინა. ნათესავ გოგონას ვკითხე მისი ვინაობა და სადაურობა.

- მეზობელი სოფლიდანაა, დიანა ჰქვია, სწავლობს მეათე კლასში... - ჩამიბულბულა ნათესავმა გოგონამ.

ჩემი კბილა ყოფილა. ვუჭვრეტდი და ვტკბებოდი მისი სილამაზით. საშუალო სიმაღლე, კენარი ტანი, თაფლისფერი თვალები, შავი თმა-წარბ-წამწამები, სახის სწორი ნაკვთები, სწორი პატარა ცხვირი, მოხდენილი, გაბუტული ტუჩები და პატარა ნიკაპი, მარჯვენა ტუჩის კუთხეში მომცრო ყავისფერი ხალი... გაიღიმა და ისე ლამაზად და მოხდენილად ჩაეჭუპნა ლოყები, რომ სიამოვნებისა და აღტაცებისაგან მთელს სხეულში გამაჟრჟოლა. ამ კალმით ნახატმა ანგელოზმა ერთი შეხედვით შემაყვარა თავი. ნამდვილად ასეა.

მთელი არსებით განვიმსჭვალე მისდამი წრფელი და ნამდვილი გრძნობით. ეს ისაა, ვისაც ვეძებდი... ველოდი ამ წუთს და, აი, ისიც. გადავწყვიტე ხელსაყრელი შემთხვევის შერჩევა და გაცნობა. ისევ ნათესავ გოგონას ვთხოვე დახმარება. მან ეშმაკურად მოწკურა თვალები, გამიღიმა და შემპირდა დახმარებას. იყოჩაღა კიდეც, ძველი ნაცნობობა შეახსენა და ერთი ამბით მოიკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონები უკვე ჩურჩულებდნენ. დიანა ჩუმად ჩემსკენ გამოაპარებდა თვალს და ვხვდებოდი, რომ ჩემზე საუბრობდნენ. ამასობაში ცეკვა-თამაში გახურდა. ვიღაცამ მუსიკოსებს განდაგანა შეუკვეთა. მომაჯადოებელი ჰანგები მალამოსავით ჩამეღვარა სულში. წყვილები ჯერ მორიდებით, შემდეგ კი თამამად დაგოგმანდნენ.

ნათესავმა გოგონამ მზერა მომაპყრო, თვალით მანიშნა და დიანაც წააქეზა საცეკვაოდ. დრო შევარჩიე და მეც ვისკუპე. რამდენიმე წრე რომ დავარტყი, მივიჭერი დიანასთან, მუხლმორთხმულმა საცეკვაოდ მიპატიჯების გასმა გავაკეთე და მისი გადაწყვეტილების მოლოდინში გავქვავდი. ვაითუ, უარყოს ჩემი მიწვევა?! ნათესავმა გოგონამ ნაზად მიიხმო და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. დიანამ თვალები მომანათა, ბაგეები გაიცისკროვნა და გადმოეშვა წრეში. ცეკვის ნამდვილი ოსტატი გამოდგა... ისე ეშხიანად, დახვეწილად და მოქნილად ასრულებდა განდაგანას ილეთებს, რომ მალე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოვექეცით.

უკვე მხოლოდ ჩვენ დავგოგმანობდით. მუსიკა ჩათავდა, დიანამ გრაციოზულად გაშალა ხელები და თავი დაუკრა კრებულს... მხურვალე ტაშით დაგვაჯილდოვეს. მეც გავთამამდი, ხელი მკლავში ჩავჭიდე და მადლობა მოვახსენე. მორცხვი ღიმილი შემაგება... იმდენი მადლი, სიტკბო და სინაზე ვიგრძენი, თავბრუ დამეხვა. კიდევ ერთი ცეკვა რომ მაჩუქა, შეთამამებულმა გავუმხილე მისდამი ჩემი განსაკუთრებული სიმპათია და მომავალში შეხვედრის ნება ვთხოვე. თავის დაკვრით მანიშნა, თანახმა ვარო.

სამ დღეს გაგრძელდა დღესასწაული. მე კი მის მარადიულობას ვნატრობდი. დიანაც აღარ მალავდა, რომ მოვწონდი. ბედნიერებისგან მეათე ცაზე ვფრინავდი. დამთავრდა შუამთობა. სევდანარევ ცრემლს ვმალავდი, დიანას რომ ვაცილებდი. ღამეები კი ტკბილი ზმანებებით იყო დახუნძლული.

ჩვენი ურთიერთობა ბარშიც გაგრძელდა. წერილებს ვწერდით, გრძნობებს აღარ ვმალავდით და ვნატრობდით ერთობლივ მომავალზე.

დაიწყო სწავლა. ისედაც ვზარმაცობდი, ახლა კი სწავლას მთლად შევუშვი ხელი. თავისუფალ დროს ვნახავდი თუ არა, დიანას სკოლაში გავრბოდი. ბედნიერი ვიყავით, მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. მამაჩემი რაღაც საქმეზე სკოლაში მისულიყო. სასწავლო ნაწილის გამგეს უნახავს და უთქვამს:

- შენი ბიჭი ცუდად ხომ არ არის, ბოლო ხანს სკოლაში ვეღარ ვხედავ, თანაც სულ მიუშვა სწავლას ხელი, ასე თუ გააგრძელა, გამოსაშვები გამოგდების ჩაბარება გაუჭირდება და ატესტატსაც ვერ მიიღებსო.

მამაჩემი სიბრაზისგან მოხარშულ კიბორჩხალას დამსგავსებია. გახელებული გამობრუნებულა,- გავარკვევო.

ყოველ დილით ბეჯითი მოსწავლესავით ვისაუზმებდი, ჩანთას ამოვიდებდი იღლიაში და მივიჩქაროდი სკოლაში. სოფლის ბოლოს ერთი დიდი მუხის ხის ფუღუროში შევმალავდი წიგნებს და დიანასთან გავრბოდი...

ერთხელ, საღამოს, სახლში დაბრუნებულს, დედამ მიჩურჩულა, - სად დაეთრევი?! მამაშენი შენი ქცევის გამო გაგიჟებულიაო.

სასწრაფოდ ვივახშმე. ის იყო ბიძაჩემთან ვაპირებდი წასვლას, რომ მამამ შემოაღო ეზოს ჭიშკარი. ვეღარ გავასწრებდი. მაშინვე მიხმო სახლში. ჯერ წყნარად მესაუბრა. დაინტერესდა, რატომ ვაცდენდი გაკვეთილებს და სწავლას თავი რატომ მივანებე. რა უნდა მეთქვა, ან როგორ უნდა მემართლებინა თავი. დაჟინებით მთხოვდა პასუხს. გაბრაზებულმა მიყვირა, ლაზათიანად გამომლანძღა. დედა გამომექომაგა,- აცალე, ბავშვი შეყვარებულია, ამიტომ აცდენს გაკვეთილებსო. ეს რომ გაიგო, ჯერ დიანას ვინაობით დაინტერესდა, შედეგ იყვირა, რა დროის ამის სიყვარულიაო და წამომარტყა თავში. ვიუკადრისე და ჩემთვის ჩავილაპარაკე,- ნუ მირტყამ-მეთქი. ეს იყო ბოლო წვეთი. როგორ თუ შენიშვნებს მაძლევო და მომდგა. რამდენიმეჯერ გამეტებით დამარტყა... ხელს ვერ შევუბრუნებდი, ამიტომ მეორე სართულიდან გადავხტი და გავიქეცი.

ერთი კვირით უფროს დას შევეხიზნე. სიძე გადავიდა ჩვენთან, მაგრამ დამაიმედებელი ვერაფერი მითხრა. მამა ისევ გაბრაზებულია. კატეგორიულად წინააღმდეგია ჩემი არჩევანის.

ერთი კვირის შემდეგ დავრუნდი სახლში. მამას ბევრი აღარ უყვირია და არც საცემრად გამოწეულა, მაგრამ კიდევ ერთხელ გამიმეორა, რომ მიწუნებს არჩევანს.

სამაგიეროდ ერთპიროვნულად მტკიცედ გადაწყვიტა თვითონ შემირჩიოს საცოლე და დამაქორწინოს.

დედა შეეცადა ჩემს დაცვას, - ჯერ მეათე კლასშია, ამისი დაქორწინება ვინ თქვაო, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო.

ჩვენს ოჯახში დატრიალებული ამბები ვიღაცამ დიანას მამას ჩაუკაკლა. თავის მხვრივ ისიც გადარეულა, ხოშორაძეების დასაწუნი რა მჭირსო და მამის საფლავზე დაუფიცია, რომ ქალიშვილს არ მომათხოვებს. შვილისთვის კატეგორიულად აუკრძალავს ჩემთან კონტაქტი. ამის შესახებ დიანამ მომწერა, თან შიკრიკის პირით შემომითვალა, როგორ მოვიქცეთო..

თავზე ცა ჩამომექცა. დიანას გარეშე ვერ წარმომედგინა ცხოვრება, მაგრამ გამოსავალიც არ იყო. დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზად არ ვიყავით, მშობლებზე ვართ დამოკიდებული.

ნელ-ნელა მდგომარეობიდან გამოვედი, მაგრამ სინამდვილეს ვერაფრით შევეგუე. მამა შემძულდა. დასანახად ვეღარ ვიტან. დედა მეცოდება, მაგრამ მამის ნების წინააღმდეგ ისიც უძლურია.

ამასობაში სკოლაც დავამთავრე. სამადლოდ სამიანები დამიწერეს და ავიღე ატესტატი. ჯარში გაწვევის უწყება მომივიდა. მამაჩემის დაჟინებული მოთხოვნით კომისარიატში ერთად გამოვცხადდით. კომისარი მისი ნაცნობი აღმოჩნდა. ურჩია, პროფესიას დავეუფლო, დოსაafში (შემოკლებული რუსული აბრევიატურა - საბჭოთა არმიის,ავიაციისა და ფლოტის ნებაყოფილებითი საზოგადოება.მოწოდებული იყო სამხედრო სამსახურისათვის საჭირო სპეციალობის მიხედვით წვევამდელების მომსამზადებლად, - ავტ.შენ.) მძღოლის კურსები გავიარო და მანქანის მართის მოწმობა ავიღო. ეს არმიაშიც გამომადგება და სამოქალაქო ცხოვრებაშიც. მამას მოეწონა კომისრის წინადადება. მეც საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ჯარში შემოდგომაზე გამიწვევენ.

პირობისამებრ, კომისარმა ქალაქ ბათუმში, დოსაafში, ავტომანქანის მართვის შემსწავლელ კურსებზე გამამწესა. სექტემბრის ბოლოს მძღოლის მოწმობა მედო ჯიბეში. მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა, ბათუმიდან დაბრუნებულს, მამაჩემმა "საზეიმოდ მახარა":

- სანამ სწავლობდი, საცოლე შეგირჩიე. ნიშნობის ბეჭედი გავუგზავნე და ოქტომბერში ქორწილიც დავნიშნეო.

ბაბუაჩემმაც კვერი დაუკრა,- მართალი გადაწყვეტილებაო.

სიმწრის ოფლმა დამასხა. გაოგნებული ხან დედას შევყურებდი, ხან ბაბუას. ბოლოს შევბედე:

- კი, მაგრამ, ვინ მოგცათ უფლება, ჩემი ბედი გადაწყვიტოთ უჩემოდ. ჯერ ერთი, მე სხვა მიყვარს, მეორეც, ვინ დამინიშნეთ, ვინ უნდა გაუბედურეთ?

- როგორ თუ გავაუბედურეთ?! - იყვირა მამაჩემმა და ბაბუას სთხოვა, - მომაცილეთ აქედან ეს ლიფსიტა, სანამ მოვკლავდე.

დაფეთებული და გაოგნებული გავვარდი ჩემს ოთახში და ჩავიკეტე. დიდხანს ვბორგავდი და ვბრდღვინავდი.

დილით დედამ მომაკითხა. ჩახვეულები დიდხანს ვქვითინებდით. დედას მამაჩემთან ერთი ბედნიერი დღეც არ ახსოვს... ახლა მე ამომიღო მიზანში.

ცოტა რომ დავმშვიდდი, დედას ვკითხე:

- კი, მაგრამ, არ მეტყვით,მაინც ვინ გამირიგა?

- კი, შვილო, იცნობ იმ გოგონას, დარეჯანი ჰქვია, მეზობელი სოფლიდან, შენი უმცროსი დის თანაკლასელია. ჩვენს ოჯახში რამდენჯერმე ნამყოფიცაა.

კი, დარეჯანს ნამდვილად კარგად ვიცნობ, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემზე ორი წლით უფროსია. მის მიმართ არავითარი გრძნობა არ გამაჩნია. ვერასოდეს შევიყვარებ...

- რა ვქნათ, სხვა გამოსავალი არაა, - თქვა დედამ და თვალები კვლავ დაენამა.

მაგიჟებდა მამაჩემის უგულობა, გულქვაობა და თავნებობა. ბოლოს და ბოლოს ერთადერთი ვაჟიშვილი ვყავარ. ბავშვობაში მანებივრებდა, მელოლიავებოდა, ნიავს არ მაკარებდა, არც მასაქმებდა. ახლა რა დაემართა?!. იმ დასკვნამდე მივედი, რომ მამას განსხვავებული აზრის მოსმენა არ შეუძლია და ვერასდროს შეეგუება, რომ მის აზრს და შეხედულებებს არ დავემორჩილო.

ყოველივე ამან ჩემში ჩაკლა ბევრი ნაზი და ადამიანური გრძნობა. სიყვარულის გრძნობა, სიყვარულის არსი ჩაკლა... მაიძულა, შევგუებოდი ჩემს ხვედრს, რომელიც,ნამდვილად, ბედისწერით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ მისი დიქტატის შედეგი იყო.

გულგრილობამ სრულიად მოიცვა ჩემი არსება. ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. უკვე მხოლოდ ჩემი თავი მაინტერესებდა, ჩემი კეთილდღეობა მაღელვებდა. ვფიქრობდი იმასაც, რამდენ ხანს გამყვებოდა ასეთი გრძნობა, ოდესმე სასიკეთოდ თუ შეიცვლებოდა ჩემში რამე?!.

ქორწილშიც მექანიკურად ვიქცეოდი. ცოლის მიმართ გრძნობები არა და არ გამიჩნდა. ნოემბერში, პირობისამებრ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. ამასაც გულგრილად შევხვდი.

მხედრული ვალი პირნათლად მოვიხადე. მშობლებს წერილებს მოვალეობის მოხდის მიზნით ვწერდი. დედა და ცოლი მეცოდებოდა მხოლოდ. პირველი ქალიშვილი ჯარში ყოფნისას შეგვეძინა. ასე, რომ დემობილიზებულს სახლში შვილიც მელოდებოდა.

თავი XI

ჯარში ყოფნისას ბებია გარდაიცვალა. არ შემატყობინეს,- ბიჭმა არ ინერვიულოს და თავს რამე არ აუტეხოსო.

ჩემი სახლში დაბრუნება ნამდვილ დღესასწაულად იქცა. მამამ ხარი დაკლა და დიდი პურმარილიც გამართა. ასე გავიდა რამდენიმე დღე. ნამდვილად ბედნიერი ვიყავი. ოჯახის წევრები და ახლობლები მანებივრებდნენ. მეზობლები მპატიჟებდნენ. ვცდილობდი, მიპატიჟებაზე უარი არ მეთქვა და მასპინძელი არ გამეწბილებინა.

სულ ხომ ღრეობასა და დროსტარებაში არ ვიქნებოდი. დადგა დრო, მუშაობა დამეწყო და ოჯახს და მამას შევხიდებოდი.

მამის აზრით კოლმეურნეობაში მუშაობა მისი ერთადერთი ვაჟიშვილის საქმე არ იყო. ნაცნობის დახმარებით სატყეო მეურნეობაში მძღოლად მომაწყო. ორღერძიან, მაღალი გამავლობის სატვირთო მანქანაზე დავიწყე მუშაობა. ტყე-ღრეში ვათენ-ვაღამებდი. სახლში გვიან თუ მივიდოდი, ისიც დაღლილ-დაქანცული.

მამა დაჟინებით მირჩევდა, შევკვროდი სატყეო მეურნეობის მთავარ ინჟინერს, მისი ინფორმაციით - ფულისა და კარგი ცხოვრების მოყვარულს. ასეც მოვიქეცი. რაღაც ბედნიერი გარემოების გამო დავვახლოვდით. მეც ცდა არ დამიკლია, რომ მისი ნდობა მომეპოვებინა. მალე მისი ნდობით აღჭურვილ პირად ვიქეცი. მანაც მასწავლა ფულის კეთების საიდუმლოება. ყალბი ზედნადებების და ქვითრების მეშვეობით ბათუმში ხე-ტყეს ვასაღებდი. ამონაგებს ვინაწილებდით და მალე ფულიანი კაცი გავხდი. ეს მამას, რა თქმა უნდა, არ გამოპარვია და კატეგორიულად მომთხოვა, ფული უკლებლივ მისთვის ჩამებარებინა. თავადვე წყვეტდა, ფული როგორ მოგვეხმარა და დაგვებანდებინა.

სოციალისტური რეჟიმისა და ფაქტიურად კერძო საკუთრების არარსებობის პირობებში ბიზნესს ვერ დაიწყებდი, ამიტომ, უკეთესი დროის დადგომის იმედით, მამა ფულის ძირითად ნაწილს შემნახველ სალაროში ინახავდა.

საკმაოდ სოლიდური თანხა დაგვიგროვდა. მინდოდა მსუბუქი ავტომობილის შეძენა. მაშინ პრესტიჟულ და მოდურ მანქანად ითვლებოდა"ჟიგული."

გულისნადები მამას გავანდე და ვთხოვე, უარი არ ეთქვა. ჯერ გაჯიუტდა, მაგრამ მალე მოლბა, თუმცა თავისი პირობები წამომიყენა: მანქანა გაფორმდება მის სახელზე, მე კი მინდობილობით ვატარებ. გარაჟიდან გავიყვან მისი ნებართვით და ისიც მაშინ, როცა მასვე დასჭირდება. ჩემმა არგუმენტებმა არ გაჭრა. აყვირდა, ისედაც შინ არ მოდიხარ, მანქანა რომ ჩაგაბარო, სულ დაიკარგები,დროსტარებას და ქალებს აღარ მოიშლიო.

ამ პირობით მანქანის შეძენას აზრი ეკარგებოდა, ჩემს გემოზე ვერ მოვიხმარდი. მისი ახირებების აღსრულება ნაღდად არ მინდოდა, ამიტომ, ხელი ავიღე ამ განზრახვაზე. ამან უფრო ამიცრუა გული და საბოლოოდ ჩავიქნიე ხელი. ფულიც აღარ მაინტერესებდა. იმდენი კი მქონდა, რომ ქალები და რესტორნები არ მომეკლო.

ასე გავიდა რამდენიმე წელი. ოთხი ქალიშვილიც შეგვეძინა. სიმართლე გითხრათ, შვილის სქესს ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ მამა გიჟდებოდა, გვარის გამგრძელებლის დაბადებას მოუთმენლად ელოდა. ბაბუაც მხარს უბამდა.

ერთხელ, სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციაში თანასოფლელმა მომაკითხა და გადმომცა მამის დანაბარები,- როგორც კი მოიცლის, სახლში ამოვიდესო.

საღამოს ადრე გავთავისუფლდი. სტუმრად ბიძაჩემი გვწვეოდა, დედაჩემის ძმა. ნავახშმევს ერთი კარგი პროპაგანდისტ-აგიტატორივით დაიწყო:

- საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით მომდევნო ხუთწლედის პრიორიტეტად გამოცხადდა სურსათით ქვეყნის მომარაგების ძირეული გაუმჯობესება, რაც, თავის მხვრივ, ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის აუცილებლობას. ერთი სიტყვით, ჩვენს რაიონს, რომლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეცხოველეობა, დაევალა მისი გარდაქმნა-განვითარება და რძის და ხორცის წარმოების მნიშვნელობნად გადიდება. ეს პროგრამა, ითვალისწინებს პირუყვის სანაშენე და სასუქი კომპლექსების აშენება-ამოქმედებას, ამას კი მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცება სჭირდება. აჭარის მთიანეთში სათიბი სავარგულების სიმცირე მეცხოველეობას საკვებით ისედაც ვერ უზრუნველყოფს, ამიტომ ხელისუფლებამ ამაზეც იფიქრა - კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებში თივის დასამზადებლად გამოიყო ტერიტორიები და მისი მოპოვების შესაბამისი მექანიზმები. ჩვენი რაიონის აგრო-სამრეწველო კომპლექსს კრასნოდარის მხარის კავკაზსკის რაიონი ერგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასუქი კომპლექსის მშენებლობა უკვე დაწყებულია. საკვებდამამზადებელი ბრიგადის ხელმძღვანელობა მე მომანდეს.ბრიგადა დაკომპლექტების პროცესშია.მალე მივიღებთ საჭირო ტექნიკასა და მექანიზმებსო.

ერთი სიტყვით, საუბარი რომ დაასრულა, ბრიგადაში ჩაწერა შემომთავაზა, სატვირთო ავტომამქანას გაგიპიროვნებო. მამამ ჯერ იუარა, არ უნდოდა ჩემი გაშვება.

ბიძაჩემმა მივლინების ორმაგ სარგებელში დაარწმუნა, - კარგი ანაზღაურება ექნება და სოფელს თივა-ნამჯითაც მოამარაგებსო.

მე დიდი სიამოვნებითა და სიხარულით დავთანხმდი. ამით, მცირე დროით მაინც, მამის ყოველდღიური და ყოვლისმომცველი კონტროლისა და წნეხისაგან გავთავისუფლდებოდი და თვალსაც წყალს დავალევინებდი...

თავი XII

რაიონის სატყეო მეურნეობიდან გავთავისუფლდი.

ბიძაჩემი კარგი ორგანიზატორი და მოქნილი ხელმძღვანელი აღმოჩნდა. გონივრულად გათვალა, გაითვალისწინა ყველა წვრილმანი და რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობას წარუდგინა აუცილებელი ტექნიკური საშუალებების და პერსონალის სია - დეტალურად გაწერილი ხარჯთაღრიცხვით. ბიძაჩემის წინადადებები მოიწონეს. მეტი წილი ტექნიკური საშუალებები აქედან გავიყოლიეთ, ნაწილს კი ადგილზე ვიქირავებდით.

სატვირთო ავტომანქანები და ტრაქტორ-დანადგარები სპეციალურად ჩვენთვის გამოყოფილი რკინიგზის სატვირთო ვაგონებით გავგზავნეთ და ჩვენც რუსეთის გზას დავადექით.

დავბინავდით გორკოვსკოეს საბჭოთა მეურნეობის ავტოფარეხის მიმდებარე ტერიტორიაზე.

იქაური მეურნეობის დირექტორმა - ანდრეი ვასილევიჩ კოზაკმა გულთბილად მიგვიღო და თანადგომას შეგვპირდა.

ჩვენი ჩასვლა და დაბინავება გულუხვი პურობით დაგვირგვინდა. ბიძაჩემმა მოიპატიჟა მეურნეობისა და დაბის ხელმძღვანელები, აქტივისტები, ადგილობრივი წესრიგის დაცვის მესვეურები. საქმიანმა კაცმა ყველაფერი გათვალა და შესაბამისი თადარიგი დაიჭირა. საჩუქრებიც უხვად ჩამოურიგა. ერთი სიტყვით, დაბაში ჩვენი ჩასვლის შესახებ ყველამ გაიგო. ადგილობრივებმა კარგად მიგვიღეს, სათანადო ყურადღება და ნდობა გამოგვიცხადეს.

ერთი კვირის შემდეგ ხორბლის მოსავლის მასობრივი მკა დაიწყო. ბიძაჩემმა საკმაოდ იოლად შეძლო მეურნეობის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება და სპეციალური აგრეგატ-დანადგარები არენდით ავიღეთ.

დაგვაბინავეს საკმაოდ კეთილმოწყობილ ორსართულიან საერთო საცხოვრებელში. ჩვენც აღარ დავაყოვნეთ და დავიწყეთ ნამჯის შეგროვება, ფუთებად შეკვრა და სამანქანე გზაზე გამოტანა. ეს იმისთვის, რომ ცუდი ამინდის დროს არ შეფერხებულიყო მათი გამოზიდვა და ეშელონებში ჩატვირთვა.

ბრიგადაში თორმეტი კაცი ვართ. ხუთი სატვირთო მანქანის მძღოლი, სამიც ტრაქტორისტი, სამი ნამჯის შემგროვებელ-შემფუთავი დანადგარების სპეციალისტი და ბრიგადირი. უმრავლესობა ასაკიანია. მარტო მე და ჩემი თანასოფლელი კორნელი ფუტურიძე ვართ ახალგაზრდები.ამ უკანასკნელს რუსებმა სახელი შეუმოკლეს და ” კორენ-”ად მონათლეს.

კორნელიც დაცოლშვილებულია. ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავს. ხუთი თვის წინათ გამოეყო მამის ოჯახს და საცხოვრებლად გურიაში გადავიდა, სადაც სახელდახელოდ პატარა ფიცრული ოდა გამართა. კორნელის რბილი და მიმნდობი ხასიათი აქვს, ამასთან ცოტა ზერელე და უპასუხისმგებლო ახალგაზრდაა. ბიძაჩემს არ უნდოდა მისი რუსეთში წამოყვანა, რაიმე ხათაბალაში არ გაეხვიოსო, მაგრამ მამამისს ხათრი ვერ გაუტეხა,- ახალმოსახლეა, მატერიალურად უჭირს, ცოტა ფულს გამოიმუშავებს და წელში გაიმართებაო.

მე და კორნელი ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. ჩემზე ხუთი წლით უფროსია, მაგრამ ასაკში სხვაობა მეგობრობაში ხელს არ გვიშლის. სოფელში მეზობლად ვცხოვრობთ. ის გამოცდილი ტრაქტორისტია, სოფელშიც კოლმეურნეობის ტრაქტორზე მუშაობდა. განსაკუთრებით კარგად ერკვევა ძრავებში და კარგი მოტორისტის სახელიც გაუვარდა.

ისიც ჩემსავით მექალთანეა. ეტყობა, ხოშორაძეებს ჯიშად გაქვთო ქალებისადმი განსაკუთრებული ლტოლვაო, - გაბრაზებული წამომაძახებდა ბიძაჩემი.

დაბაში ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა დისკოთეკები და სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები. მე და კორნელი, მართალია, ბრიგადირის ნერბართვითა და მკაცრი კონტროლის ქვეშ, ხშირად დავდიოდით.

ადგილობრივ ლამაზმანებთანაც პრობლემები არ შეგვქმნია. ბიძაჩემი შიშობდა, რამე არ შეგვშლოდა, ჩვენ ხომ დაქორწინებულები ვიყავით და მკაცრ მეთვალყურეობას გვიწევდა. მაინც ვახერხებთ რაღაც-რაღაცეებს. ამას ისიც აადვილებდა, რომ ოთახში მხოლოდ ჩვენ ორნი ვცხოვრობდით.

თავი XIII

ერთ დილას ბიძაჩემი კარებზე მოგვიკაკუნა. ოთახში არ შემოსულა, ალბათ, მოერიდა ლოგინებში მწოლარეთ თავს დაგვდგომოდა. გარედან დაგვიძახა:

- ბიჭებო, უნდა ადგეთ, დღეს ვაგონები გვაქვს დასატვირთი, საქართველოდან სპეციალურად ეშელონი ჩამოვიდა, ათი ვაგონი უკვე ბაქანზეაო.

ადგომა არ მინდა, ნაბახუსევს და უძინარს თავის წამოწევა არ შემიძლია. წუხელ გვიანობამდე ვიქეიფეთ. თივის, უფრო სწორად ნამჯის, ზვინებთან (რუსები სკირდებს ეძახიან - ავტ.შენ.) მე და კორნელიმ, ორ ადგილობრივ ლამაზმანთან ერთად, გვიანობამდე ვჭამეთ პური და ვინებივრეთ.

ბიძაჩემი მოწესრიგებული და სიტყვის კაცია. არ უყვარს თავნება და უპასუხისმგებლო ადამიანები. მე, როგორც დისშვილს, ზოგჯერ მპატიობს ქეიფს და ადგილობრივ გოგონებთან დროსტარებას. ჩემს ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, დიდი ხანია ჩამოწერდა ბრიგადიდან და გამოისტუმრებდა საქართველოში. კორნელიც ხელშეუხებელია, როგორც ჩემი მეგობარი და მეწყვილე.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ბიძაჩემს მიხეილი ჰქვია, გვარად ცეცხლაძეა. აქ, უბრალოდ, დიადია მიშას ეძახიან. მიშა ბიძია ჩვენთვის გამონაკლისს სამუშაოს დამთავრების შემდეგ უშვებს, თორემ სამუშაო საათებში ღვიძლ შვილსაც არ აპატიებს პატარა გადაცდომასაც კი.

ახლაც, რომ გაიგოს, მის დაუკითხავად მინდორში, პურისმომკელთა საველე სადგომზე ვიყავით, თანაც გვიანობამდე ვიქეიფეთ, მაშინვე დაგვიხურავს განაწესს და საღამოს უკვე რკინიგზის სადგურზე ვიქნებით მატარებლის მოლოდინში... არ ვიცი, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, მოსკოვი-ბათუმის მატარებელი მაინცდამაინც კავკაზსკაიას რკინიგზის სადგურის გავლით მოემართება საქართველოსკენ.

რა გაეწყობა... ლოგინიდან ვდგები. კორნელის მუჯლუგუნის კვრით ვაღვიძებ. ისიც უგემურად იზმორება, იმანჭება და ბუზღუნით ტრიალდება მეორე გვერდზე. ეს უკვე მეტისმეტია. ბოთლით წყალს ვიღებ და უცერემონიოდ ვასხამ თავზე. საწყალი ლოგინიდან რის ვაი ვაგლახით დგება. ზლაზნვით მივდივართ ჭასთან, ვიღებთ წყალს და კატასავით ვიბანთ ხელ-პირს.

ჩემი მანქანა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ნახელავია, შემოკლებით - "კაზ". კორნელი ბორბლებიან მისაბმელიან ტრაქტორზე მუშაობს. იგი ბელორუსიის სატრაქტორო ქარხნის გამოშვებულია და ყველა შემოკლებით "ბელარუსკას" ეძახის.

უგემურად ვსაუზმობთ და მივდივართ ჩვენზე გაპიროვნებულ ტექნიკასთან. პირი გვიშრება, თავიც გვტკივა, მაგრამ ამის გამხელას როგორ გავბედავთ. მაშინ მშვიდობით ტკბილო საღამოებო და სლავო გოგონებო.

ბრიგადის სხვა წევრებიც მზად არიან. ნამჯის ფუთებით იტვირთება ჩემი მანქანა. გორკოვსკოეს საბჭოთა მეურნეობიდან სადგურ კავკაზსკაიამდე ოცი კილომეტრი იქნება... სადგური განლაგებულია ქალაქ კროპოტკინის ფარგლებში. ადრე ამ ადგილას რომანოვსკოეს ხუტორი იყო, მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირზე და სასაზღვრო დასახლებას წარმოადგენდა. იქ დისლოცირებულ კაზაკების ჯარს ხელმძღვანელობდა გენერალი კროპოტკინი. მისი სარდლობით ადგილობრივი ჩერქეზ-ადიღეური წარმოშობის ხალხი დაამარცხეს და ყუბანის მარცხენა სანაპიროდან მთაში გარეკეს. მოგვიანებით სარკინიგზო ხაზი გაიყვანეს. გეოგრაფიულად ხელსაყრელი მდგომარეობის გამო რომანოვსკოეს ხუტორის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნეს საკვანძო სადგური, რომელსაც კავკაზსკაია დაარქვეს. აქვე განლაგებული იყო სავაგონო დეპო და ვაგონშემკეთებელი საამქროები. ხუტორი მუშათა დასახლებების ხარჯზე მალე გაიზარდა. მოგვიანებით ქალაქის სტატუსი მიიღო. მთიელთა შემავიწროებელი გენერლის პატივსაცემად კროპოტკინი დაარქვეს. ქალაქის განაშენიანებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ შუაზე ჩაუდის მდინარე ყუბანი, რომელიც მნიშვნელოვან სანიტარულ არტერიას წარმოადგენს, თუმცა საკვანძო აქ რკინიგზის სადგურია, ამიტომ ქალაქი, ძირითადად, რკინიგზისა და სადგურის მიმდებარე ტერიტორიებზე ვითარდება.

მთელი დღე ვეზიდებოდით ნამჯას. გვიან საღამოს მოვრჩით ვაგონების დატვირთვას. მიხეილ ბიძიასთან შეთანხმებით ოჯახს ორმოცდაათი ფუთა ნამჯა გამოვუგზავნე. ვიცოდი, მეურნე მამაჩემს გაუხარდებოდა შვილის ოჯახზე ზრუნვა.

დავბრუნდით ბრიგადის სადგომში. იქაა თავმოყრილი ჩვენი ტექნიკა-დანადგარები და სხვა საჭირო ინვენტარი. ჩვენი სადგომი განლაგებულია მინდორში, მეურნეობის დასახლების მიმდებარედ, ასე ხუთ

კილომეტრში. ხშირად მიწევს დასახლებაში წასვლა. ხან საკვები პროდუქტების და ტექნიკის საწვავის გადმოსატანად, ხან კიდევ რის... დაბა საკმაოდ დიდია, მაგრამ კარგად ვიცნობ. იგი საქართველოს პატარა ქალაქსაც კი გაუტოლდება. დასახლებას გამართული ინფრასტრუქტურა აქვს. კერძოდ: საშუალო სკოლა, საავადმყოფო, ფოსტა, კლუბი, ორი მაღაზია და ბაგა-ბაღი. განაპირას, ვრცელ ტერიტორიაზე, განლაგებულია ავტოპარკი.

გორკოვსკოეს საბჭოთა მეურნეობის უმთავრესი დარგია მიწათმოქმედება, ძირითადად, მეხორბლეობა. მყარი საკვები ბაზის გათვალისწინებით მნიშვნელოვნადაა განვითარებული მესაქონლეობაც. ავტოპარკში მე და ბიძაჩემი ხშირად დავდივართ მარაგნაწილების შესაძენად და ტექნიკური საშუალებების შესაკეთებლად. ადგილობრივი მოსახლეობა კერძო სახლებში, ეგრეთწოდებულ ხატებში ცხოვრობს.

შედარებით გვიან გადმოსახლებულები და მეურნეობის ცვალებადი კონტინგენტი, მათ შორის მოწვეული სპეციალისტები, ცხოვრობენ კეთილმოწყობილ ორსართულიან სახლებში, რომლებიც საერთო საცხოვრებლების ფუნქციასაც ასრულებენ, რადგანაც ფართებს სეზონურ მუშა-მოსამსახურეებს კერძო საკუთრებაში არ გადასცემენ.

თავი XIV

შემოდგომის ერთ საღამოს, საერთო საცხოვრებელში რომ ვბრუნდებოდი, მაღაზიაში შევიარე. სიგარეტის და არაყის ყიდვა მინდოდა. ჩვენს თანამშრომელს დაბადების დღე ჰქონდა და მოკრძალებულად აღნიშვნას ვგეგმავდით. საყიდლები პარკში ჩავალაგე, საფასური გადავიხადე და ის იყო შენობიდან გამოსვლას ვაპირებდი, რომ ყურადღება მაღაზიაში შემოსულმა ქალმა მიიპყრო.

ეს საოცრება იყო... ჩემს წინ დიანა იდგა, ჩემი პირველი და ერთადერთი სიყვარული. აზრზე ვერ მოვედი, გაოგნებული მივშტერებოდი და ვერ გამეგო, აქ მას რა უნდოდა?!. ის ხომ საქართველოშია, გათხოვილია და ქმარ-შვილი ჰყავს... მონუსხულივით ვიდექი.

დიანას ალი-კვალმა ამასობაში საყიდლები აიღო და მაღაზიიდან გავიდა. ამ მდგომარეობაში, არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი, რეალობასთან მაღაზიის გამყიდველმა დამაბრუნა, კიდევ რამეს ხომ არ ინებებო,- მკითხა. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, სახეზე ალმური ამდიოდა. პირი გამიშრა, იმდენად მოულოდნელი იყო დიანასთან, თუ მის ორეულთან შეხვედრა.

ახალი ძალით განმიახლდა დიანასადმი სიყვარული...

გონს რომ მოვეგე, გამყიდველს ვკითხე:

- ვინაა ის ქალიშვილი?!

გამყიდველმა შემომცინა, შეთქმულივით თვალი ჩამიკრა და თავისთვის ჩაილაპარაკა, - დამიხედე ამ ქართველსო და მიპასუხა:

- ეს ქალიშვილი ჩვენი სკოლის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებელია, აქვე ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში.

არ მინდოდა, მოპასუხეში ცნობისმოყვარეობა აღმეძრა ან ჩემი მასწავლებელისადმი დაინტერესება გამემხილა, ამიტომ უზრუნველად ჩავილაპარაკე:

- ლამაზია. ბედნიერია მისი ქმარი, ან ის, ვინც მასზე იქორწინებს.

გამყიდველმა შემომცინა:

- ნატალია ვასილევნა ლოსევა ნამდვილად ლამაზი და მოხდენილი ქალია, მაგრამ ცხოვრებაში არ გაუმართლა. ხუთი წლის წინათ სამაგალითო ქორწილი ჰქონდათ. ის და მისი რჩეული შეუდარებელი წყვილი იყო. ყველა მათ შეჰხაროდა და ბედნიერ ცხოვრებას უწინასწარმეტყველებდა. შეეძინათ ქალ-ვაჟი. როგორც გითხარი, ნატალია მასწავლებელია, მისი ქმარი კი ინჟინერი იყო. შესანიშნავი სპეციალისტი და მოხელე. ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა. არ არსებობდა ელექტროხელსაწყო, მისი შეკეთება რომ არ შესძლებოდა. მადლიერების ნიშნად ალკოჰოლური სასმელითაც ხშირად უმასპინძლდებოდნენ. სმას მოუხშირა და გალოთდა. საწყალი ნატალია... ბევრს ეხვეწებოდა, ემუდარებოდაა, მაგრამ სმას ვერ გადააჩვია. ხშირად ჩხუბობდნენ კიდეც. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ კაცმა ხელებიც "დაიგრძელა". ცოლი გალახა, სულ დაალილავა საწყალი. ასე დაიშალა ოჯახი, ერთმანეთს გაშორდნენ. ალკოჰოლმა დაანგრია სიყვარულით შექმნილი და ნალოლიავები ოჯახი. კაცი ქალაქ ბელორეჩენსკში წავიდა მშობლებთან, ნატალია ვასილევნა კი დარჩა აქ ორი შვილით.

მეტი აღარაფერი მიკითხავს. გადავწყვიტე, გავეცნო და დავუმეგობრდე ჩემი დიანას ორეულს...

იმ საღამოს თანამშრომლის დაბადების დღეზე მოვილხინეთ. ნატალიასთან - ჩემი დიანას ორეულთან შეხვედრამ მივიწყებული სიყვარული გამიახლა. გრძნობამორეულს ალკოჰოლი არც მეკიდებოდა. ბედნიერი ვიყავი. მთელი ღამე ვბორგავდი. მესიზმრა დიანა, ჩემი პირველი და უიღბლო სიყვარული. შხამიანი გველის ნაკბენივით მახსოვს მამაჩემის მაშინდელი გაგიჟება. ახლაც ყურებში მთელი სიცხადით ჩამესმის მისი ბოხი, გამყინავი ყვირილი და მუქარა, ვერ ეღირსებიო დიანას ცოლად შერთვას...ზმანების კადრებს ენაცვლება დიანასა და ნატალიას ხატება. ასეთი მსგავსება?! ისინი ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს... იმ აზრით და იმედით გავიღვიძე, რომ აუცილებლად მოვნახავ ნატალიას.

მთელი კვირა დაძაბული მუშაობა გვქონდა. ორი ეშელონი დავტვირთეთ და გამოვისტუმრეთ საქართველოში. ნატალიასთვის არ მეცალა, თანაც არ მინდოდა, დაღლილი და შელახული ვჩვენებოდი.

თავი XV

ოქტომბრის ბოლოს წვიმები დაიჭირა. მინდორში მუშაობა შეუძლებელი გახდა. ბიძაჩემი იძულებული შეიქმნა, დაუგეგმავ "შვებულებაში" გავეშვით. დილიდანვე თადარიგი დავიჭირე. თმა შევიკრიჭე. პირი გავიპარსე. საუკეთესო ტანსაცმელი შევარჩიე და საღამოსთვის მოვემზადე. გადავწყვიტე, ნატალიას გავეცნო და, თუ დამთანხმდა, კინოში დავპატიჟო. გავიკითხე ნატალიას მისამართი, მისი მოძრაობის მარშრუტი და დავადგინე, რომ გაკვეთილების შემდეგ, დაახლოებით ხუთ საათზე, ბაგა-ბაღიდან ბავშვები გამოჰყავს, საყიდლებზე მაღაზიაში შეივლის და შინ მიჰყავს.

ხუთის ნახევარზე ბაგა-ბაღთან ვიყავი. გამოჩნდა ნატალიაც - საშუალოზე მაღალი, სპორტული აღნაგობის, ქერათმიანი, დიანას ორეული, მაგრამ უკვე გაზრდილი და დაქალებული. გრაციოზულად მოაბიჯებდა. სუნთქვა შემეკრა. იმდენად თვალშისაცემი იყო დიანას და ნატალიას ფიზიკური მსგავსება, კინაღამ დავუძახე, დიანა-მეთქი. ვიდექი და შევყურებდი გაოგნებული. ნატალია გამისწორდა, ერთი შემომანათა თვალები და ბაგა-ბაღის ეზოში შეაბიჯა. მე ნაბიჯიც ვერ წავდგი, ენა დამება, მონუსხულივით, გაუნძრევლად ვიდექი და თვალებს არ ვუჯერებდი.

ცოტა ხნის შემდეგ ორ ბავშვთან ერთად გამოვიდა. ქალიშვილი იქნებოდა სამი წლის, ხოლო ვაჟი - ორის. გემოვნებით, მაგრამ სადად ეცვათ. მოვლილი და აკურატულად დავარცხნილ-გალამაზებულები იყვნენ. ბიჭუნა ცელქობდა, ხან საქანელასთან მიირბენდა, ხან სათამაშო ქოხის კიბეზე ლამობდა აძრომას. ერთი პირობა, კინაღამ ჩამოვარდა. ანგარიშმიუცემლად მივვარდი, კიბიდან ჩამოვსვი და ხელში ავიტაცე. მივიხუტე. გოგონაც მოგოგმანდა და სახელოში ჩამჭიდა ხელი. ამასობაში დედამისმა მორიდებით მომიბოდიშა, მადლობა გადამიხადა და დააპირა ბავშვის გამორთმევა. მეც მოვუბოდიშე და ძელსკამზე ჩამოჯდომა შევთავაზე. გავესაუბრე ბავშვებზე. ნატალია კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. მივაცილე სახლამდე. თუ წინააღმდეგი არ იქნები, დაბის კლუბში საღამოს სეანსზე გეპატიჟები-მეთქი. მადლობა გადამიხადა ყურადღების და მიწვევისათვის, მაგრამ უარი მითხრა, მარტოხელა დედა ვარ, შვილებს ვერავის დავუტოვებო. ესეც არ იყოს, უცნობ მამაკაცებთან ვერიდები კონტაქტს და შეხვედრებსო, ცივად მიპასუხა და სადარბაზოში შეაბიჯა.

საერთო საცხოვრებელში უხასიათოდ დავბრუნდი. დიანა ერთხელ უკვე დავკარგე, მეორედ აღარ მინდოდა, დამეკარგა. მაშინ აღარავინ მახსოვდა - არც ცოლ-შვილი, არც მშობლები, არც... ჩემი გულისყური ერთი ადამიანის ირგვლივ ტრიალებდა, ჩემს გულს მხოლოდ ერთი ამრთელებდა.

მეორე დღეს (შაბათი იყო) წავედი ქალაქ კროპოტკინში. ვიყიდე ბავშვებისთვის საჩუქრები, შამპანიური, წითელი ვარდების თაიგული და ნატალიას სახლში ვესტუმრე. კარი გოგონამ გამიღო, გვერდზე გადგა და დედას დაუძახა:

-დედა, ჩვენ "გრუზინი" გვესტუმრა!

გამიკვირდა, ბავშვმა საიდან გაიგო ჩემი წარმომავლობა. ეტყობოდა, შვილებთან ჩემს შესახებ დედას ჰქონდა საუბარი. ნატალია სამზარეულოდან გამოვიდა, თან წინსაფარს იხსნიდა. ჩემი დაუპატიჟებელი სტუმრობა გაიკვირვა, მაგრამ მალევე დაიოკა ეს გრძნობა და მობრძანდიო, მიმიპატიჟა.

შევედი წინკარში, მივესალმე, მოვუბოდიშე დაუპატიჟებელი სტუმრობის გამო და ვარდების თაიგული გავუწოდე. ნატალია ცოტა შეცბა, ალბათ, არ ელოდა, თუ ასე გავთამამდებოდი და სახლში მივაკითხავდი ან უცნობისგან საჩუქრის მიღებას არ იყო ჩვეული, მაგრამ ზრდილობიანი ქალი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა... ჩამომართვა თაიგული, მადლობა გადამიხადა და ვარდის სურნელი ღრმად შეისუნთქა.

აღარ დამიყოვნებია, პალტო გავიხადე, საკიდარზე ჩამოვკიდე და მისაღებ ოთახში შევაბიჯე... ბავშვებს ვუხმე. საჩუქრები ჩამოვურიგე. პატარებმა საჩუქრები ბავშვური აღტაცებით მიიღეს. დედამ უსაყვედურა, - ბიძიას მადლობა არ უნდა უთხრათო...

ბავშვებმა დაიმორცხვეს, სამადლობელი სიტყვები ცხვირში წაიდუდუნეს და დივანზე მოკალათდნენ.

შოკოლადის კოლოფი და შამპანიურის ბოთლი მაგიდაზე დავდე. ნატალიამ სამზარეულოდან ყავა, ნამცხვარი და ხილით სავსე ლანგარი შემოიტანა. მივუჯექით მაგიდას. მოვსვი ყავა, ნახელავი შევუქე და შამპანიურის ბოთლი გავხსენი. კარადიდან ორი ფუჟერი გადმოიღო. ჩამოვასხი ღვინო და წამოვდექი:

- ნატალია ვასილევნა, შენმა სილამაზემ მომხიბლა და გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. მე კონსტანტინე ხოშორაძე ვარ საქართველოდან, კერძოდ ბათუმიდან. აქ ნამჯის დამზადებაზე ვმუშაობ.

ვიცი,- მთხრა და დაინტერესდა:

- საიდან იცით ჩემი სახელი?

პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე და ნართაულოდ ვუპასუხე:

- სამყარო სავსეა კეთილი ადამიანებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიღიმა და, - დიდი ხანია თქვენი დაინტერესების ობიექტი გავხდი?

დამალვას რა აზრი ჰქონდა:

- თქვენთან სასურსათო მაღაზიაში შემოფეთებამ გული ამიჩქროლა და ძილი დამაკარგვინა. შემდეგ კი ბაგა-ბაღის ეზოში "შემთხვევით" შეგხვდით.

ჩაეცინა. წამოვდექი, ავიღე ფუჟერი, - ჩვენი გაცნობის და დღეგრძელობისა იყოს-მეთქი და დავლიე. თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ცოტა მოსვა.

კიდევ რამდენიმე სადღეგრძელო წარმოვთქვი. ურთიერთგაგებაზე, ურთიერთობის გაღრმავებასა და მომავალის პერსპექტივებზე რომ ავლაპარაკდი, მითხრა:

- ბატონო კონსტანტინე, ამაზე ნაადრევია საუბარი. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, გეტყვი მხოლოდ, რომ მე ერთი უბრალო ქალი ვარ. მყავს დიდი სამამულო ომის ვეტერანი მამა, დედა და ერთი გათხოვილი და. ცხოვრობენ კროპოტკინში, იქ საკუთარი სახლი გვაქვს. როგორც ხედავ, მარტოხელა დედა ვარ, ორი მცირეწლოვანი შვილით ხელში. სიყვარული და ქორწინება იღბლიანი არ გამოდგა. ჩემი ბავშვების მამა სუსტი ნებისყოფის, უპრინციპო მამაკაცი აღმოჩნდა. მიეძალა სპირტიან სასმელებს, საბოლოდ გალოთდა და ბოლოს ხელითაც შემეხო. ეს იყო მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი. გავშორდით. ის ქალაქ ბელორეჩენსკში, მშობლებთან გადავიდა, მე კი, ყმაწვილი ქალი, ორი ბავშვით დავრჩი მარტოდ. მამაკაცებზე გული გატეხილი მაქვს. არ მინდა, კიდევ ერთხელ შევცდე. თუ რაიმე სხვა განზრახვა გაქვს, უკაცრავად, მაგრამ თავიდანვე მინდა გითხრათ, მომეშვით.

ასეთი რეაქციას მოველოდი, ადგილობრივები ხომ ნატალიას პატიოსან ქალად ახასიათებდნენ. ეს კი, სიმართლე გითხრათ, ძალიან მომწონდა. ის ხომ ჩემი დიანას ორეულია. ძალიან მეწყინებოდა, გული მომიკვდებოდა, ვულგარული, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი რომ ყოფილიყო.

მთელი სიწრფელით დავუდასტურე, რომ მისდამი ქვენა ინტერესი არ მაქვს, მოხიბლული ვარ მისი სილამაზით და მასთან უფრო სერიოზული, შორსმიმავალი ურთიერთობების აწყობა მინდა.

დაინტერესდა ჩემი ოჯახური მდგომარეობით.

მოვუყევი, რომ საქართველოში მყავს ბაბუა, დედ-მამა, სამი და. რა თქმა უნდა, მეუღლისა და ოთხი ქალიშვილის შესახებ არაფერი მითქვამს.

არ დაიბნა, - აბა პასპორტი მაჩვენეო.

წარვუდგინე პასპორტი. გადაფურცლა, შესაბამისი გვერდი მონახა. კმაყოფილი დარჩა, როცა დაინახა, რომ ფურცელი სუფთა იყო.

- ჩემზე ორი წლით უფროსი ყოფილხარ!.. - თქვა და უკან დამიბრუნა.

განათლებულ, ერუდირებულ ადამიანთან ურთიერთობა ადვილია. უფრო მიმხვედრია და ზედმეტ შეკითხვებს არ გისვამს. ერთი სიტყვით, შევთანხმდით, ვიმეგობროთ და სიტუაცია თვითონ გვიკარნახებს, შემდეგში როგორი ნაბიჯები გადავდგათ.

სიხარულისგან მეცხრე ცას ვეწიე. არ ველოდი მოვლენების ასე განვითარებას. ბავშვებს მოვეფერე, სახელები გამოვკითხე. გოგონას ვერონიკა ერქვა, ესე იგი ნიკა, ხოლო ვაჟს - ევგენი, ესე იგი ჟენია. ძალიან ლამაზი და ჭკვიანი ბავშვები არიან.

გვიანობამდე დავრჩი. ბოლოს დავემშვიდობე და ბინაში წავედი.

ასე თავისუფლად და ლაღად ჯერ არ ვყოფილვარ, მოზღვავებული გრძნობები და ბედნიერება სულს მიფორიაქებდა. კი არ მივდიოდი, მივფრინავდი.

ოთახში კორნელი დამხვდა, შეზარხოშებული თავისთვის რაღაც მელოდიას ღიღინებდა. ჩემთვის არ ეცალა. მეც არაფერი მიკითხავს, ჩავწექი ლოგინში.

***

ძილი არ გამეკარა. მთელი არსებით ნატალიასთან ვარ. მინდა მასთან შეხვედრის ყველა დეტალი აღვიდგინო. მიხარია, რომ მეგობრობაზე დამთანხმდა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემს ცხოვრებაში დიანას და ნატალიას მეტი არავინ ყოფილა.

რა კარგია სიყვარული!

რა კარგია, როცა თავისუფალი ხარ არჩევანში!

რა კარგია, როცა მხოლოდ ორი მოსიყვარულე გული წყვეტს და სახავს მომავლის პერსპექტივებს!.. ვერავინ ვერ ჩაერევა, ვერ დაგტუქსავს, ვერ აგიკრძალავს საყვარელ ადამიანთან შეხვედრას. ვერ გიკარნახებს პირობებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი წრფელი სიყვარული და საყვარელი ადამიანი უსაფუძვლოდ და უაზროდ დამიწუნეს. სხვისი კარნახით ქალი გამირიგეს. არავის აინტერესებდა, მინდოდა კი ის ქალი, მიყვარდა კი, მსურდა მასზე ქორწინება თუ არა, შემეძლო კი მთელი ცხოვრება გამეტარებინა ადამიანთან, რომელიც არ მიყვარდა და ვერც ვერასდროს შევიყვარებდი. შვილების გაჩენასაც ხომ შენი სურვილით ვერ დაგეგმავ. პირველ რიგში, ბაბუის და მამაჩემის ახირება იყო, - ბიჭი, მემკვიდრე სჭირდებაო ოჯახს და ექვს წელიწადში ოთხი გოგონა გააჩინა ცოლმა.

ჩემს ფსიქიკაში, სულიერ სამყაროში, ცხოვრების აღქმასა და ფასეულობებში ძირეული გარდატეხა ხდებოდა. ვგავდი ჩიტს, რომელიც ოცდაშვიდი წელია გალიაშია გამომწყდეული. ახლა გალიის კარი ღიაა...

გინდა, ჩემო სულის იადონო, გამოფრინდე გალიიდან?

გინდა, დააღწიო თავი ტყვეობას და დატკბე თავისუფლებით?

თუ გინდა, რომ ისევ ჩაირაზოს გალიის კარი და სამუდამოდ დარჩე გამოკეტილი.

რა სჯობს, თავისუფლებას და წრფელ სიყვარულს, თუ ისევ გალია, თუგინდ ოქროსი, მაგრამ მაინც გალია...

ასე ვფიქრობდი მაშინ. ჩემს გახურებულ გონებას და აფორიქებულ გულს უნდა მიეღო გადაწყვეტილება - დავრჩე რუსეთში, თუ წავიდე საქართველოში? რომელი ავირჩიო - თავისუფლება და თავისუფალი არჩევანის უფლება, თუ მამის დიქტატი და უზარმაზარი პასუხისმგებლობა ცოლ-შვილის და ოჯახის წინაშე... უსიყვარულო და უსურველი.

ღამე თითქმის თეთრად გავათენე,ვბორგავდი.

თავი XVI

კორნელი დილიდანვე უჩვეულო ხასიათზე იყო. ყველაფერს ხალისით აკეთებდა. ადრე ამაზე მთელი ომი გვქონდა. დაალაგა ოთახი, გადაფერთხა ფარდაგები და ჩაიც კი მოამზადა და მომართვა საწოლში.

გაკვირვებულმა ვკითხე, - კორენ, მოხდა რამე?

მან რომელიღაც სიმღერის მოტივი წაიღიღინა და მომახარა:

- ჩემო კოტე, მგონი, იცნობ სასურსათო მაღაზიის გამყიდველს, ტატიანა პეტროვნას, მაღალი რომაა, ქერათმიანი.

ვიცნობ-მეთქი, დავუდასტურე და ვკითხე, - მერე შენ რა?

- როგორ თუ რა... ტატიანა მეგობრობაზე დამთანხმდა. გუშინ ერთად ვიყავით კინოში. მოგვიანებით კი კაფე-ბარში შევიარეთ და ცოტა მოვილხინეთ. წარმოგიდგენია, ვაკოცე კიდეც. - ისეთი აღტაცებით და პათოსით მიყვებოდა, თითქოს მერვეკლასელი იყოს ოცდაათი წლის ვირი - მოსწრებული შვილებისა და ცოლის პატრონი. თუმცა მე ნაკლები მემართება? - გამკენწლა გულში. მაქვს კი უფლება, კორნელის საქციელი გამიკვირდეს ან მისი ქცევები არ მომეწონოს? ღმერთო, ეს რა გვემართება, მოჯადოვებულებივით ვიქცევით, სინამდვილეს ანგარიშს არ ვუწევთ.

ვკითხე მხოლოდ:

- ბიჭო, ტატიანა ხომ არ შეგიყვარდა?

კორნელი დადუმდა, ჩაფიქრდა, კეფა მოიქექა და თქვა:

- ჯერ სიყვარულისა რა მოგახსენო, მაგრამ ძალიან მომწონს, მასთან ისე თავისუფლად და ბედნიერად ვგრძნობ თავს...

აი ასე... ესეც მეორე გიჟ-ვრაცუა...

ეტყობა, მანაც შეამჩნია ჩემი ხასიათის ცვლილებები და ვითომ, სხვათაშორის, იკითხა:

-კოტე, სიმართლეს გეტყვი, წუხელ უცნაურად იქცეოდი. ოთახში შემოსულმა სიტყვაც არ მითხარი, ისე ჩაწექი ლოგინში. მთელი ღამე ბორგავდი, ხან დიანას უხმობდი, ხან ნატაშას... ერთი პირობა შემეშინდა, ავად ხომ არ გახდა, მაღალი სიცხე ხომ არ აქვს და აბოდებს-მეთქი. რა მოგივიდა, რა ხდება შენს თავს, რით შემიძლია დაგეხმარო?

ვიცოდი, კორნელი მიამიტი და მიმნდობია, მაგრამ სიტყვის შენახვაც იცის. მით უმეტეს, თუ ეს პირად ცხოვრებას ეხება. მასაც უყვარს ცუღლუტობა და "აკრძალული ხილი".

ჩავფიქრდი.

უცებ მომინდა, ვინმესთვის მომეთხრო ჩემი განცდების შესახებ, გამეზიარებინა ჩემი გრძნობები... შეძლებს ვინმე, ასეთ საქმეში რჩევა მომცეს? გადავწყვიტე, მოკლედ გავაცნო კორნელის ჩემი გულისნადები.

- კორნელი, დიანა თუ გახსოვს, ჩემი ბავშვობის სიყვარული და გატაცება?- ვკითხე, თან თვალებში ჩავაცქერდი.

-კი, - დამიდასტურა, თან დააყოლა, - მაშინ მამაშენმა გაიგიჟა თავი, თორემ ვინ იცის, საყვარელ ადამიანთან რა ბედნიერი იქნებოდი, იქნებ, ცხოვრებაც სხვანაირად აწყობილიყო. - თქვა, ამოიოხრა და უჩვეულოდ დადუმდა.

ახლა კი ცხადად ვიგრძენი, პირად ცხოვრებაში კორნელიც არ ყოფილა ბედნიერი.

ცოტა ხანს დუმდა, შედეგ თვალი თვალში გამიყარა და მკითხა:

- კი, მაგრამ დიანა რამ გაგახსენა, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რამდენმა წყალმა ჩაიარა?

- მართალი ხარ, ჩემო კორნელი, მაგრამ ვაჟკაცურად მიპასუხე, სასწაულის გჯერა?

ჩაფიქრდა, თავი გადააქნია და მიპასუხა:

- სიმართლე გითხრა, არა... მაგრამ ხომ გაგიგონია, ღვთის გზები და ზრახვანი შეუცნობადია. სასწაული თეორიულად დასაშვებიცაა.

- ჰოდა, ჩემო კორნელი, მოხდა სასწაული. ერთი კვირის წინათ დიანას შევხვდი. უფრო სწორად ახალგაზრდა ქალს, რომელიც დიანას ტყუპისცალი გეგონება... ერთი სიტყვით, ძველი და წრფელი სიყვარულ გამიახლდა... თავი დავკარგე, არ ვიცი, როგორ მოვიქცე, რა მოვუხერხო გულს, როგორ მოვერიო გრძნობებს. ცოლშვილიანი კაცი ვარ, მშობლების ერთადერთი ვაჟიშვილი. იცი, როგორი ხასიათის კაცია მამაჩემი და ისიც, რომ ცოლი ჩემი ნების წინააღმდეგ შემრთო... არ ვიცი, როგორ მოვიქცე, გავგიჟდები, მგონია, - ვთქვი და დამნაშავე ბავშვივით თავი ჩავკდე.

ერთხანს ორივე ვდუმდით. მდგომარეობიდან მიშა ბიძიამ გამოგვიყვანა - ავტოფარეხში გვიხმობდა.

გარაჟში უკვე მთელი ბრიგადა შეკრებილიყო.

ბრიგადირმა გამოგვიცხადა:

- კიდევ ორი ეშელონი დაგვრჩა დასატვირთი. ჩვენ ბოლო შემადგენლობით წავალთ სახლში. გადაწყვიტეთ, ვის რამდენი თივა გინდათ შინ გასაგზავნად, რომ შესაბამისი თადარიგი დავიჭირო. არენდით აღებულ მოწყობილობა-დანადგარებს აქვე ჩავაბარებთ, საქართველოდან ჩამოყვანილ სატვირთო მანქანა-ტრაქტორებს მოვამზადებთ და თან წავიღებთ. გაფრთხილებთ ყველას, თუ ვინმეს აქვს აქაურებთან დავალიანება, ან სხვა პირობა, მოაწესრიგეთ ყველაფერი. არ მინდა, უპატიოსნო ხალხის სახელი დავიგდოთ. უკან მოსაბრუნებელი პირი დავიტოვოთ. შესაძლოა, კიდევ მოგვიწიოს აქ მივლინებით ჩამოსვლა, - თქვა და რატომღაც მე გადმომხედა.

არ მეამა, მაინცდამაინც ჩემზე რომ შეაჩერა მზერა.

* * *

უამინდობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ყოველ საღამოს ნატაშასთან ვატარებდი. გავუშინაურდით ერთმანეთს. ბავშვები მომენდნენ. მიყვებოდნენ ბაღის ამბებს და უხაროდათ, როცა მუხლებზე დასმულებს ზღაპრებს ვუყვებოდი.

ნატაშა კატეგორიულია, კოცნის ნებასაც კი არ მაძლევს. პირობა უცილობელია - სერიოზული ურთიერთობები ჯერ ნაადრევია. სარეცელს მხოლოოდ კანონიერ ქმარს ვუყოფდი და შემდეგშიც ასეც იქნებაო. რუსია, მაგრამ კავკასიელების გარემოცვაში გაზარდილი, დედის ძუძუსთან ერთად შეთვისებული აქვს პატიოსნების და ქალის ღირსების ფასი. ესმის, რომ მშობლების წინაშე ვალდებულებები მაქვს. იცის, რას ნიშნავს ქართულ ოჯახში ვაჟიშვილი, მით უმეტეს ერთადერთი. ისიც კარგად გაეგება, რომ ქართველებს განსაკუთრებით გვიყვარს მშობლიური მიწა-წყალი და გვეძნელება მასთან განშორება.

ნატაშა მართალია, მაგრამ ჩემი წარსულის შესახებ ბევრი რამ არ იცის, არც ის, რომ ცოლ-შვილი მყავს, თორემ, დარწმუნებული ვარ, სათოფეზეც არ გამიკარებდა.

ერთი რამეც არ იცის - პატრიოტიზმი ნიჭია, განსაკუთრებული თვისება, ამიტომ ამ ფენომენს ყველას ვერ მოსთხოვ.

ვარ კი მე პატრიოტი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი XVII

როგორც იქნა, გამოიდარა.

შემოდგომის მზე ისე აღარ ათბობდა, მაგრამ საველე გზები მალე გამოშრა და შესაძლებელი გახდა ნამჯის გამოზიდვა. ჩვენც თავდაუზოგავად ვმუშაობთ. ყველა, ეშურება, რათა საქმეს დროზე მორჩეს. ენატრებათ ოჯახი, ახლობლები, სოფელი, საერთოდ, სამშობლო. ამას არც მალავენ. ემზადებიან, ყიდულობენ საჩუქრებს, სუვენირებს. ერთი ეშელონი უკვე გავგზავნეთ. მეორის დატვირთვაც თითქმის დავასრულეთ. ავტომანქანები და ტრაქტორები მოვამზადეთ. მათ გადაყვანას და რკინიგზის ვაგონების პლატფორმებზე მოწყობა-დამაგრებას თითქმის მთელი დღე მოვანდომეთ. მეურნეობას ჩავაბარეთ არენდით აღებული შენობა-ნაგებობები და ტექნიკა-დანადგარები. ყველა პირობა და ანგარიში პარტნიორებთან გავასწორეთ.

მეორე დღეს გასვლა გვაქვს.

ბრიგადირმა გამოსამშვიდობებელი წვეულების გამართვა გადაწყვიტა. კაფე-ბარი დავიქირავეთ, პურ-მარილი შევუკვეთეთ. დაბის და მეურნეობის ღირსეული ხალხი მოვიწვიეთ.

სამზადისს რომ მოვრჩით, დავბრუნდით საერთო საცხოვრებელში. ჩვენც უნდა მოვემზადოთ და მოვიწესრიგოთ თავი.

ბიძაჩემმა ჩვენს ოთახში შემოიხედა და თავისთან მიხმო, სალაპარაკო მაქვსო. პირისპირ დამსვა და ყოველივე მიკიბ-მოკიბვის გარეშე მითხრა:

- კოტე, შენ ჩემი დისშვილი ხარ, ღვიძლი შვილივით მიყვარხარ და მუდამ ასე იქნება. ვიცი და მსმენია ნატაშას შესახებ, ისიც ვიცი, რომ შეგყვარებია. უცოლ-შვილო რომ იყო, გაგიგებდი, მაგრამ შენ გყავს მეუღლე და ოთხი შვილი, თანაც ქალიშვილები. მათ განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა და მიხედვა სჭირდებათ. ნუ დააობლებ მათ. ნუ აატირებ ცოლ-შვილს. ნუ დაჩაგრავ საწყალ დედაშენს, ცოცხლად ნუ დამარხავ. მას ისიც ეყოფა, მამაშენის ხელში რომ ერთი ბედნიერი დღეც არ ღირსებია. მამაც შეიბრალე, ბაბუაც. მოხუც კაცს ნუ მოუწამლავ სიბერეს. კი იცი, რომ შენზე ამოსდის მზე და მთვარე. მამაშენსაც თავისებურად უყვარხარ. ბევრი მტერი ჰყავს. მართალია, უმეტეს წილად მისი უგვანო საქციელის გამო, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინო, რომ მისი სიმკაცრე და სიფრთხილე, ძირითადად, თქვენი სიკეთისა და უსაფრთხოების გამოა. ეშინია შურისძიების, ამიტომ თქვენს ქცევებზე კონტროლი და სიფრთხილე ხშირად სისასტიკესა და დესპოტიზმში გადაუდის. ისიც ვიცი, რომ ერთი დღე არც შენ დაგანახა, მაგრამ არ დაგავიწყდეს, ის შენი მამაა, შენ კი მისი ერთადერთი ვაჟიშვილი, ოჯახის იმედი და მომავალი მარჩენალიც და ბატონ-პატრონიც. რას იზამ, ადამიანი ღმერთმა ტანჯვისთვის გააჩინა, ყველამ ჩვენი წილი ტვირთი უნდა ვზიდოთ და ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ავიღოთ საკუთარ თავზე. გემუდარები, შვილო, გამოუსწორებელი ნაბიჯი არ გადადგა, არ დაღუპო ოჯახი. მეც შემიბრალე, შენი რუსეთში წამოყვანა ჩემი იდეა იყო, მე მენდო მამაშენი და აქ წამოსვლის ნება მოგცა... იცი მისი ხასიათი, ყველაფერს მე დამაბრალებს, არ მაპატიებს... არანაირ არგუმენტს არ მოისმენს, არც იმას, რომ ყოველივე პირადად შენ გადაწყვიტე. მე და დედაშენს დაგვბრალდება. ნუ გაგვწირავ. მე ჯანდაბას, შეიბრალე დედაშენი. საწყალს საყვედურებით აავსებს, სიცოცხლეს გაუმწარებს, როგორც იმ კაცის ძმას, რომელმაც არაფერი იღონა, რომ მის ერთადერთი ვაჟიშვილი სახლში დაბრუნებულიყო... იფიქრე ამაზე. - თქვა, თვალები აუწყლიანდა, მომეხვია და ასე ერთ ხანს გაინაბა.

არაფერი მითქვამს. ჩემი დარდის, განცდების და ნატაშას სიყვარულის შესაქხებ ვერც ვერაფერს ვეტყოდი. ყველაფერი ნათლად წარმოვიდგინე. ერთი წუთით, ჩემდა საუბედუროდ, მხოლოდ ერთი წუთით, ბაბუა, დედა, ბიძა და ცოლ-შვილი შემეცოდნენ. გრძნობამორეულმა დავამშვიდე და შევეცადე დამერწმუნებინა, რომ ცუდს არაფერს ვფიქრობდი.

ბანკეტი შეუდარებელი გამოგვივიდა. მხიარული და უხვპურმარილიანი. მე კი ქეიფს გული ვერ დავუდე, ნატაშასთან მეჩქარებოდა. როცა ყველა შეზარხოშდა და აცეკვდა, დრო ვიხელთე და სატრფოს სახლისკენ გავეშურე. ხმაგაბზარულმა გავუმხილე, ხვალ მივდივართ საქართველოში-მეთქი და თვალები დამენამა. ნატაშასაც აემღვრა თვალები, მომეხვია, თავი მკერდზე მომადო და აქვითინდა. ერთხანს ასე ვიყავით. ბოლოს გამოერკვა, უხმოდ გავიდა სამზარეულოში, ჩაის მოვამზადებო. მეც შევყევი და მძიმედ დავეშვი სკამზე. ჩაის უგემურად შევექცეოდი.

- ჩემო ნატალი, იცი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცე, მირჩიე რაიმე?.. - მივაპყარ სევდიანი თვალები.

ჩაფიქრდა, გაირინდა. გონებაში რაღაცას ზომავდა და წონიდა.

- კოტე, საყვარელო, სიმართლეს გეტყვი, სერიოზულად და გულწრფელად შემიყვარდი, მაგრამ რეალობა უნდა გავითვალისწინოთ და საღი გონებით შევხედოთ: შენ სამშობლოში უნდა წახვიდე, იქ მშობლები და ახლობლები გელოდებიან, მათ სჭირდები. ამ საქმეში ცუდი მრჩეველი ვარ. აქუარი რომ ყოფილიყავი, შევძლებდი, მებრძოლა ჩემი სიყვარულისთვის, მაგრამ ამ სიტუაციაში გამოსავალს ვერ ვხედავ, ვერც აქ დარჩენას გირჩევ, სხვის უბედურებაზე ჩემს ბედნიერებას ვერ ავაგებ, მე ყველაფერი მესმის, მე ხომ დედა და ქალი ვარ, - ადგა, მაგიდას შემოუარა და ხელები კისერზე მომხვია, მომეფერა, შუბლზე მაკოცა. ლოყაზე მისი თბილი ცრემლი დამეცა.

გიჟივით წამოვვარდი, ტუჩებში ჩავეკონე და ხელში ატაცებული შევიყვანე საძინებელ ოთახში. წინააღმდეგობა არ გაუწევია...

მზიანი დილაა.

კედელზე მზის პირველი სხივების ციაგი ირეკლება.

ბედნიერი და ჟინმოკლული ვიღვიძებ. მკლავზე ნატაშას თავი მისვენია, ქერა თმის კუკულები მიმობნეულია ჩემს მკერდზე. მთელი ტანით ვგრძნობ მისი ნაზი, ფუმფულა სხეულის ყველა ნაკვთს. თავი სამოთხეში მგონია. უფალო, არსებობს კი ძალა ან ვალდებულება, ამ სინაზესა და ღვთაებას დამაშოროს?..

ნატაშასაც გაეღვიძა, დილა მშვიდობისა მისურვა, ლოყაზე მაკოცა და წამოდგომა დააპირა. მისი სილამაზით და სინაზით მოხიბლული ჩავეკონე ტყჩებში. მეტიც მინდოდა, მაგრამ მომესმა ნიკას წკრიალა ხმა, დედიკო საუზმე გვინდაო.

ნატაშამ მომიბოდიშა. ადგა, მოიცვა ხალათი და ოთახიდან გავიდა. მეც ცოტა ვინებივრე სანუკვარ და სანატრელ ლოგინში, შემდეგ კი გავედი შხაპის მისაღებად. ნატაშას სკოლაში ეჩქარებოდა, თანაც ბავშვები იყვნენ ბაგა-ბაღში მისაყვანი. დახმარება შევთავაზე, მაგრამ ნატაშამ იუარა, მეზობლები ცუდად გაიგებენო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, დამუნჯებული და გონებაარეული დავუბრუნდი რეალობას.

საერთო საცხოვრებელში, თურმე, კორნელისაც არ გაუთევია ღამე. ისიც ტატიანას საწოლში ნებივრობდა.

საათს დავხედე და უსიამოდ შევიშმუშნე: ნახევარ საათში რკინიგზის სადგურში უნდა ვიყოთ. მალე მოსკოვი-ბათუმის მატარებელი ჩამოდგება.

მექანიკურად ვიქცეოდი. ანგარიშმიუცემლად ჩავალაგე ბარგი. მოვათავსე წინასწარ ნაქირავები ავტობუსის საბარგულში და ბრიგადის სხვა წევრებთან ერთად დავტოვე დაბა გორკოვსკოე - ჩემი ნამდვილი სიყვარულის მშობელი და აკვანი.

კუპეში მე და კორნელი ერთად ვართ. ბიძაჩემი, ისევე როგორც ჩვენი ბრიგადის წევრთა უმეტესობა, გაუსაძლის ნაბახუსევზე არიან. მალევე მოეწყვნენ და პურ-მარილიც გაჩაღდა. მე არც დალევა მინდოდა და არც საჭმელი, მთელი არსებით ნატაშასთან ვიყავი, მხოლოდ მასზე ვფიქრობდი.

გამთენიისას ჩვენმა მატარებელმა ქალაქ ტუაფსეს სადგურს მიაკივლა.

ესეც ნიკოფსია - ისტორიული საქართველოს კარიბჭე.

ფიქრი არ მასვენებს, უნდა გადავწყვიტო - ან ახლა, ან არასოდეს.

დიანას ორეული მიდგას თვალწინ. მხოლოდ ის მახსოვს, მხოლოდ მისი ხატება მეცხადება. ფიქრებში ბოლომდე გავაანალიზე ყველაფერი, გავითავისე შექმნილი რეალობა და მივხვდი, უფრო სწორად საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ნატაშას გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. უმისოდ ფასი არაფერს აქვს. ისაა ჩემი ცხოვრების აზრი და ბედნიერი მომავალი.

ვრჩები რუსეთში, ნატაშასთან ...

ჩუმად გამოვედი კუპედან. ვაგონში ჩამიჩუმი არ ისმის. მხოლოდ გამცილებლის კუპეს კარია ღია, ეტყობა, გაჩერებისთვის ემზადება. შევბრუნდი კუპეში. კორნელის ზურგშექცევით სძინავს. უხმოდ ამოვალაგე ბარგი და ვაგონიდან ჩასასვლელად მოვემზადე.

აი, ტუაფსეს რკინიგზის სადგურიც.

მატარებლიდან ჩამოვხტი. სასწრაფოდ დავტოვე ბაქანი. არ მინდა, რომელიმე ჩვენიანმა დამინახოს. კაფეში შევედი და მატარებლის გასვლას დაველოდე.

მშვიდობით საქართველოვ, დედასამშობლოვ, მშვიდობით...

მშვიდობით...

ასე და აქ დაესვა წერტილი ჩემი ცხოვრების ამ ეტაპს. ბედის ირონიაა, ალბათ, ჩემი ცხოვრების ქართულ ეპოპეას წერტილი ქალაქ ტუაფსესთან დაესვა. დაიდო წითელი ზღვარი - ჩემი წარსულისა და მომავლის წყალგამყოფი. მაშინ არავისზე და არაფერზე არ ვფიქრობდი.

როგორც იქნა, მატარებელი გავიდა სადგურიდან. მისი კივილი დღესაც ყურებში ჩამესმის, ვით დიდი საყვედურის გამოძახილი...

ქალაქში გაჩერებაზე არც მიფიქრია. ვიქირავე ტაქსი, საბარგულში ჩავალაგე ჩემი ხაბაკხუბაკი და, ის იყო, ჩაჯდომას ვაპირებდი, რომ ნაცნობმა შემახილმა შემაჩერა. ეს კორნელი იყო. ისიც ჩამომხტარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებლიდან. რა აზრი ჰქონდა საყვედურს. ორივე ერთ ცოდვას ჩავდიოდით. ჩავსხედით მანქანაში, მივედით ავტოსადგურში და პირველივე ავტობუსით გავსწიეთ კროპოტკინისკენ

თავი XVIII

კროპოტკინში ღამე სასტუმროში გავათიეთ, დილით კი დაბა გორკოვსკოეს მივაშურეთ. კორნელი მაღაზიაში ტატიანასთან გაიქცა, მე კი გულმა არ მომითმინა და საყვარელ ქალს სკოლაში მივაკითხე. შესვენების დროს დერეფანში შევხვდით.

გაკვირვებისგან გაფართოვებულ ნატალიას თვალებს რა დამავიწყებს...

მოკლედ ავუხსენი ყველაფერი.

- ჩემო სიყვარულოო, - წამოიძახა და კისერზე ჩამომეკიდა.

სკოლის დირექტორის გამოჩენამ შეგვაწყვეტინა ალერსი.

ნატალიამ დაიმორცხვა და ცუდ საქციელზე წასწრებულ მოწაფესავით თავი ჩაქინდრა. დირექტორი მიხვდა ყველაფერს, თავაზიანად მოიბოდიშა და თავისი გზით წავიდა.

ნატალიამ, პატარა გოგონასავით აღფრთოვანებულმა და აცქვეტინებულმა, ლოყაზე მაკოცა, ბინის გასაღები ჯიბეში ჩამიცურა, სახლში დამელოდეო,- მითხრა და სამასწავლებლოსკენ გაიქცა...

ნატალია შეყვარებულის მზერით მივაცილე ოთახამდე და ნელი ნაბიჯებით კიბეს დავუყევი. ნატალიას ბინაში. ყველაფერი საუცხოო და მშობლიური მეჩვენა. უმნიშვნელო ნივთებსაც კი ფასი დაედო.

ვინც ნამდვილად შეყვარებულია, აუცილებლად გამიგებს.

სული მოვითქვი. მივწექი დივანზე და ისევ ფიქრებმა წამიღო. ამეკვიატა კითხვა: ჩემი საქციელი ბედისწერა იყო, ღვთის განგება თუ ჩემი თავისუფალი ნების გამოვლენა?

მე ასე ვფიქრობდი: სამყარო უფლის თავისუფალი ნებით შეიქმნა და თავადაც, თავისუფალი ნებით აღჭურვილმა, ადამიანსაც თავისუფალი ნება მიანიჭა. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონვე ვართ ჩვენი ბედის მჭედელი და მომავალსაც თავადვე ვიქმნით. ჩვენვე მიგვყავს თავი იმ შედეგამდე, რაც შეიძლება აღარც მოგვწონს, მაგრამ შეცვლას ვეღარ ვახერხებთ. ასე რომ, ადამიანი რობოტი არ არის, წინასწარ ჰქონდეს ყველაფერი დაპროგრამებული. ასეთ შემთხვევაში ჩვენი ყოველდღიური შრომა და მცდელობა აზრს დაკარგავდა. ვიქნებოდით მხოლოდ ბედისწერის მექანიკური ობიექტები და ჩვენზე აღარ იქნებოდა დამოკიდებული, რომ სიცოცხლე მშვენიერი გავხადოთ. მე ჩემი თავისუფალი ნება გამოვხატე და სიყვარულს მივენდე.

ჩემი დაბრუნება ბავშვებსაც ძალიან გაუხარდათ. დაწოლამდე მეთამაშებოდნენ და ბაღის ამბებს მიამბობდნენ. სიხარულის მეათე ცაზე ვიყავით. ნატალიამ ბავშვები რომ დააძინა, სახელდახელოდ სუფრა გაშალა, შამპანიურიც არ დაივიწყა. მომეფერა და მკითხა:

- ჩემო კოტე, მინდა, სიმართლე ვიცოდე: რატომ ჩამოხტი მატარებლიდან და უარი თქვი სახლში დაბრუნებაზე? ჩვენს მიმართ რა გეგმები გაქვს?.. მგონი, გესმის, რომ ადამიანის ბედით, მით უმეტეს ბავშვების ბედით არ თამაშობენ. ისინი მიგეჩვივნენ. შემდეგში, ალბათ, შენს მიმართ გრძნობებიც გაუჩნდებათ. ერთხელ სტრესი უკვე გადაიტანეს, როცა მათი მამა სახლიდან წავიდა. მაშინ სულ პატარები იყვნენ. არ მინდა, ერთ მშვენიერ დღეს შენც გაუჩინარდე. ჩემზეც იფიქრე, პატარა გოგო დიდი ხანია აღარ ვარ, - თქვა და თვალი თვალში გამიყარა.

ყველაფერი უკვე ნააზრევი და მოფიქრებული მქონდა. მოკლედ ავუხსენი ჩემი გადაწყვეტილება და შევპირდი, რომ აუცილებლად ვიქორწინებთ და შევქმნით ბედნიერ ოჯახს. ნატალია ჯერ უნდობლად მიყურებდა, მაგრამ სიტუაციის გაანალიზების შემდეგ დარწმუნდა, რომ მე სერიოზული და გულწრფელი ვიყავი. როგორც იტყვიან: გული გულს და ხელი ხელსო... ბედნიერები ჩავეხვიეთ ერთმანეთს.

საამური დილა გაგვითენდა. ფიქრი აღარ მინდა. დავიღალე. მსურს, ბედნიერებით და სიყვარულით დავტკბე.

ვისაუზმეთ. ბავშვები ბაგა-ბაღში მივიყვანეთ და სადაბო საბჭოს აღმასკომის შენობისკენ გავემართეთ. მდივანმა გულთბილად მიგვიღო და პასპორტის წარდგენა მთხოვა. პასპორტში ოჯახური მდგომარეობის შესახებ არაფერი მეწერა. ისიც ვიცოდი, რომ ჩემი ოჯახური მდგომარეობის შესამოწმებლად საქართველოში შეტყობინების გამგზავნი არავინ იყო. საეროდ, რუსები კანონმორჩილი ხალხია, ვერ წარმოიდგენენ, პირი რეგისტრირებულ ქორწინებაში იყოს, პასპორტში კი სათანადო აღნიშვნა არ ჰქონდეს გაკეთებული.

მდივანმა პასპორტი შეისწავლა, კმაყოფილმა რაღაც ჩაილაპარაკა და ყოველი შემთხვევისთვის მკითხა:

- საქართველოში სამოქალაქო ქორწინებაში ხომ არ იმყოფებით?.

- როგორ გეკადრებათ-მეთქი, - ვიცრუე.

რუსეთში დღესაც ძნელად სჯერათ, რომ ტრადიციულ საქართველოში ჯვრისწერით ან სხვა რელიგიური წესით ქორწინებას უფრო დიდ ყურადღებას ანიჭებენ, ვიდრე კანონით რეგისტრირებულს. მე კი ჯვრისწერითაც და სამოქალაქო კანონმდებლობითაც რეგისტრირებულ ქორწინებაში ვიმყოფებოდი, ოღონდ, სათანადო ორგანოს, თავის დროზე, პასპორტში აღნიშვნის გაკეთება გამორჩა. ერთი სიტყვით, ქორწინების რეგისტრაციაზე განცხადება შევიტანეთ.

მდივანი დაინტერესდა:

- კონსტანტინ შოტაევიჩ, ბავშვების ბედზე თუ გიფიქრიათ?

ამაზე მე და ნატალიას მართლაც არ გვიფიქრია, საუბარიც არ გვქონია.

- მოვიფიქრებთ-მეთქი,- ვთქვი და ნატალიას გადავხედე. მანაც თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა.

განცხადება შევიტანეთ. ერთი თვის შემდეგ ხელს მოვაწერთ.

შეუდარებლად ბედნიერები ვართ...

* * *

ეს დღეც მალე მოვიდა. საგანგებოდ მოვიწვიეთ: სიმამრი - ვასილი სერგეიჩი, სიდედრი - როზა ალექსეევნა, სიმამრის ძმა - პეტრე სერგეიჩი, ცოლის და - გალინა. რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარი - კორნელი ფუტურომეც არ დამვიწყწებია, თავის ტატიანასთან ერთად. საქორწილო სუფრა იმავე კაფე-ბარში გავშალეთ, სადაც ბიძაჩემმა გამოსამშვოდობებელი საღამო გამართა. საქორწილო ცერემონიალისა და სუფრის თავკაცობა კორნელიმ იკისრა. საგანგებოდ მოსაწვევები დავუგზავნეთ სადაბო საბჭოს თავმჯდომარეს, მეურნეობისა და სკოლის დირექტორებს, ასევე ნატალიას მეგობარ რამდენიმე პედაგოგს და მეზობელს.

ხელმოსაწერად საზეიმოდ გამოწყობილები გამოვცხადდით სადაბო საბჭოს შენობაში. საერთო გადავწყვეტილებით ბავშვებს ვიშვილებ კანონის სრული დაცვით. შესაბამისი ფორმალურობანი საზეიმოდ ჩატარდა. ასე გავხდი ახალი ოჯახის ბატონ-პატრონი: მეუღლე - ხოშორაძე ნატალია ვასილის ასული, ვაჟიშვილი - ხოშორაძე ევგენი კონსტანტინეს ძე და ქალიშვილი - ხოშორაძე ვერონიკა კონსტანტინეს ასული. ამით ვიტვირთე მთელი რიგი უფლება-მოვალეობანი. სიმართლე გითხრათ, ერთხანს გამიჭირდა ახალ ყოფასთან შეგუება, მაგრამ სიყვარული, თურმე, ყველაფერს შეაძლებინებს კაცს.

რუსული ტრადიციების კვალობაზე ჩვენს საქორწილო სუფრას არაფერი დაეწუნებოდა. კორნელი თამადობდა. ცეკვა-თამაში და ხმაურიანი პურმარილობა გვიანობამდე გაგრძელდა. ყველა კმაყოფილი იყო. ახალშეუღლებულებს დაბის თავკაცები დახმარებას შეგვპირდნენ. მეურნეობის დირექტორმა ნიკოლოზ ვლადიმეროვიჩმა იცოდა, რომ მე მძღოლი ვიყავი დ საზეიმოდ გამოაცხადა:

- მეგობრებო, კარგად ვიცნობ კონსტანტინეს ბიძას, პატიოსან და მშრომელ კაცს - ამხანაგ მიხეილს. ყველასთვის საქვეყნოდაა ცნობილი ქართველი კაცის ერთგულება, მუყაითობა და გამრჯეობა. ვულოცავ კონსტანტინეს გაბედნიერებას, ჩვენთან დამკვიდრებას და ჩვენი დაბის სრულუფლებიან მოქალაქეობას. მინდა გაცნობოთ, დღეიდანვე მეურნეობის მძღოლის შტატში ჩაირიცხება, მასზე გაპიროვნდება ახალთახალი სატვირთო მანქანა-ხორბალმზიდი, - თქვა და არყით სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა.

დირექტორის გადაწყვეტილებას ტაშით შეხვდნენ. ვიღაცამ "გორკა" დაიძახა. ჩვენც მორიდებით ავდქით და გრძნობამორეულებმა და წაქეზებულებმა ჩავაკონეთ ტუჩები ერთმანეთს. გაბანგული და გაბრუებული ბედნიერების მეასე ცაზე ავიჭერი.

სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ - ალექსანდრე კირილიჩმა მეურნეობის დირექტორს ტოლი არ დაუდო, ჭიქა არყით ბოლომდე შეავსო, თამადას სიტყვა ჩამოართვა, წამოდგა და ჩემს მეუღლეს მიმართა:

- ნატალია ვასილევნა, რამდენოთახიან ბინაში ცხოვრობთ?

ნატალიამ სერიოზული სახე მიიღო, ეშმაკურად ჩაიცინა და უპასუხა:

- ოროთახიანია, მაგრამ გვეყოფა, - რუსული ანდაზაც დააყოლა -"შემჭიდროებულად, მაგრამ არა ნაწყენობითო."

დაბის თავკაცს მოეწონა ჩემი მეუღლის მოკრძალებული პასუხი და საზეიმოდ გამოაცხადა:

- ახალშეუღლებულებო! კონსტანტინ შოთას ძევ! იმის გათვალისწინებითაც, რომ ასე სულგრძელად მოიქეცით და ნატალიას ბავშვები იშვილეთ, დაბის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით თქვენ გადმოგეცათ სამოთახიანი ბინა. იცხოვრეთ და გამრავლდით! -დაგვლოცა და საზეიმოდ გადმომცა ბინის გასაღები.

ისევ იქუხა მოწონების შეძახილებმა და ტრადიციულმა "გორკამ..."

საზეიმო სუფრა გვიანობამდე გაგრძელდა...

თავი XIX

მილოცვები და სადღესასწაულო განწყობა თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა.

უკვე ცოლიც მყავს და ორი შვილიც. დიდ ოჯახს რჩენა უნდა. სამუშაო უნდა დავიწყო, თანაც ახალ ბინაში გადავბარგდე.

თუ კარგი რამის მოპოვება გინდა, ამისთვის უნდა იბრძოლო და გაისარჯო, ისე არავინ არაფერს მოგცემს. თუ ხელი არ გაანძრიე და არც შნო გაქვს, ვერასოდეს ვერაფერს მიიღებ. როგორ შეიძლება ეჭვით და შიშით ცხოვრება, რამე არ მოხდეს, არ წავაგო, არ ვიზარალოო. ეს ლონდრეების ფსიქოლოგიაა.

მეც სინამდვილეს გავუსწორე თვალი და ჩავები ახალი ცხოვრების ფერხულში.

მივმართე მეურნეობის დირექტორს.

ნიკოლოზ ვლადიმეროვიჩმა თბილად მიმიღო. ყველაფერი მახსოვსო, მითხრა და მდივან-მემანქანე იხმო. ჩაი შეუკვეთა, თან მეურნეობის მთავარი ინჟინრის ხმობა დაავალა.

მდივანმა ჩაი, თეფშზე წვრილად დაჭრილი ლიმონი და ნამცხვარი მოგვართვა.

ნიკოლოზ ვლადიმეროვიჩმა ვრცელ მაგიდასთან ადგილი მომიჩინა და კარადიდან ჭიქები გამოალაგა.

მომენტით ვისარგებლე და საგანგებოდ წამოღებული კონიაკის ბოთლი და ფორთოხალი დავალაგე მაგიდაზე. დირექტორმა კონიაკის ბოთლი აიღო, შეათვალიერა, არჩევანი მომიწონა და ჭიქებში ჩამოასხა. მხარზე ხელი მომხვია. ჩვენს კოლექტივში გაწევრიანებას გილოცავო და ჭიქა გამოსცალა.

მადლობა გადავუხადე და დავლიე. ვისაუბრეთ. ბიძაჩემი გაიხსენა. კარგი კაციაო, დასძინა და შემპარავად მკითხა:

- კოტე, სიმართლე მითხარი, ბიძაშენმა და მშობლებმა თუ იციან შენი გადაწყვეტილებისა და ქორწინების შესახებ?

დავუდასტურე. კიდევ ერთხელ ვიცრუე. ცოტა შემრცხვა, წამოვწითლდი კიდეც, მაგრამ დირექტორს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ეტყობა, კონიაკს დააბრალა. ამასობაში კარი გაიღო და საშუალო ასაკის, მაღალი, გამხდარი, ქერათმიანი მამაკაცი შემოვიდა.

დირექტორმა გაგვაცნო ერთმანეთი.

- ვასილ ალბერტიჩ კნიაზევი, - წარმოთქვა და ხელი გამომიწოდა.

მეც წარვუდექი და ხელი ჩამოვართვი.

ნიკოლოზ ვლადიმეროვიჩმა მესამე ჭიქა დაამატა და მოსულს შესთავაზა. მთავარმა ინჟინერმა ჩაი არ ინდომა, მაგრამ ხალისით დასძინა: კონიაკს დიდი სიამომოვნებით გეახლებითო.

შევავსე ჭიქები.

- ამით თქვენს გაცნობას და საქმიან თანამშრომლობას გაუმარჯოს, - წარმოთქვა დირექტორმა.

ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ და თითქმის ერთდროულად დავლიეთ.

დირექტორმა მთავარ ინჟინერს მოკლედ გააცნო საქორწილო დანაპირების შესახებ და თანაც დასძინა:

- თუ თავი გამოიჩინა, მექანიზატორთა ბრიგადირობის კანდიდატად იგულე.

მესამე ჭიქაც გადავკარით და მე და მთავარი ინჟინერი გამოვედით დირექტორის კაბინეტიდან.

ვასილ ალბერტიჩმა მხარზე ხელი გადამდო და მითხრა:

- კონსტანტინ შოტაევიჩ, თუ დრო გაქვს, ბარემ გარაჟში გადავიდეთ, უფროსსაც გაგაცნობ და შენზე გაპიროვნებული მანქანაც დავათვალიეროთ.

- დიდი სიამოვნებით, როგორც გენებოთ-მეთქი,- ვუპასუხე და წავედით გასასვლელისკენ.

გარაჟი დაბის განაპირას მდებარეობს, საქვაბესა და ხილის საკონსერვო ქარხნის მიმდებარედ. საკმაოდ ვრცელი ფართობი უჭირავს და ბეტონის ბლოკებითაა შემოღობილი.

მთავარმა ინჟინერმა გარაჟის გამგეს წარუდგინა ჩემი თავი და დამოძღვრა:

- აბა, შენ იცი, შეიყვარე და უპატივე კონსტანტინ შოტაევიჩს. შემდეგ მანქანების ბოქსებთან მიმიყვანა, ახალთ-ახალ სატვირთოზე მიმანიშნა, - ესაა ნიკოლოზ ვლადიმეროვიჩის დანაპირები რაშიო და გარაჟის გამგეს შესაბამისი განკარგულებები გასცა.

გადაწყდა, მომავალი სამშაბათიდან ვიბარებ ტექნიკას და ვერთვები შრომითი საქმიანობის ფერხულში.

წამოვედით.

მანქანაში ჩასხდომამდე ვასილ ალბერტიჩმა მკითხა:

- ქართულად შემოკლებით შენი სახელი როგორ იქნება?

- კოტე, - ვუპასუხე.

- კოტეს თუ დაგიძახებ, ხომ არ გეწყინება?!

- როგორ გეკადრებათ, პირიქით, გამიხარდება. - ვუპასუხე.

მანქანაში ჩავსხედით.

- კოტე, იცი, საკონსერვო ქარხნის დირექტორი ქართველია, შენი თანამემამულე, გინდა გაგაცნო?

გულწრფელად გამიხარდა, წესიერ და თანაც დაწინაურებულ თანამემამულეებთან, მით უმეტეს უცხოეთში, გაცნობასა და ურთიერთობაზე რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს. მადლობის მეტი რა მეთქმოდა.

საკონსერვო ქარხნის დირექტორის კაბინეტი საწარმოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზეა. საკმაოდ ვრცელ და გემოვნებით გაწყობილ ოთახში მაღალი, შავგვრემანი, მხარბეჭიანი, თმაშევერცხლილი, მოსული აღნაგობის, ასე 40-45 წლის, გამოკვეთილად ქართული იერის და გამომეტყველების მამაკაცი დაგვხვდა. გულთბილად მიგვიღო. როცა ვასილი ალბერტიჩისგან გაიგო, რომ მისი თანამემამულე ვარ, ძალიან გაიხარა:

- კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, - თქვა და სკამზე მიმითითა. სელექტორით იხმო მდივანი. მის შემოსვლამდე გამომკითხა ვინაობა და სადაურობა. როცა გაიგო, რომ აჭარიდან ვარ, უფრო ეამა.

- მე ბათუმელი ვარ, ჩემი და-ძმა სალიბაურში ცხოვრობენ, - თქვა და სევდიანი თვალები მომარიდა.

მენიშნა, თანაც ცოტა გამიკვირდა: წარმატებული და დაწინაურებული კაცია, ალბათ, ბედნიერი ოჯახიც აქვს, მაშინ მის თვალებში მოწყენილობას და სევდას რატომ დაუდვია ბინა? - გავიფიქრე.

მხოლოდ სიყვარულის ფრთებით დავფრინავდი და რა ვიცოდი, რომ ყოველივე ეს უცხოეთში მცხოვრები ქართველის მუდმივი თანამგზავრია.

მდივან-მემანქანემ შემოიტანა ტკბილეული, ყავა ჯეზვეთი, სამი ფინჯანი, კიდევ რაღაცები.

- ბათუმური ყავის გემო ხომ არ დაგვიწყებია?- მკითხა, არომატული სასმელი ფინჯნებში ჩამოასხა და შემოგვთავაზა. კარადიდან ხუთვარსკვლავიანი კონიაკი, სამი ფუჟერი და შოკოლადის ფილა გადმოალაგა.

ბოთლს წავეპოტინე, სირჩებში დავასხამ-მეთქი, მაგრამ არ დამანება.

- აქ მე ვარ მასპინძელი, - თქვა და სასმისები შეავსო, - ჩემო კოტე, ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე ჩუტიძე გრიგოლ ერასტის ძე ვარ. არ მოგერიდოს, თუ რამე დაგჭირდეს, - მითხრა და ხელი მეგობრულად გამომიწოდა.

ჩემი ოჯახური მდგომარეობის შესახებ კრინტიც არ დამიძრავს, ან როგორ ვეტყოდი ქართველ დარბაისელს,რომ სიყვარულის და ქალის გამო საქართველოში მშობლები და ცოლ-შვილი მივატოვე-მეთქი.

დარწმუნებული ვარ, ბატონი გრიგოლი ვერც გამიგებდა და არც არასოდეს მაპატიებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XX

ერთ საღამოს ნატალია გახარებული მოვიდა სახლში და აღელვებულმა მომახარა:

- იცი, კოტე, სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ პირობა შეასრულა. ორშაბათს, დილით, ახალი ბინის დოკუმენტები უნდა გაფორმდეს. კოტე! წარმოგიდგენია? ახალაშენებულ, კაპიტალურ შენობაში, წყალ-გაზმომარაგებისა და გათბობის თანამედროვე სისტემებით აღჭურვილი, კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა გვექნება!

ქალის აღტაცება მეც გადმომედო. ბავშვებსაც თავისებურად გაუხარდათ. ჩვენი ერთობლივი ცხოვრების პერიოდში ეს პირველი კეთილი და ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო, ამიტომ მისი აღნიშვნა საჭიროდ ჩავთვალეთ.

გავვარდი სასურსათო მაღაზიაში, თან ვიფიქრე, ტატიანას ვნახავ, კორნელის ამბებს ვკითხავ და საოჯახო ზეიმზე დავპატიჟებ-მეთქი. ტატიანა გულთბილად შემხვდა. ყველაფერი რიგზეაო, მითხრა, მაგრამ შევატყვე, რაღაცა აწუხებდა.

- რაიმე პრობლემა ხომ არ გაქვთ? - ვკითხე.

ტატიანამ ჯერ იუარა, შემდეგ კი მითხრა:

- კორნელი უმუშევარია, ვერსად მოეწყო, ოჯახს კი წაადგებოდა, თუ იმუშავებდა.

ტატიანას სახლის ტელეფონის ნომერი ჩავინიშნე. გავამხნევე, რამეს მოვიფიქრებ და კორნელის აუცილებლად დავეხმარები - მეთქი და დავპატიჟე:

- ოჯახური დღესასწაული გვაქვს და თუ გვეწვევით, გაგვიხარდება.

საყიდლები შევიძინე და დავბრუნდი ბინაში.

ნატალია კარგი მეოჯახე და მზარეული გამოდგა. მისი დამზადებული კერძები და ნამცხვრები, მართლაც რომ არ დაიწუნებოდა.

მაგიდა დანიშნულ დროს გაიშალა. კორნელი და ტატიანა მოვიდნენ, მათ ტატიანას ვაჟიც ახლდა, ოლეგი, ასე 10-12 წლის იქნებოდა.

ნატალიამ ბავშვები დააპურა და თავიანთ ოთახში გაიყვანა.

მივუსხედით მაგიდას.

თამადობა კორნელის უფრო ეხერხება, მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, თანაც კორნელი უფრო ენაწყლიანი და მჭერმეტყველია.

სტუმრებს პურობის მიზეზი გავაცანით.

კორნელის ბავშვივით გაუხარდა, ტატიანასა და მის ვაჟს კი, შევატყვე, ძალიანაც არ მოსწონებიათ, მაგრამ არ შეიმჩნიეს... შურიანობა აქაც არ ყოფილა უცხო ხილი...

მხიარული განწყობა სუფევდა.

დავლიეთ, ვიცეკვეთ, ქალებმა წაიღიღინეს კიდეც. კაცები სიგარეტის მოსაწევად აივანზე გავედით. ოლეგი სიტყვამუნწობდა, არ ერეოდა ჩვენს საუბარში, ამიტომ ხშირად ქართულად ვსაუბრობდით.

კორნელის საქმიანობით დავინტერესდი.

ერთხანს დუმდა, მერე ამოღერღა:

- მაინცადამაინც არ მეჩქარება მუშაობის დაწყება.

გამიკვირდა და ვკითხე:

- შენ დალოცვილო, სამადლოდ დიდი ხნით მამაც ვერ გამოგკვებავს და გინდა ტატიანამ, რომლის წინაშეც რაიმე პასუხისმგებლობის აღებას არ გეგმავ, მუქთად გაჭამოს და მოგიაროს?!

აშკარად არ ესიამოვნა ჩემი შეგონება.

- მუშაობამ წელი სახლში მომწყვიტა. მაგას გამოვექეცი და აქ მოვიკლა თავი? - ჩაიდუდღუნა და მეორე სიგარეტს მოუკიდა.

სახტად დავრჩი, თურმე რაში ყოფილა საქმე: ვაჟბატონი მუშაობის და ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით დარჩენილა რუსეთში, მე კი ვიფიქრე, ტატიანას სიყვარულმა გადაადგმევინა-მეთქი ეს ნაბიჯი. მომაგონდა ქართული ანდაზა - "მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო" და ჩემს მიამიტობაზე გავბრაზდი.

არ დამიმალავს, პირდაპირ მივახალე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- შენ, ძმაო, სიძნელელებს და პასუხისმგებლობას გამოქცევიხარ. სუსტი ნებისყოფის, უპასუხისმგებლო მამაკაცი ყოფილხარ. მე კი მეგონა, ტატიანასადმი წრფელმა სიყვარულმა გაგაბედვინა ამ ნაბიჯის გადადგმა, ისე როგორც მე.

არ მოეწონა, შეეცადა თავის მართლებას:

- შენ ხომ ფრთიანი ანგელოზი მყავხარ, განა, შენც არ მიატოვე მშობლები და ცოლ-შვილი?

- მართალი ხარ, კორნელი, მეც მივატოვე, მაგრამ მე სიყვარულმა ჩამადენინა ეს სისულელე, რასაც გარკვეულწილად ვნანობ კიდეც, შენ კი უპასუხისმგებლო, უნებისყოფო, ზარმაცი და მუქთახორა ყოფილხარ! ასე თუ გააგრძელებ, ბინას ვერსად დაიდებ! გირჩევ, სანამ დროა, დაბრუნდე სახლში და ცოლ-შვილს მოუარო!

გამიბრაზდა, წასვლაც კი დააპირა.

შერიგება ვარჩიე. შევპირდი:

- სამუშაოს დაწყებაში დაგეხმარები, ოღონდ პირობა მომეცი, რომ კეთილსინდისიერად იმუშავებ, ტატიანასთან იცხოვრებ და ამით თუ გაამართლებ შენს აქ დარჩენას.

- კარგიო. - უხალისოდ დამპირდა.

შევედით ოთახში.

გვიან ავიშალეთ.

კმაყოფილსა და იმედიანს ხალასი ძილი მეწვია.

ორშაბათს ბავშვები ბაგა-ბაღში მივიყვანეთ, სკოლაში გავიარეთ, ნატალია სასწავლო ნაწილის გამგეს შეუთანხმდა და კოლეგას სთხოვა გაკვეთილების ჩატარება. წავედით სადაბო საბჭოს აღმასკომში. კაბინეტში რომ შევედით, ალექსანდრე კირილიჩმა მისაყვედურა:

- კონსტანტინ შოტაევიჩ, ეტყობა, იფიქრე, კირილიჩი ნასვამი იყო და ლამაზ სიტყვებს არახუნებდაო. ეეჰ! ახალგაზრდავ, ცუდად მიცნობ: მე ცრუ და ფუჭ დაპირებებს არ ვიძლევი და თუ ვინმეს რამეს შევპირდები, ვასრულებ კიდეც. ასე, რომ გილოცავთ ახალმოსახლეობას! აბა, ვნახოთ, თქვენს პირობას როგორ შეასრულებთ, - ღირსეულ, მეგობრულ და გამრჯე ოჯახს შექმნით. მე მიყვარს ქართველები. მამაცი, უშიშარი და ერთგული ხალხია. ქერჩში გამოვცადეთ ერთმანეთი. ჩვენი ძმობის ფიცი საკუთარი სისხლით გვაქვს დაწერილი შავი და აზოვის ზღვების ქვიშიან სანაპიროებზე. - ალექსანდრე კირილიჩს თვალები აუწყლიანდა და გრძნობამორეული მომეხვია. დაბის საბინაო - კომუნალური სამსახურის უფროსი იხმო და ბინის მიღება-ჩაბარების განკარგულება გასცა. შემდეგ ჩემი სამუშაოთი დაინტერესდა. მოკლედ მოვახსენე, ხვალ მექნება პირველი სამუშაო დღე-მეთქი. გაუხარდა, კიდევ ერთხელ მომილოცა ბინის მიღება, წარმატებები მისურვა და კაბინეტიდან გამოგვისტუმრა.

დღის მეორე ნახევარში ახალ ბინაში ვიყავით.

საბინაო - კომუნალური სამსახურის უფროსმა გადმოგვცა ორდერი და გასაღები.

ბინა ნატალიას სახელზე გაფორმდა. ამ ეტაპზე ასე აჯობებს-მეთქი,- ვიფიქრე. კომისიის წევრებს შამპანურით და ტკბილეულით გავუმასპინძლდით.

მეტად გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ძია გრიგოლის სახლში მიმიღია ბინა. მეზობლები ვართ. ორსართულიანი სახლი ოთხბინიანია. ძია გრიგოლი მეორე სართულზე ცხოვრობს. მინდოდა მენახა და ჩემი სიხარული გამეზიარებინა, მაგრამ შინ არ დამხვდა.

ნატალიამ მიამბო:

- გრიგორი ერასტიჩს დიდი ხანია ვიცნობ. მისი მეუღლე ანასტასია პეტროვნა დაბის სავაადმყოფოს მთავარი ექიმია. ჰყავთ ერთი ქალიშვილი - ინგა ჰქვია. მან ორი წლის წინათ დაამთავრა სკოლა. ამჟამად როსტოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია.

ბინა კეთილმოწყობილია. გარემონტებული და აუცილებელი ავეჯით გაწყობილი. ასე, რომ ცოტა ხელის გადასმა, დალაგება და შესახლებაც შესაძლებელია.

მე და ნატალია შევთანხმდით: ხვალ გამოვცხადდები სამუშაოზე. ჩავიბარებ ავტომანქანას და ახალ ხელმძღვანელობას ორი დღით დავეთხოვები.

ასეც მოვიქეცი.

ნატალია ბედნიერების მეათე ცაზეა. როგორც იქნა, საკუთარ, კეთილმოწყობილ და ყველანაირი კომფორტით უზრუნველყოფილ ბინას ეღირსა. მან მადლიერების ნიშნად მაკოცა და უფალს მადლობა შესწირა. მაგრამ გამაოცა კიდეც, რატომღაც კარგად ცნობილი ქართული ანდაზა წარმოთქვა: - "ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო." ალბათ, მეორედ ქორწინება გამართლებულად და იღბლიანად ჩათვალა.

გრიგორ ერასტის ძე, უფრო სწორად გრიშა ძია, კარგი მეზობელი და სანიმუშო მეოჯახე აღმოჩნდა. დაბაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა. ყველა რიდითა და კრძალვით ეპყრობოდა. რჩევა-დარიგებისთვისაც ხშირად მიმართავდნენ. ისიც ცოდნას და ენერგიას არ ზოგავდა, რათა სხვებსაც ხელი შეუწყოს, დაეხმაროს და თანადგომა აღმოუჩინოს.

ჩვენ დავმეგობრდით.

მოგვიანებით დაბის განაპირას, ხელოვნურ წყალსაცავთან კარავი გავმართეთ.

ჩემი "ფიქრის კარავიაო,"- შემდგომში იტყვის გრიშა ძია.

სრულიად გეთანხმები, ბატონო გრიშა, ოღონდ, თუ ნებას მომცემ, მინდა დავამატო: ჩვენი "ფიქრის კარავი."

შემდეგში ეს სახელი გაამართლებს: ამ კარავში რამდენი მიფიქრია, რამდენი მიოცნებია. ნოსტალგიით შეპყრობილს ზმანებებიც კი მქონია. ეს ადგილი ჩემთვის პატარა საქართველოდ იქცა. აქ ბევრი დრო მაქვს გატარებული - სევდიანიცა და მხიარულიც...

საშინაო საქმეებს რომ მოვრჩი, ავტოფარეხში გამოვცხადდი და ავტომანქანა ჩავიბარე.

ავტოკოლონის უფროსი სომეხია. წარმოშობით საქართველოდან, კერძოდ, ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთი სოფლიდან.

იმავე დღეს ვნახე მეურნეობის მთავარი ინჟინერი და ვთხოვე კორნელის სამუშაოზე მოწყობა.

ვასილ ალბერტიჩი იმაზე გულისხმიერი და გულითადი კაცი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. კორნელი იმავე დღეს მექანიზატორთა ბრიგადაში ჩარიცხა. მას "ბელორუსის" მარკის ბორბლებიანი ტრაქტორი განუპირობა, მე კი შემპირდა - მოტორისტის თანამდებობა როგორც კი გამოთავისუფლდება, კორნელის მაშინვე ჩავაბარებ მანქანა-ტრაქტორებისა ძრავების შემკეთებელ საამქროს და ოსტატის თანამდებობაზეც დავნიშნავო.

საღამოს კორნელისთან გადავედი და ვახარე.

ტატიანა მეტად მადლობელი დარჩა.

* * *

... ამის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ბევრი ადამიანი გავიცანი.

ვნახე კარგიც და ცუდიც.

ბევრი რამ ჩემი წარსულიდან დამავიწყდა.

ბევრიც ისე ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რომ დღესაც ცხადად მიდგას თვალწინ.

მინდა ზოგ რამეზე თქვენც მოგითხროთ...

თავი XXI

ფიქრის კარავში

დრო ულმობელი ყოფილა. რა მალე გავიდა წლები... უკვე ასაკოვანი კაცი ვარ. მოგეხსენებათ, ნატალიას ორი ბავშვი ვიშვილე. ერთი საერთო შვილიც შეგვეძინა - თვალხატულა და შავთვალწარბა გალინა. დედაჩემს ძალიან ჰგავს. დედაჩემისეული ხალიც კი ისეთივე აქვს, იმავე ადგილას - მარჯვენა თვალის ქვეშ, ცხვირთან. ძალიან უხდება და, რაც მთავარია, მკაფიოდ ხაზს უსვამს მის ქართულ წარმომავლობას. მინდოდა, დედის სახელი დამერქმია, მაგრამ ნატალიამ არ დამანება. გალინა დავარქვით. საუბედუროდ, ქართული ენა არ იცის. მე მისთვის ქართული ენის სწავლების დრო სად მქონდა, სულ საშოვარზე ვიყავი გადაგებული... ცოლმა, რაც იცოდა, ის ასწავლა. წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი - პროფესიული კოლეჯი. უმაღლესში სწავლის გაგრძელება არ მოინდომა. ხასიათი მამაჩემის გამოჰყვა - მკაცრია და ჯიუტი. ზნე და ხასიათი - კი ჩემი. ერთხელ, ქალაქ სოჭში დასასვენებლად ყოფნისას, ვიღაც უცხოელს - წარმოშობით ფრანგს გაეცნო. შეუყვარდა. ჩვენთვის უცნობებლად და დაუკითხავად გაჰყვა ცოლად და საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა. მას შემდეგ აღარ მინახავს...

ესეც ბედის დაცინვაა თუ ჩემეული ხასიათის გამოძახილი?!.

ვითომ განგებამ სამაგიერო გადამიხადა?!. ისე მომექცა, როგორც მე ჩემს მშობლებს...

ევგენიმ, ჩემმა შვილობილმა, საშუალო სკოლის შემდეგ, კოლეჯი დაამთავრა. მოიხადა სამხედრო სამსახური. დაქორწინდა. ამჟამად ოჯახთან ერთად სოჭში ცხოვრობს. მუშაობს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურში. ჰყავს ორი შვილი - ქალ-ვაჟი.

ვერონიკამ, მეორე შვილობილმა, ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. გათხოვდა. ჰყავს ერთი ქალიშვილი. ცხოვრობს კრასნოდარში. მუშაობს ბანკში.

სიდედრ-სიმამრი ერთი წლის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ.

ცოლისდა ეპილეფსიით დაავადდა. ქმარს გაშორდა. ამჟამად მამისეულ სახლში ცხოვრობს. ჩვენ ვპატრონობთ.

ოჯახში მე და ნატალია დავრჩით. პერიოდულად ვერონიკა და ევგენი გვსტუმრობენ. მაშინ სახლში მხიარულება ისადგურებს. ჟრიამულია. დანარჩენ დროს კი მყუდროება და სიმშვიდე სუფევს.

ასაკის მატებასთან ერთად ზნე და ხასიათი შემეცვალა. ალბათ, მიწის ყივილია. მახსოვს ერთ-ერთი ქართული ზღაპრის შეგონება: "მიწა თავისას მოითხოვსო." ნოსტალგია მომეძალა. წინაპრები და მშობლები მესიზმრებიან. ხშირად ვფიქრობ. ვიგონებ წარსულის ტკბილ-მწარე ამბებს თუ მოვლენებს. მალმალე დავდივარ სათევზაოდ დაბის წყალსაცავზე. ჩვენი - ჩემი და გრიშა ბიძიას "ფიქრის კარავი" მშობლიური გახდა. შემიყვარდა განმარტოებით ყოფნა. კარავში ტახტზე წამოწოლილს ბევრი მიფიქრია. ბევრი მიტირია და მიოცნებია კიდეც.

მშობლებიც გარდამეცვალნენ. ჯერ მამა, ერთი წლის შემდეგ კი - დედა. მათ გასვენებაზე არ წავსულვარ.

ვერც წავიდოდი.

რა ნამუსით ჩავსულიყავი...

თვალი როგორ გამესწორებინა უმიზეზოდ მიტოვებული ოთხი ქალიშვილისთვის, სიძეებისთვის, რვა შვილიშვილისთვის?!. რა მეთქვა, რით მემართლებინა თავი?!. როგორ და რა პირით მივსულიყავი მშობლების საფლავთან?! სვეგამწარებული და ბედდამწვარი დარეჯანი რით მენუგეშებინა?!. რა მეთქვა ქალისთვის, რომელმაც ყმაწვილქალობა და მთელი ცხოვრება ანაცვალა ჩემს მშობლებს, შვილებს და შვილიშვილებს...

ისიც გავიგე, რომ მამაჩემმა ჩემი ქალიშვილები ღირსეულად დააოჯახა. სულ იმას ნატრობდა თურმე, ღმერთმა ისე არ მომკლას, შვილიშვილების დაკარება-დაოჯახება ვერ მოვასწროო... ჩემი დაბრუნების იმედი რომ გადასწურვია, საცოდავს, ცხოვრების მიზნად შვილიშვილებზე ზრუნვა, ქალიშვილების ღირსეულად გათხოვებაზე თავის მობმა გაუხდია. უზენაესის ძალამ მართლაც შეაძლებინა. ღმერთმა აცალა. იღბალმა და ალღომ არ უმტყუნა: ოთხივე შვილიშვილი, ბიძაშვილების დახმარებით და თანადგომით, ღირსეულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააოჯახა. მათთვის ხელი არ მიუკლია... სამ უფროს შვილიშვილს კარგი მზითევიც გაუწყო. ნაბოლარასთვის პატიოსანი და ღირსეული ახალგაზრდა შეარჩია და სახლში ზესიძედ დასვა. ოჯახი არ გააუქმა და წინაპართა ფუძე არ გააპარტახა. ჩემს შვილებს არც კი აგრძნობინა უმამობა. მათ ხომ მხოლოდ სურათით ვახსოვვარ...

აფერუმ მამაჩემო!!!

მხოლოდ შვილი არ გამოგიდგა...

არ გაგიმართლა შენი გეგმები, მიზნები და ოცნებები...

ამჟამად ინტერნეტით პერიოდულად ვეკონტაქტები ბიძაშვილებს.

ბიჭები მაინც ტაქტიანები და წინდახედულები არიან. შეპარვით თუ გამოთქვამენ გულისწყრომას თუ გულისტკივილს ჩემი უკეთური, გაუმართლებელი საქციელის გამო. განსაკუთრებული ურთიერთობები მაქვს ჩემს თანაკლასელ ალეკოსთან. მისი მეშვეობით საქართველოში მომხდარი დიდი თუ მცირე ამბების კურსში ვარ.

დღესაც სულს მიფორიაქებს, სინდისს და სულს მიწეწავს ორი განსაკუთრებული გარემოება:

პირველი:

როგორც უკვე იცით, მამაჩემმა ოჯახის მოუშლელობის გარანტად უმცროსი ქალიშვილის ქმარი ოჯახში ზესიძედ დააფუძნა, მეზობელ სოფლელი ბიჭი გიორგი. პირველი ვაჟი რომ დაიბადა, მამაჩემი სიხარულით გადარეულა. საწყალს მოერიდა თურმე, სიძეს როგორ ვკადრო პირველი ვაჟი - შვილთაშვილი ჩემს გვარზე დაწერეო. გული კი, სულ უკვნესოდა: ძირძველ, ამაგდარ ხოშორაძეთა კერაზე რომ მისი გვარის გამგრძელებელი ვეღარ იფუძნებდა... მეორე ვაჟი რომ დაბადებულა, პაპას თოფი თოფზე დაუცლია. ოთხმოცი წლის ბერიკაცი სიხარულისგან პატარა ბავშვივით აქვითინებულა, იმედი გასჩენია - მეორე შვილზე კი ვთხოვ სიძეს ხოშორაძის გვარზე გატარებას... გრძნობამორეული, ადრე გულგაუტეხელი და ნირწაუმხდარი, აკვანს დამხობია და ცრემლებით დაუნამავს პატარა ნორჩის ლოყები. მის შემხედვარეს, თავი ვერავის შეუკავებია, ყველა ტიროდა თურმე. ჩემი მოხუცი დედ-მამა სიხარულისგან მეათე ცაზე აფრენილან, როცა გიორგის საზეიმოდ უხარებია:

- ბაბუ, გული გაიკეთე, გაიხარე, ქართული ტრადიციებით ნასაზრდოები ხოშორაძეების ძირძველი ფუძე მისი კანონიერი მემკვიდრის - პატარა შოთა ხოშორაძის სამკვიდრო იქნებაო...

თურმე ბავშვის მშობლებს გადაუწყვეტიათ: პატარამ პაპის სახელი და გვარი უნდა ატაროს, გაზრდიან მის პატივსაცემად და დარად. ამით მაინც შეეცდებიან მისი ამაგის დაფასებას.

ამ ცნობას სულ გადაურევია მოხუცები... შვილიშვილი და სიძე ჩაუხვევიათ გულში და იმედის და სიხარულის ცრემლები ბევრი უღვრიათ.

დამავიწყდა, მეთქვა, მამამ ბოლო წლებში ორი ინფარქტი გადაიტანა. თურმე მკაცრი, ამაყი და გულზვიადი ვაჟკაცის გული სავსე ყოფილა სიყვარულით, სევდით, დარდითა და ფიქრით...

ახლა უფრო მძაფრად ვგრძნობ ჩემს ცოდვას, ჩადენილს მშობლებისა და საქართველოში მიტოვებული ოჯახის წინაშე.

ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ დამტანჯავს ეს განცდები და სინდისის ქენჯნა...

გიორგი მეორე დღესვე მისულა მუნიციპალიტეტის გამგეობაში და საღამოს ხელდამშვენებული დაბრუნებულა. სიტყვა შეასრულა: ბაბუს, სიძე მამაჩემს ასე ეძახდა თურმე, ათრთოლებულ, აცახცახებულ ხელებში პატარა შოთა ხოშორაძის დაბადების მოწმობა ჩაუდო.

მამაჩემს რამდენჯერმე ჩაუკითხავს ბავშვის ანკეტური მონაცემები და გიორგი უსიტყვოდ ჩაუკრავს გულში... თურმე სიხარულის ცრემლებს აღარ მალავდა ამაყი მოხუცი.

ბედნიერებისგან გათანგულს გიორგისთვის უთხოვია, საწოლთან მიმიყვანეო. შეუძლოდ გამხდარა. შვილიშვილისთვის უთხოვია, ჩემი ბოკვრები მიმიყვანე და გულზე მომახუტეო. ორივე ბადიში მიუხუტეს გულზე. გულაყუჩებულ, მაგრამ უზომოდ ბედნიერ, ამაგდარ პაპას შვილთაშვილებისთვის ხელები მოუხვევია და იმედიანად წაუდუდუნია: "კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი..."

ჩემი ნახვაც უნატრია. ჩასძინებია და აღარ გაღვიძებია.

დილით დედას და რძალს უნახავთ მამა: მოხუცის გაცივებულ ბაგეებს ღიმილი შეკვდომოდა. ღია, ლურჯი თვალები ცრემლის პატარა გუბეებად გადაქცეოდა, ხელში კი პატარა შოთიკოს დაბადების მოწმობა ჩაბღუჯული შერჩენოდა.

მეორე:

დედას ძალიან განუცდია მამაჩემის გარდაცვალება. ლოგინად ჩავარდნილა. ძილქუშში თურმე მამას და მე ხშირად გვიხმობდა. ძალიან განუცდია, ერთადერთი ვაჟიშვილი მამის გასვენებაზე არ ჩამოვიდაო. მშობლისთვის თვალები მას უნდა დაეხუჭა, მოევლო და ემასპინძლა ჭირისუფლებისთვის. ის უნდა ჩაჰყოლოდა საფლავში და პირველი პეშვი მიწა მას უნდა მიეყარაო მამის გულზე. ტრადიციულად, ათასწლეულების განმავლობაში ასე იყო. მან კი გადამთიელი ქალის გულისთვის ყველა და ყველაფერი განაგდო და დაივიწყაო. წუხდა მოხუცი დედა... ვერ გაუძლო საწყალმა ამდენ დარდს, სევდას, მონატრებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთი წლის თავზე მამაჩემის საფლავის გვერდით დაიმკვიდრა სამუდამო სასუფეველი. ბოლო სიტყვა კი ყოფილა,- შვილო კოტე ვაი გულდამწვარ დედასო! ახლობელ-ნათესავებს ყველაფერი ზედმიწევნით გაუკეთებიათ: ქართული წესისამებრ ღირსეულად მიუბარებიათ მიწისთვის, მაგრამ ისიც შვილსგან თვალდაუხუჭავი და შვილნატრული წავიდა ამ ქვეყნიდან... ეჰჰჰ!

თავი XXII

ისევ ფიქრის კარავში

როცა თავისუფალი დრო მაქვს, სულ მარტოდ ყოფნა მინდა. ვითომ ასაკის ბრალია?

წესად დავაგდე: უქმე დღეებში დილიდანვე გავდივარ წყალსაცავზე. ვთევზაობ. კოცონზე ვაკეთებ თევზის შეჭამანდს (აქ "უხას" ეძახიან) და ველოდები ოჯახის წევრებს და გრიშა ძიას - მეუღლესთან ერთად. გრიშა-ბატონი ჩემი ერთგული და განუყრელი მეგობარია. ოჯახებიც ახლობლობენ. მისმა ერთადერთმა ქალიშვილმა დაამთავრა როსტოვის უნივერსიტეტი. ცოლად თანაკურსელს გაჰყვა. შეეძინათ ორი ქალიშვილი. დიდი ხანია ჩრდილოეთ რუსეთის ერთერთ ქალაქში ცხოვრობენ და მუშაობენ. მშობლებთან ზაფხულობით, არდადეგებზე თუ ჩამოვლენ. დედა და მამა ძალიან განიცდიან, ენატრებათ ქალიშვილი და შვილიშვილები, მაგრამ რა ქნან...

ერთ შაბათ დღეს, ტრადიციისამებრ, წყალსაცავზე წავედი სათევზაოდ. ტირიფის ძირას ანკესები გავმართე. კარავი მოვაწესრიგე. ქვაბი გავრეცხე. შეშა მოვიმარაგე და ის იყო ანკესების შესამოწმებლად წასვლა დავაპირე, რომ საქორწილო კორტეჟმა გადმოუხვია. რამდენიმე მანქანა, მათ შორის საპატარძლო, ჩვენს კარავთან ახლოს გაჩერდა. ახალგაზრდები ჟრიამულით გამოცვივდნენ, მანქანის ძარებზე სახელდახელოდ გააწყვეს პურმარილი და მეც მიხმეს. ჩვენი მეზობლები იყვნენ. ნეფე-პატარძალს თითქმის ბავშვობიდან ვიცნობდი, ამიტომ თამამად მივედი და ახალშეუღლებულები დავლოცე.

რუსებმა სადა და უბრალო ქორწილი იციან. ტრადიციული მაჭანკლობა და ნიშნობა წესად არ აქვთ. საერთოდ აღარ იცავენ ძველ ტრადიციებს. შეუყვარდათ ახალგაზრდებს ერთმანეთი... რამდენიმე წელიწადს ხვდებიან, ქორწილამდე სექსუალური ურთიერთობები ჩვეულებრივი მოვლენაა. თუ სიყვარულმა გაუძლო და არ განელდა, დაქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას თავად ღებულობენ. ქორწილში ბევრ სტუმარს არ პატიჟებენ. მხოლოდ ახლო ნათესავები და მეგობრები. წვეულთა რაოდენობა ოცდაათიდან ას კაცამდე მერყეობს. ქორწილს ოჯახში (უფრო სოფლად) ან რესტორანში იხდიან. ბოლო ხანებში აქა-იქ სარიტუალო დარბაზებიც მომრავლდა. ეტყობა, საქართველოდან, ან ევროპიდან მაგალითს იღებენ. თამადის ინსტიტუტი არ არსებობს. ქირაობენ ქორწილის წამყვანს. ქორწილი უფრო თეატრალურ წარმოდგენას ჰგავს, რა თქმა უნდა, ბარაქიანი არყის სმით და ცეკვა-თამაშით. წესადაა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილებისა და მემორიალების მონახულება, ომში დაღუპულებზე პატივის მიგება და სამახსოვრო ფოტოების გადაღება. ახლაც, ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, სანამ საქორწილო დარბაზს მიაშურებდნენ, ახალგაზრდები წყალსაცავზე მოვიდნენ. ლამაზები არიან: ნეფე-პატარძალს და მეჯვარეებს მხრებზე გადაფენილი აბრეშუმის ლენტები ძალიან უხდებათ. საზეიმო ელფერი ყველაფერს ეტყობა. ცოტა ხანი დაჰყვეს და მანქანების სიგნალებით და შემახილებით სოფლის ცენტრისკენ გაემართნენ. კაფეშია გაშლილი სადღესასწაულო სუფრა. ჩემი ქორწილიც იქ გადავიხადეთ.

მექორწილენი რომ წავიდნენ, სევდიანი ფიქრები ამეკვიატა: მომაგონდა ქართული ქორწილი. რუსული ქორწილიც... ჩემს გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ ჩემს ქორწილებს მეხსიერებაში დიდი შთაბეჭდილებები არ დაუტოვებია. პირველ შემთხვევაში - გულგრილად მოვეკიდე, რადგანაც უსიყვარულოდ მომყავდა ცოლი. მეორე შემთხვევაში კი - იმდენად შეყვარებული ვიყავი, რომ რიტუალებისთვის არც მეცალა, თანაც აქაური წესები ჩემთვის უცხო იყო. მექანიკურად ვმოქმედებდი, არც არაფერს ვასრულებდი და ვიმახსოვრებდი, პირადი ბედნიერებით ვტკბებეოდი.

სამაგიეროდ ნათლად მახსოვს სხვისი ბედნიერება და მასში ჩემი მოკრძალებული წვლილი...

მაშინ მეხუთე კლასში ვსწავლობდი. გაკვეთილების დასრულების შემდეგ ჩემთან მოვიდა მერვეკლასელი ქალიშვილი და გვერდზე გამიხმო. მომაჯადოვებლად გამიღიმა: შენ ნინოს ძმა ხომ ხარო. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მკლავზე შემეხო, წყლიანი თვალები მომანათა და მკითხა:

- საიდუმლოს შენახვა თუ იცი?

გამიკვირდა, ჩემზე უფროსი, თითქმის უცნობი ქალიშვილისთვის რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რა ვიცოდი და რა არა.

- რის თქმა გინდა, ან რა საიდუმლოება უნდა გამანდო? - ზრდილობისთვის ვკითხე.

მიიხედ-მოიხედა, თითქოს მიდამოს ზვერავსო, გამომიწოდა ხელი და მალულად მარჯვენაში პატარა ბარათი ჩამიდო, თან ყურში მიჩურჩულა:

- ეს ბარათი ნინოს გადაეცი, ილიას დამ გადმომცა-თქო. პასუხი შენი ხელით მაცნობოს.

მაშინვე მივხვდი, მიჯნურის ბარათია. დახე, ჩემი ნინო შეყარებული ყოფილა.

- კი, მაგრამ შენ რა გქვია, ვინ ხარ?- ვკითხე, თან თვალებში ჩავაშტერდი.

არ მოელოდა ჩემს ჯიქურ მზერას, ლოყები აეფაკლა, თვალები ამარიდა.

- ნათელა მქვია, ილიას და ვარ. შენს დას და ჩემს ძმას უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ხომ იცი, ჩვენთან ქალიშვილი უცხო ახალგაზრდას ვერ შეხვდება. ვინ იცის, რას იტყვის სოფელი, ან რა რეაქცია ექნებათ მშობლებს, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ, მთიანი აჭარის შვილები, ძველი ტრადიციების, ზნეობისა და მორალის ხალხი ვართ, არ შეიძლება სიყვარულის ადრე გამხელა, არც ტრადიციების დარღვევა, ამიტომ ნინოს სიყვარულის ხათრით ეს უნდა გააკეთო.

ასე გავხდი ილიას და ნინოს სიყვარულის მესაიდუმლე და წერილების დამტარებელი, შიკრიკი.

სახლში მისულმა ნინოს უჩუმრად გადავეცი ბარათი. ჯერ გაიკვირვა, მაგრამ კონვერტს რომ დახედა, ყველაფერს მიხვდა, ჩუმად შეჰკივლა და სახეზე ალმურმოდებული თავის ოთახში გავარდა.

ტრადიციულ ქართულ, მთის ოჯახში უფროსი ძმის და, საერთოდ, ძმის კულტი ძალიან დიდია. მართალია, ნაბოლარა ვარ, მაგრამ ერთადერთი ვაჟი ვარ და უფროსი ძმის სტატუსით ვსარგებლობ.

ჩვენი უფროსი თაობები სულმნათი შოთას "ვეფხისტყაოსნის" იდეალებით ნასაზრდოები არიან:

"შორით ბნედა, შორით კვდომა,
შორით დაგვა, შორით ალვა,
დათმოს წყრომა მეფეთაგან,
მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა."

ოთახში შევყევი, დავაწყნარე, მოვეფერე და გრძნობამორეულმა ვუთხარი:

- ნინო, ჩემო საყვარელო დაიკო, ნუ გეშინია, მე რომ შენი სიკეთე არ მდომებოდა, ბარათის წამოღებაზე არ დავთანხმდებოდი, ან დედას ვეტყოდი. ბაბუას და მამას როგორი რეაქცია ექნებოდათ, ჩემზე უკეთესად იცი. შეგიძლია მენდო.

ნინო ჩემი ერთგულებით და გამჭრიახობით მოიხიბლა, გრძნობამორეული მომეხვია და თვალები დამიკოცნა.

- ჩემო კეთილო და საყვარელო ძამიკო, დიდი მადლობა, რომ გესმის და ჩემი წრფელი სიყვარულის გჯერა. გმადლობ საიდუმლოს შენახვისთვის. - მითხრა და სიხარულის ცრემლმა დაუნამა ლამაზი თვალები.

შევპირდი: - ჩემი იმედი მუდამ უნდა გქონდეს, პასუხს კი მისი დის ხელით გადავცემ-მეთქი.

მიხაროდა, რომ ჩემი უფროსი დის მესაიდუმლე გავხდი.

ნინო უკვე მეთვრამეტე წელშია. მაღალი, ტანკენარი. წაბლისფერი თმები ორ გრძელ ნაწნავად დაწნული, წელამდე სწვდება. მოლურჯო-მწვანე თვალები. შავი წამწამ-წარბი. მრგვალი სახე. თეთრი ლოყები და ალისფერი პატარა ბაგეები ილიას კი არა, ნებისმიერ ახალგაზრდას მოაჯადოებს და აუბნევს თავგზას... ნინო ძალიან ლამაზი და ამასთანავე ზრდილი, მორიდებული და მომაჯადოებლად კდემამოსილი ქალიშვილია. დედის მარჯვენა ხელია. ხელგამრჯვეა. ხელიდან ყველაფერი გამოსდის: ქსოვა, ქარგვა, ჭრა-კერვა, კერძების მომზადება...

ნინოს და ილიას წრფელმა, "შორით ბნედითა და შორით კვდომით" სიყვარულმა წელიწადზე მეტ ხანს გასტანა. ამასობაში, როგორც უკვე იცით, მამამ მეორე ცოლი გააგდო და ოჯახს დაუბრუნდა.

ჩემი დები: ნინო - თვრამეტი, ელენე - თექვსმეტი, გიული კი - თოთხმეტი წლისანი იყვნენ. ბაბუას და მამაჩემს სამაგიეროს გადახდის და შურისძიების ეშინოდათ, ამიტომ ქალიშვილების დროზე დანიშვნა და საიმედო ხელში ჩაბარება სასწრაფო საქმედ ჩათვალეს.

ეს გარემოება ილიას მშობლებმაც გაიგეს. მათ ადრევე იცოდნენ შვილის სიყვარულის და რჩეულის შესახებ. აღარც დააყოვნეს. გადაწყვიტეს ვაჟიშვილის დანიშვნა და დაქორწინება.

ჩვენში, ოდითგანვე, დიდი ყურადღება ეთმობოდა ტრადიციების და მამა-პაპური ადათ-წესების განუხრელ დაცვას და აღსრულებას. დროთა განმავლობაში ზოგმა ჩვევამ, ადათ-წესმა და ტრადიციამ გარკვეული ცვლილება განიცადა, უფრო გათანამედროვდა, ზოგმა კი სრულიად ახალი სახე და მიმართულება მიიღო და ახალ წესად და ტრადიციად ჩამოყალიბდა.

მთიან აჭარაში დამკვიდრებული იყო ნიშნობა-მაჭანკლობის და ქორწილის გამართვის ორი წესი: ძველი - მამა-პაპური და თანამედროვე - ზოგადქართული. ბაბუამ და მამამ ნინოს ძველი წესით დანიშნვნა-დაქორწინება არჩიეს. ცხადია, ახალი მოყვრებიც შესაბამისად შეუდგნენ სამზადისს.

ძველებური ელჩობა-მაჭანკლობა უფრო საინტერესო და თვალშისაცემი პირობითობებით გამოირჩეოდა: ილიას მამამ შეარჩია ახლო, სანდო და გამოცდილი კაცები და შუამავლობა დაავალა.

- მასპინძელო! მასპინძელო! - ერთ საღამოს მოგვესმა ეზოს მიღმიდან.

ბაბუა წამოდგა, ქუდი და მოსასხამი აიღო და აივანზე გავიდა.

ცნობისმოყვარეობამ მძლია და უკან გავყევი.

ეზოს გადაღმა სამი, ჩემთვის უცნობი, შუახანსგადაცილებული, დარბაისელი მამაკაცი იდგა და მიპატიჟებას ელოდა.

ბაბუამ ქუდი მოძრო, ძველქართულად მუხლი მოდრიკა და შეეხმიანა:

- სტუმარი ღვთისაა, ჩვენი ოჯახი დიდად დავალებული იქნება თქვენი სტუმრობით. ვეცდებით, ღირსეული მასპინძლობა გაგიწიოთ. - თქვა, კიბე სწრაფად ჩაირბინა, ჭიშკარი ფართოდ გამოაღო და შემოუძღვა სტუმრებს.

მოსულებს ბევრი თავპატიჟი არ დაუწყიათ, ბაბუას მხარზე ეამბორნენ და მოწიწებით მოიკითხეს. სტუმრები შეიპატიჟა მეიდან ოდაში (სასტუმრო ოთახში - ავტ.შენ.), ტახტაზე ბალიშები და მუთაქები გაასწორა და მოსვენება შესთავაზა.

- მამაშენი შემოვიდეს, დედას კი გადაეცი, ჯერ ყავა მოგვართვას და ვახშმის თადარიგიც დაიჭიროს.- მიჩურჩულა და კარისკენ მიმანიშნა.

სტუმრებში ილიას ბიძა - დედის ძმა, ვიცანი, მივხვდი მათი წვევის მიზეზს და გახარებული გავვარდი ოთახიდან. დედას და მამას სულმოუთქმელად გადავეცი ბაბუის "ნაბრძანები." დაიკოსაც ვაცნობე ჩემი მიხვედრილობა. ნინოს გაუხარდა. მის სიყვარულს და ოცნებას ფრთები ესხმებოდა. შუბლზე მაკოცა, არავის უთხრაო, გამაფრთხილა და დედაზე ხელის წასაშველებლად სამზარეულოში გავიდა.

დედა თადარიგიანი ქალია. კარადაში ყოველთვის უწყვია ხელუხლებელი მარაგი - ხილი და ტკბილეული, სხვა ნუგბარი. ყველაფერი ლანგარზე დააწყო და მიუწყო ყავის ფინჯნები. ნინოს ჯეზვე გაემართა და ცეცხლზე შეედგა.

ყავა და ტკბილეული მე და ელენემ მივართვით სტუმრებს.

კაცები მუსაიფობდნენ მოსავალზე, საზამთრო სამზადისსა და სოფლის სხვა აქტუალურ საკითხებზე. ყავას რომ მორჩნენ, ბაბუამ სტუმრებს ნარდის თამაში შესთავაზა. სანამ ნარდით ირთობდნენ თავს, ვახშამი მზად იყო. მამამ სარდაფიდან ხელადით ჩაცივებული ღვინოც ამოიტანა და სტუმრები მაგიდასთან მიიპატიჟა.

ასაკის მიუხედავად ბაბუაჩემი ჯანმრთელი და სხარტი მოხუცია. ზომიერად დალევაზეც არ ამბობს უარს და არც განუყრელ მეგობარს - ყალიონს ღალატობს. იგი ქამარზე ჩამოკიდებულ მოქარგულ ქისაში გაწყობილი უდევს. ვერ იტანს ქარხნული წესით დამზადებულ ჩიბუხებს. ჭნავის ხისგან საკუთარი ხელით გამოთალა.

რამდენიმე ტრადიციული სადღეგრძელოს შემდეგ ილიას ბიძამ ითხოვა სიტყვა.

ბაბუამ დიდსულოვნურად დაუთმო, მამამ კი ჭიქები შეავსო ქარვისფერი ღვინით.

სტუმარმა ბოდიში მოიხადა და წამოდგა.

ენაწყლიანი გამოდგა დალოცვილი: ჯერ სამშობლოს დიდებისა თქვა, შემდეგ ჩვენი ერი და ტრადიციებიც ახსენა და ბოლოს საზოგადოებაში ოჯახის როლსა და ადგილზე ისაუბრა. ისიც დასძინა, რომ ოჯახი სიყვარულითა და თანხმობით უნდა იქმნებოდესო. თან ეშმაკურად იღიმებოდა და ჩემებს ნიშნისმოგებით გადახედავდა. მამა ცდილობდა, ბაბუას სიტყვაში არ გადასწრებოდა, ამიტომ მეტწილად დუმდა.

ბაბუა ნართაულად ნათქვამმა დააეჭვა და სტუმარს სიტყვა ჩაუჭრა:

- ზია ბატონო, ვატყობ, სათქმელი გაქვს, თორემ მიკიბ-მოკიბული სადღეგრძელო არ დაგჭირდებოდა.

ზიამ, ასე ეძახდნენ ილიას ბიძას, თავის მხლებლებს გადახედა, ჩაახველა და დაიწყო:

- მართალს ბრძანებთ, ხულუს ბაბუა, წინაპართ უთქვამთ: გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო. ამიტომ პირდაპირ გეტყვი, სამოყვროდ ვართ მოსული. ჯერ სათქმელს მოგახსენებთ, მერე კი თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, - მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება, ბოლოს კი დასძინა: - თუ ჩიტმა მართალი ამბავი მომიტანა, ახალგაზრდებსაც უგემიათ მიჯნურობის შარბათი.

ბოლო ფრაზა მამას არ მოეწონა, წამოწითლდა, კისრის ძარღვები დაებერა, თვალები აენთო და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ბაბუამ შენიშნა, მიუხვდა სულის მოძრაობას, სახელოზე მოქაჩა და წასჩურჩულა:

- შვილო, მოთმინება და ტაქტი გამოიჩინე, ძველი დრო აღარაა, ახალგაზრდებს რომ უყვარდეთ ერთმანეთი, ამაში საძრახი რა არის?

მამა კი დაჯდა, მაგრამ ეტყობოდა, გუნება წაუხდა. ეს ზიამაც შეატყო, სასწრაფოდ გამოსცალა სასმისი და საუბარს სხვა მიმართულება მისცა.

მთავარი სათქმელი ითქვა. ახლა ჩვენებს უნდა ეფიქრათ და ემსჯელათ.

ერთხანს ისაუბრეს, ბოლოს ზიამ საათს დახედა, დიდი დრო გასულაო, ჩაილაპარაკა და ადგომა დააპირა. ბაბუას შეჩერება არ უცდია - წესად არაა მაჭანკალი სათქმელის შემდეგ ოჯახში დიდხანს დარჩესო.

მამამ და ბაბუამ სტუმარები ჭიშკრამდე მიაცილეს და მშვიდობიანი ღამე უსურვეს. ეს ნიშნავდა, რომ სამოყვროდ შემოთავაზებული ოჯახი მისაღები იყო და არა დაეწუნებოდა რა. სახლში შებრუნებულებმა იხმეს დედაჩემი, სასტუმრო ოთახში განმარტოვდნენ და დიდხანს მსჯელობდნენ. ბოლოს მე და ნინოც გამოგვიძახეს და ელჩობის მიზეზი აგვიხსნეს.

- შვილო, საქმე შენს ბედს ეხება, ამიტომ გულწრფელად უნდა გვითხრა, მოგწონს ილია, თანახმა ხარ მას ცოლად გაჰყვე? - მიუბრუნდა დედა ნინოს.

ნინო, ეტყობა, მამის და ბაბუის თანდასწრებით ამ თემაზე საუბარს არ ელოდა, სახეზე ალმური მოედო და თავი ჩაღუნა.

მამა და ბაბუა პასუხის მოლოდინში გაჩუმებულიყვნენ.

მდგომარეობა მე უნდა განმემუხტა, თან ნინო უხერხული მდგომარეობიდან გამომეყვანა.

წამოვდექი დათამამად ვთქვი:

- მამა, ნინოს ილია უყვარს, ბედნიერი იქნება, თუ არჩევანს არ დაუწუნებ და ბედს არ დაუწიხლავ...

ბაბუას ჩაეცინა, ეტყობა, ჩემი პირდაპირობა მოეწონა, მამა კი გაბრაზდა, დახე, ამ მამაძაღლებს უჩემოდ ყველაფერი გადაუწყვეტიათო, - ჩაილაპარაკა და მეორე ოთახში გავიდა. მამის მოერიდა, თანაც შვილის არჩევანიც მოეწონა. ზებურ ბიძია, რომელმაც სამოყვრო ხელი გამოგვიწოდა, მეზობელი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგეა, მამაჩემის ძველი ამხანაგი და თანამოაზრე.

მესამე დღეს ისევ მოვიდა ელჩიონი, ისევ სამნი, ოღონდ მესამე ზებური იყო. ამჯერად უფრო უბრალო და გულთბილი ატმოსფერო სუფევდა. ყავის მირთმევის შემდეგ სუფრაც გაიშალა. თამადობა მამამ ითავა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ საუბარი კვლავ დამოყვრებაზე, ნინოსა და ილიას დაწინდვაზე ჩამოვარდა.

ჩვენები არ ჭირვეულობდნენ.

ბაბუამ მიხმო და წამჩურჩულა:

- დედას გადაეცი, შარბათი მოგვართვას.

ყველაფრს მივხვდი - ჩემები მოყვრობას დათანხმდნენ და ამას, ტრადიციისამებრ, შარბათის მირთმევით ადასტურებენ.

ოთახიდან კი არ გავედი, გავფრინდი. ჯერ ნინოს მოვეხვიე, ვაკოცე და ვახარე, ყველაფერი კარგად მოთავდა-მეთქი. შემდეგ დედას მივმართე:

- ბაბუა და მამა თანახმა არიან, მომავალ მოყვრებთან ტრადიციული შარბათი მიირთვან.

- უფალს დიდება, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მეგონა, მამათქვენი წინააღმდეგი წავიდოდა, ვიცი მისი ჯიუტი ხასიათი! - წამოიძახა აღტაცებულმა დედამ და ნინოს მოეფერა. დანარჩენი შვილებიც სათითაოდ გადაკოცნა და შარბათიან დოქს და ხატულა ჭიქებიან ლანგარს ხელი წამოავლო. თადარიგიან დედას შარბათიც წინასწარ ჰქონოდა მომზადებული. ვარდის ფოთლები კი,თურმე, ელენეს და გიულის სულ სიმღერ-სიმღერით შეუგროვებიათ და მალვით მიურთმევიათ დედისთვის საშარბათედ...

მე დედას გავყევი, ცნობისმოყვარეობა მახრჩობდა, ოთახში კი ვტოვებდი სამ საყვარელ დას, ჩახვეულებს და დის გაბედნიერებით გახარებულებს.

დედამ ყველა სტუმარს სათითაოდ ჩამოურიგა საშარბათე ჭიქები და ვარდსურნელოვანი სითხით შეუვსო. ბაბუამ დედას ჩემთვისაც მიაწოდა ჭიქა და სხვათაშორის თქვა:

- შვილო, კოტე, ყველაზე მეტად შენ გეკუთვნის შარბათი, მე და მამაშენი ამ ქვეყნად რომ აღარ ვიქნებით, დების პატრონობა და, თუ საჭირო დარჩება, სისხლობაც, შენს მხრებს დააწვება, ამიტომ თავიდანვე განიმსჭვალე ამ საპატიო და მძიმე პასუხისმგებლობით.

ყველა წამოდგა. უსიტყვოდ აიღეს თავ-თავიანთი ჭიქები, რა თქმა უნდა, დედამაც და ბაბუას დაველოდეთ. ბაბუაც წამოდგა, სუფრასთან მსხდომთ თვალი მოავლი, ხმაში საზეიმო ტონი გაურია და ჩვეული სიდარბაისლით გამოაცხადა:

- მოყვრებო, ჩვენ ხოშორაძეები, ამით ვადასტურებთ ჩვენს თანხმობას, დავუმოყვრდეთ ზებურ ფოფინაძის ოჯახს და ჩვენი ქალიშლილი მივათხოვოთ მის ვაჟიშვილს - ილიას. დაე, ასე ტკბილი და კეთილსურნელებით იყოს სავსე ოჯახი თქვენი და საამბორებელი პირ-სახე საფურთხებელი არასოდეს გამხდარიყოს, - ბაბუამ სათქმელი დაასრულა, დალია შარბათი, აცალა სხვებსაც და სათითაოდ გადაკოცნა.

შარბათის ცერომონიალს მორჩნენ. ზებურ ბიძია წამოდგა, მამასა და ბაბუას გადახედა, მოიბოდიშა და წარმოთქვა:

- ჩემო ძვირფასო მოყვრებო, თუ პატივს დამდებთ და ყანწით დამალოცვინებთ ჩემს პატარძალს, სიკვდილამდე თქვენი მეგობარი, მოკეთე და ჭირთამტვირთველი ვიქნები.

ბაბუამ მე და დედას გვანიშნა. ჩვენც გავედით და ცოტა ხნის შემდეგ ათრთოლებულ ნინოს, მხიარული დების ამალით სასტუმრო ოთახში შევუძეხით.

ზებურ ბიძია გამოგვეგება, სუფრის თავთან შეხვდა ნინოს და შუბლზე აკოცა. შემდეგ ყანწი აიღო, ღვინით პირთამდე შეავსო, დალოცა ნინო, საზეიმო პირობა დაუდო, რომ ღვიძლი შვილივით ეყვარება სამარადისოდ და სულმოუთქმელად გამოსცალა. სული რომ მოითქვა, პიჯაკის გულისჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა, ბაჯაღლოს რგოლის ბეჭედი აიღო და ნინოს მარჯვენა ხელის არათითზე გაუკეთა.

- ეს ბეჭედი ჩვენი საგვარეულო რელიქვიაა, არაერთი მანდილოსნის, დედაჩემის, ბოლოს კი ილიას დედის ხელს ამშვენებდა. ყველა მათგანს ღირსეულად უტარებია, არ შეურცხვენია მანდილი. მინდა, შვილო შენც ღირსეულად ატარო. - თქვა შუბლზე ეამბორა.

ყველამ დალოცეს ნინო და ყანწიც ბოლომდე დაცალეს.

დედა, ნინო და დანარჩენი დები ოთახიდან გავიდნენ.

მთავარი სიტყვა ითქვა.

ბოლოს შეთანხმდნენ, დათქვეს ნიშნობის თარიღი და გამოგვემშვიდობნენ.

გვიანობამდე არ დაგვიძინია.

თავი XXIII

ნინოს ნიშნობა

ნიშნობისთვის მთელი საბიძაშვილო ემზადება, საზეიმო სამზადისს კი თადარიგიანი კაცი უნდა. ეს საქმე მამამ ბიძამისს - ალეკოს მამას სთხოვა. მანაც თავი არ დაზოგა. მოზვერი დაიკლა. ჩაიკაფ-ჩაეწყო ქვაბებში. საყაურმე და სამწვადე ცალკე შეზავდა. თევზეული და მისაყოლებლები ქალაქიდან ამოიტანეს.

საზეიმო სუფრა სასტუმრო ოთახში გაიშალა. საამისოდ გრძელი მაგიდები შეჭედეს და ორ რიგად ჩააწყვეს. ღვინო საგანგებოდ ბაბუამ შეარჩია. სუფრის წასახალისებლად, მამაჩემის წინადადებით, სოფლის თვითნასწავლი მუსიკოსები მოვიწვიეთ ქართული ხალხური საკრავებით.

როგორც ძმამ, მეც უნდა აღვასრულო და დავიცვა ტრადიციით გათვალისწინებული წესები. თამადობა ბაბუაჩემის ბიძაშვილმა - ჩვენი სკოლის დირექტორმა ალექსანდრემ უნდა ითავოს.

დათქმულ დროს სოფლის ორღობეში სამი მსუბუქი ავტომანქანა გამოჩნდა. მამა და ბაბუა შეეგებნენ სტუმრებს და მიიწვიეს სადღესასწაულო სუფრასთან. ბატონი ალექსდანდრე თამადობს.

რამდენიმე ტრადიციული სადღეგრძელოს შემდეგ დაიწყო ნიშნობის ცერემონია.

მამაჩემმა მანიშნა, ნინოს შემოყვანის დროაო.

მეც, გაამაყებულმა, რომ მნიშვნელოვანი როლი მერგო, მედიდური იერი მივიღე და ნელი ნაბიჯით გავედი საპატარძლო ოთახში.

ნინო შემოვიყვანე ოთახში.

დარბაზი ტაშის გრიალით შეგხვდა. მუსიკოსებმა განდაგანას ჰანგები აახმიანეს. სახელდახელო წრეც შეიკრა, ჩემი და ელენე და ბიძაშვილი გადაეშვნენ წრეში. ცეკვით გული იჯერეს. დედაჩემი და ნინოს სადედამთილ მიეგებნენ პატარძალს. მამთილმა საკმაოდ სქელი კონვერტი გადასცა. დედამთილმა კი ბეჭედი, საყურეები და გულქანდიანი ძეწკვი თავისი ხელით გაუკეთა. მულებმა - საათი და სამაჯური, მაზლმა კი ძვირფასთვლიანი ბეჭედი აჩუქეს. ყველაფერი სადღესასწაულო შემახილების ფონზე ხდებოდა.

ამ ამბებს რომ მორჩნენ, ილას ბიძაშვილებმა ძლივს შემოიტანეს ორი გაძეძგილი ჩემოდანი და მე, როგორც ძმას, ჩამაბარეს. მეც საგანგებოდ მონიშნულ მაგიდასთან მივატანინე და მოვკალათდი.

ნიშნობის მონაწილეებმა "ნიშან-ბოხჩის" დათვალიერება მოისურვეს. ამასაც ადათი ითვალისწინებდა. როგორც წესი, პირველ ჩემოდანში უნდა იდოს ფული, ეს საპატარძლოს ძმისთვისაა განკუთვნილი. თუ გამხსნელს ეცოტავა თანხა, შეუძლია დამატება მოითხოვოს. ეს საკმაოდ ორიგინალური ფორმით კეთდება. გითხარით, საგანგებო რჩევა-დარიგება უკვე მიღებული მქონდა. ჩემოდანი ცოტათი გავხსენი და შევიჭვრიტე. ორმოცდაათი მანეთი იდო. წესი და ადათი ითვალისწინებდა შევაჭრებას. ამას, რა თქმა უნდა, უფრო მხიარულებისა და ოინბაზობისთვის აკეთებდნენ. ერთი სიტყვით, უფლება მქონდა, გავჭირვეულებულიყავი. მეც საქმიანი იერი მივიღე, გავიბღინძე, ავიმრიზე ტუჩები, ვთქვი, არ იხსნება- მეთქი და დავხურე ჩემოდანი.

- ასეთი მძიმე სახურავი აქვს?.. ჩემმა ბიძაშვილმა მარტომ მოიტანა ამხელა ჩემოდანი, შენ კი ფაფა უნდა ჭამო, ფაფა, რომ მკლავებში ძალა მოგემატოს... - მოვიდა ნინოს მაზლი და, თითქოს სახურავის ახდა სურსო, ვითომ ჩემდაშეუმჩნევლად ჩემოდანში შეაცურა ხელი. საკეტები მოსინჯა, სხვათა დასანახავად გააჩხაკუნა და სიცილით მითხრა, - აბა, ახლა მოსინჯე, თუ გაიხსნება.

მეც ისევ წამოვწიე სახურვი, დამატებული თანხა კვლავ არ "მაკმაყოფილებდა." საკეტები მოვსინჯე, ჩემოდანს მოვეჯაჯგურე, გავიჭინთე, ვითომ ძალიან მემძიმა, და ხელები გავასავსავე:

- არა, ძმაო, არ იხსნება და რა ვქნა.

ნინოს მაზლმა კეფა მოიქექა, ეჰჰ, ეს რა უსუსური ბალღი ყოფილაო,- ჩაილაპარაკა და მომიბრუნდა:

- ბიჭო, ან არ გაჭმევენ, ან არ გასმევენ, ჩემოდნის თავი რომ ვერ აგიხდია?! - ისევ მოვიდა, გადაამოწმა საკეტები, ცოტა წამოსწია სახურავი, ვითომ მოსინჯა, მართლა მძიმე თუაო, შეაცურა ხელი, დაამატა თანხა და ვითომ დაღლილმა და გასავათებულმა მხვეწარა ხმით მთხოვა:

- აბა, კიდევ მოსინჯე... შეეცადე, ახლა მაინც მოერიო ჩემოდნის სახურავს.

მე ისევ წამოვწიე ჩემოდნის თავი, შევიჭვრიტე. თანხა "მაკმაყოფილებდა." "თავს ძალა დავატანე" და სახურავიც "დაჰყვა" ჩემს ნებას.

- როგორც იქნა, მეშველა, ყველაფერს თავისი მუღამი ჰქონია... ჩემოდანი გაიხსნა... გაიხსნა! - წამოვიძახე გახარებულმა და"შვებით ამოვისუნთქე."

ჩემმა დებმა ცნობისმოყვარე ქალებს სათითაოდ დაათვალიერებინეს "ნიშან-ბოხჩა". ისინიც მუშტრის თვალით ზომავდნენ და წონიდნენ ყველაფერს. თუ მოეწონებოდათ, აღფრთოვანებას არ მალავდნენ, თუ არ და ტუჩს იბზუებდნენ, ცალყბად შეაქებდნენ და სასწრაფოდ გვერდზე გადადებდნენ. დათვალიერების შემდეგ ნივთები ისევ ჩაალაგეს ჩემოდნებში. დებმა გაიტანეს სხვა ოთახში.

ეს ცერემონიაც ჩათავდა.

ნინო, მორთულ-მოკაზმული, მართლაც რომ მზეთუნახავი იყო.

დედამთილი და მულები მიეახლნენ, გადაკოცნეს, თვალი არ ეცესო და ნახშირის მური აცხეს შუბლსა და ლოყებზე.

პატრაძალმა საქმროს სანათესაოს ყველა წარმომადგენელს თავისი ხელით მოქსოვილი წინდები და აბრეშუმის ცხვირსახოცები ჩამოურიგა. სანაცვლოდ სტუმრებმაც შემოიტანეს პატარძლის სანათესაოსთვის განკუთვნილი საჩუქრები.

ამით ნიშნობის ცერემონიალი დამთავრდა.

ქალები, პატარძალთან ერთად, გავიდნენ მეორე ოთახში, სადაც თავიანთი სურვილისამებრ ერთობდნენ და ოინბაზობდნენ.

თამადამ საზეიმო სუფრის სადავეები ხელთ იპყრა და გაჩაღდა მამა-პაპური ლხინი, რომელიც დროდადრო ცეკვა-თამაშით მრავალფეროვნებდებოდა. დიდხანს გასტანა ლხინმა. ბოლოს უხუცესები შეიკრიბნენ და დათქვეს ქორწილის თარიღი.

ბაბუმ თავისი გაიტანა - ქორწილს ვმართავთ ძველი - მამა-პაპური წესით. თავსი აზრი იმით გააჯერა, რომ პირველი შვილიშვილის ქორწილია და სურს, წინაპრებს მიაგოს პატივი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XXIV

ნინოს ქორწილი

ჩვენთან ქორწილისათვის მზადება ადრე იწყება. ერთი ხარი და დეკეული ბაბაუამ საგანგებოდ შეარჩია ჩვენი ჯოგიდან.

სოფელში ჭირიცა და ლხინიც საერთოა. მთელი სამეზობლო მხარში გვედგა. ქალები სამზარეულოში ტრიალებდნენ, შეფ-მზარეულის მითითებებს უსიტყვოდა და ზედმიწევნით ასრულებდნენ. მამაკაცების ერთი ჯგუფი სეფას შლიდა, მეორე კი საკლავის გატყავებით იყო დაკავებული. ნადურმა ხალისი და სითამამე შეჰმატა ოჯახს. ძველად, სოფლად არ იყო წესად ქალების, განსაკუთრებით დარბაისელ და ასაკოვან მანდილოსანთა და მამაკაცთა ერთ მაგიდასთან სხდომა და მოლხენა. მანდილოსნებისთვის სუფრა ცალკე იშლებოდა.

მე, მართალია, მცირეწლოვანი ვიყავი, მაგრამ ერთადერთი ვაჟიშვილის კვალობაზე ბევრი ვალდებულება მაწვა მხრებზე. დიდი კაცივით ყველგან ვიყავი, ყველაფერი მაინტერესებდა. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით პატარძალზე უნდა მეზრუნა, მის მორთულობასა და უსაფრთხოებაზე. ამიტომ დაურიდებლად შევდიოდი მასთან ოთახში. საპატარძლო კაბასა და ფატაში ჩემი ნინო შეუდარებელი მეჩვენა.

ამასობაში ეზოში მხიარული შეძახილები და ბავშვების ყიჟინა შემომესმა: მახარობელი მოდის, მახარობელიო!

აივანზე შურდულივით გავვარდი.

ჭიშკარში მახარობელმა გახვითქული ცხენი შემოაგელვა. მარჯვენაში დიდი, თხილის ტოტისაგან გამოთლილი შამფური ეპყრა, რომელზედაც წამოგებული ჰქონდა მრგვალად მოხარშული დედალი, მწვადის დიდი ნაჭრები, პომოდორი და მრთელად მოხარშული კარტოფილიც კი.

ალი, ასე ერქვა მახარობელს, ისე აქნევდა და ათამაშებდა შამფურს, გეგონებოდა, ფარიკაობის ილეთებს ამუშავებსო. მარცხენა ხელის გულზე პატარა, წითელი აბრეშუმით გაწყობილი, ყაწიმებიანი ბალიში ედო. ისე სათუთად და სათნოდ ეპყრა, მისი ნახვა ერთ რამედ ღირდა.

შამფური, თავისი მოწყობილობით, დოვლათს და სიმდიდრეს ნიშნავდა, ბალიში კი საპატარძლო იყო და აღნიშნავდა -"ღმერთმა ბალიში ერთი მოგცეთ, ბალიშის პირი კი მრავალიო." ეს იყო მადლიც და ლოცვაც, რწმენაც და იმედიც - ქორწინების ურღვეობისა და ოჯახის ბედნიერებისა. შამფური მახარობლისაა. როგორც წესი, მეგობრებთან ერთად მიირთმევს. ბალიში, ტრადიციულად "ბაღშიში" კი - პატარძლისაა, მას დედა ინახავს და "სადილზე" უბრუნებს შვილს.

მახარობლის მოსვლიდან ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, საზეიმოდ მორთული ავტომობილების ქარავანი მოადგა ჭიშკარს. ქორწილის ძველი წესი არ ითვალისწინებს სიძის მობრძანებას პატარძლის სახლში. ის საცოლეს თავისას ელოდება. მაყრიონს ხელმძღვანელობს "ნეფის მდადე." იგი ქალი-მაყრების თავკაცია. მასვე ევალება პატარძლის "მიღება" და პატარძლის მდადესთან ერთად მასზე მზრუნველობა.

მაყრიონს ბაბუა და მამა შეეგებნენ. სტუმრები სეფაში შეიპატიჟეს, ქალებმა კი მათთვის მომზადებულ სასტუმრო ოთახში დაიკავეს ადგილები.

ქორწილის ორგანიზატორმა საუფლო სადღეგრძელო დალია და ოჯახთან შეთანხმებული კანდიდატურა თამადად წარადგინა. ეს პატივი ბაბუის ბიძაშვილს, ჩვენი სკოლის დირექტორს, განათლებულ, მჭერმეტყველ და კაი მოპურმარილე პიროვნებას ერგო.

გაჩაღდა პურობა.

ასაკი ნებას მაძლევდა, სუფრის წესები არ დამეცვა. დრო ვიხელთე და საქალებოში გადავედი. მანდილოსნები კერძებს შარბათს აყოლებდნენ. რომ დანაყრდნენ, "უფროს მდადეს" პატარძლის მოყვანა სთხოვეს. ეს საკმაოდ მხიარულად და ორიგინალურად გააკეთეს. თეფშებზე კოვზები აარაკუნეს და წაიმღერეს კიდეც. პატარძლის და ნეფის მდადეები გავიდნენ და ცოტა ხანში ლოყაწითლებულ ნინოს შემოუძღვნენ, გვერდით მოისვეს, გაიხარეს. შემდეგ ჩონგური მოითხოვეს და მხიარულებაც დაიწყო. აჭარულ კაფიებს საცეკვაო მელოდიები ცვლიდა. ერთ რამედ ღირდა დარბაისელი მანდილოსნების და გოგონების სიმღერა და გოგმანი.

ლხინი დასასრულს მიუახლოვდა. სიძის მამამ მადლობა მოახსენა მასპინძლებს, თამადას. ახალი მოყვრები დალოცა და ზეიმის გაგრძელება თავისთან შესთავაზა. ყანწი გამოსცალა, მამა იხმო, გადაკოცნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პატარძლის წაყვანის დასტური სთხოვა. მამას ჭირვეულობა არ დაუწყია, იცოდა, რომ საქორწილო ადათი და წესი ასეთი იყო.

მეორე სართულზე ჩოჩქოლი ატყდა, მამამთილი მოდისო. მდადეებმა პატარძალი საპატარძლოში გაიყვანეს და მეც მიხმეს. ოთახის შუაგულში სკამი ჩადგეს, წითელი ატლასი გადააფარეს და ნინო დასვეს. პატარძალს წოწოლა, საკარნავალო ქუდისმაგვარი დაადგეს თავზე და წამოახურეს წითელი აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც ფეხებამდე ფარავდა. გამეცინა და გავლაღდი - ჩემი დის ადგილას წითელი ზვინულა იდგა. ნინოს მამამთილი შემოვიდა. ქალებს მიესალმა, მე თავზე ხელი გადამისვა და დედას მიმართა. მადლობა მოახსენა შვილის აღზრდა-დაქალებისთვის და პატარა ქისა გადასცა. ეს ტრადიციული წესია - მამამთილი პატარძლის მშობელს - "დედის რძის საფასურს" უხდის.

დედამ შვილს თავისი რძე ალალ უყო, დალოცა, ბედნიერება და კაი ოჯახისქალობა უსურვა. ეს სიტყვები რომ წარმოსთქვა, თავს ვეღარ მოერია და აქვითინდა. გულამომჯდარი დები ერთმანეთს კოცნიდნენ და ეხვეოდნენ.

მთავარი მომენტი დადგა - "პატარძლის წამოყენების და გაყვანის"ცერემონიალი. მე, როგორც ძმას, მიხმეს. მივედი, იატაკიდან ფრთხილად წამოვალაგე ქსოვილი. საზეიმოდ გადავხადე და დის სახე გამოვაჩინე. მამამთილმა პატარძალს თვალებში ჩახედა და საზეიმოდ გამოაცხადა:

- ნინო, დღეიდან ჩემს შვილად მიმიღიხარ. შენი სიხარული ჩემი სიხარულია, შენი სიმძიმილი ჩემი სიმძიმილია. მე ვიქნები შენი ქომაგი და მზრუნველი მამა. - უთხრა და შუბლზე ეამბორა. ამის შემდეგ ნეფის და პატარძლის მდადეები იხმო, რაღაც განკარგულება გასცა და ოთახიდან ჩქარი ნაბიჯებით გავიდა.

პატარძლის წამოყენების და გაყვანის ცერემონიალის აღსრულების პატივი აქვს ნეფის მამას. თუ მამა გარდაცვლილია ან შეუძლოდაა, ეს უფლება ერგება უფროს ბიძას ან სხვა ნათესავებს - ასაკისა და ღირსების მიხედვით.

მამის დასტურით,მდადეებმა პატარძალი უკანა კარით გაიყვანეს და მისთვის განკუთვნილ, მორთულ-მოკაზმულ ცხენთან მიიყვანეს. პატარძლის ცხენოსანთა ამალა და სხვა მექორწილეები ყიჟინით და მხიარული შეძახილებით გააცილეს. მამა და ბიძები პატარძლის ამალის საპატიო წევრები არიან. ხოლო დედა, ბებია და ბაბუა სახლში რჩებიან. მაყრიონი თვალს რომ მიეფარა, დარჩენილებმა პურობა გააგრძელეს.

ჩემი სიძის ოჯახი სამი თუ ოთხი კილომეტრით დაშორებულ მეზობელ სოფელში ცხოვრობს.

ეს მანძილი საკმაოდ ჩქარა გავიარეთ.

აი, სიძის სახლიც.

სეფა ყანაში გაუმართავთ. იქვეა სამზარეულიც.

ეზოში საყვირების თანხლებით შევგრიალდით.

სოფელში უმრავლესობას ორსართულიანი ფიცრული სახლები უდგას. პირველ სართულზე მოწყობილია სამზარეულო, მარანი, საშეშე და სხვა საჭირო სათავსოები, სახლეული ცხოვრობს მეორე სართულზე, რომელსაც გარედან კიბე აქვს მიდგმული. ორივე სართული ერთმანეთს შიგნით აღმართული კიბითაც უკავშირდება. დამკვიდრებულია ტერმინები - "კიბის თავი," "კიბის ძირი".

კიბის ძირს პატარძალს დედამთილი მიეგება. თეთრი ჩითი დაფინა და ზედ ჩაბრუნებული თეფში დადო. ამასობაში კიბის თავზე სიძე გადმოდგა.

ნინოს პირველი ნაბიჯის გადადგმა ერიდება. ვინ იცის, მის მოსიყვარულე და უმანკო გულს რა განცდები უფორიაქებს.

მე ხელი ჩავკიდე. ნინომ, რატომღაც, თვალებით მამა მოძებნა, თითქოს მის ნებასა და დასტურს ელისო. მამამ ღიმილით წააქეზა, არ დაირცხვინო, თამამად გადააბიჯეო, და მონამული თვალები აარიდა. მანაც თამამად გადადგა ნაბიჯი და ერთი დაკვრით დაამსხვრია თეფში. მეგობრების შეძახილებით გამხნევებულმა სიძემ კამფეტები და ხურდა ფული გადმოაყარა. ეს სიამტკბილობისა და ბარაქის სიმბოლოა. სიძე სასტუმროში შეუძღვა მეგობრებს. დედამთილმა პატარძალი კიბეზე ააცილა, სამზადში შეიყვანა. კერა და დედაბოძი დაალოცვინა. კეთილფეხობა, კაი დიასახლისობა და შვილთმრავლობა უსურვა, შუბლზე აკოცა და მდადეებს ჩააბარა.

დამხვდურმა უხუცესებმა მოიკითხეს მაყრიონი და სტუმრები სეფაში მიიპატიჟეს. თამადა სიძის ნათლიაა, დარბაისელი და მჭერმეტყველი ბიძაკაცი. გაჩაღდა პურისჭამა და ლხინი.

საზეიმო სუფრასთან სტუმრების მოპატიჟებას და დასხმას თავისი წესი აქვს. სეფესუფრა ნეფე-დედოფლისაა. ხელმარჯვნივ მაგიდებთან ადგილებს პატარძლის მაყრები იკავებენ, ხელმარცხნივ კი საპატიო სტუმრები და მასპინძლები სხდებიან. სეფესუფრის ერთ მხარეს თამადის, მეორე მხარეს კი მუსიკოსების მაგიდები იდგმება.

ძველად ქორწილი და პურობა ორ დღეს გრძელდებოდა. მე მამის გვერდით მოვკალათდი. რომ დავნაყრდი, მამამ შემახსენა:

- შენი მოვალეობა ხომ არ დაგავიწყდა. აბა, ყოჩაღად! - მითხრა და საპატარძლო ოთახისკენ მიმანიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე სართულზე დროულად ავედი. პატარძლის მდადე მიხმობდა.

ახლა "პატარძლის ჩაბარების" ცერემონიალი დაიწყება. მას ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ადრე გათხოვება-დაქორწინების საკითხს მშობლები წყვეტდნენ. ნიშნობა გარიგებით ხდებოდა, ამიტომ უმეტესწილად ნეფე-დედოფალი ერთმანეთს ვერ იცნობდნენ. პირველად სწორედ აქ ხედავდნენ ერთმანეთის სახეს. ცერემონიის არსი შემდეგში მდგომარეობდა: პატრაძალს დასვამდნენ შემაღლებულ ადგილას. ეს შეიძლება ყოფილიყო სამზითვო სკივრი ან ჩვეულებრივი, ფარჩაგადაფარებული სკამი ან ტახტი. პატარძალს თავზე ეხურა წოწოლა ქაღალდის ქუდი და თავიდან ფეხებამდე წითელი ქსოვილი ეფარა. სახე კი დაფარული ჰქონდა პირბადით. გვერდით ედგნენ მდადეები. სიძე დგებოდა პატარძლის პირისპირ და "ფარდას" ხდიდა. პირბადის ახდა უფროსი ძმის ან ბიძაშვილის მოვალეობა იყო. ძმა პირბადის ყურს წამოსწევს და დას სახეში შეხედავს. თუ "სახარჯო" ფული უნდა, პირბადეს ისევ ჩამოაფარებს და პატარძალს თავზე ამობრუნებულ მარჯვენა ხელს დაადებს. ამ ნიშანზე ნეფე ფულს იღებს და უდებს ხელის გულზე, რის შემდეგაც ძმა დას პირბადეს ხდის. საქმრო პირველად ხედავს საცოლეს სახეს...

ვინ იცის, ძველად, ამ მომენტს რამდენ ხანს ელოდნენ დანიშნულები. ამ მომენტს რამდენი გული გაუხარებია ან მოუკლავს, რამდენი ახალგაზრდის იმედები გაუმართლებია ან დაუმსხვრევია... ადრე განქორწინება ხომ თითქმის შეუძლებელი იყო. ხშირად "ცოლის გაშვება" სისხლის ღვრით და საგვარეულო, საშვილიშვილო მტრობით მთავრდებოდა. ვაჟკაცი არ დაუშვებდა ოჯახის შერცხვენას და გაწბილებას. ამის გამო სისხლიც ბევრი დაღვრილა... ახლა კი ეს ადათი მხოლოდ რიტუალურ,ფორმალურ,სახალისო ხასიათს ატარებდა.

მე ეს ცერემონია გულმოდგინედ ჩავატარე და ოცდახუთმანეთიანიც ჩავიჯიბე... სკოლის ბუფეტსა და სასადილოში გამომადგება.

დედამთილმა რძალს კალთაში ჩვილი ჩაუგორა, ესეც შვილიანობის სიმბოლო და სურვილია. ამის შემდეგ საპატარძლოში მდადეები და ნეფე-დედოფალი რჩებიან. თითქოს თამადაც ესწრებოდა "ჩაბარების" ცერემონიას, შიკრიკი მოვიდა, ახალშეუღლებულებს თამადა იხმობსო. მექორწილენი წყვილს ფეხზე წამოდგომით და ოვაციებით შეხვდნენ. თამადის ტრადიციულ ლოცვა-სადღეგრძელოებს ენაცვლებოდა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვა-თამაში. ჩემი გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა, სიხარულისა და ბედნიერების მეშვიდე ცაზე ვიყავი.

გამთენიისას პატარძლის მდადემ საზეიმოდ გამოაცხადა:

- აბა, სადილი, სადილს ელის მაყრიონი!

ესეც ტრადიციის ნაწილია. ამ შეძახილზე მესუფრეებს დიდი სინებით ქადა-ლუხუმს მიართვდნენ. ამით დამაშვრალი და ნაქეიფარი ხალხი დასვენებას და ძილს ითხოვდა.

დილით ისევ სუფრასთან იკრიბებოდნენ მექორწილეები და ნადიმობა გრძელდებოდა.

ნაშუადღევს მამაჩემმა გამოაცხადა:

- დროა, ავიშალოთ და სახლებში წავიდეთ, მასპინძლებიც დავზოგოთ, გადაიღალნენ!..

გამოვემშვიდობეთ პატარძალს და დამხვდურებს და ჩვენი სოფლის გზას დავადექით.

დედა მოწყენილი და ცრემლთვალიანი დამხვდა. შვილთან განშორებას განიცდიდა. ალბათ, იმასაც ფიქრობდა, როგორ გამიმართლებსო მომავალში.

მეორე დღესვე ვიგრძენი ნინოს დანაკლისი, მომაკლდა მოსიყვარულე-მესაიდუმლე დის მზრუნველი ხელი.

ნინოს ნამდვილად გაუმართლა – ჰყავს მოსიყვარულე მეუღლე, სამი ქალიშვილი და ორი ვაჟი.

უკვე შვილიშვილების ბებიაცაა...

თავი XXV

ლანდად ქცეული ჩვენი ბიჭები...

სანამ საბჭოთა მეურნეობა ფუნქციონირებდა, სატვირთო მანქანის მძღოლად ვმუშაობდი. გამომუშავება ნორმალური მქონდა და ოჯახის საერთო ბიუჯეტი იძლეოდა საშუალებას, ღირსეულად გვეცხოვრა. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა და რუსეთი დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, სახელლმწიფო საკუთრებას იდეოლოგიური საფუძველი გამოეცალა და კერძო მეწარმეობამ მოიკიდა ფეხი. ჩემი გასარკვევი არაა, თუ როგორ მოხდა ქონებისა თუ მიწის პრივატიზაცია ვრცელი რუსეთის პირობებში, მაგრამ ჩემთვის ეს პროცესი საბედისწერო აღმოჩნდა... მეურნეობა დაიშალა, მის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. მომრავლდა ფერმერული მეურნეობები. ჩემი სატვირთო მანქანაც ვიღაც ქალაქელმა ბიზნესმენმა, ასობით ჰექტარ მიწასთან და სხვა ტექნიკა-დანადგარებთან ერთად შეისყიდა. ახალმა მეპატრონემ მასთან მუშაობა შემომთავაზა, მაგრამ მისეულმა მეურნეობის გამართვის ბუნდოვანმა პერსპექტივამ და ანაზღაურების გაურკვევლობამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ დრო იყო, საკუთარი საქმისათვის თავად მიმეხედა... ერთი სიტყვით, სამუშაოდან წამოვედი, ჩემს და სიმამრის დანაზოგს მოვუყარე თავი, ვიყიდე რუსული წარმოების მიკროავტობუსი, გავერთიანდი კერძო სატრანსპორტო ფირმაში და დავიწყე ხაზზე მუშაობა.

მგზავრებს კაზანსკაია-კროპოტკინის მარშრუტზე ვემსახურებოდი. გრაფიკი კარგად იცვებოდა, ამიტომ სტაბილურ სამუშაოს სტაბილური შემოსავალი მოჰქონდა.

კაზანსკაიას მოსახლეობა ეთნიკურად ჭრელია: ცხოვრობენ რუსები, კაზაკები, სომხები და ბერძნები. სომეხთა უმეტესობა წარმოშობით საქართველოდანაა, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან, ძირითადად, ახალქალაქის რაიონის სოფლებიდან. მუყაითი და გამრჯე ხალხია. მოკლე დროში ცხოვრების დონით, სახლების და კერძო მეურნეობების გამართვით, ძველ მობინადრეებს აჯობეს. ბევრს ვიცნობ. მათთან ურთიერთობას მიადვილებს საერთო ფესვები და ის გარემოებაც, რომ მამაკაცთა უმრავლესობამ სალაპარაკო ქართული იცის. განსაკუთრებით ოზურგეთიდან ჩამოსახლებულ ერთ სომეხს დავუახლოვდი. ვარაზა ჰქვია. მისი მეუღლეც ოზურგეთელია. საქართველოში ცხოვრობენ მათი მშობლები, ძმები და დები. ქართული გამართულად იცის, საშუალო განათლებაც ქართულ სკოლაში აქვს მიღებული. სტანიცა კაზანსკაიაში საცხოვრებლად ბიძაშვილის რჩევით გადმოვიდა. იგი აქ ახალქალაქიდან 70-იანი წლების დასაწყისში გადმოსახლდა. ვარაზამ ნათესავების დახმარებით და თავისი მუყაითობის წყალობით შეიძინა რამდენიმე ჰექტარი ნაყოფიერი მიწა. აიშენა ორსართულიანი, კეთილმოწყობილი სახლი. მეურნეობისათვის დამხმარე შენობა-ნაგებობებიც გამართა, ააწყო ცხოვრება და დოვლათიანი კაცის სახელი დაიმკვიდრა. ვარაზა მეუღლესთან, ზოგჯერ კი უფროს ვაჟთან ერთად, ქალაქში ხშირად სავაჭროდ ჩამოდის. ჩამოაქვს თავისივე მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. შუა დღემდე ხელს იცლის და შინ ბრუნდება.

ერთხელ, დილის რეისის შესრულებისას, ვარაზამ საქონლის ბაზრამდე გადატანა მთხოვა. მეც, იმის გათვალისწინებით, რომ მომდევნო რეისში გასვლამდე საკმაო დრო მქონდა, დავთანხმდი. მით უმეტეს, რომ ყოველ ყუთსა თუ ფუთაზე, დაწესებული ნიხრით, ცალკე გადასახადს იხდიდა. საქონელი გადავიტანეთ. გადმოტვირთვასა და დახლებზე დაწყობაში მეც მივეშველე. ეტყობა, ჩემმა მისდამი კეთილგანწყობამ და დახმარებამ განაპირობა, რომ ვარაზამ მეუღლე დახლთან დააყენა და უახლოეს სასადილოში მიმიპატიჟა. თავპატიჟი არ დამიწყია, მშიოდა. სპირტიან სასმელზე თავიდანვე უარი ვთქვით: მე საჭესთან ვარ, ვარაზას კი ურჩივნია, სავაჭრო საქმეები საღი გონებით წარმართოს. მყუდრო ადგილი შევარჩიეთ და მაგიდას მივუსხედით. სადილს მადიანად შევექეცით. ჩვენს შორის უცხოობის ყინული გალღვა. ერთმანეთს კიდევაც გავუშინაურდით. ვგრძნობდი, ვარაზას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ერიდებდა. მე ეს შევამჩნიე და წავაქეზე:

- ვარაზჯან, შენზე გულღია და ენაწყლიანი კაცის შთაბეჭდილება შემექმნა, შენ კი, ვატყობ, რაღაცის თქმა გინდა და გერიდება?

ვარაზა ჩაფიქრდა, უკედიგანობას გაჰხედა, უხერხულობის გასაქარწყლებად, უფრო საკუთარი თავის გასამხნევებლად, კეფა მოიქექა, ვითომ სათქმელის სიმძიმილში მასაც წილი ედოს, სევდიანი და დამორცხვებულ-დაღონებული თვალები მომაბჯინა და მძიმედ, დანანებანარევი ტონით ამოღერღა:

- კოტე, შენ გენდობი, ამიტომაც ჩემი გულისტკივილისას გეტყვი, მით უმეტეს, რომ ქართველებში დავიბადე და გავიზარდე, ქართულად მიღებული მაქვს განათლება, ქართველებთან მაქვს მოყვრობა და

ნათელ-მირონობა, ამიტომაც ვთვლი, რომ ქართველებთან გენეტიკური თუ არა, სულიერი ძმობა და ერთობა მაკავშირებს. მიყვარს ქართველი ხალხი. საქართველოში ბევრი მეგობარი და საახლობლო დამრჩა. ჩემი ერთადერთი დაც ქართველ ვაჟკაცზეა გათხოვილი და შესანიშნავი ქართველი დისწულები მყავს. ყოველივე და ყველაფერი ქართული მენატრება და მიყვარს... - შეჩერდა, თავი ჩაქინდრა და უხერხულად გაჩუმდა.

უფრო წაქეზების მიზნით, მაგრამ ნართაულად, ვეხუმრე:

- ვარაზ, აფერუმ, შენ ზოგიერთი ჯავახი სომეხივით ქართველების და საქართველოსადმი უმადურობის ჭია არ შეგძვრომია სულში, მიხარია, - ვუთხარ და მეგობრულად მხარზე ხელი მოვუთათუნე.

ვარაზამ თავი აიღო, სახეზე გაკვირვებული გამომეტყველება გამოესახა და ნაღვლიანად შემომხედა. მის თვალებში საყვედურისა და წყენის მაგვარს მივაგენი... ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ თავი გააქნია, დარდიანი კაცის ოხვრა ამოუშვა და მითხრა:

- კოტეჯან! მე ისე მიყვარს საქართველო, რომ უღირსად მოვიქცევი, თუ სიმართლეს არ გეტყვი. ზოგიერთი სომხის უმადურობის შესახებ შენ მართალი ხარ. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, კერძოდ, 1828-1829 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, კავკასიის ფრონტზე ძირითადი საბრძოლო მოქმედებები წარმოებდა ბაიაზეთის, ერზრუმის და იღდირის ხაზზე. ეს ტერიტორიები ოდითგანვე ეთნიკური სომხებით იყო დასახლებული. ჩვენი წინაპრები თურქების ბატონობის ქვეშ მოექცნენ მეათე-მეთერთმეტე საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც თურქთა და სპარსთა "წყალობით" სომხურმა სახელმწიფოებრიობამ არსებობა შეწყვიტა. ამ ხნის განმავლობაში სომხურ მოსახლეობაში ერთი წუთითაც არ განელებულა დამოუკიდებლობისა და სომხური სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი. კავკასიის ფრონტზე ქართულ-რუსული ჯარების წარმატებული საომარი მოქმედებების შემყურე ჩვენმა წინაპრებმა ჩათვალეს, რომ თურქული ბატონობის უღლიდან დახსნის სანუკვარი დრო დადგა. ამ რეგიონებში მცხოვრები აქტიური და პატრიოტულად განწყობილი სომხური მოსახლეობა რუსის ჯარის, უფრო სწორად, გაერთიანებული ქართულ-რუსული ჯარის სახით ხედავდა მხსნელს და მრავალსაუკუნოვანი თურქული უღლიდან განმათავისუფლებელს. ამიტომ ხშირად ეხმარებოდნენ, მეგზურობასაც უწევდნენ. ქართულ-რუსულმა ჯარმა თვალშისაცემ წარმატებებს მიაღწია, მაგრამ წარუმატებელი გამოდგა თურქულ-რუსული კომპანია მეორე - ბალკანეთის ფრონტზე. ეს რუსეთს აიძულებდა, კავკასიის ფრონტზე მოპოვებული პოზიციებიც დაეთმო. დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთის იმპერია იძულებული გახდა ბაიაზეთის, ერზრუმისა და ყარსის ვილაეთებიდან ჯარები გაეყვანა. სომხურ მოსახლეობას საფრთხე შეექმნა, განსაკუთრებით მათ, ვინც ქართულ-რუსული ჯარების წარმატებების სჯეროდა, მოემხრო მათ და აქტიურ დახმარებასაც უწევდა. კვლავ აღდგენილი თურქული მმართველობა არ აპატიებდა სომხებს "ღალატს." დაწინაურებილი სომხური საზოგადოების წარმომადგენლები დაუკავშირდნენ რუსთა სარდლობას, მათ შორის შესანიშნავ ქართველ გენერალს, ახალციხისა და ყარსის ბრძოლების გმირს, დიდ პატროიტსა და პოეტს გრიგოლ ორბელიანს და სთხოვეს, არ დაეშვათ თურქთაგან სომხური მოსახლეობის ეგზეკუცია და ფიზიკური განადგურება. რუსეთის ჯარების საველე სარდლობამ შეაჩერა ხსენებული ვილაეთებიდან საჯარისო ნაწილების გამოყვანა და შექმნილი ვითარების შესახებ მოახსენა კავკასიის ჯარების მთავარსარდალს გენერალ პასკევიჩს. მისი და კავკასიის მეფისნაცვლის ძალისხმევით, რუსი იმპერატორის დიპლომატიამ ბერლინში შეძლო შეთანხმების მიღწევა, რაც ითვალისწინებდა სამთვიან დროებით ზავს და ქართულ-რუსული ჯარების გამოყვანის შეჩერხებას მანამ, სანამ ზემოხსენებული რეგიონებიდან არ იქნებოდა დასრულებული სომხური მოსახლეობის ევაკუაცია. ეს პროცესი ნაკლებორგანიზებულად ჩატარდა. ხალხი ნაჩქარევად გამოჰყავდათ, ქონება და ნაშრომ-ნაამაგარი გაუნიავდათ, ბევრმა ცოცხალი თავით ძლივ გამოაღწია. ათასობით მოხუცი, ქალი და ბავშვი გზაზე დაიღუპა. მშიერ-წყურვალი, ძონძებში გამოხვეული, ლანდებად ქცეული, წევრნაკლული რამდენიმე ათასი ოჯახი, კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით, ქართველი თავად-აზნაურების თანხმობით და ქართველი გლეხობის დახმარებით და შემწეობით ძირძველ ქართულ მიწებზე - სამცხე-ჯავახეთში დაასახლეს. მათ შორის იყვნენ ჩემი წინაპრებიც. ქართველები გაგებით მოეკიდნენე მოძმე ერის უბედურებას და ყოველგვარი ანგარების გარეშე დაგვითმეს ქართველთა სისხლ-ცრემლით და ოფლით გაპოხილი მშობლიური მიწა-წყალი. ის კი არა, თავადაც გაჭირვებულები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა მოძმე ხალხი მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ დამკვიდრებულიყო ქართულ მიწაზე, მოეწყო ცხოვრება და მოეშუშებინა თურქული უღლისა და ბატონობის შედეგად მიყენებული ჭრილობები... გამოეტირა მშობლიური მიწიდან აყრის სიმწარე, გამოეგლოვა ლტოლვილის მძიმე გზაზე დაღუპული ახლობლები და ერზრუმ-ახალქალაქის გზაზე მიმობნეული უსახელო საფლავები... გამკლავებოდა შიმშილს, გაჭირვებას და სიტიტვლეს...

მას შემდეგ თითქმის ორი საუკუნე გავიდა, მაგრამ არსად წამიკითხავს და გამიგონია, ქართველს საყვედური ან სინანული დასცდენოდეს. ვაი, რომ ახლა ზოგიერთი უმადური სომეხი ივიწყებს წინაპრების მშობლიური მიწიდან აყრის სიმძიმეს, ლტოლვილობის სიმწარეს და ახალმოსახლეობის სიდუხჭირეს და ქართველ ერს სათანადოდ არ უფასებს ამაგს და სიკეთეს, ყველაზე სანუკვარის - მამა-პაპითა სისხლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაპოხიერებული მშობლიური მიწის, უანგაროდ საცხოვრებლად და საჯეჯილოდ, უმაგალითო გმირობის სადარ, დათმობას, სათნოებას და მადლს და სეპარატისტულ ხვანჯებს ხლართავს...

სიმართლე გითხრათ, ამ აღსარებას არ მოველოდი ახლა უკვე ნებაყოფილებით ემიგრირებული და ცხოვრების უკეთესი პირობების ძებნაში რუსეთში გადმოხვეწილი სომხისგან.

ვითომ ეს ქართული აღზრდისა და ქართველებთან გენეტიკური ნათესავობის "ბრალია"?!!

ნეტა, საქართველოში ბევრია ვარაზასთანა მოაზროვნე სომეხი?!.

გულით გამიხარდა ვარაზას აღსარება და მისდამი დიდი ნდობით განვეწყე და სიმპათიით განვიმსჭვალე. მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ ვარაზას მთავარი სათქმელი არ უთქვამს, ეს კი არანაკლებ მაინტერესებდა. ამიტომ წავაქეზე:

- ვარაზ-ჯან! გულწრფელად გეტყვი, შენ სამაგალითო სომეხი და საქართველოს პატრიოტი ყოფილხარ. მეამაყება შენისთანა თანამემამულე... მაგრამ, ვგონებ, მთავარი სათქმელი ჯერ არ გითქვამს.

თანამოსაუბრემ სევდიანი თვალებით შემომხედა, მიგიხვდიო, ჩაილაპარაკა, სინანულით გადააქნია თავი და განაგრძო:

- 1992-1993 წლების აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ ჩვენს სტანიცაში გამოჩნდა 3 ქართული ოჯახი. მამაკაცები დაღვრემილები იყვნენ, ხოლო ქალები სულ ტიროდნენ. დასტიროდნენ ომში დაღუპულ ახლობლებს, მამა-პაპური ბუდის მოშლას, უპატრონოდ მიტოვებულ წინაპართა საფლავებს, დანგრეულ და გადაბუგულ სახლ-კარს, გაპარტახებულ ეზო-კარს და შვილივით ნალოლიავებ და მოვლილ ყანა-ბაღჩებს... სამშობლოდან შორს, დევნილებაში გადახვეწასა და გაურკვეველ მომავალს... გული მეტკინა: მათაც ის ბედი ეწიათ, რაც ოდესღაც ჩემს წინაპრებს, მართალია სხვა ინტერპრეტაციით და სხვა ვითარებაში, მაგრამ თითქმის ერთნაირი სიმძიმითა და სიმწარით... ჩვენი სტანიცის სომხური სათვისტომოს თანადგომით და მუნიციპალური ხელძღვალელობის კეთილი ნების წყალობით, მოხერხდა სტანიცის ამბულატორიის ძველი შენობის შეკეთება და მათი დროებით იქ შესახლება. მათ ლტოლვილის სტატუსი მიენიჭათ და შესაბამისი საბუთიც მიეცათ. მათთვის სამუშაოც გამოიძებნა... სტანიცას სამი კომლი შეემატა.

მინდა მოკლედ დაგიხასიათო სამივე და ჩემი სატკივარიც გითხრა:

ერთი ოჯახი სამი წევრისგან შედგებოდა: დედა - ჟანა, იქნებოდა 35 წლის, ტანადი, სიმპათიური, შავთმა-შავთვალწარბა ქალი. პროფესიით ბუღალტერი იყო. ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: 15 წლის ვაჟა და 13 წლის ვალერიანი. ჟანას მეუღლე საომარი მოქმედებების დროს დაეღუპა. სოხუმის დაცემამდე რამდენიმე დღით ადრე ოჯახი სოჭში გახიზნულა.

მეორე ოჯახიც სამი წევრისგან შედგებოდა: ბებია - სალომე, დარბაისელი ქართველი დედაკაცი, იქნებოდა სამოცი წლის, მაგრამ სიმწრისა და ტანჯვა-ვაების გამო უფრო ხნიერი და მოტეხლი ჩანდა. მისი შვილი - ზურაბი, იქნებოდა 40-42 წლის, პროფესიით მძღოლი. ჰყავდა 12 წლის გიორგი. მათი ოჯახი გაგრაში ცხოვრობდა. დაბომბვის დროს სახლს ჭურვი დასცემია, ნანგრევებში მოყოლილან ზურაბის მამა, მეუღლე და ქალიშვილი. მეზობლების დახმარებით მოუხერხებიათ ცხედრების ამოყვანა და იქვე, ეზოში, დაუმარხავთ. თავად ტყვეობას ბეწვზე გადარჩენიან და ნაცნობი აფხაზის წყალობით მოუხერხებიათ ფსოუს გადმოლახვა.

მესამე ოჯახი ოთხწევრიანი იყო: ბაბუა - თედო, იქნებოდა 72 წლის, ჯანმაგარი და სათნო ბერიკაცი. რძალი - მარიამი 37-38 წლის, მოდგმული, საშუალო სიმაღლის, ლამაზი, ქერათმიანი, ლურჯთვალება მანდილოსანი, პროფესიით რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. ჰყავთ 11 წლის ქალიშვილი რუსუდანი და 8 წლის ვაჟიშვილი - თემური. ისინი სვანები არიან, გუდაუთაში ცხოვრობდნენ. მარიამის მეუღლე კოდორის ხეობაში წასულა ნათესავების მოსანახულებლად და უკან აღარ დაბრუნებულა. ბაბუის მეგობრებისა და ძველი თანამშრომლების (ადრე მილიციის ოფიცერი ყოფილა) წყალობით სამშვიდობოს უვნებლად გამოუღწევიათ და რუსეთში შემოხიზნულან.

ახალ ადგილას დაფუძნებული ოჯახები ნელ-ნელა შეეჩვივნენ მათთვის უცნობ და უჩვეულო ყოფას. უმეტესობამ თავიანთი სპეციალობების მიხედვით დაიწყო მუშაობა. ომით მიყენებული ფიზიკური თუ სულიერი იარები ნელ-ნელა დაუამდათ, მაგრამ მათ თვალებში სევდას, ხოლო გულებში მონატრებას სამუდამოდ დაესდადგურებინა. ცხოვრება გაგრძელდა... ბავშვები სკოლაში მიიყვანეს. მართალია, რუსულ სკოლაში პირველად გაუჭირდათ, მაგრამ მალე აუღეს ალღო, მით უმეტეს, რომ სალაპარაკო რუსული თავიდანვე იცოდნენ.

გიორგი და რუსუდანი იმთავითვე გამოირჩეოდნენ სწავლის წყურვილით, შრომისმოყვარეობით და სიბეჯითით. წარმატებით დაამთავრეს სკოლა. სკოლის მერხიდანვე შეუყვარდათ ერთმანეთი... ორივე კრასნოდარში სწავლობს. თემურიც ბეჯითი და მოსიყვარულე ყმაწვილია. თავიდანვე ეტყობა, რომ კაი ვაჟკაცი დადგება.

საუბედუროდ დრო თავისას შვრება... ჯერ თედო პაპა, შემდეგ კი სალომე ბებია მივაბარეთ რუსეთის მიწას... დავიტირეთ ქართულად, ყველა წესის და ადათის დაცვით მივაბარეთ მიწას და ჩვენებურადვე მოვუწყვეთ საფლავები. მინდა იცოდე: ჩვენ, ახალქალაქელი სომხები, ბევრ ქართულ ადათ-წესს ვიცავთ.

ცხოვრების და ოჯახის გამართვის წესებიც მეტ-ნაკლებად ქართული გვაქვს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ერევნელი სომხები მთლად თავისიანებად არც გვთვლიან... - თქვა და გაჩუმდა.

ორი ძმის - ვაჟას და ვალერიანის ბედით რომ დავინტერესდი, ვარაზა უფრო მოიღუშა.

- ამ ბიჭებმა ვერ გვასახელეს, შეგვარცხვინეს, - თქვა დანანებით და მწარედ ამოიოხრა.

- რა მოხდა, რატომ ამოიოხრე? - ვკითხე.

- ეს გრძელი და უსიამოვნო ისტორიაა!.. - წარმოსთქვა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ და მიამბო:

- ვაჟა და ვალერა თავიდანვე არ ჰგავდნენ სხვებს - არც ქცევით, არც აზროვნებით, არც მისწრაფებებით. გული ვერც შრომას დაუდეს, ვერც სწავლას. ზარმაცობდნენ, გაკვეთილებს აცდენდნენ. ჟანა ჯერ სასოფლო-სამეურნეო კომპლექსში მოლარე-მოანგარიშედ მუშაობდა, შემდეგ კი კერძო ფორმაში გადავიდა ბუღალტერის თანამდებობაზე. მარტოხელა ქალი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ შვილებს ობლობა არ ეგრძნოთ, არაფერი დაჰკლებოდათ, თანატოლებში გამორჩეულები არ ყოფილიყვნენ. მუხლჩაუხრელმა შრომამ, მეუღლის დაკარგვის ვარამ-დარდმა, ახლობლებთან და სამშობლოსთან განშორებამ მძიმე დაღი დაასვა საწყალი ქალის გულს. საგრძნობლად მოტყდა, გაიცრიცა, ამას დაერთო შვილების უგუნურობა და სიზარმაცე, რამაც საბოლოოდ მოუთავა ხელი. თავისი მუყაითობით და მეზობლების თანადგომით ორსართულიანი სახლის აგება, მეურნეობის გამართვა და დოვლათის შექმნა შესძლო. მისი კარ-მიდამოს და ბოსტან-ბაღჩის ნახვა ერთ რამედ ღირდა... სხვებისთვისაც სამაგალითო გახდა, ბევრმა მიჰბაძა ჟანას, შერცხვათ: ის, რაც მცირე ხანში ქვრივმა, ორი ობოლი ბავშვის დედამ შესძლო და შეიძინა, ბევრ ძველ ადგილობრივ მკვიდრს არც ეზადა და ვერც იოცნებებდა...

ერთი რამ გამომრჩა, თუ ამას აქვს რაიმე მნიშვნელობა - ჟანას ოჯახი მეგრული წარმოშობის იყო. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ მისი ვაჟების საუბარი არ მესმოდა. თავიანთ ნაფიქრ-ნააზრევს არავის ანდობდნენ, განმარტოებით ყოფნას არჩევდნენ. ერთმანეთთან მეგრულად საუბრობდნენ, ხშირად ამავე ენაზე ჩურჩულებდნენ. ეტყობა, ეს გარემოებაც აფერხებდა მათ გაგებას და სხვებთან ურთიერთობაში გულწრფელობის დეფიციტს იწვევდა. ჯერ სიგარეტის მოწევა დაიწყეს. სტანიცელი თანატოლებთან, მათ შორის გიორგისა და თემურისთან ურთიერთობას, გაურბოდნენ. ალბათ, შურდათ, რომ ისინი წარჩინებული მოწაფეები, ოჯახისთვის მზრუნველი და გამრჯე ბიჭები იყვნენ. ჩუმად დასცინოდნენ კიდეც. ერთხელ ვალერამ, რომ წაკამათდნენ, რუსუდანს წამოაძახა, რაღა ქალოია გიორგი შეგიყვარდაო. ამან უფრო გათიშა ქართველი გოგო-ბიჭები...

თავიდანვე საეჭვოდ იქცეოდნენ. სტანიცაში ლოთობით და დებოშით ცნობილ კაზაკ ბიჭებს - სტეფანეს და ბოგდანს დაუახლოვდნენ და მალე მათი თანამეინახეებიც გახდნენ. დაიწყეს ალკოჰოლთან "მეგობრობა." გაგანია ზაფხულში, როცა ყველა მინდორში იყო, სამკალში თუ სათოხარში, ეს "შესანიშნავი" ოთხეული სტანიცის ბირჟაზე, დიდი ცაცხვის ძირას ბახუსით ერთობოდნენ. ისინი ნარკოტიკებზეც არ ამბობდნენ უარს. ჯერ მარიხუანას დაუმეგობრდნენ - დალევდნენ, გააბოლებდნენ და, წავიდაა... განსაკუთრებით დაწიოკების ობიექტად ამოიჩემეს სტანიცის საცეკვაო მოედანი, სადაც ახალგაზრდობა საღამოობით დისკოთეკას მართავდა. გამომთვრალი და "დაბოლებულები" გამომწვევად იქცეოდნენ, ქალიშვილებს ეპოტინებოდნენ, უაზრო და უწმაწურ სიტყვებს გაისროდნენ... ერთხელაც მეზობელი სტანიციდან მოწვეულ ქალ-ვაჟებს აუშარდნენ, ჯერ აგინეს და ლანძღეს, შემდეგ კი ჩხუბი დაუწყეს. საცოდავები, თავპირჩამტვრეულჩასისხლიანებულები ტრაქტორის მისაბმელის ძარაზე ჭერეხებივით დაყრილები მიიყვანეს. ამის შემდეგ მათით სამართალდამცავები დაინტერესდნენ. მალევე მიაკვლიეს და დაადგინეს ჩხუბის და დებოშის მოთავე-ორგანიზატორების ვინაობა. კროპოტკინიდან მოსულმა ოპერატიულმა ჟგუფმა ოთხივე წინასწარი დაკავების იზოლატორის გზას გაუყენა. ერთს კვირის შემდეგ გაათავისუფლეს. ამბობდნენ, ბოგდანის ბიძამ - დედის ძმამ, რომელიც სამხარეო მილიციაში სერიოზულ თანამდებობაზე მუშაობდა, ადმინისტრაციული სახდელი გაუჩალიჩა და გაათავისუფლებინაო.

ვირის აბანოგამოვლილმა "ბრწყინვალე ოთხეულმა" თითქოსდა ჭკუას მოუხმო: აღარ არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, არც უაზროდ ქუჩაში დაბორიალობდნენ. ერთი ის იყო, რომ საწყალ ჟანას პირველად ინფარქტმა მაშინ დაარტყა. რამდენიმე თვეს მკურნალობდა, ჯანმრთელობა საგრძნობლად შეერყა. უკვე მუშაობა აღარ შეეძლო, მაგრამ მაინც მოახერხა მეურნეობის შენარჩუნება. ბატების მოშენებას მიჰყო ხელი. მეზობლებიც ვეხმარებოდით. ოჯახს საკმარისი შემოსავალი ჰქონდა. ბიჭები არსად არ მუშაობდნენ და არც ცდილან დედას ცოტათი მაინც შეხიდებოდნენ. მალე ყაყაჩოს ხარშვა დაიწყეს. ვიღაც კრასნოდარელი "ბარიგა" ამარაგებდა. ვენაში არ იკეთებდნენ - სვამდნენ, ჭარხლის ერთნახად არაყსაც აყოლებდნენ და მთელი დღე სტანიცის ბირჟაზე, ცაცხვის ძირში კოტრიალობდნენ. სტანიცელები, განსაკუთრებით გოგო-ბიჭები, ერიდებოდნენ ბირჟის სიახლოვეს გავლას, რადგანაც ოთხეულის მხრიდან, ძირითადად, ახალგაზრდები ხდებოდნენ დაცინვის, აგდების თუ ძალადობის ობიექტი...

მალე უფრო ღრმად შეტოპეს. კრასნოდარელმა "ბარიგამ "დაბოლებისა და კაიფის უფრო ეფექტური და სანდო საშუალება შესთავაზა - ჰეროინი, ეს კი საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნება იყო. ბევრი ფიქრის და განსჯის შემდეგ გადაწყვიტეს, სავაჭრო თუ საჯარო მომსახურების სხვა ობიექტებისთვის წილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეწერათ. სანაცვლოდ რეკეტისა თუ გაუთვალისწინებელი სიტუაციებისაგან დაცვა-დაზღვევას შეპირდნენ. მათი მუქარა და დაცვის თავმდებობა ბიზნესმენებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მეპატრონეებს სასაცილოდაც არ ეყოთ. ცივი უარით გაისტუმრეს. განსაკუთრებულით აღშფოთებულა ვარაზას მეზობელი და შორეული ნათესავი - ოვანესა, რომელსაც სტანიცაში საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ჰქონდა.

ვაჟას და ბოგდანს ცალყბად უხუმრიათ:

- ოვანესჯან, სილამაზის სალონი აღარ გექნება, შენი თანამემამულეები კი მამა-პაპური სამართებლითაც იოლად გავლენო.

მართლაც, მეორე დღეს სტანიცის ცენტრში ოვანესას სილამაზის სალონი ცეცხლის ალში გახვეულა. მართალია, მეხანძრეებმა იყოჩაღეს, მაგრამ სტანიცის მამაკაცები და მანდილოსნები მამა-პაპური სამართებლებისა დას "ბიგუდების" ამარა კარგა ხანს დარჩნენ. ბიჭებს ისე სუფთად ემუშავათ, სამართალდამცავებმა ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახეს, ხანძარი მოკლე ჩართვას დააბრალეს და საქმე "ჩამოწერეს".

ოვანესას "ხვედრით" შეშინებულმა სტანიცელმა ბიზნესმენ-მესაკუთრეებმა იფიქრეს, ითვალხელეს, იანგარიშეს და "ბრწყინვალე ოთხეულთან" მიაღწიეს შეთანხმებას: დათქმულ დროს და ადგილას შეწერილთანხიან კონვერტებს ტოვებდნენ.

სტანიცაში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა.

"შესანიშნავი ოთხეული" აგრძელებდა ჩვეულ საქმეს. მუდმივი ალკოჰოლური და ნარკოტიგული თრობის გამო საკუთარი თავიც დაავიწყდათ. გაბურძგნილები, გაუპარსავები და ჭუჭყიანები საფრთხობელებს დაემსგავსნენ. მათი დაგლახავებისა და წყალწაღებულობის შემხედვარეს, რომ არ გცოდნოდა, ვინ ოხრები და არამზადები იყვნენ, გული გეტკინებოდა. ასეთ მომავალზე ოცნებობდა ვაჟას და ვალერას მამა, როცა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის, შვილების უკეთესი მერმისისთვის იბრძოდა და გმირულად დადო თავი?! განა, შვილების ასეთ ყოფისა და ამ დღეში ჩავარდნისთვის წვალობდა საწყალი ქვრივი, მარტოხელა ქალი და წელებზე ფეხებს იდგამდა?! ეეჰ! უმადურობავ და უნამუსობა-უპასუხისმგებლობავ... საწყალი ჟანა ხშირად ავადმყოფობდა. ტანჯვა-ოხვრით ლოგინიდან წამომდგარი წალასლასდებოდა სტანიცის ბირჟაზე. იქ ლანდად ქცეული შვილების შემხედვარე მდუღარე ცრემლებად იღვრებოდა, ემუდარებოდა, მუხლებზე ჩაჩოქილი უფალს და ღვთისმშობელს იხმობდა საშველად და შემწედ... ბიჭებს თავდაპირველად დედა ეცოდებოდათ, ხათრს ვერ უტეხდნენ. უგულოდ მიძუნძულებდნენ დაავადებული და წელში მოხრილი დედაბრის უკან თმააბურძგნილი, ლანდდად ქცეული ქართველი "ვაჟკაცები." შვილების ასე "გაფარჩაკებით" მორალურად განადგურებული დედის შემხედვარე მეზობლებს გული გვიკვდებოდა. ხშირად მინახავს ასაკოვანი ქალების თვალებზე მალული ცრემლი.

ერთხელ ბირჟაზე ჩოჩქოლი ატყდა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა დროზე მივიდა, მაგრამ, ამაოდ - სტეპანეს გადარჩენა არ მოხერხდა... უკვე "სამეული" უაზრო, დაფეთებული თვალებით ერთმანეთს ზომავდა, გაოგნებული და შეშინებული ბიჭები სტეპანეს ცხედართან მიახლოვებასაც ვერ ბედავდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერს ნათელი მოეფინა: სტეპანეს გვამის გაკვეთისა და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა მისი სიკვდილის მიზეზი, - მოწამვლა.

"ბარიგას" ბიჭებისთვის ჰეროინის დროზე მიტანა დაჰგვიანებია და "ლომკით"გათანგულებს გაულახავთ, "წამალი" წაურთმევიათ და მოკვლითაც დამუქრებიან, თუ წამალს კიდევ დაუგვიანებდა... ბარიგა დაბოღმილა და ბიჭებზე სამაგიეროს გადახდა განუზრახავს. მორიგ პარტიაში გაურევია ქვიშა და თაგვის წამალი. ვაჟა, ვალერა და ბოგდანი იმან გადაარჩინა, რომ ჰეროინს ვენაში არ იკეთებდნენ, ეწეოდნენ. სტეპანე ამას არ დაგიდევდათ და მყისიერი და სწრაფი "კაიფის" მოტრფიალე ჰეროინს პირდაპირ ვენაში იკეთებდა. ახლაც ასე მომხდარა: სანამ დანარჩენები პაპიროსში შეაკეთებდნენ და "ყალიონს გამართავდნენ", სტეპანემ ნემსი სასწრაფოდ ვენაში იჩხვლიტა და შედეგმაც არ დააყოვნა. მეგობრები კომაში ჩავარდნილ და გადაფიჩინებულ სტეპანეს ვერც მოეხმარნენ და ვერც "კაიფის დაჭერა" მოასწრეს. ასე გადაურჩნენ ჩვენი "გმირები" ნაღდ სიკვდილს. სამართალდამცავებმა სამივე დააპატიმრეს. ისინი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე იოლად დათანხმდნენ. კრასნოდარის ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის თანამშრომლებმა "ბარიგა" აიყვანეს. როგორც ნარკომომხმარებლებს და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულებს, სასამართლომ სამივეს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა და ადმინისტრაციული სახდელი დაადო.

ჟანამ, შვილების დაპატიმრების ამბავი რომ შეიტყო, ერთი ძლიერ შეჰკივლა და გონწასული იატაკზე გაიშხლართა - ინფარქტი გაუმეორდა. ექიმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ სიკვდილის კლანჭებიდან ვერ დაიხსნეს. სტანიცაში გადმოვასვენეთ. განსაკუთრებული თავდადება მარიამმა გამოიჩინა - სასაფლაოც მოამზადებინა, მღვდელს გააპატიოსნებინა და ქელეხიც გადაუხადა, პარაკლისიც შეუკვეთა. სტანიცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაზანსკაიას სასაფლაოს ერთ განაკიდურს მესამე ქართველის საფლავი შეემატა. თედო პაპა, სალომე ბებია და საწყალი ჟანა... ამ უკანასკნელს უმადურ და გზააცდენილ, ნარკომან შვილებზე დარდმა და ვარამმა მოუსწრაფა სიცოცხლე...

სამი თვის შემდეგ სასჯელმოხდილი "გმირები" სტანიცაში დაბრუნდნენ. ძმებს დედის გარდაცვალება საკანში შეეტყოთ. სამივე მორალურად განადგურებული, საგრძნობლად გამხდარი და დაჩაჩანაკებული მეჩვენა. სამი დღე-ღამეს გლოვობდნენ დედას და ძმაკაც სტეპანეს.

ვაჟამ და ვალერამ დედის საფლავზე პირობა დადეს, რომ შეეშვებოდნენ ნარკოტიკებს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებოდნენ. მართლაც, რამდენიმე თვის განმავლობაში ისინი არც ბირჟაზე, არც დისკოთეკასა და სხვა გასართობ ადგილებში აღარ უნახავთ. სახლიდანაც თითქმის არ გამოდიოდნენ. დედის დანატოვარ პირუტყვს და ბატებს, ბაღ-ბოსტანს უვლიდნენ.

სამწუხაროდ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა...

ბედის ირონია ამას ჰქვია. ერთ საღამოს მათ ჭიშკარს ორი შავი ჯიპი მიადგა. მანქანებიდან შავ ქაშმირის პალტოებში გამოწყობილი მუტრუკები გადმოვიდნენ და დასისხლიანებული და ცხვირპირ დალილავებული ბოგდანიც გადმოათრიეს. ორი გარეთ დარჩა, მესამემ კი ბოგდანი ძმების სახლში შეაგდო და კარი მიიკეტა. კრასნოდარის მხარის "მაკონტროლებელ-მაყურებელი" კრიმინალური დაჯგუფების ავტორიტეტები აღმოჩნდნენ.

ქურდული გამოძიება-გარჩევის შემდეგ "ბარიგას" გალახვის, დასმენისა და ნარკოტიკული საშუალების გასაღების დამუშავებულ-გამართული არხის დახშობის გამო ვაჟა და ვალერა უმოწყალოდ სცემეს, ბოგდანსაც თვალებზე "ლურჯი ვარსკვლავები უფრო აუკიაფეს" და მათი ბედიც გადაწყვიტეს: "შეაწერეს" კრიმინალური სამყაროს წევრობა, დააკისრეს მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ბოგდანს, ამას გარდა, საჭიროების შემთხვევაში, ბიძამისის კავშირებისა და შესაძლებლობების გამოყენება დაავალეს. ეს პირობა რომ არა, სამივე ასე იოლად ვერ გადარჩებოდა. იმის დასამტკიცებლად, რომ "თავისიანებად მიიღეს," სამეულს, თანახელმძღვანელობის პრინციპით, გადაეცათ კროპოტკინის და ტიხორეცკის რაიონების "მაყურებლის" უფლებები და ქურდული "ობშიაკის" შევსების და განმგებლობის დავალება-თანხმობა-დასტურიც...

* * *

განრიგით რეისში გასვლა მიწევდა, ამიტომ ვარაზას ვთხოვე, ჩემი თანამემამულეების ბედის ჩარხის წაღმა-უკუღმა ტრიალის შესახებ შემდეგი შეხვედრისას ეამბნა. ისიც სიამოვნებით დამთანხმდა.

თავი XXVI

... მორიგი შეხვედრისას ვარაზამ შემდეგი მიამბო:

- რამდენიმე წლის შემდეგ ზურაბს უკურნებელი სენი შეეყარა და გარდაიცვალა. ასე გაჩნდა სტანიცის სასაფლაოზე ბედ და სვედამწვარ ლტოლვილ ქართველთა მეოთხე საფლავი.

გიორგიმ და რუსუდანმა უნივერსიტეტი დაამთავრეს, დაქორწინდნენ. კოდორის ხეობიდან უკანმოუბრუნებელი მამა გადარჩენილა... ბრძოლების გააქტიურების გამო სოხუმში ვეღარ დაბრუნებულა, სახალხო ბატალიონ "მონადირის" წევრი გამხდარა და საომარი მოქმედებების დამთავრებამდე იქ დარჩენილა. სოხუმის დაცემის და აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ სად არ ყოფილა, დაკარგული ოჯახი სად არ უძებნია, მაგრამ უშედეგოდ. ბედს შეგუებია. თბილისში დაფუძნებულა, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ერთ-ერთ სამინისტროში დაუწყია მუშაობა. სრულიად შემთხვევით შეხვედრია ახალქალაქელ სომეხს, რომელიც რუსეთში ნათესავების მონახულების შემდეგ სახლში ბრუნდებოდა. ბატონ ნოდარი - ასე ერქვა თედო პაპას ვაჟს, დაინტერესებულა კრასნოდარის მხარის, კავკაზსკოეს რაიონის სტანიცა კაზანსკაიაში დევნილი ქართული ოჯახების მდგომარეობით, მით უმეტეს, რომ საქართველოს ლტოლთვილთა, იძულებით გადაადგილებულთა და განსახლების სამინისტროს მათ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა. ნოდარის თხოვნით და დაფინანსებით ახალქალაქელი კაცი ისევ რუსეთში გამგზავრებულა და სტანიცა კაზანსკაიაში მცხოვრები ქართული ოჯახების შესახებ ცნობები შეუგროვებია. რომ გაუგია, მისი ოჯახი გადარჩენილა, ნოდარს იმ კაცისთვის "მერსედესის" მარკის "ჯიპი" უჩუქებია და მისი ოჯახისთვის მატერიალური დახმარებაც აღმოუჩენია. ბატონი ნოდარის და მისი ახლობლების კაზანსკაიაში ჩამოსვლა, დაკარგულ ოჯახთან შეყრა, მამის, მძახლების და სხვა ლტოლვილ-წამებული ქართველების საფლავებზე მისვლა მთელი ცხოვრების მანძილზე მეც და მთელი სტანიცის მოსახლეობასაც ენით აღუწერელ, სიტყვით გადმოუცემელ ამბად დაგვრჩება.... საამბობად ძნელია სიხარულცრემლდარდიანი განცდა და გოდება... ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე ქართველი მამაკაცის თვალებში სპეტაკი ცრემლი... ტკივილიან-სიხარულიან-იმედიანი...

შეერთებული ოჯახი დაბრუნდა დედასამშობლო საქართველოში... სტანიცის სასაფლაოზე კი ოთხი ლტოლვილის საფლავი დაგვრჩა - ქართველი, რუსი და სომეხი ხალხების ძმობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთვალდებულებების სიმბოლოდ.

... სტანიცაში დასახლდა სამი ლტოლვილი ოჯახი. სულ ათი ქართველი. რუსეთის მიწაზე სამუდამო სამყოფელი დაიმკვიდრა ოთხმა. ბედნიერი ოთხეული დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო ორი - ვაჟა და ვალერა კი, საუბედუროდ და მწარედ დასანანად, სიციცხლეშივე რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც უკვე დაკარგულები არიან: გამოუსწორებელი ნარკომანები, რეციდივისტ-კრიმინალები, ქურდული სამყაროს აქტიური წევრები ამჟამად ჯგუფური ყაჩაღობის და მკვლელობებისათვის, სადღაც ციმბირში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდიან ოცწლიან სასჯელს...

ვარაზას ნაამბობმა გული მომითუთქა და ცხოვრების ამაოება მთელი სიცხადით და სიმკაცრით კიდევ ერთხელ დამანახ-მაგრძნობინა.

"გულმა გაუძლოს, სულმა რაღა ქმნას."

* * *

ვაჟას და ვალერას ბედმა ძალიან დამაინტერესა. მათ საქმეში ჩახედული ხალხის დადგენა-მოძებნა და საქმის ვითარებაში გარკვევა გადავწყვიტე. აქაც ვარაზა დამეხმარა: დამიდგინა ძმების ადვოკატის ვინაობა და მისამართი. ვარაზას ერთი ძველი ნაცნობი ბიჭების სასამართლო სხდომას დასწრებია და მოწმის სახითაც დაუკითხავთ.

მთელი არსებით მაინტერესებდა.

სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას, ზნეობასა და უზნეობას, პატიოსნებასა და უპატიოსნობას შორის;

აქვს ბოროტებას საზღვარი?

აქვს შუბლზე ძარღვგაწყვეტილი კაცის ქცევებს ლოგიკა და ახსნა?

ემორჩილება ეს ქცევები რაიმე კანონზომირებას თუ არა და რა ინსტიქტებზეა დაფუძნებული?

აქვს თუ არა ცოდვას მიზღვის თანაფარდი საზომი და როგორ იწონება ცოდვა-მადლი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხავთ: რატომ დავინტერესდი ლტოლვილი-კრიმინალი ქართველების ბედით?..

ეჰჰჰ! აქაც ქვეცნობიერად ვმოქმედებდი, ჩემი საქციელის გამართლების დვრიტას ვეძებდი, ალბათ,მაშინ ფსიქიურ და ფსიქოლოგიურ კრიზისს განვიცდიდი.

წინაპრების სიბრძნე ამეკვიატა - "მიწა თავისას მოითხოვსო." მიწის ყივილის, ფესვებიდან მოგლეჯილ-მოწყვეტილი კაცის აგონია იყო, ალბათ... მშობლიური მიწიდან მოთხრილი, გასახმობ-გასანადგურებელ-გადასაჯიშებლად განწირული კაცის ქცევის რაიმე გამართლების მოძებნის, ან განწირული სულის დამშვიდება-დაშოშმინების კიდევ ერთი ცდა იყო, ალბათ... მართალი უთქვამს ბრძენკაცს - "წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო..." მეშინია, სიმართლეს თვალი გავუსწორო, მაგრამ ვგრძნობ, ეს ჭეშმარიტებაა, რომელსაც ვერსად გავექცევი, უფრო სწორად - საკუთარ თავს ვერ გავექცევი.

სინდისის ქენჯნაცაა, ალბათ...

ადვოკატი მოვძებნე. გავეცანი, როგოც ვაჟას და ვალერას ახლობელი, მათი ბედით დაინტერესებული პირი.

ანტონ სერგეევიჩი, ასე ერქვა ადვოკატს, ყუბანელი კაზაკია - შუა ხანს მიტანებული, თმაშეჭაღარავებული კაცი. იგი ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა, კავკასიელებისადმი კეთილგანწყობილი ადამიანი. კრასნოდარის ერთ-ერთ რესტორანში მოვიწვიე. იზოლირებულ კაბინაში შევუკვეთე სადილი. მინდოდა, ადვოკატთან განმარტოებით მესაუბრა. ერთი-ორი სირჩა გადავკარით და ერთმანეთსაც გავუშინაურდით. საუბარი თავისუფალი და გულწრფელი გამოგვივიდა...

... კრასნოდარის მხარის "მაყურებელმა," კრიმინალური დაჯგუფების ლიდერმა, "რამკიანმა" ქურდმა პაშა ყუბანსკიმ, ეტყობა, გუმანით და გამოცდილებით იცოდა, რომ ქართველები არაორდინალური, რადიკალურად განსხვავებული ბუნების და მიდრეკილების ადამიანები არიან. აკი, სულმნათ შოთა რუსთაველს ანდერძად დაუტოვებია: "სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოვლისა მოსახვეჭელსა..." მაგრამ, ვაი, რომ ყველას თავისებურად ესმის ეს ბრძნული შეგონება... პაშა ყუბანსკიმ, ეტყობა, ისიც იცოდა, რომ ქართველებში ერთდროულად არეულად და შეტყუპებულად ორი საქართველო ცხოვრობს:

საქართველო წამებულთა, თავდადებულ გმირთა, ქვეყნის უანგარო ჭირისუფალთა...

და

საქართველო მოღალატეთა,რჯულგამდგართა, ფიცის მტეხელთა, შეჩვენებულთა...

გაქნილმა არამზადამ და კრიმინალური სამყაროს გამოცდილმა ლიდერმა ყოველივე ეს კარგად იცოდა. ამიტომაც "აპატია" ძმებს შეცოდებანი. წაახალისა კიდეც. ვალიც დაადო, შემდეგ კი საშვილიშვილოდ მოიმტკიცა, კრიმინალურ სამყაროს აზიარა. მერე ხელისუფლებაც მისცა: მაყურებლობა, ქურდული "ობშიაკის" გამგებლობა და საძოვ-სამოქმედოდ ვრცელი ტერიტორია... წინასწარ ჰქონდა გათვლილი და ყოველივე ეს სათავისოდ გამოიყენა: ყველაზე სახიფათო დავალებებს მათ ანდობდა. სარისკო საქმეებზე მათ აგზავნიდა...

ტიხორეცკელმა ჯიბგირმა პაშა ყუბანსკის "ნაკოლი" მისცა - ანაპის რაიონის დაბა ვიტიაზევოში მოსკოვიდან მამასთან და ცოლ-შვილთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდა ქართველი ოლიგარქი, მილიარდერი, რომელსაც აურაცხელი ძვირფასეულობით და ანტიკვარული ნაკეთობებით აქვს ვილა სავსეო. ისიც მოახსენა, რომ ბატონ დავითის სახლი დგას დაბის განაპირას, შემაღლებილ ადგილას, შემოსაზღვრულია რკინა-ბეტონის მასიური ღობით. პერიმეტრზე უბია კავკასიური ნაგაზები, ხოლო გალავანში ჩატანებულ ერთადერთ ჭიშკარს სადღეღამისო დაცვა დარაჯობს.

პაშა ყუბანსკიმ საზრიანად იანგარიშა. ყველაფერი მიჩხრიკა-მოჩხრიკა და სამეული კრასნოდარში დაიბარა. მოკლედ გააცნო საქმის არსი და ანაპის რაიონის დაბა ვიტიაზევოში მდიდარი ქართველის სახლის "გატანა" დაავალა. თანაც პირობა დაუდო: დავალებას კარგად თუ შეასრულებთ, "ქურდულ სამმოსთან" თქვენს "რამკაში ჩასმის" თაობაზე ვიშუამდგომლებო.

ბიჭები აღფრთოვანებულები და ფრთაშესხმულები გამოვიდნენ ქურდის სამყოფლიდან... ახლა საჭირო იყო საქმის სწორად გარიგება, დაგეგმვა და აღსრულება. მოითადარიგეს სათანადო ტრანსპორტი, იარაღ-მოწყობილობები, საკურორტო ზონაში ყოფნის და ცხოვრებისათვის სათანადო ლეგენდა და ანაპაში ამოჰყვეს თავი. ჯერ ქალაქში დასახლდნენ, კერძო სასტუმროს მეპატრონე სომეხს გაურიგდნენ და პირველ სართულზე მოსახერხებელი, იზოლირებული ოთახი იქირავეს. რამდენიმე დღეში ქალაქს გაეცნენ, ყველა ქუჩა და დასასვენებელ-გასამხიარულებელი დაწესებულება მოინიშნეს. შემდეგ გავიდნენ დაბა ვიტიაზევოში, რომელიც თითქმის ქალაქის გარეუბანს წარმოადგენს. მოძებნეს მათთვის საინტერესო ვილა, კარგად შეისწავლეს, დაამუშავეს ყველა გზა და ბილიკი, დაცვის შემადგენლობა, შეიარაღება და მათი შეცვლისა და ადგილზე მოძრაობა-გადაადგილების მარშრუტი, კავკასიური ნაგაზების ვოლიერი, ჩაბმის სიგრძე, მდგრადობა და სხვა დეტალები. საჭირო გახდა კავკასიური ძაღლების ზნის და სატყუარას გამოყენების შესაძლებლობის გარკვევა. საამისოდ ბოგდანმა მოძებნა ქალაქის კინოლოგთა საზოგადოება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწევრიანდა და ძაღლმცოდნე სპეციალისტებთან გაიარა კონსულტაცია. საჭირო ლიტერატურაც კი მოიძია. ქართველ ოლიგარქ ბ-ს ვილის ზღვასთან სიახლოვე და დამსვენებელთა ნაკადის გათვალისწინებაც იყო საჭირო. საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ. შეარჩიეს სახლის "გატანის" ხელსაყრელი დრო - აგვისტოს მიწურული. ამ დროისთვის დამსვენებელთა და ტურისტთა ძირითადი ნაკადი, აგრილების და სასწავლო წლის დაწყების გამო, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მცირდება, მაგრამ გვიანსეზონური დამსვენებლის დაბაში ყოფნა და ზღვაზე ბანაობა არავის გაუკვირდება.

საძმოს წევრებმა, როგორც გვიანსეზონურმა დამსვენებლებმა და თევზაობის მოყვარულებმა, წყალსაცავთან ახლოს, ოლიგარქის ვილიდან გონივრულ მანძილზე, მარტოხელა ქალის სახლში იქირავეს ორი ოთახი და მოიწყვეს ზღვაზე უდერდელი დამსვენებლის სადარი ცხოვრება. შესაფერისი ტანისამოსი და მოყვარული მეთევზის აღჭურვილობა შეიძინეს.

დაიწყო ვილის "გატანის" სამზადისი. თვალთვალმა შედეგი გამოიღო. შეისწავლეს მობინადრეთა ცხოვრების წესი, გადაადგილების მარშრუტები და მოსვენების დრო. დაადგინეს მომსახურე პერსონალის და დაცვის შემადგენლობა, მათი საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური პირობები, ხასიათი და მიდრეკილებები. სართულების და ოთახების განლაგების და სხვა საინტერესო ინფორმაციის მიღება-გადამოწმება შესაძლებელი იყო პერსონალის დადგენით, შესწავლით, მათი გაცნობით და ნდობის მოპოვებით. ამ მიზნით ამოირჩიეს ორი ქალბატონი - ვილის მზარეული და დიასახლისი, გაარკვიეს მათი ვინაობა. ისინი ნათესავები აღმოჩნდნენ იმ ქალბატონისა, ვისთანაც ბინა იქირავეს - ახალგაზრდა, გაუთხოვარი ქალები. ვაჟა და ვალერა, როგორც ქართველთა უმეტესობა, გამორჩეული მექალთანე-ლოველასები იყვნენ. ამას ემატებოდა ქართული აზარტი, ადამიანების გაცნობის უნარი და მათზე მზრუნველობის გენეტიკური ალღო, საჭირო კონტაქტების დამყარების და ნდობის მოპოვების ბუნებრივი ნიჭი. შეისწავლეს დაინტერესებულ ქალებთან დიასხლისის ურთიერთობები და გამოარკვიეს, რომ ვერა და გალია (ასე ერქვათ მათ) დიდად აფასებდნენ და თავისებურადაც კი უყვარდათ მათი საშუალო ასაკის, მაგრამ საკმაოდ ლამაზი და სანდომიანი ნათესავი.

ვაჟამ, ბოგდანთან და ვალერასთან შეთანხმებით, დიასახლისს გამოუცხადა, ხვალ დაბადების დღე მაქვსო. ვერანდაზე საზეიმო სუფრის გაშლა და ნათესავი ქალების მოპატიჟება სთხოვა. ნადია (დიასახლისის სახელია) შეთავაზებამ აღაფრთოვანა, ძალიან მოეწონა ვაჟას წინადადება და შეპირდა, რომ აუცილებლად მოიპატიჟებს და გააცნობს ნათესავ ქალებს.

ვაჟა და ბოგდანი ანაპაში სურსათ-სანოვაგის შესაძენად წავიდნენ. ვალერამ მაყალის გამართვა ითავა და ნადიას საოჯახო საქმეებში წააშველა ხელი. საღამოსთვის ყველაფერი მზად იყო. საკმაოდ მოსახერხებელ ფართო ვერანდაზე გაშალეს მაგიდა. სუფრა ხვავრიელი და სხვადასხვა ნუგბრით დახუნძლული იყო. ვერა და გალია გამოწყობილ-გამოპრანჭულები გამოცხადნენ და "იუბილარს" სამახსოვრო სუვენერები მოართვეს. გაცნობა-წარდგენის შემდეგ მაგიდას მიუსხდნენ. ვაჟბატონებმა დაითავისეს მანდილოსნები: ბოგდანმა - დიასახლისი, ვაჟამ - გალინა, ვალერამ კი - ვერა. ქართული წესით შემწვარი მწვადი და კერძები მადისაღმძვრელ სურნელელებას ჰფენდა. ვაჟა თამადობდა. სუფრას მოხერხებულად უძღვებოდა. სადღეგრძელეობს სათავისო წყობით და შინაარსობრივი დატვირთვით ხუნძლავდა. ღვინოც რიგიანი ჰქონდათ. სულ მალე უცხოობის და უნდობლობის ყინული ჯერ გალღვა, შემდეგ კი სუფრასთან სრული ჰარმონია და ინტიმური ვითარება დამყარდა. ქალები აზარტულ ჯიბრშიც ჩაუდგნენ მამაკაცებს და ალკოჰოლს და საკუთარ თავს არ ზოგავდნენ. მამაკაცები შეზარხოშდნენ, ქალები კი საგრძნობლად შეთვრნენ. ნადიას წინასწარვე გაეთვალისწინებინა და თადარიგი დაეჭირა - მომართა მაგნიტოფონი. ვერანდა და მიმდებარე არე-მარე მსუბუქი მუსიკის ჰანგებმა დაჰფარა... პარტნიორები დაწყვილდნენ და ერთ რამედ ღირდა მთვარის შუქსა და ზღვის ლივლივა ტალღების ფონზე სამი შესანიშნავი წყვილის ფეხშეწყობილი ცეკვა-თამაში. შემდეგ წყვილები ცალკე ოთახებში გადანაწილდნენ და დიდხანს ისმოდა ვნებიანი ჩურჩული, სიამოვნებიით მოგვრილი ხვნეშა-ფრუტუნი, ჟრუანტელნაზიარები შეკივლება და მოძველებული საწოლების საამო, ტაქტში მოყვანილი ჭრიალი...

მომდევნო შეხვედრები შინაურული და სრული ნდობით თავმოდგმული იყო. ნდობამოპოვებულმა "მეთევზე-მოყვარულებმა" ქალებთან ინტენსიური ურთიერთობის შედეგად ისე, რომ ეჭვი არ გამოეწვიათ, დაადგინეს მათთვის საჭირო და საშური ინფორმაცია. კერძოდ: ოლიგარქის მამა (ოთარი ჰქვია, ბათუმელია) ახალგაზრდობაშივე, მეუღლესთან ერთად, საცხოვრებლად მოსკოვში გადასულა. სამოც წელს მიტანებული დარბაისელი ქართველისთვის დამახასიათებელი გულკეთილობით, კეთილზნეობით, სათნოებით, ურთიერთობის სისადავით და დახვეწილი მანერებით გამოირჩევა. ექვსი წლის წინათ მეუღლე გარდაცვლია. გადაუსვენებიათ საქართველოში - საგვარეულო სასაფლაოზე. მისმა ერთადერთმა ვაჟმა - დავითმა თხუტმეტი წლის წინათ შეირთო მოსკოველი ბიზნესმენის, ეროვნებით ასევე ქართველის, ერთადერთი ქალიშვილი - ინგა. ჰყავთ თერთმეტი წლის ვაჟი - გიორგი და ხუთი წლის ქალიშვილი - ნინო. დავითმა სიმამრის ხელშეწყობით და მამის თანადგომით, თავად ნიჭიერმა და ფრიად განათლებულმა ახალგაზრდამ, ბიზნესი წამოიწყო. მალე სერიოზულ მეწარმედ და გავლენიან პიროვნებად ჩამოყალიბდა.

ოჯახი მოსკოვიდან ანაპაში მამის ინიციატივით გადასახლდა. ჭარმაგ ქართველს, მეუღლის გარდაცვალებასა და ასაკთან ერთად ნოსტალგია მოეძალა. სამშობლოში დაბრუნება სურდა, მაგრამ შვილის სერიოზული და მზარდი ბიზნესის გამო, ამ ეტაპზე ეს შეუძლებელი იყო.

მშობლის სიყვარულით და ხათრით გამსჭვალულმა დავითმა მამას სამშობლოს დარი გარემო და ბუნებრივი პირობები შეურჩია. ანაპის ჰავა, ბუნებრივი გარემო და საცხოვრებელი პირობები საოცრად ჰგავს საქართველოს ზღვისპირეთს. აიყვანა მომსახურე პერსონალი, დაცვა და მამას ყოფა-ცხოვრების ყველა პირობა შეუქმნა. დავითი, ოჯახთან ერთად, მოსკოვში დარჩა. ყოველ ზაფხულს ცოლშვილით სტუმრობს მამას. ახლაც რამდენიმე დღით ჩამოვიდა. ძმაკაცებმა ისიც გაარკვიეს, რომ სამ დღეში ოლიგარქი, ახალი სასწავლო წლის მოახლოების გამო, მოსკოვს მიემგზავრება. ასე, რომ ვილაში რჩება ოთარი და მომსახურე პერსონალი, კერძოდ, მზარეული ვერა, დიასახლისი გალინა (მას ბაღის მოვლა და კავკასიური ნაგაზების კვება-პატრონობაც ევალებოდა) და ორი მცველი, რომლებიც კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომლები არიან. ყოველ ხუთშაბათს დაცვის სამსახურის პასუხისმგებელი პირი ამოდის, ამოწმებს მცველებს, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სისტემებს. ისიც დაადგინეს, რომ ოთარის რძალი დაუმეგობრდა ვიტიაზევოს სკოლის მუსიკის მასწავლებელს, ახალგაზრდა ქვრივს, რომელიც ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, თორმეტი წლის ქალიშვილთან ერთად, სტუმრობს ოჯახს და პატარა ნინოს ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლის. სხვათაშორის, მუსიკის მასწავლებლის ქალიშვილიც შესანიშნავად უკრავს ფორტეპიანოზე და, რომ ბატონი ოთარი იტყვის ხოლმე, ვერონიკას (ასე ჰქვია ქალიშვილს) ფორტეპიანოზე დაკრული ერთ რამედ ღირსო. ხშირად თხოვს, მისი საყვარელი მელოდიები დაუკრას. ისიც შეიტყვეს, რომ ოთარი და მუსიკის მასწავლებელი ურთიერთსიმპათიით არიან განწყობილი, შვილი და რძალი ორი ქვრივის ურთიერთობის წინააღმდეგი არ არიან. ასე, რომ მუსიკის მასწავლებელსა და მის ქალიშვილს ვილაში თავისუფლად მისვლის, გადაადგილების და ღამის გათევის უფლებაც აქვთ.

დრო და გარემოება ბანდიტების წისქვილზე ასხამდა წყალს.

სამი დღის შემდეგ ოლიგარქი ცოლ-შვილით მოსკოვს მიემგზავრება. ეს კი ვილის "წაღების" გარემოებას საგრძნობლად აადვილებს. შეირჩა ძარცვის ყველაზე ხელსაყრელი და შედარებით უსაფრთხო დრო - შუა ღამე. სახლში ამ დროს მხოლოდ პატრონი, ვილის შესასვლელში კი ორი მცველი რჩებიან. კიდევ ორი ქართული ნაგაზი, რომლებიც, ალბათ, ქართული ჯიშის ძალღის შესაშური ერთგულებითა და სიფრთხილით გამოირჩევიან. მართალია, ძაღლები მუდამ დაბმული არიან, მაგრამ ჯაჭვის და სახოხავის სიგრძე საკმარისია, რომ ვილის თითქმის მთელ პერიმეტრს შემოუარონ. ისიც გაითვალისწინეს - ძაღლებმა რომ არ იჩხუბონ (ორივე ნაგაზი ხვადია), ბაღის ერთ კუთხეში, ეგრეთწოდებული მკვდარი ზონაა, ადგილი, სადაც ძაღლები ერთმანეთს ვერ მისწვდებიან. მხედველობიდან არც ის გამორჩენიათ, რომ შეიძლებოდა სახლში დარჩენა დიდხანს მოსწეოდათ და წამლის ძაღლებზე ზემოქმედების დრო გასულიყო.

საჭირო დარჩა იმის გამორკვევა, თუ სად ინახებოდა ოლიგარქის ოჯახის განძეულობა, ანტიკვარული ნივთები და ფული. დასაზვერად ვილის ტერიტორიაზე შეღწევა სარისკოც იყო და შეუძლებელიც. "ციხე შიგნიდან უნდა გაეტეხათ." საამისოდ ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა გალინა იყო. მას, როგორც დიასახლისს, თავისუფლად, ნებისმიერ დროს ნებისმიერ სათავსოში შევლის უფლება ჰქონდა. მასზე ეჭვსაც არ აიღებდნენ, სეიფის ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით სათავსოებსა და ოთახებს თუ მოიხილავდა, დალაგებისა და მტვრისგან გაწმენდის მიზნით ნებისმიერ კარადას, სურათის ჩარჩოს, გობელენს ჩამოხსნიდა ან ადგილს შეუცვლიდა. გალინას სამუშაო დრო არანორმირებული იყო, ასე, რომ გვიანობამდეც შეეძლო ემუშავა და ღამის გასათევადაც დარჩენილიყო.

ბევრი თათბირის და ჩხრეკა-ძიების შემდეგ გადაწყვიტეს, გალინას პიროვნება საფდუძვლიანად შეესწავლათ, მის სანდოობაში დარწმუნებულიყვნენ და გადმოებირებინათ. ეს საქმე ვაჟას მიენდო, რადგანაც ის იყო გალინას საყვარელი და სარეცელმოწილე. ბოგდანმა და ვალერამ ანაპაში მეორე, უფრო უბრალო და სადა, სამამულო წარმოების მსუბუქი ავტომობილის დაქირავება მოახერხეს. ქირავნობის ხელშეკრულება ორივეზე გაფორმდა, რათა მართვა ორივეს შესძლებოდა. ეს მანქანა იმიტომ შეარჩიეს, რომ მათი "ტოიოტას" მარკის ჯიპი მდიდრული იყო და სხვებს თვალში ადვილად მოხვდებოდა.

ვაჟამ მოახერხა და ქალს თავი შეაყვარა.

შეყვარებული ქალი, მით უმეტეს სლავური წარმოშობის, საამურია. უყვარს ბოლომდე, ენდობა სრულად, მზადაა, საყვარელი მამაკაცის გულისთვის თავიც კი გასწიროს. ვაჟამ ამ "სუსტი წერტილის" სათავისოდ გამოყენება გადაწყვიტა. გალინასადმი ყურადღება გაათმაგა. მოუხშირა საჩუქრების და ვარდების თაიგულების მირთმევას. ერთი სიტყვით, ქალს გაგიჟებით შეუყვარდა, თვითონ კი თავის გრძნობებს ზედაპირული მინიშნებებით თუ მიახვედრებდა.

ქალის სიყვარულში რომ დარწმუნდა, "უკანასკნელი სოლის ჩარჭობა" გადაწყვიტა. ნაშუადღევს ანაპაში წავიდა. შეიძინა სანიშნო ბეჭედი, შამპანიური ღვინო, ერთი ფილა შოკოლადი, ვარდების თაიგული და გალინას სახლის ეზოს კუთხეში დახვდა. სამუშაოდან დაბრუნებული ქალი არ ელოდა ვაჟასთან მოულოდნელ შეხვედრას. ვაჟმა გაკვირვებაც არ აცალა, თაიგული მიართვა და მხურვალედ გადაკოცნა.

ქალი ათქვირებულ ვარდის კოკორს დაემსგავსა, მორცხვობის და აღფრთოვანების დარმა შეუფაკლა ისედაც წითელ-ყირმიზა ლოყები.

ვაჟამ მანქანით გასეირნება შესთავაზა და მის ღიმილს, გამოხედვას და ქცევას იდუმალება და ეშხი შეუკეთა. გულანთებული ქალი არც დაფიქრებულა, პეპელასავით ნაზად და ნარნარით "შეფარფატდა" სალონში. წინა სავარძელზე მოკალათდა თუ არა, ალისფერი, მოხდენილი ბაგეები შეაგება ვაჟას ვნებიან ტუჩებს. ვაჟამ უდაბური ადგილი მოინიშნა და ზღვის პირას, პატარა გორაკთან, ტირიფის კორომში შეაყენა მანქანა. გადმოვიდნენ. გალინამ ღრმად შეისუნთქა ზღვის საამო, გრილი ჰაერი, ისედაც ვნებიანად ამობურცულ-ათქვირებულო მკერდი ზღვის მოზრდილ ტალღასავით წამოზიდა და ვაჟა გააქვავა... მხურვალე, ვნებიანი კოცნა მოწონების და ქალისადმი აღტაცების დასტურად ნამდვილად გამოდგებოდა.

გალინა ბედნიერების მეათე ცაზე იყო. წამიერად გულში შიშიც გაუკრთა, სიყვარულის ფრთებს უნებურად ზეცაში არ აეზიდა მისი ჰაეროვანი, სიყვარულისაგან გაცისკროვნებული ნებიერი სხეული...

ვაჟამ შამპანურის ბოთლი გახსნა, წინასწარ დათადარიგებულ მაღალფეხიან ფუჟერებში ჩამოასხა და მანქანის საბარგულზე შოკოლადის ფილა დატეხა.

ქალის და სიყვარულის სადღეგრძელოები შეისვა.

ვაჟამ ისევ ჩამოასხა შამპანური. ფუჟერი ქალს მიაწოდა, მის წინ, მარჯვენა მუხლზე ჩაიჩოქა, ჯიბიდან კოლოფი ამოიღო, აუჩქარებლად გახსნა და გალინას შეყვარებული თვალები მიაპყრო. ხმას თრთოლვა და კანკალი შეჰმატა და გაოგნებულს ხელი სთხოვა. ქალი ჯერ დაიბნა, შემდეგ, თანახმა ვარო, ჩურჩულით წარმოსთქვა და შეციებულივით გააჟრჟოლა...

ეს სიყვარულის და ბედნიერების აპოგეა იყო. გალინამ ათრთოლებული და აკანკალებული პაწია მარჯვენა ჩაუდო ვაჟას მარცხენაში, თვალები მინაბა და სანუკვარ მოლოდინში გაინაბა. ბიჭისთვის ეს სრულ ნდობას და დასატურს ნიშნავდა. ვაჟამ არათითზე ბეჭედი გაუკეთა, წამოდგა და ჯერ თვალებს ეამბორა, შემდეგ მხურვალე კოცნით მოესალბუნა ქალის ლოყებს, ნიკაპს. ბოლოს ტუჩები ერთმანეთს ჩააწნეს, მოდუნდნენ და სიყვარულის მორევში თავდავიწყებით გადაეშვნენ.

ვაი, რომ ეს ქალისათვის წრფელი და ალალი გრძნობა იყო, ვაჟისათვის კი - მხოლოდ ფარსი, თამაში, მზაკვრული, ფლიდი გეგმის ნაწილი, გაუგონარი ცინიზმით, ლაჩრული ფარისევლობით ადამიანის კვლა, ოღონდ ფერებ-ფერებით, ხვევნა-კოცნით, იუდას ამბორით.

ვახტანგურით დაბეჭდეს "მარადიული სიყვარული."

ვაჟამ ათრთოლებული და თითქმის გაოგნებული, გრძნობამორეული და აფორიაქებული, ღონემიხდილი და სიამოვნებისაგან მისავათებული ქალი მანქანის საბარგულზე შემოსვა და ბროლის ყელზე მხურვალედ აკოცა. ბოლოს გაუხსნა გულისპირი და ახლა ქათქათა მკერდს დააკვდა...მამაკაცის ვნებიანი ალერსის წყალობით ორი ყავისფერი ქვირითი გაზაფხულის ნაწვიმარზე სოკოებივით იზრდებოდა და ვნებით იბერებოდა... დიდხანს ისმოდა ქალის ვნებიანი კვნესა-შეკივლება და მამაკაცის დამაშვრალი, ნააღმართალი სიარულის ხვნეშა...

სახლში გვიან დაბრუნდნენ.

ვაჟამ გალინა სულხორციანად დაიპყრო. საჭირო იყო მოხერხებელი მომენტის შერჩევა და "კარტების გახსნა." ვნებიანი ღამის შემდეგ ვაჟა გალინას მიმართ განსაკუთრებით ყურადღებიანი გახდა. დილით, სანამ ქალს ეძინა, ყავა მოხარშა, ნამცხვარი და ფორთოხლის წვენი, სხვა ტკბილეულთან ერთად, ლანგარზე დააწყო და გაკვირვებულ და ყურადღებით დიდად ნასიამოვნებ ქალს საწოლში მიართვა. შემდეგ ფრთხილად, შემპარავად, მაგრამ შეუვალი ტონით, ერთობლივი თანაცხოვრების უღიმღამო პერსპექტივები დაუსახა, თუ საჭირო ფულადი თანხა არ გაიჩინეს. გალინას ცოტა ეწყინა, რომ შეყვარებულმა ანგარიშიანობა დაიწყო, მაგრამ მასაც, ხელმოკლე ოჯახში გაზრდილს, კარგად ესმოდა, რომ უფულოდ ნორმალურ ცხოვრებას ვერ მოიწყობდნენ. უღიმღამო მომავლის წარმოდგენაზე ქალს გააჟრჟოლა. ეს რომ შენიშნა, მხრებზე მოეხვია, ტუჩებში აკოცა და დაუყვავა:

- თუ მენდობი და ნამდვილად გიყვარვარ, მაშინ მომეხმარე, ხელი შემიწყე, ფული ვნახოთ და ჩვენი ბედნიერი მომავალი უზრუნველვყოთ.

ქალს ცნობისწადილი რომ შეატყო, განაგრძო:

- ამისთვის საჭიროა სრული ნდობა, საიდუმლოს შენახვა და ცოტა ხელის გამოღება.

გალინა იგუმანა, რაც სურდა მის მიჯნურს, ჩაფიქრდა და ერთხანს თავჩაქინდრული და გარინდული იჯდა. ბოლოს რაღაცა გაიაზრა თუ მოაგონდა, გულზვიადად თავი ასწია და ვაჟას უჩურჩულა:

- ძვირფასო, შენთან ერთად ჯოჯოეთშიც წავალ და ეშმაკსაც გავურიგდები, ოღონდ უნდა შემომფიცო, რომ სიკვდილამდე გეყვარები და სულ ერთად ვიქნებით.

ვაჟასაც ეს უნდოდა, თითქოს ელოდა კიდეც, შემართული და მომზადებული დახვდა თანხმობას და ფიცით გაამყარა ქალის ისედაც ურყევი რწმენა, რწმენა მამაკაცისადმი ერთგულებისა და საუკუნო სიყვარულისა.

ეჰჰჰ ! რა იცოდმა საცოდავმა, რომ სოდომურ ცოდვაზე მოაწერა ხელი და მართლაც ეშმაკს გაურიგდა.

ვაჟამ ქალი დამოძღვრა და დაავალა, დაედგინა: დავითი ოჯახთან ერთად მოსკოვში როდის მიდის? ოთარს გარდა ვინ რჩება ვილაში? როდის ისვენებს დაცვა, ან რა რიგითობით? რა საკვებით კვებავენ ძაღლებს? სად ინახავენ ფულს და განძეულობას? სად აქვთ სეიფი, სად ინახება ან ვის აქვს მისი გასაღები? ვინ იცის სეიფის კოდი?.. ქალი დაარწმუნა, რომ ამ ფულით ჰავაის კუნზულებზე შევიძენთ ბინას ვიცხოვრებთ ერთად, დიდხანს და ბედნიერად. მანაც სრული თანადგომა და დავალების ზედმიწევნით აღსრულება აღუთქვა.

ვალერა და ბოგდანი დროს ტყუილად არ კარგავდნენ: ძირფესვიანად შეისწავლეს ვილის მიმდებარე ტერიტორია. მონიშნეს გალავანის ყველაზე სუსტი ადგილი. კედელზეც კი აცოცდნენ. კარგად დაზვერეს შიდა ტერიტორია, ობიექტების და შენობა-ნაგებობების განლაგება, შესასვლელები. ძაღლების ვოლიერების ადგილები, მათი გადაადგილების ან წვდომის შესაძლებლობები. დაცვის წევრების ადგილსამყოფელი, პერიმეტრის შემოვლისა და დათვალიერების პერიოდულობა, შეიარაღება, კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვა.

თითქმის ყველაფერი მზად იყო...

ორი დღის შემდეგ საჭირო ცნობებით "ხელდამშვენებული" გალინა მივიდა ნადიასთან. იმ ღამეს ვაჟასთან დარჩა. ოთახში შეკეტილებმა დიდხანს იჩურჩულეს. "შესანიშნავ სამეულს" დილით სრული ინფორმაცია ჰქონდა: ბიზნესმენს თვითმფრინავის ბილეთები უკვე აეღო. ორი დღის შემდეგ, ცოლშვილთან ერთად, მოსკოვს მიემგზავრებოდა. დიასახლისი სამკაულებს თავის საძინებელში, კარადაში ინახავს, არც კი კეტავს, შენობის უსაფრთხოების იმედი აქვს. ნაღდ ფულსა და განძეულობას ინახავენ სეიფში, რომელიც ჩატანებულია ბიზნესმენის სამუშაო კაბინეტის კედელში, ბუხრის მარცხნა მხარეს, დაფარულია "მონა ლიზას" სურათით. შვილის არყოფნისას კაბინეტის გასაღები ოთართან ინახება. თვლიან, რომ პროვინციული ქალაქი უფრო უსაფრთხო და კრიმინალებისთვის ხელმიუწდომია, ვიდრე - დედაქალაქი. სეიფის კოდი ოთარმა რომ იცის, ამაში გალინა სავსებით დარწმუნებულია: ერთხელ დრო იხელთა და, როცა ოჯახის წევრები შინ არ იყვნენ, აცრემლებილმა ფულის სესხება სთხოვა, დედისათვის წამლების საყიდლად მჭირდებაო. ოთარი შვილის სამუშაო კაბინეტში შევიდა, გალინამ, ოთარს ეჭვი რომ არ აეღო, ცოტა შეიცადა და კაბინეტის კარი მაშინ შეაღო, როცა ოთარს სეიფი გახსნილი ჰქონდა და საჭირო თანხას იღებდა. შენიშნა, რომ თაროებზე დასტებად ელაგა ამერიკული დოლარები, მაგრამ შიგთავსის ბოლომდე დათვალიერება ვერ მოახერხა. გალინამ ისიც აცნობა, რომ ძაღლებს "პედიგრით" თავად კვებავს და სუპერმარკეტიდანაც მას მოაქვს. ძაღლები ერთ ადგილას არიან დაბმული, ჯაჭვი ისეთი სიგრძისაა, რომ ცხოველები ერთმანეთს ვერ მისწვდნენ. ბაღის ბოლოში, დიდი კვიპაროსის ხესთან, ძაღლებისთვის მიუწვდომელი ორი-სამი მეტრი სიგანის ზოლია. დაცვა ღამით, უმეტესწილად, სადგომშია. რიგრიგობით, ყოველ ორ საათში პერიმეტრს შემოივლიან. შეიარაღებული არიან პისტოლეტებით, აქვთ რაციები. გალავანი ვიდეოთვალებით ჯერ აღჭურვილი არ არის, თუმცა, როგორც ერთმა თანამშრომელმა თავისიანს უთხრა, მათი დაყენება უახლოეს დროში იგეგმება. ამით საქმე გაგვიადვილდება, ხოლო დაცვის უსაფრთხოება საგრძნობლად ამაღლდებაო.

სამეული სიხარულით მეათე ცას ეწია. დარჩენილი ორი დღე პურისჭამასა და სამზადისში გაატარეს. მისადგმელი კიბე უსაფრთხო ადგილას დამალეს. მაყუჩიანი იარაღი გასინჯეს და მოამზადეს. შეისყიდეს ძაღლების საკვები, შეაზავეს ძლიერმოქმედი დასაძინებელი ნივთიერებით, გადასცეს გალინას და დაუთქვეს დრო, თუ როდის ჩაუყაროს ძაღლებს. გაინაწილეს ვალდებულებები. დააზუსტეს უკან დასახევი გზები. იარაღის გამოყენება მხოლოდ უკიდურესი ვითარებისთვის დათქვეს. იმოქმედებენ ნიღბებით, ერთმანეთს არ გაესაუბრებიან, მხოლოდ წინასწარ დათქმულ ნიშნებს და რუსულ ფრაზებს გამოიყენებენ. არც ერთი სიტყვა ქართულად ან მეგრულად. მოქმედებითაც არ უნდა გამოხატონ, რომ ქართველები არიან. ერთი სიტყვით, სამხილი არ უნდა დატოვონ. მოითათბირეს. შეთანხმდნენ. დათქვეს. გალინა გააფრთხილეს, სახლში წამოსვლის წინ, პირველ სართულზე, სამზარეულოს ფანჯარა არ დაკეტოს. სიტუაცია თუ გართულდა, მოსაგერიებელია ორი დაცვის თანამშრომელი...

ანაპა-როსტოვის რეისზე ავიაბილეთები წინასწარ შეიძინეს. ძარცვის დამთავრებიდან მაქსიმუმ ერთი საათში ქალაქიდან უნდა გავიდნენ. ვილის მოშორებით მონიშნეს უსაფრთხო, მოფარებული ადგილი და მანქანა შენიღბეს. ერთი სიტყვით, ყველა დეტალი, ნიუანსი თუ წვრილმან-მსხვილმანი აწონ-დაწონეს და გაითვალისწინეს.

დახვეწილმა და გონებაგახსნილმა არამზადებმა კიდევ ერთი დეტალი გათვალეს - ყველაფერს გეგმისამებრ თუ ვერ მოახერხებდნენ ან გახმაურდებოდა თავდასხმა და საჭირო გახდებოდა ქვეყნის სასწრაფოდ დატოვება, უკიდურეს შემთხვევაში, სამშვიდობოს ზღვით გააღწევდნენ, კერძოდ, ქერჩის სრუტით უკრაინაში, ყირიმში გავიდოდნენ. შესაბამისადაც მოემზადნენ - ბოგდანმა, როგორც "მეთევზე-მოყვარულმა," გაიცნო ადგილობრივი მებადური, რომელიც საკმაოდ გამართული და სწრაფმავალი კატარღით ადრე დილით სათევზაოდ ზღვაში გადიოდა. მესაზღვრეებთან და სანაპირო დაცვასთან საერთო ენაც გამონახული ჰქონდა. მან არყითა და მისაჭმელით არაერთხელ უმასპინძლა, მასთან ერთად ზღვაშიც

ბევრჯერ გავიდა. თვავადაც ისწავლა კატარღის მართვა და მისი სანავიგაციო შესაძლებლობებიც სათანადოდ შეამოწმ-შეაფასა. ბოგდანმა იცოდა, მეთევზე სად ინახავდა სადგომის და კატარღის გასაღებებს და ისიც, სად ედგა ბენზინით სავსე ბიდონი...

***

ბიზნესმენი და მისი ცოლ-შვილი ნაშუადღევს სახლიდან გავიდნენ. ისინი დაცვის თანამშრომელმა გააცილა და დაბრუნებულმა ოთარს მაოხსენა - ავიარეისი დროზე შესრულდაო.

გალინამ კიდევ ერთხელ შეამოწმა ყველა დეტალი. ნაგაზებს მოწამლული საკვები ჩაუყარა. დაელოდა, სანამ შეჭამდნენ და ოთარს სახლში წასვლის ნება სთხოვა. სამზარეულოში ვერას შეუარა, "გასანიავებლად" ეზოში გამავალი ფანჯარა გამოაღო და მასთან ერთად შენობიდან გამოვიდა. ჭიშკართან დაცვის თანამშრომლებს გაეარშიყნენ, ბედნიერი მორიგეობა უსურვეს და თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ. გალინამ უქეიფობა და თავის ტკივილი მოიმიზეზა. სამეული მოუთმენლად ელოდა. გალინას ინფორმაციით დაიმედებულნი ოპერაციის დაწყების დროს არხეინად დაელოდნენ.

ღამის თორმეტის ნახევარზე, ნაქირავები მანქანით, სამეული დაბიდან გავიდა. გარეუბანში გზის განაპირა ბარში შეიარეს, თითო კათხა ლუდი დაუკვეთეს, ბარმენთან ილაზღანდარეს, მერე, ვითომ სხვათაშორის, ბარმენს „გაუმხილეს," რომ ერთ-ერთ სანატორიუმში ლამაზმანები ელოდებიან და მათთან ერთად ანაპაში დისკოთეკაზე წასვლას აპირებენ. ერთი სიტყვით, ერთგვარი ალიბი გაიკეთეს.

ვილადან მოშორებით, მონიშნულ და მომზადებულ ადგილზე, მანქანა შენიღბეს. იქვე გადამალული კიბე მონახეს, მხარზე გაიდეს და ფეხაკრეფით გალავანთან მივიდნენ. კედელს კიბე მიადგეს თუ არა, ვალერა სულმოუთქმელად გალავანს ზემოდან მოექცა. მიდამო დაზვერა, დარწმუნდა, რომ კავკასიურ ნაგაზებს ვოლირებთან ეძინათ, გული დაიმშვიდა და კიდევ ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას. მცველს შემოვლა დაესრულებინა და დაცვის ჯიხურში მეწყვილესთან ერთად ტელევიზორს უყურებდა. ეზოში ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა. ვალერამ ამფსონებს ნიშანი მისცა, თავად კი გალავანს გადაევლო. ვაჟა და ბოგდანიც უვნებლად დაეშვნენ მიწაზე. კედელს გაეკვრნენ, კიდევ ერთხელ დაზვერეს არე-მარე და მოკლე გადარბენებით სამზარეულოს ფანჯრისკენ დაიძრნენ. რაფაზე პირველი ვაჟა ახტა, დერეფნიდან შემოღწეული ჭაღის მბჟუტავი შუქი სამზარეულოს მკრთალად ანათებდა, მაგრამ დათვალიერების და უსაფრთხო გადაადგილების საშუალებას იძლეოდა. ვაჟამ მიაყურადა და თვალთახედვის არე მოათვალიერა. აქაც სიჩუმეს დაესადგურებინა. ცოტა ხნის შემდეგ მეგობრები სამზარეულოს კუთხეში იდგნენ და სამოქმედო გეგმას კიდევ ერთელ აზუსტებდნენ. ბოლოს სახეზე ნიღბები ჩამოიფარეს, მაყუჩიანი პისტოლეტები მოსახერხებლად მოირგეს და მეორე სართულის კიბეს ფეხაკრეფით აუყვნენ. არც აქ ისმოდა ჩამი-ჩუმი, მხოლოდ დერეფნის ბოლოში, ოდნავ ღია კარიდან, სინათლე გამოკრთოდა და ტელევიზორის მისუსტებული ხმა ისმოდა. ესე იგი, სახლის პატრონს არ სძინავს, ეტყობა, სავარძელში მოკალათებული სატელევიზიო გადაცემებს უყურებს...

მეგობრები ღრიჭო კართან ერთმანეთის მიყოლებით მიიპარნენ და ელვის სისწრაფით ოთახში შევარდნენ. გაოგნებულმა ოთარმა შეყვირებაც ვერ მოასწრო - ვაჟამ და ბოგდანმა ძირს დასცეს, ხელები ამოუგრიხეს და პირზე წინასწარ მომზადებული წებოვანი ფირი ააკრეს. ვალერამ მოათრია საზურგიანი სკამი. ოთარი ზედ დასვეს, ხელები უკან გადაუგრიხეს და საზურგეს მიაკრეს, ფეხებიც სკამის ფეხებზე „მიუსკოჩეს." ტყვესთან ბოგდანი დარჩა, ვაჟამ და ვალერამ კი მთელი სართული შემოიარეს და მოჩხრიკეს. საეჭვო რომ ვერაფერი ნახეს, დამშვიდებულები ოთახში შებრუნდნენ. ვაჟა ოთარს ქეჩოში სწვდა, შეანჯღრია, ერთიც მტკივნეულად წაუთაქა და სისინა, გამყინავი ხმით მიაჩხავლა:

- ბებერო, წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა! ახლავე გვითხარი, სად ინახავ ფულს და განძეულობას, თორემ გაგათავე და ეგ არის!..

მოხუცს სიმწრის კურცხალი აუთრთოლდა ლამაზ, მაგრამ უკვე ნაოჭმომრავლებულ თვალებში. ჯერ თავი ჩაქინდრა, შემდეგ თამამად ასწია, უარის ნიშნად გააქნია და მოძალადეს თვალი თვალში გაუყარა. მისმა სიმხნევემ და შეუვალობამ ვაჟა გააცოფა და მთელი ძალით მუშტი ტუჩებში უხეთქა, წიხლი კი გამეტებით მუცელში ჩააზილა. ოთარმა სიმწრით ამოიგმინა, დაიკლაკნა და თავი ჩაქინდრა. ალისფერი სისხლის წვეთები იატაკზე სპეტაკი სანთლის ნაღვენთივით ეწვეთებოდა და ხელთუქმნელ გამას ქმნიდა... ვალერამ რაღაც იაზრა და ძმას ყურში ჩასჩურჩულა, მანაც მთელი სარკაზმითა და ზიზღით გვერდზე გააფურთხა, მართალი ხარო, კბილებიდან გამოსცრა, ოთარს სახესა და თავში პისტოლეტის ყუა უთაქა და ბოგდანს მოკლედ უბრძანა:

- პირიდან სკოტჩი მოაცილე!

ბოგდანმა სკოტჩის ბოლო მოხილა და მთელი ძალით დაქაჩა. ტყვედქმნილის არაადამიანური გამომეტყველება ადამიანს მიანიშნებდა, თუ რამდენად მტკივნეული იყო ულვაშიან ბაგეზე მიწებებული სკოტჩის ფირის უეცრად აძრობა. ერთ დროს კოპწიად გადაწკეპილი ხშირი ქართული ულვაშიდან საცოდავი, გაჭირვებული კაცის ყანასავით გამეჩხრებული საულვაშე იმზირებოდა. ოთარმა ტკივილს ვერ გაუძლო და მწარედ ამოიკვნესა, ნაულვაშარზე კი სისხლის წვეთები აკიაფდა. ტკივილის და უმწეო მდგომარეობის შეგნებით გამოწვეული ბოღმა ერთ უწყეტ გმინვად აზავთდა და სიმწრის კურცხალმა ლოყაზე გაიკვალა გზა. ამან ვაჟა საბოლოოდ გაახელა - მისდგა და მისდგა, მუშტებს და წიხლებს გახელებით უბაგუნებდა თან უწმაწური სიტყვებით იხსენიებდა ოთარის მშობლებს, ჯიშს და ჯილაგს, მოკეთეს თუ ახლობლებს. ბოლოს შუბლზე პისტოლეტის კონდახი სთხლიშა, სისხლიან ტუჩებზე სკოტჩი დააწება და გაშმაგებით იღრიალა:

- სასწრაფოდ უთო, უთო მომიტანეთ! მწვადივით უნდა ავაშიშხინო ეს კერპი და მოურჯულებული ბებერი ქართველი!

ბოგდანი და ვალერა ფაცხა-ფუცხით მოედვნენ ოთახებს და მალე უთოთი „ხელდამშვენებული“ დაბრუნდნენ. ვაჟამ კმაყოფილებით ხელები მოიფშვნიტა, ახლაც არ ალაპარაკდებიო, ჩაილაპარაკა და ელექტროზონარი დენს მიუერთა. სიმხურვალე უთოს ძირზე მიფურთხებით შეამოწმა და ბოგდანს ანიშნა, ხალათი გახადეო. ბოგდანმა კმაყოფილებით გააზმორა, ოთარს მივარდა, გულისპირს სწვდა და ჭიპამდე შეახია, შემდეგ პირი ფართოდ გააღო, ჩიფირის სმისაგან ჩაყვითლებულ-ჩაყავისფერებული ღოჯები გამოაჩინა, ველური ცხენივით ჩაიხვიხვინა, მუშტი თავში უთაქა და დაიროხროხა:

- ახლაც იყუჩებ, ბებერო? - და გვერდზე გადგა.

ვაჟა განაწამებ მსხვერპლს მხურვალე უთოთი მიუახლოვდა, ნიკაპში სწვდა, თავი გადაუწია, გამხეცებულმა მუშტი ამოარტყა და დასჩხავლა:

- შენ ახვარო და მუდრეგო, განძეულის სამალავს და სეიფის კოდს თუ არ გამიმხელ, გაგაუთოებ და ცოცხლად შეგწვავ! - ეს თქვა და უთო ბრყტლად მიადო ფართო და ვაჟკაცურ მკერდზე.

ბანჯგვლიანი კანი ატოკდა... ჯერ ნატრუსალის უსიამო სუნი დატრიალდა, შედეგ კი აშიშხინებული ხორცის ოხშივარმა გაავსო ოთახი...

ოთარი გმინავდა, გველივით იგრიხებოდა მისი ჩანაკვთულ-ჩაკუნთული სხეული... სახეზე ჩამონადენი ცრემლი, სიმწრის, განა ლაჩარის ცრემლი, ბაგეებთან სისხლს უერთდებოდა და მკერდზე იწვეთებოდა... მალე ოფლ-სისხლ-ცრემლნარევი ბლანტი მასა უთოს მიეღვარა და აშიშხინდა... ვაჟამ შეისვენა, სხეულს უთო მოაშორა, ხელმეორედ გასაცხელებლად ბოგდანს გადასცა და ელვის სისწრაფით ისევ ააგლიჯა სკოტჩი. ისევ სწვდა ნიკაპში და გველივით დაისისინა:

- ახლაც არ მეტყვი, სად გაქვს გადამალული განძეულობა?

ოთარმა მწარედ ამოიოხრა, ამოაყოლა სიმწრითა და უმწეობით შეზავებული ბალღამი, დაიხედა უთოსგან დამწვარ მკერდზე, რომელიც ვარდისფერ ნახევარმთვარედ აჯდა მის ვაჟკაცურ სხეულს, ისევ ამოიოხრა, ჩაფიქრდა, უმწეოდ გადააქნია თავი და ძლივს გასაგონი ხმით ალუღლუღდა:

- საგვარეულო განძეულობა, რელიქვიები და ოქროულობა შვილის საძინებელი ოთახის იატაკში მოწყობილ სამალავშია, ადვილად ნახავთ, ზედ პუფი ადევს... წაიღეთ, ოღონდ სიცოცხლე შემინარჩუნეთ, ჩემი და ჩემი ოჯახის ჭირიც წაუღია განძეულობას, ღმერთმა ისინი მიმყოფოს უვნებლად, მეტი არაფერი მინდა, - თქვა და მწარედ აქვითინდა.

ვაჟამ „საინფორმაციო ღრუ“ ისევ გადაუკეტა და ამფსონებთან ერთად ცოლ-ქმრის საძინებელში გავარდა. პუფი წამოაყირავეს, წინასწარ მოთადარიგებული ძალაყინით და ჩაქუჩით პარკეტი აჰყარეს და სამალავიდან სანუკვარი ზარდახშა ამოიღეს. ბოგდანმა ელვის სისწრაფით ზარდახშას თავსახური აჰხადა და თვალები გაუფართოვდა - იქ იმდენი ბრილიანტი, ოქრო და ძვირფასეულობა ეწყო, რუსეთის მთელ კრიმინალურ სამყაროს ეყოფოდა. ვაჟაც და ვალერაც აღტაცებულები იღებდნენ ძვირფას თვლებს, ხელის გულზე აგორავებდნენ, სინჯავდნენ, ზომა-წონიდნენ და მოწონების და წარმატების ნიშნად ერთმანეთს ზურგსა და მხრებზე ხელებს უბაგუნებდნენ... ემოციები ჩაიცხრეს, აღტაცება მოიოკეს და უკვე ფხიზელი გონებითა და ჩვეული გამჭრიახობით შეაფასეს ნამოქმედარი და ნაალაფარი.

პირველმა ბოგდანმა თქვა:

- ბრატვა, ეს განძეულობა იმდენია, პაშა ყუბანსკის და ჩვენ კი არა, კრასნოდარისა და როსტოვის მთელ კრიმინალურ სამყაროსაც ეყოფა. ოპერაცია უხმაუროდ და უჩვეულოდ იღბლიანად ჩავატარეთ. მოდით, ასევე წყნარად და უხმაუროდ დავტოვოთ ვილა, ნაალაფარიც შევირჩინოთ, მშვიდად გავიდეთ სამშვიდობოს და ვიხეიროთ.

ვალერას ჭკუაში დაუჯდა ბოგდანის ნათქვამი, მაგრამ ვაჟა შეუვალი აღმოჩნდა:

- არა და არა! ამდენი ვემზადეთ, ამდენი დრო დავკარგეთ, ქალებთან ამდენი ვიჯამბაზეთ და ვიანგლეთ და სეიფი უვნებელი და დოლარებით გაძეძგილი დავტოვო?! არავითარ შემთხვევაში! მოხუცს იგივე ხერხით ავალაპარაკებ, სეიფის კოდს ვათქმევინებ, ისიც მოვასუფთავოთ და ჰაიდა!..

ბოგდანი გაკერპდა. ვალერამაც შეაშველა სიტყვა:

- ძმაო, მენდე, ჯერ-ჯერობით გვიმართლებს, განძეულობა - ამდენი ოქრო და ბრილიანტი, რამდენიმე მილიონის ქონებაა ჩვენს ხელთ და ქაღალდის ფულისთვის თავს ნუ გავწირავთ. იღბალი გვწყალობს - უსაფრთხოდ მოვსულვართ, უსაფრთხოდ წავიდეთ... დამიჯერე, ძმურად გთხოვ... მოიგონე წინაპრების შეგონება - „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო.“ წამო, გავეცალოთ აქაურობას...

ვაჟა ისევ შეუვალი იყო. ამფსონები რომ ვერ დაარწმუნა, იძრო პოსტოლეტი, ბოგდანს საფეთქელზე მიადო და კბილებიდან გამოსცრა:

- ან ახლა, ან არასდროს! შემომფიცე და დამიდასტურე, რომ მუდამ ჩემი ერთგული ხარ, თორემ გაგაფრთხობინე სული! - თქვა და ჩახმახს დაადო თითი.

ბოგდანი გაფითრდა, თვალები აახამხამა და წაილუღლუღა:

- ვაჟა, ბრატუხა, რას ამბობ, განა,ოდესმე გიღალატე, ეს როგორ გაივლე გულში? ჯანიც გავარდეს, შენ როგორც გინდა, ისე იყოს, ფული ზედმეტი არასდროს არაა, - თქვა და ვაჟას პისტოლეტიანი ხელი ფრთხილად მოიშორა საფეთქლიდან.

გადაწყდა: მოხუცის წამებით ათქმევინებენ სეიფის კოდს, ფულ აიღებენ და მოუსვამენ...

გამოვიდნენ მისაღებ ოთახში...

***

ბოგდანმა ფანჯრიდან გადაიხედა. სურდა, კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ გარეთ სიწყნარე და სიმშვიდეა. ამ დროს ვიღაცამ კარზე ფრთხილად დაუკაკუნა. ბიჭები დაფრთხნენ, ამას ნამდვილად არ ელოდნენ. ჯერ გაინაბნენ, შემდეგ კი, გონს მოსულებმა, სიტუაციის დაზვერვა და შესწავლა გადაწყვიტეს. საჭირო იყო ნაგვიანევი სტუმრების ვინაობის დადგენა და მათი მოსვლის მიზეზის გარკვევა. ვაჟა ოთართან დარჩა. ვალერა საძინებელ ოთახში გავიდა, ბოგდანმა კი პირველ სართულზე ჩაირბინა და კარს მიაყურადა. ცოტა ხნის შემდეგ ვალერა მობრუნდა, ვაჟას მიუახლოვდა და უჩურჩულა:

- ახალგაზრდა ქალი და გოგონა არიან. ალბათ, როგორც გალინამ და ვერამ გვითხრეს, მუსიკის მასწავლებელი და მისი ქალიშვილია... საქმეებს მორჩნენ, უბანიც მიწყნარდა. ეტყობა, ოთართან ინტიმური ურთიერთობის გამჟღავნება-გახმაურება არ აწყობთ და ასე გვიან ამიტომ სტუმრობენ.

ახლა ვაჟა გავიდა საძინებელში, საიდანაც კარგად მოსჩანდა ეზოს წინა მხარე, დაცვის ჯიხური და გალავნის მთავარი ჭიშკრები.

დაცვის თანამშრომლები კვლავინდებურად ტელევიზორს უყურებდნენ. ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა, მხოლოდ დედა-შვილი არღვევდნენ მყუდროებას და ხანგამოშვებით კარზე აკაკუნებდნენ. ალბათ, დრო ჰქონდათ დათქმული და ისიც იცოდნენ, რომ ოთარი შინ მარტოდაა და მათ ელოდება... სანამ ქალები საეჭვო სიჩუმის გამო დაეჭვდებოდნენ, საჭირო იყო განსჯა და გადაწყვეტილების მიღება. ვაჟამ ვალერა და ბოგდანი იხმო და დაავალა, კარები ფრთლილად გაეხსნათ, დედა-შვილი შემოეშვათ, უხმაუროდ გაეკოჭათ და მასთან მიეთრიათ. ბიჭებმა დავალება ზედმიწევნით შეასრულეს - რამდენიმე წუთში შეშინებულ-დაფეთიანებული ”ტყვეები” წამების ოთახში დივანზე ეყარნენ. ქალს პირობა ჩამოართვეს, რომ ყვირილს არ ატეხდა და პირი გაუხსნეს.

ვაჟამ ვინაობა და ნაგვიანევი სტუმრობის მიზეზი ჰკითხა.

ქალმა ზლუქუნ-სლუკუნითა და ცხვირის შმუტუნით ამოღერღა:

- მე მუსიკის მასწავლებელი ვარ, ქვრივი, მყავს ერთი ქალიშვილი. ოთარის ოჯახი მათი აქ ჩამოსახლების წელს გავიცანი. ბავშვებს მუსიკას ვასწავლიდი. ჩემი ქალიშვილიც მალე დაუახლოვდა და დაუმეგობრდა მათ, მით უმეტეს, ჩემი გოგონაც ფორტეპიანოზე უკრავს. მე და ბატონი ოთარიც დავმეგობრდით, ერთი სიტყვით, შეგვიყვარდა ერთმანეთი. ვერიდებით დაბაში ჩვენი ურთიერთობის გახმაურებას, ამიტომ გვიან მოვდივართ, მეტი არაფერი,- თქვა და აქვითინდა.

„გაუთოებული“ და ნაწამები ოთარი რომ დაინახა, კივილი მოინდომა, მაგრამ ბოგდანმა პროფესიონალის მოხერხებით და სიჩქარით პირზე სკოტჩი ააკრა.

ვაჟა ახლა ოთარს მიუბრუნდა:

- ჯიგარო, იფიქრე და შენი უტვინო თავით განსაჯე, გიღირს კი იმ სეიფში გადამალული ოქრო და ფასეულობა შენსა და ან ამ ქალების წამებად? მოიფიქრე და სეიფის კოდი მითხარი, მე კი სიტყვას გაძლევ, სამივე უვნებელი გადარჩებით.

კაცმა მწარედ ჩაიცინა, ღრმად ამოიოხრა, ჩაფიქრდა, თვალები მილულა. მისი აღგზნებული გონება, ნაგვემი სხეული და განაწამები სული ერთი საგნის ირგვლივ ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გამოსავლის პოვნას ვერ ახერხებდნენ. ბოლოს მწარედ ამოიგმინა, თავი გადააქნია და დუმილი არჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცის გაუტეხლობამ და მედგარმა, უშიშარმა ქცევა-ნებისყოფამ ვაჟა უფრო გააჯავრა. მივარდა მოხუცს და თავში მუშტი ჩასცხო. ბოლოს, თითქოს გამოსავალს მიაგნოო, შეხტა, სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა, ოთარს ჯიქურ თვალი თვალში გაუყარა და მიახალა:

- კაი, ბატონო! არ გინდა და ნუ გინდა! ჩვენ იმპროვიზირებულ წარმოდგენას გაყურებინებთ! - დაემუქრა და ბოგდანს მათთვის გასაგები ჟესტით რაღაც ანიშნა.

ბოგდანი მიხვდა, რა სურდა ვაჟას. ჯერ გაუკვირდა, ამას მის ფართოდ გაღებულ თვალებში იოლად ამოიკითხავდით, მერე გაუხარდა კიდეც. აუჩქარებლად მივიდა მუსიკის მასწავლებელთან, მსუბუქად აიტაცა ხელში და სავარძელზე გადაასვენა. ჯერ უგემურად, შემდეგ კი აზარტით დაუწყო ფერება, შემდეგ ლოშნასა და დაბურჯგვნაზე გადავიდა. ქალი იკლაკნებოდა, იგრიხებოდა, სხეულის მოძრაობით ცდილობდა აბეზარი მამაკაცის მოშორებას, მაგრამ უშედეგოდ. გაკოჭილს და დასკოტჩილს, აბა, რის გაკეთება შეეძლო. ვაჟას ოთარზე მიბჯენილი მზერა არ მოუშორებია, მის რეაქციას აკვირდებოდა. კაცის გაყინულ სახეს ძარღვიც არ შეტოკებია. ამან გააკვირვა და უფრო გაახელა: ნუთუ, ფულის გულისთვის შეიძლება საყვარელი ქალის ნამუსის და ღირსების შელახვა? ეს რომ გაიაზრა, ოთარს თავში მარჯვენა ურისავით ხეთქა, შეჰყვირა:

- შენ ვირო, არამზადავ! ნუთუ, ფული ან რაიმე ფასეულობა ღირებულია საყვარელი ქალის ნამუსსა და ღირსებაზე, არ გეცოდება შენი შეყვარებული?

კაცს სიმწრის ოფლმა კიდევ ერთხელ დაუნამა სახე და დადაღული გულმკერდი. შეკოჭილმა გაიბრძოლა, დაიღმუვლა და უარის ნიშნად თავი გააქნია... მაშინ ვაჟამ ბოგდანს ანიშნა და მანაც არ დააყოვნა: დედაკაცს ჯერ პერანგის გულისპირი შეახია. ქალის ათქვირებული, ქათქათა მკერდი აღმოსავლეთიდან ამომავალი მზის დისკოებივით წამოიზარდა და ორი ვარდისფერი ქვირითით ცას თვალები მოსჭრა... ბოგდანი არ ცხრებოდა, მასზე არც ქალის განწირული ქვითინი, არც თორმეტი წლის ქალიშვილის უხმო მუდარა, არც იმის გააზრება, რომ ამას მცირეწლოვანი ქალიშვილის წინაშე სჩადიოდა, არ მოქმედებდა. მან საკმაოდ პროფესიულად და გულგრილად გადაალაჯა ქალს და ყველას წინაშე ურცხვად ნამუსი აჰხადა...

ბოგდანმა, როგორც კი საქმეს მორჩა, გაბახებული, დალურჯებული და ნამუსახდილი ქალი ოთახის კუთხეში გამოუსედაგარი ნივთივით მიაგდო.

ვაჟა ისევ მიუბრუნდა ოთარს და ნიკაპში ამოსდო ხელი:

- შენ მართლა უსისხლო, ფულის ტომარა ყოფილხარ! უგულო კაცი... ნუთუ, არ შეგეცოდა საყვარელი ქალი, როგორ გაიმეტე გასაბახებლად? ფუი, შენს კაცობას! - უთხრა და პირსახეში შეაფურთხა.

ოთარი აღმუვლდა, აბორგდა, კბილები მოიცვითა ღრჭიალით, სიმწრის და უმწეობის შეგრძნებამ ლამის გააგიჟა დარბაისელი კაცი. ეს კი ანამუსებს და კიდეც ჭკუას ასწავლის, როგორ მოიქცეს და რაზე ინამუსოს... რა ქნას: სეიფში მისი და შვილის მრავალწლიანი მუხლჩაუხრელი შრომის, წვალების და დაგვის ნაყოფია. ეს ფული მარტო მას რომ ეკუთვნოდეს, ჯანდაბას... თავის წამებად და, თუნდაც, საყვარელი ქალის ერთ ცრემლადაც, იქნებ, არ უღირდეს, მაგრამ ის ფული და ძვირფასეულობა მთელი ოჯახის საკუთრებაა, რძალ-შვილის, შვილიშვილების საკუთრებაა. მათი ქონების დათმობა ენანება, თორემ მარტო მისი რომ იყოს, მეწყერსაც წაუღია და ცეცხლსაც შთაუნთქავს. როდემდის გაუძლებს მისი ნებისყოფა, როდემდის...

ვაჟას უფრო მზაკვრული გეგმა მოუვიდა თავში. ახლა ვალერას ქალიშვილის გაბახება-გაუპატიურება უბრძანა.

ვალერა - ამძუვნებული ხვადი, ბოგდანის ნამოქმედარით აღგზნებული, ისედაც ცქმუტავდა და ადგილს ვერ პოულობდა. არც დაფიქრებულა, მყისვე მივარდა ვერონიკას, ხელში აიტაცა და როგორც მგელი მოიგდებს ხოლმე დავლა-ბატკანს და ტყეში გაუყენებს, ისე მიიტანა იმავე სავარძელთან, სადაც რამდენიმე წუთის წინ საწყალი დედა მცირეწლოვალი ქალიშვილის წინ გააუპატიურეს. ბავშვი სავარძელზე დააგდო. საწყალს შიშისა და გაურკვევლობისგან სახე გაქვავებოდა, თვალები გაშტერებოდა, ტანჯვის და ვაება-სირცხვილის განცდა შეჰყინოდა ანგელოზის უმანკო სახეზე და სულშეხუთული და გაოგნებული უმზერდა მტარვალსა და კაციჭამია მხეცს...

ვაჟას მზაკვრულმა განზრახვამ საბრალო ოთარს თავზარი დასცა და მისი ნებისყოფა ბოლომდე გასტეხა... ალბათ, თუ წარმოიდგინა ვერონიკას ადგილზე მისი საყვარელი ნინიკო და კლდესავით მაგარი და უდრეკი ქართველი გატყდა... ჩაიფერფლა... ნაწილებად ჩაიშალა მისი სულის სიმტკიცე და ურყევი ნებისყოფა... გატყდა... დაყაბულდა. დაიკლაკნა, ერთიც დაიღმუვლა, გაიბრძოლა, დაბორკილი ფეხებისა და ხელების ნატანჯმა და ნაგვემმა ძვლებმა ჭახანი მოადინა და მტარვალს ანიშნა, პირიდან სკოტჩი მომაძრეთო...

ვაჟა აღტაცებაში მოვიდა - გაიმარჯვა, გატეხა, მოდრიკა ქართველი რაინდი... უდრეკ სულში ჩააფურთხა და ახლა ზეიმობს... დაჩოქა მზრუნველი მამა და ბაბუა, ოჯახის და საახლობლოს ჭირისუფალი და ქომაგი.

აფერუმ, ემიგრანტო ქართელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთშიც ვერ აიტანე თვისტომი!

მაქაც შენ გაიმეტე და გასწირე მოსათხრელად და ამოსაგდებად შენიანი!

ამხელა, უკიდეგანო, რუსეთში თვისტომის გარდა ვერავინ ნახე დასაყაჩაღებლად, გასაძარცვად, გასაოხრებლად, გასაუთოებლად?!.

ნეტა, თუ ახსოვდათ ვაჟასა და ვალერას ძველი, მწარე შეგონება: „ქართველის დამარცხება და გაპარტახება ყველაზე უკეთ ისევ ქართველს ეხერხება...”

პირშეხსნილი ოთარი ჯერ აქვითინდა, შემდეგ კი ხმით ატირდა-აბღავლდა:

- ვინ ხართ, თქვენ უბედურებო! რა დედამ გშობათ, რომელმა ქალმა გაწოვათ ძუძუ, ვინ გიმღერათ ნანა! ახლგაზრდა კაცებს აღარც ნამუსი შეგრჩათ, აღარც შუბლის ძარღვი, აღარც გული და ქრისტიანული სული! ფულის გულისთვის მკლავთ, მაპარტახებთ, მძარცვავთ, უდანაშაულო დედა-შვილს აუპატიურებთ... ვინ ხართ ასეთები, ოხრებო? - ღრიალებდა და მდუღარე ოფლ-სისხლნარევი ცრემლი ნაკადულებად ჩაედინებოდა მკერდზე და ნაუთოვებ, ცოცხლადშემწვარ ხორცს მწარე ცოდვად და მომაკვდინებელ შხამად ედებოდა.

- მოკეტე, შენ ახვარო, თორემ ჩაგაძაღლე ახლავე! შენი გოდება, დარიგება და ნაბიჭვრული ჭკუის სწვალება შენთვის დაიტოვე, შენ ავხორცო და არამზადავ, თორემ... - დაიღრიალა ვაჟამ და პისტოლეტის ტარი უთავაზა. გახეთქილი თავიდან სისხლმა წამოფეთქა და შეჭაღარავებული საფეთქლები ჩამოაწითლა. ოთარს გული წაუვიდა. ბოგდანი არ დაიბნა, გავარდა სამზრეულოში, მაცივრიდან ცივი წყალი შემოიტანა და სახეზე მიათქეშა. ოთარი გონს მოვიდა, დადუმდა, წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. მიხვდა, რომ ამ არაკაცებთან ამას აზრი არ ჰქონდა. მიბნედილი, ყრუ ხმით ჩაიღმუვლა:

- არც ქალი დაინდეთ და მეც გამწირეთ,მაგრამ ერთს გთხოვთ: თუ კიდევ შეგრჩათ ადამიანური რამ,ბავშვს თავი დაანებეთ,არ დაღუპოთ,არ გააუპატიუროთ,ის აქ არაფერ შუაშია,მისი უმანკო სული და სხეული მე მაჩუქეთ და გეტყვით სეიფის კოდს...- საწერკალამი და ფურცელი მოითხოვა.ვაჟამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ვალერას ანიშნა,ბავშვს მოშორებოდა. ბოგდანმა მაგიდაზე მოიხელა საწერანი და საზეიმო, მაგრამ უტიფარი და სულელური, უფრო სწორად გამოჩერჩეტებული გამომეტყველებით ოთარს შესცინა და მიართვა. ხელებგაკრული, აბა, რის დამწერი იყო - ვაჟას უკარნახა სეიფის კოდის კომბინაცია და დადუმდა. აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა - არც ყვირილის, არც შეწინააღმდეგების... მისთვის უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. ამ გარემოებას, თითქოსდა, მძარცველებიც მიხვდნენ და პირი აღარ აუკრავთ.

ვაჟა და ბოგდანი სეიფიან ოთახში გავარდნენ, სურათი ჩამოხსნეს, საწოლზე მოისროლეს და სეიფს მიადგნენ.

ვალერა ოთახში დატოვეს. სავარძელზე მისვებული, მოკრუნჩხული, შეშინებული და თავზარდაცემული ვერონიკა გულამოსკვნით ტიროდა. დედეამისი კუთხეში ეგდო,გულამოსკვნით მოსთქვამდა.ოთარი ოხრავდა,გმინავდა.ამ საცოდობის ცქერა,ეტყობა,ვალერასაც მობეზრდა,მათ ზურგი შეაქცია და განძის პოვნის შეყტობინებას დაელოდა.

ვერონიკას დედას ყურადღებას აღარავინ აქცევდა. ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული. გაშმაგებულმა დრო იხელთა, ზურგშექცევით მდგომ ვალერასთან მიიჭრა:

- შენ, არამზადა, კაციჭამია! - შეჰკივლა და დასკოტჩილი ხელებით თმებში ჩააფრინდა, ნიღაბი მოაგლიჯა და თვალ-სახეც ლაზათიანად ჩამოკაწრა.

ვალერამ, მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა, დაიღრიალა და ძარღვიანი ქართული გინებაც მიაყოლა. სიმწრისაგან სახე მოექცა,საღი განსჯისა და აზროვნების უნარი დაჰკარგა. იძრო პისტოლეტი და რამდენიმე ტყვია ქალს თავში დაახალა.

ქალმა ყრუდ შეჰკივლა, ვაიმე შვილოო, და სული განუტევა. კედელს მიყრდნობილი ნელ-ნელა ჩამოცურდა და იატაკზე გაიშხლართა.

მიბნედილ, ბურანში მყოფ ოთარს ქართული სიტყვა სადღაც შორიდან ჩაესმა. ჯერ არ დაიჯერა, ზმანება ეგონა, იფიქრა, ჭკუიდან ხომ არ გადავცდი, ან ჰალუცინაციები ხომ არ დამეწყოო.

მაგრამ, არა!

ისევ მოესმა ძარღვიანი ქართული გინება, ახლა უფრო მკაფიოდ, უფრო ახლოდან და მიხვედრამ სულ მოუწურა გული და მოუკლა სული: ეს მკვლელები, მძარცველები, ყაჩაღები და უსისხლო მოძალადეები ქართველები ყოფილან, მისი ერისშვილები, თანამემამულეები, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ამ აღმოჩენამ ორმაგად დათრგუნა აწეწილი გონება, გვემული სხეული, გატეხილი გული და ჩაფურთხებული სული... ნუთუ, ქართველებმა ასე გაიმეტეს? ნუთუ, არ იცოდნენ მათი სამიზნის სადაურობა და წარმომავლობა? ღმერთო! ეს რა ხდება? გაძარცვა და წამება არ ეყო, საყვარელი დედა-შვილის გაუბედურება - გაბახება, ახლა ეს აღმოჩენაც - მძარცველ-ყაჩაღები ქართველები ყოფილან...

ვაიმე, დედა! - ესღა აღმოხდა ქართულად და აღრიალდა საწყალი.

ხმაურზე ვაჟა შემოვარდა, რა მოხდაო, იყვირა და ძმას მივარდა. ვალერა სისხლში მოთხვრილ სახეს იწმენდდა და უკვე მეგრულად ილანძღებოდა და იგინებოდა. ვაჟასათვის ყველაფერი ნათელი იყო. ძმას პირსახოცით სისხლი მოსწმინდა, მოეხმარა, წამოაყენა.დივანზე მიაწვინა. ცოტა ხანს იყუჩდა. ეტყობა, გაიაზრა, რამხელა ავკაცობა ჩაიდინეს ფულის და ძვირფასეულობისთვის. ოთარმა, თითქოს სულის მოძრაობას მიუხვდაო, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

- გული მომიკვდა, როცა გავიგე, ქართველები ყოფილხართ. არ ვინანებდი, ამ ჭრილობებსაც მოვიშუშებდი, საყვარელი ქალის დანაკლისსაც როგორმე მოვინელებდი, მაგრამ ამას - ვერა. ხომ გაგიგიათ: „ცულით დაკოდილი მრთელდება, სიტყვით დაკოდილი კი არა.“ თქვენც სიტყვით დამკოდეთ, ქართული სიტყვით! როგორ წარმოვიდგენდი, აქ, უკიდეგანო რუსეთში ჩემი ქართველი თუ მომთხრიდა და ამომაგდებდა, - თქვა და ხმით, მოთქმით ატირდა. ის ახლა ყველაფერს ერთად დასტიროდა. ის პირველად, მის ცხოვრებაში პირველად ტიროდა ასე გულამოსკვნით და განწირულად.

- მოკეტე, ბებერო, თორემ ჩაგაძაღლებ, შე ახვარო, - მიაძახა და მიეჭრა, უნდოდა, პისტოლეტის ტარი თავში ჩაერტყა და დაედუმებინა, მაგრამ ოთარმა დაასწრო:

- ბარემ მომკალ და გაათავე!.. ან ამის შემდეგ ჩემს სიცოცხლეს რაღა აზრი აქვს. მიდი, მესროლე, მადლი დაიდე, ოღონდ არ დაგავიწყდეს, შენ უცხო მხარეში ფულის გულისთვის თანამემამულეს კლავ, ამას კი არც სამშობლო გაპატიებს, არც მშობელი ერი და არც შენი სინდისი. დაიმახსოვრე, თუ სიბერემდე მიათრიე შენი ცოდვილი სული, მე მუდამ დაგესიზმრები, არ მოგასვენებ... ეს უდანაშაულო ქალებიც დაგესიზმრებიან. სინდისის ქენჯნა არ მოგასვენებს, მიგასავათებს, ბოლოს მოგიღებს...

ვაჟა ოთარის ნათქვამმა წუთით გააოგნა. მისმა ანთებულმა გონებამ და ცოდვილმა სულმა სიმართლის დვრიტა იპოვა, ალბათ. თვითონაც დადუმდა. ცოტა ხნის შემდეგ კი მომბალმა, მოღუშულმა, მიმჩვარულმა, უფრო თავისთვის, ვიდრე სხვის გასაგონად, ჩაილაპარაკა:

- მე და ჩემი ძმა სამშობლოდაკარგული და მშობლიურ ფესვებს მოგლეჯილი ობლები ვართ. განა, ასეთი ცხოვრებისთვის გვზრდიდნენ მშობლები? განა, შვილების ასეთი მომავლისთვის - საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის ომში დადო თავი მამაჩვენმა... განა, შვილების ასეთი მომავლისათვის წელებზე ფეხს იდგამდა საწყალი დედაჩვენი?! მას მშობლიურ მიწაშიც კი არ ეღირსა საფლავი? განა, ჩვენ გვინდოდა ასეთი ცხოვრება? განა, ჩვენ გვინდოდა მშობლიური ქვეყნიდან ლტოლვილად გადმოხვეწა? განა, ჩვენ გვინდა ემიგრანტობა იქ, სადაც უცხო ხარ და იცი, რომ თავისიანად არასოდეს მოგიღებენ და სამშობლოშიც რომ ვერ ბრუნდები, რადგანაც ის დაპყრობილი და ოკუპირებულია?.. - ვაჟას, ერთი შეხედვით, უსისხლო მკვლელს და ბანდიტს, თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ, ოთარს რომ არ შეენიშნა, თვალები აარიდა.

ოთარს ოდნავ გული მოულბო ვაჟას აღსარებამ. მხოლოდ ერთ კითხვაზე სურდა პასუხის მიღება. ცოტა დააყოვნა და გაუბედავად ჰკითხა:

- მე არ მაინტერესებს არც თქვენი გვარ-სახელი, არც ჩამომავლობა, არც სადაურობა... თუ ღმერთი შეგარგებთ აქ ნაალაფარს, შეგერგოთ, დანაკარგს თითქმის შევეგუე, ოღონდ ერთი რამ მაინტერესებს, იცოდით, რომ ქართველი კაცის ოჯახის დასაყაჩაღებლად და გასაძარცვად მოდიოდით?..

ვაჟა ჩაფიქრდა, აღარ სურდა ამ კაცთან საუბარი, მაგრამ რატომღაც გადაწყვიტა, ბოლომდე გულწრფელი ყოფილიყო. ეტყობა, ძველი წყენაც გაახსენდა, ამიტომ სინანულით ჩაილაპარაკა:

- კი, ვიცოდი. ვიცოდი, რომ ეს სახლი რუსეთში მცხოვრებ ქართველ ოლიგარქს ეკუთვნოდა... - ვაჟა გაჩუმდა, ფანჯარასთან მივიდა. მის თვალებში სევდამ და დარდმა დაისადგურა. კინოფირივით თვალწინ გაურბინა განვლილმა ხანმოკლე და შფოთიანმა ცხოვრებამ და მძიმედ ამოიოხრა.

ოთარმა კითხვა შეაგება:

- თქვენ, დალოცვილებო, ჩვენც ხომ ემიგრანტები ვართ, სამშობლოს და მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილ-მოგლეჯილები, რატომ გაგვიმეტეთ? ამხელა რუსეთში დასაყაჩაღებელი და გასაძარცვი სხვა ვერავინ ნახეთ?..

ამაზე ვაჟა უფრო აენთო:

- ჩვენი და თქვენი ბედი და ყოფა არ შეიძლება შევადაროთ!.. თქვენ ნებით, ყოფითი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, უკეთესი პირობების ძიებაში ჩამოხვედით ამ ქვეყანაში!.. თქვენი ნებით მიატოვეთ საქართველო, მშობლიური გარემო, მშობლიური ერი. უპატრონოდ დატოვეთ წინაპართა საფლავები. თქვენივე ხელით მოიგლიჯეთ ფესვები მშობლიური მიწიდან. თქვენივე ნებით გაწირეთ შვილები გადაშენება-გადაგვარება-ასიმილაციისათვის. თავად მოინდომეთ, თქვენი შვილები არ აღზრდილიყვნენ მშობლიურ გარემოში, არ მიეღოთ განათლება ქართულ სკოლაში, არ ზიარებოდნენ ქართულ კულტურას, ქართულ ლიტერატურას, ქართულ ზნეობას, მორალს, ცნობიერებას... ჩვენ კი თქვენი მოწონებული მეორე სამშობლოს გამოისობოით დავობლდით, მშიერ-მწყურვალი და გაპარტახებულები ვეწევით ლტოლვილის მძიმე ჭაპანს, ვერ ვბრუნდებით მშობლიურ სახლში, მშობლიურ გარემოში, მშობლიურ კარ-მიდამოში... ვერ დავიტირეთ მამის საფლავი... ამაში თქვენც, რუსეთში მცხოვრებ ქართველებსაც მიგიძღვით ბრალი. არც ხმა

ამოგიღიათ, არც ხელი გაგინძრევიათ და არც რაიმე ხარჯი გაგიღიათ ისტორიული სამშობლოს სასარგებლოდ... ასე, რომ, გიჯობს, გაჩუმდე, თორემ ახლა როგორც მოღალატეს და სამშობლოს გამყიდველს ჩაგაძაღლებ, არც ხელი ამიტოკდება, არც სინდისის ქენჯნა შემაწუხებს და არც ჩემი წინაპრების საფლავებთან მივალ დარცხვენილი თუ, რა თქმა უნდა, განგებამ მარგუნა და მოვესწარი სამშობლოში დაბრუნებას, - თქვა ვაჟამ, ვაჰმეო, ამოიკვნესა და გამწარებით იტკიცა შუბლზე ხელი.

ოთარი არ აპირებდა უკან დახევას ან გაჩუმებას. მით უმეტეს, რომ მიუტევებელი ცილი დასწამეს და მოღალატედ დაუმსახურებლად ჩათვალეს. მოიკრიბა ნებისყოფა და შეეპასუხა:

- შენ და შენი ძმა ყაჩაღობთ, ბანდიტობთ. თქვენთვის კაცის კვლა და ქალის გაუპატიურება არ არის უცხო ხილი... ვინ უფრო უტეხს სახელს სამშობლოს და ქართველ ხალხს, თქვენ თუ ჩვენ?

ვაჟა ჩაფიქრდა, ოთხში თავჩაღუნულმა და გაფითრებულმა გაიარ-გამოიარა და განწირული კაცის ბედს შეგუებულმა აზრის ბოლომდე გამოთქმა გადაწყვიტა:

- კი, გეთანხმები. მე და ჩემი ძმა ერთი საწყალი და თითივით გალოკილი მარტოკაცები ვართ. ისიც ვიცით, რომ ამ გზაზე შემდგარებს ოჯახის შექმნა და ცოლ-შვილის მოკიდება არ გვიწერია. არ ვიცით, როდის დაგვეწევა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ტყვია, მოშურნე ან გამცემი როდის ჩაგვარტყამს ზურგში დანას. მე და ჩემი ძმა მოვკვდებით და ჩვენი წილი გენეალოგიური ფესვიც დალპება, ერთი ძირძველი ქართული შტო შეწყვეტს არსებობას. ეს ქართველი ერისთვის აუნაზღაურებელი ზარალი და შეუვსებელი დანაკლისი იქნება. თქვენ ფერებ-ფერებით, ხვევნა-კოცნით და ლოშნა-ტლოკვით მტრობთ საქართველოს. ეს მოღალატური ქმედება იმაში გამოიხატება, რომ მშვიდობიანობის დროს, უკეთესი საცხოვრისის ძიებაში, ნებაყოფილებით მიატოვეთ სამშობლო და მშობელი ერი. თქვენ საქართველო აღარ გტკივათ. მის სასიკეთოდ ხელიც კი არ გამოგიღიათ. რომელმა იბრძოლეთ აფხაზეთში? ცხინვალის რეგიონში? რომელი მიტინგი ჩაატარეთ სამშობლოს მხარდასაჭერად და ოკუპაციის შეწყვეტის მოთხოვნით? ზოგიერთ თქვენგანს კიდევ გყოფნით ნამუსი და კაცობა, გამოდიხართ ტელევიზიით, პრესაში ბეჭდავთ სტატიებს და მოძღვრავთ პატრიოტ ქართველებს, არასწორად აფასებთ მოვლენებს, აკრიტიკებთ სამშობლოს, ქირდავთ და კილავთ საქართველოს მთავრობას და ამით მოწინააღმდეგის წისქვილზე წყალს ასხამთ. რადგანაც თქვენც ქართველები ხართ, შეცდომაში შეგყავთ საერთაშორისო საზოგადოება, ვითომდა საქართველო და მისი ერი რამეში მტყუანი იყოს!.. - აღელვებული ვაჟა დადუმდა, უფრო სულის მოსათქმელად, ალბათ.

ოთარს დაავიწყდა თავისი უბადრუკი ყოფა და ახლა მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე თავი ემართლებინა თვისტომის წინაშე:

- რა უნდა გვექნა? რაიმე ფორმით უკმაყოფილება რომ გამოგვეხატა, აქ ხომ აღარ დაგვედგომებოდა. ვინ დაგვტოვებდა დაუსჯელს? თანაც უკვე ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ!..

ამაზე სულ გაგიჟდა და აღშფოთდა ვაჟა:

- მართალი ხართ! თქვენ ქართველები აღარ ხართ, ამ ქვეყანას ეკუთვნით. დედა სამშობლო თქვენ აღარ გტკივათ. პროტესტის გრძნობა თუ გაგიჩნდათ, კომფორტული ცხოვრების მოშლის შიშით, ხმას ვერ იღებთ და კურდღლებივით იმალებით. ზოგიერთ თავხედს მაამებლური პოლიტიკა აურჩევია და ძირს უთხრის ისტორიულ სამშობლოს. ან რომელ ქართელობაზე მელაპარაკებით? თქვენი შვილების უმეტესობამ მშობლიური ენა უკვე დაივიწყა, შვილიშვილებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ისინი ქართული ცნობიერებით არ იზრდებიან. ქართული მსოფლმხედველობა და მორალი მათთვის უცხოა. ვინ ხართ თქვენ? გეტყვით: საშოვარს გადაყოლილი, გათითოკაცებული ნაქართველარები. ზოგიერთები ჯერ კიდევ ქართველი, მაგრამ გადაგვარების, გადაშენების და გადაჯიშების პირას მყოფნი. მართალია, ეს ყველა ემიგრანტსა და ლტოლვილს არ ეხება, მათ შორის ბევრია პატრიოტი და ნაღდი ქართველი, მაგრამ, საუბედუროდ, უმეტესობა გადაგვარების გზას ადგიხართ... ბევრი შემხვედრია ვაიქართველი... თქვენ, რუსეთში მცხოვრებ ბიზნესმენ-ოლიგარქი ქართველების უმრავლესობას, მხოლოდ ის გსურთ, ფულის კეთებაში ხელი არ შეგიშალონ და ენაზე რა მოსატანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის განცდა. მისი განვითარება და ცნობადობის გაზრდა? რა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა? სავაჭრო და ეკონომიკური დერეფნის ამოქმედებაში საქართველოს უდიდესი მნიშვნელობა? რა აზია-ევროპის პირდაპირი სამგზავრო-სარკინიგზო კავშირი? რა ზოგადსაკაცობრიობო მისიის დაბრუნება ქართული სახელმწიფოსთვის?.. პირიქით, უმრავლესობა ყველა მანქანებით ეწინააღმდეგებით საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სწრაფვას, ყველა ღონეს ხმარობთ, რომ საქართველო როგორმე შეათრიოთ რუსეთის ნააზრევ ევრო-აზიურ ეკონომიკურ კავშირში, რომ ქართველმა ერმა საბოლოოდ უარი თქვას პროგრესულ განვითარებასა და საკუთარ სახელმწიფოებრიობაზე. განა, ცოტა ხართ რუსულ ფულსა და ჩინ-მედლებ-ჯინჯილაკებზე დახარბებულ-გაგიჟებული, ეროვნულ ღირსებადაქვეითებული ქართველები, რომლებსაც საკუთარი ერისა და ქვეყნის წინააღმდეგ გიყენებენ?.. - ვაჟას სული შეეხუთა და კვლავ დადუმდა.

ამით იხელთა ოთარმა და შეუღრინა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- კაი, ახლა, არ ამატირო და არ ჩამაცვა შავები... შენც ზნედაცემული, გადაგვარებული და გათახსირებული ქართელი ხარ, შენც არანაკლებ უტეხ სახელს საქართველოს და ქართველ ხალხს!.. ვინ მოგცა უფლება, მე მათახსირო და მასამართლო?!.

ეს უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. ვაჟას მოთმინების ფიალა აევსო. მივარდა ოთარს, გაშლილი ხელით სილა გააწნა და მიაძახა:

- კი, მე კრიმინალი ვარ, მაგრამ არა მოღალატე და გამყიდველი!.. არა შენსავით ფულზე გაყიდული, გათახსირებული და გარეწარი!!! შენ არა გაქვს უფლება იცოცხლო, შენი ნაბოზარი სული და ცოდვა ჩემს კისერზე იყოს! - თქვა, სახეში შეაფურთხა და შუბლზე ხუთი ტყვია დაადუღა.

ოთარმა ერთი გაიბრძოლა და პირდაღებულმა და თვალებგადმოკარკლულმა სკამის საზურგეზე გადაკიდა თავი.

მერე ყველაფერი აირია... სროლის ხმაზე ვალერა ფეხზე წამოვარდა. ბოგდანიც დაფეთებული შემოვარდა. რა მოხდაო, იყვირა, მაგრამ ოთარს თვალი შეავლო თუ არა, მისთვის მაშინვე ყველაფერი ნათელი გახდა. მხოლოდ ერთი რამ თქვა, საყვედურნარერვი, სროლა ზედმეტი იყოო.

დაცვის თანამშრომლები ფარდულიდან გამოცვივდნენ. სროლის ხმის მიმართულება გაარკვიეს და შენობისკენ გაემართნენ. ბოგდანმა ერთი ფანჯრიდანვე გააგორა. იქვე მოფართხალე გოგონას, მოწმის თავიდან მოშორების მიზნით, სამი ტყვია დაახალა და სირბილით პირველ სართულზე დაეშვა. ვაჟამ და ვალერამ ფული და განძეულობა სასწრაფოდ ჩანთებში ჩატენეს და ბოგდანს მიჰყვნენ. დაცვის თანამშრომელი კარების შემომტვრევას ლამობდა... ყაჩაღები ჩასაფრდნენ. აცალეს შემოსვლა. მიბრჯნით ორჯერ ესროლეს. უსულო სხეულს გადააბიჯეს და გაცვივდნენ ეზოში. მათივე მიდგმული კიბით გალავანს გადაევლნენ და სიბნელეში გაუჩინარდნენ...

***

ყაჩაღებმა ვილადან მშიდობიანად გააღწიეს. წინასწარ გადამალულ და შენიღბულ მანქანასთან მიცვივდნენ და დიდი სიჩქარით გავარდნენ ქალაქისკენ მიმავალ ტრასაზე. სანატორიუმ "დიუნას" გადასახვევთან, დაღმართზე დაშვებისას, შეეყარნენ საგანგებო სიტუაციების სამსახურის კორტეჟს - სასწრაფო-სამედიცინო დახმარების რეანიმობილს და სახანძრო მანქანებს. აღმართის მიუხედავად, დიდი სიჩქარით ამოვარდა პოლიციის სპეცდანიშნულების სამსახურის ორი ავტომანქანა. სირენების ხმამ გააყრუა არე-მარე.

ყველაფრით იგრძნობოდა, რომ ქალაქში ან დაბაში საგანგებო ვითარება იყო შექმნილი. ჩანდა, პოლიციას უკვე გაეგო ვილის "გატანისა" და იქ მომხდარი ტრაგედიის ამბავი. ბანდიტები საგონებელში ჩავარდნენ. საიდან გაჟონა ინფორმაციამ?! სახლის ბინადარნი და დაცვის თანამშრომლები ხომ ყველა უკლებლივ „გაასაღეს." ალბათ, რომელიმე ცოცხალი გადარჩა. მარჩიელობის დრო არ იყო, ქალაქიდან დროულად გაღწევაზე უნდა ეფიქრათ. დარწმუნდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ყველაფერი ცნობილი იყო. ასეთი მასშტაბის სისხლიანი ყაჩაღობა ზღვისპირა, საკურორტო ქალაქში იშვიათად ხდებოდა. როგორც წესი, საკურორტო ქალაქებში წესრიგს გაძლიერებულად იცავენ, კარგად ოპერირებული სამართალდამცავი ორგანოები მუდმივ მზადყოფნაში არიან. მძარცველები იმაშიც იყვნენ დარწმუნებული, რომ ასეთ დროს მოქმედებდა ბანდიტების ცხელ კვალზე დაკავების ანუ, ეგრეთწოდებული, „პერეხვატის" გეგმა. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე გადაკეტილია ქალაქის ყველა გასასვლელი. აეროპორტში, ნავსადგურში, რკინიგზის და ავტოსადგურებში დაგზავნილია პოლიციის და უშიშროების სამსახურის სპეცპატრულები. ერთი გამოსავალი რჩებოდა - დანაშაულის ჩადენიდან დიდი დრო არ იყო გასული და პატარა ნავმისადგომების და ნავსაყუდლების გადაკეტვა-ბლოკირებას ვერ მოასწრებდნენ. დაბიდან უხიფათოდ გაღწევის ერთადერთი არხი მოყვარულ მეთევზეთა ნავსადგომი თუ იქნებოდა. აი, სად გამოადგათ გონებაგამჭრიახი ბოგდანის მიერ წინასწარ დაჭერილი თადარიგი. ნავსაყუდელის შესასვლელთან მიაგდეს მანქანა და, ის იყო, ნაცნობი მეთევზის ფარდულს მიადგნენ, რომ საყარაულოდან ნასვამი, მაგრამ ჯერ კიდევ საღ ჭკუაზე მყოფი კაცი, თითქოსდა, ქვესკნელიდან ამოძვრაო, წინ აესვეტა და ბორძიკა, ჩახლეჩილი ხმით იკითხა მოსულთა ვინაობა და სადაურობა, თანაც უმისამართოდ უმიზნებდა ორლულულიან სანადირო თოფს. ახსნა-განმარტების დრო არ იყო. ვაჟას ნიშანზე ვალერამ ყარაულს კეფაში ჩასცხო პისტოლეტის ყუა. საწყალი მომჩვარული ჩაიკეცა და მიწას განერთხო. ამასობაში ბოგდანმა მოიძია ფარდულის და კატარღის გასაღებები, წინასწარ მოთადარიგებული ბენზინიანი ბიდონიც გადაიტანა და ძმაკაცებს ანიშნა, კატარღის გამოთრევასა და ზღვაში ჩაშვებაში დახმარებოდნენ. ბოგდანმა ძრავასთან დაიკავა ადგილი, ვაჟა და ვალერა კი ძელსკამებზე მოკალათდნენ. ბოგდანი ცივი გონებით და შეძენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილების წყალობით გათვლილად მოქმედებდა: ჯერ საჭე და ძრავის დამაგრების საიმედოობა, შემდეგ ავზში ბენზინის რაოდენობა შეამოწმა, საწვავი ჩაამატა და დაქოქა. ძრავა ჯერ უხეიროდ ათუხთუხდა, შემდეგ აქსელერატორის დარეგულირების წყალობით, ზომიერად აგუგუნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძრავი გამართულია და შესაძლებელია ზღვაში გასვლა.

მეგობრებმა სიხარულის ტაში შემოჰკრეს და მრუმე სივრცეში გაიჭრნენ... ზღვის ზედაპირი დილის ბურუსით იყო მოცული. სპეციალური მოწყობილობის გარეშე ზღვაზე სწორი გეზის გაგნება გაუჭირდებოდათ. ბოგდანს მეთევზემ ზღვაზე ორიენტაციის გარკვევა ასწავლა და ბუსოლის გამოყენების წესებიც აუხსნა, მაგრამ სიჩქარეში თაროდან ხელსაწყოს აღება დაავიწყდა. ინანა, მაგრამ რაღა დროს... ეს იაღლიში მეგობრებისთვის არ გაუმხელია - ვინ იცის, აღგზნებული გონებით და ანთებული ტვინებით რას მოიმოქმედებდნენ, წარუმატებლობას ბოგდანს დააბრალებდნენ და კრიტიკულ სიტუაციაში ფიზიკურადაც გაუსწორდებოდნენ. ბოგდანი იმასაც ფიქრობდა, რომ უკრაინის სანაპირომდე დრო და გამოცდილება არ ეყოფოდათ, თანაც გასათვალისწინებელი იყო ორივე ქვეყნის სანაპირო დაცვის სწრაფმავალი კატარღების ძებნის ღონისძიებაში ჩართვა. გამოსავალი ერთი იყო: როგორმე სწორი გეზი უნდა აეღოთ, გასულიყვნენ ქერჩის სრუტეში, იქიდან კი უკრაინის ნაპირებამდე იოლი იყო გაღწევა. იქ, როგორც დევნილები, თავშესაფარს თხოვდნენ, ან სადმე გაუჩინარდებოდნენ.

მეორე გამოსავალიც იყო: როგორმე ყირიმის ნახევარკუნძულამდე უნდა გაეღწიათ. აქ რუსეთის სანაპირო დაცვის კატარღები ვეღარ მისწვდებოდნენ. სანამ ორი ქვეყნის სანაპირო დაცვის სტრუქტურები და მესაზღვრეები ინფორმაციის გაცვლიდნენ და ერთობლივი ძებნის გეგმას შეათანხმდებდნენ, ბანდიტები ქვეყნის სიღრმეში შეაღწევდნენ. ამ იმედით მიაპობდნენ ტალღებს...

ჯერ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ნაპირიდან საკმაოდ შორს შესცურეს. დილის ბურუსი ხილვადობას მინიმუმამდე ზღუდავდა, რამდენიმე მეტრის სიახლოვიდან თუ დალანდავდა ვინმე კატარღას. ეს კარგიც იყო და ცუდიც - უცხო თვალთახედვის არეში არ მოხვდებოდნენ, მაგრამ ბურუსში გზის გაგნებაც გაუჭირდებოდათ, მით უმეტეს, რომ კურსის გამოთვლის ტექნიკური საშუალება არ ჰქონდათ. ბოგდანმა თავის დროზე არ ჰკითხა მეთევზეს, საგანგებო სიტუაციაში ბუსოლის გარეშე ღია ზღვაში სწორი მიმართულების განსაზღვრა თუ შეიძლებოდა. ყველა წვრილმანს ხომ წინასწარ ვერ გათვლი... ახლა მათ ინტუიცია თუ იხსნიდა. ზღვა წყნარი და უტალღო იყო. ბურუსი ისევ მხედველობას მინიმუმამდე ზღუდავდა. ბოგდანმა იცოდა, რომ ჯანღს მზის პირველივე სხივები გაფანტავდა, მაგრამ დრო არ ითმენდა...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დამნაშავეთა ძებნის თეორია და პრაქტიკა გულისხმობს ძებნა-ძიების სამუშაო ვერსიების წამოყენებას და გამორიცხვის მეთოდით ყველაზე ოპტიმალურ, მეტნაკლებად სწორ ვერსიამდე დაყვანას. ვაჟა მოწინააღმდე სამართალდამცავთა ვერსიებს ამუშავებდა და აანალიზებდა, ამას განსაცვიფრებელი სკურპულოზურობით, შესაშური სიმშვიდით და ცივი გონებით აკეთებდა. ძარცვა-მკვლელობის შესახებ ინფორმაციის მიღებამდე საკმაო დრო გავიდოდა, ვიდრე დაბიდან და ანაპიდან გასასვლელ გზებს გადაკეტავდნენ. ამას დროულად თუ მოახერხებდნენ, მაშინ ერთ მეტ-ნაკლებად რეალურ და სავარაუდო ვერსიას განიხილავდნენ - დამნაშავეები მცირე საცურაო საშუალებებით გაღწევას შეეცდებოდნენ, ასეთები კი მრავლადაა იახტკლუბსა და მეთევზე-მოყვარუთა რამდენიმე ნავსაყუდელზე. სამართალდამცავები უკვე შეამოწმებდნენ ყველა ნავმისადგომს, მოიძიებდნენ მათ პატრონებს და, ალბათ, ვალერას მიერ გათიშული ყარაულიც საჭირო ჩვენებებს უკვე იძლეოდა. გამოდის, რომ მათ უკვე ეძებენ და პოლიციის და სანაპირო დაცვის გემები, ლოკატორები თუ კატარღები ღია ზღვაში გასულ ერთადერთ უმისამართოდ მცურავ მეთევზის კატარღას ადვილად იპოვიდნენ.

* * *

ძარცვისშემდგომი ვითარება კი შემდეგნაირად განვითარდა: დაჭრილმა დაცვის თანამშრომელმა, რომელიც ბანდიტებს ვილის კართან შეეფეთა, მძიმე ჭრილობების მიუხედავდ, ცხელი ხაზის მეშვეობით პოლიციისათვის ინფორმაციის გადაცემა და დაცვის სააგენტოში განგაშის სიგნალის გაშვება მოახერხა. რამდენიმე წუთში, ქალაქის პოლიციის სამმართველოში, ოპერატიული თათბირი გაიმართა. შეიმუშავეს გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმა და დამნაშავეთა გზის გადაჭრის ოპერატიული გეგმა აამოქმედეს, ეგრეთწოდებული „პლან პერეხვატა.“ დაბიდან და ქალაქიდან ყველა გასასვლელი დროულად გადაიკეტა. დაგზავნეს პატრულები ყველა სატრანსპორტო კომუნიკაციაზე. უშიშროების და სანაპირო დაცვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურებიც გააფრთხილეს. ქალაქის პოლიციის სამმართველოში შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ძალოვანი უწყებების და ურთიერთმოქმედი ქვედანაყოფების წარმომადგენლები.

შეთანხმებული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა დამნაშავეთა მოქმედების ქრონოლოგიის აღდგენა. დადგინდა მათი ვინაობა. მათი შესაძლო მოქმედებების ვერსიებიც პროგნოზირებადი გახდა. მცირე მცურავ საშუალებათა ნავსაყუდლების შესწავლით დადგინდა მეთევზე და გატაცებული კატარღა. რადიოლოკაციურმა სადგურებმა მალევე დაადგინეს მძარცველთა ადგილმდებარეობა და კოორდინატები გადასცეს სანაპირო დაცვის ხომალდს. საქმის კურსში დროულად ჩააყენეს უკრაინის სანაპირო დაცვის სამსახური. ერთობლივ მოქმედებით ღია ზღვაში მალე იპოვეს გატაცებული კატარღა, რომელიც დიდი სიჩქარით ქერჩის სრუტისკენ მიემართებოდა.

სანაპირო დაცვის ხომალდიდან ბანდიტებს მოუწოდეს, გამოერთოთ ძრავა, იარაღი დაეყარათ და დანებებოდნენ. მძარცველები გამაფრთხილებელმა გასროლამაც ვერ შეაჩერა. მაშინ, ტყვიამფრქვევის ჯერით, ძრავა გამოიყვანეს მწყობრიდან. ბანდიტები არ ნებდებოდნენ და სროლით აპირებდნენ გაღწევას. რას მოახერხებდნენ - მძიმედ დაიჭრილები გადაიყვანეს ანაპის საქალაქო კლინიკაში.

ბოგდანი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ვაჟა და ვალერა, მძიმე ჭრილობების მიუხედავად, სრულად გამოჯანმრთელდნენ და წარსდგნენ სასამართლოს წინაშე. დანაშაული ორივემ აღიარა. დამსახურებული სასჯელიც მიიღეს - მაგადანის ოლქის ერთ-ერთ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ოც-ოცი წლით გაამწესეს.

თავი XXVII

ნებივრობა დედაა ცდუნებისა და ბებია უზნეობისა!..

ხალხური სიბრძნე

სამსახური საკმაოდ მოუსვენარი და დატვირთული მქონდა, ამიტომ მუშაობის დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, სატვირთო მანქანას გარაჟში ვაჩერებდი და დაღლილ-დაქანცული პირდაპირ სახლში მივდიოდი. შინ მოსიყვარულე მეუღლე და შვილები მელოდებოდნენ. მართალია, მათი ფიზიოლოგიური მამა არ ვიყავი, მაგრამ ქალისადმი გულწრფელი, ეფემერული და, ხშირ შემთხვევაში, საღ აზრს მოკლებამდე მისული გიჟური სიყვარული ბავშვებზეც გადამედო და ისინიც ჩემი ერთსულ და ერთხორცნი შეიქმნენ. მიყვარდა ისინი და ვიცოდი, რომ მათაც ვუყვარდი. ესეც მყოფნიდა. სიყვარულითა და ბედნიერებით ყელამდე ვიყავი სავსე, ამიტომ ერთ ხანს არავისზე არ ვნაღვლობდი და არც არაფერზე ვფიქრობდი, მათ შორის, არც კორნელი ფუტურომეზე, მით უმეტეს, რომ არც მას მოვუკითხივარ.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, დავბრუნდი სახლში. შესასვლელში უცხო ქალის ფეხსაცმელები შევნიშნე, - ალბათ, ნატალიას დაქალები არიან-მეთქი, ვიფიქრე და პირდაპირ სამზარეულოში შევედი. მაცივრის კარი გამოვაღე, ცივი წყლით სავსე დოქი გამოვდგი, ჭიქა შევავსე და ყელი გავიგრილე. გამიკვირდა, სულ ონავარი ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა, ახლა კი ბინაში უცნაურ სიჩუმეს დაესადგურებინა. წყალი კიდევ დავლიე, სარკმელი გამოვაღე, სიგარეტი გავაბოლე. ამ დროს მისაღები ოთახიდან ქალის ყრუ ქვითინი შემომესმა. შევცბი, რამე უბედურება ხომ არ დატრიალებულა-მეთქი, საფერფლეზე სიგარეტი მივაჭყლიტე და მისაღებში შევედი. ჩემს წინ საოცარი სურათი გადაიშალა: დივანზე მეუღლე იჯდა, მის კალთაზე თავმიდებული ქალი, მოკრუნჩხული და მიბნედილი, ზარით მოსთქვამდა. ხმით დასტიროდა თავის უბედობას და იმედგაცრუებას, ცხოვრების ამაოებას... მამაკაცთა მოდგმას და ჯილაგს უმოწყალოდ წყევლიდა. დროდადრო ამოიოხრებდა და ისევ აგრძელებდა მოთქმით ტირილს.

ფეხაკრეფით შევედი და ქალებმა უმალვე ვერ შემამჩნიეს... ოთახის შუაგულში გავჩერდი და მივაყურადე. ბოლოს მოთმინებამ მიმტყუნა და ჩავახველე. ქალები დაფრთხდნენ. ნატალიამ მოულოდნელობისაგან ოდნავ შეჰკივლა და გაოცებულმა შემომაფეთა თვალები. კალთაში თავჩარგულს თავზე ხელი გადაუსვა, რაღაცა ჩასჩურჩულა და თავი წამოუწია. დავლანდე ტატიანას განაწამები და ცრემლნაღვარევი სახე. გამიკვირდა, ამ სიცოცხლით სავსე, სულ ოხუნჯ და სახემცინარ ქალს რა მოუვიდა, ასე გულამოსკვნით რამ აატირა... შეკითხვაც ვერ მოვასწარი, ტატიანა ელდანაკრავივით წამოვარდა, წელში გასწორდა, ჩემსკენ გამოემართა.

-კოტე, მიშველეო! - მომმართა და ახლა მე ჩამომეკიდა კისერზე.

ტირილით გულის მოოხება ვაცალე, ფრთხილად მოვიცილე მკერდზე აკრული, ჩავხედე ცრემლის გუბეებად ქცეულ თვალებში და ფრთხილად ვკითხე:

- ტატიანა, ძვირფასო, განა რა მოგსვლია, რაზე იკლავ თავს, არ მეტყვი, ქალო?

ცოტა გამოაცოცხლდა, მკერდიდან მომშორდა, ორივე ხელი მხრებზე მომხვია, თვალებში ჩამაშტერდა და ამოხეთქა:

- ეს მე რატომ უნდა დამმართოდა, რა დავაშავე, რატომ მსჯის ღმერთი? -ამოიოხრა და ისევ გულამომჯდარი აქვითინდა.

შევეცადე, დამეწყნარებინა.

ვთხოვე:

- ტატიანა, ასე არაფერი გამოვა, დაწყნარდი, დაიმშვიდე გული და ყველაფერი დალაგებით ამიხსენი, თორემ შენს გოდებას-სლუკუნში ვერაფერი გავარკვიე.

ნატალია შეეშველა:

- მოკლედ, კორნელი და მისი ვაჟი მილიციამ აიყვანა, ამჟამად ქალაქის წინასწარი დაკავების იზოლატორში სხედან, გადარევასაა ქალი. თუ მოახერხებ, დაეხმარე. მადლია.

ნატალიას ნათქვამმა ტატიანას სათქმელი შეუმსუბუქა, გაიუიოლა:

- კოტე, ძვირფასო, შენს მეტი არც გზა მაქვს, არც პატრონი მყავს, ბიჭი ობლად გავზარდე, უმამოდ, სულ მარტომ. გემუდერები, დამეხმარე. - თქვა და სავარძელში მიესვენა.

მე სული მოვითქვი, აზრი და გულისყური დავძაბე და მივმართე:

- ქალებო, დაწყნარდით, დამშვიდით და დალაგებულად, აზრიანად მომიყევით, რა მოხდა?

ტატიანა ცოტა დამშვიდდა, ენის ბორძიკით და სლუკუნით მიამბო:

- მას შემდეგ, რაც კორნელიმ უარი თქვა საქართველოში წასვლაზე და მომაკითხა, რჯულზე დაიფიცა, დამარწმუნა და დამაიმედა, რომ ჩემი ერთგული და განუყრელი თანამეცხედრე და მოსიყვარულე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებოდა. მე დავუჯერე. კი იცი შენ, შენი დახმარებითა დაიწყო მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადაში მუშაობა. ბიჭიც აიყვანა თანაშემწედ. ვიფიქრე, როგორც იქნა, ობლის კვერი გამოცხვა-მეთქი: მე მამაკაცი მეყოლება გვერდში, შვილს - მამობილი, რომელიც თან დაარიგებს, თან მიიყოლიებს, უხელმძღვანელებს, დააკაცებს და სწორ გზაზე დააყენებს-მეთქი. შევხაროდი ახალ რეალობას. ვუვლიდი და სულსაც კი არ ვიშურებდი კორნელისთვის. ისიც პირველად მოსიყვარულე, თავმდაბალი, ძვირსიტყვიანი და საზრიანი, გზა და გონებაგაკაფული მამაკაცი ჩანდა. მართლაც, ასე გაგრძელდა, ვიდრე მოსავლის აღების და ჭირნახულის დაბინავების დრო არ დადგა. ჯერ შესაშური მუყაითობით, მასზე მინდობილი ტექნიკისადმი მზრუნველობით გამოიჩინა თავი. მახსოვს, ერთხელ მექანიზატორთა ბრიგადირი მოიპატიჟა სახლში. ვუმასპინძლეთ, დავაპურეთ, რა თქმა უნდა, ალკოჰოლური სასმელებიც მიირთვეს. როცა საკმაოდ შეზარხოშდნენ, კორნელიმ შეაპარა:

- ტოლია (ანატოლი ერქვა ბრიგადირს), ჩემი ძმა ხომ ხარ?..

ანატოლი, კაი შებჟირებული და შეზარხოშებული, მაშინვე დაეთანხმა:

- რა თქმა უნდა, კორენ, ჩვენ ხომ ძმები ვართ, მთხოვე, მითხარ რა გიდევს გულში?

- ტოლია, არ იფიქრო ცუდი, მაგრამ ერთი რამ მინდა გთხოვო და თუ გამიგებ, მადლობელი დაგირჩები.

ანატოლი ყურადღებით უსმენდა.

კორნელიმ გააგრძელა:

- ტოლია, ხომ იცი, ხშირად გვიანობამდე ვრჩებით ყანაში მე და ჩემი თანაშემწე. ამ დროისთვის მეურნეობის ავტობუსი უკვე აღარა არის, ხშირად ფეხით გვიწევს სახლამდე სიარული, არც მეტი არც ნაკლები, თითქმის სამი კილომეტრის გავლა. რას იტყვი, თუ ტრაქტორს მისაბმელიანად სამუშაოს შემდეგ შინ წამოვიყვან, დილით კი პირდაპირ ყანაში გავალ, თან ფეხით არ მომიწევს სიარული და დილითაც დროზე ვიქნები სამუშაოზე? - თქვა, არყით ჭიქები შეავსო, ანატოლის პასუხს არ დაელოდა: - ჩვენი მეგობრობისა იყოსო და ვახტანგურის დალევა შესთავაზა.

ანატოლის თავპატიჟი არ გამოუდვია, ჩამოართვა სირჩა, მკლავი მკლავში გაუყარა, ჩვენ გაგვიმარჯოსო, წაიდუდუნა და გადაჰკრა. კორნელის არ დავიწყებია, აეხსნა, რომ ეს ერთგვარი ფიც-ვერცხლია და ახლა ჩვენ ძმადნაფიცები ვართო და ანატოლის აჭარხლებულ ლოყაზე სამჯერ ეამბორა. ამით საუკუნო მეგობრობა დათქვეს.

ანატოლის არ დავიწყებია კორნელის თხოვნა. დირექტორის მოადგილეს შეუთანხმა და დასტურიც მიიღო. კორნელის კი სულ სხვა განზრახვა ჰქონდა: მოგეხსენებათ, სოფლად ბევრი მარტოხელა თუ მოხუცი დედაკაცია, ვისაც არ ჰყავს მოჭირნახულე მამაკაცი, ხოლო მოსავლის აღება, სახლში მოტანა-დაბინავებაა საჭირო. ამით კორნელიმ დამატებითი შემოსავლის წყარო გაიჩინა. ჩვენს დაბაში და, საზოგადოდ, მთელ რუსეთში ოდითგანვე იყო უცვლელი და ნაღდი, ყველა დროისა და ყველა ეპოქის ვალუტა, რომელსაც ინფლიაცია არასდროს განუცდია და არასოდეს დაემუქრება - ეს რუსული „თეთრი ოქროა“ – „დედილო ვოდკა“ და მისი ნახევარლიტრიანი საწყაო - უბრალოდ „პოლლიტრა...“ ეს ზომის ეტალონიცაა, სახდელის საზომი ერთეულიც და უკვდავი ვალუტის დეფინაციაც. ერთი სიტყვით, გარდა ფულადი ანაზღაურებისა ჩვენი ბებიკოები ხშირად საზღაურს ნატურით უხდიდნენ, ესე იგი - არაყით.

კორნელი და პავლიკა (ეს ჩემი ბიჭია) ჯერ თავს იკავებდნენ, მაგრამ სიხარბემ სძლიათ და დედაბრულ საზღაურზე უარს აღარ ამბობდნენ. მოუხშირეს ბახუსთან მეგობრობას. ნებივრობდნენ და ერთობოდნენ... ასე გაგრძელდა გვიან შემოდგომამდე. რომ დაზამთრდა, მოაკლდათ ნებივრობის წყარო. სიცივეს და ყინვას ყველა მომარაგებული შეხვდა. ტრაქტორი აღარ სჭირდებოდათ... ჩემი ხელფასი ოჯახის საჭიროებებისთვის ძლივს მყოფნიდა. ერთი სიტყვით, კორნელი და პავლიკა მეზობლებს ხან სახურავის შეკეთებაში ეხმარებოდნენ, ხან შეშას უჩეხავდნენ, ისინი კი, როგორც წესი, ურყევი ვალუტით უმასპინძლებოდნენ. ეს შემოსავლის წყაროც მალე დაიშრიტა. ნაბახუსევზე ჩემს ვაჟს „ბრძნული“ აზრი მოსვლია და კორნელისთვის შეუთავაზებია: - მოდი, მეზობლებს ბატები მოვპაროთ, კროპოტკინის ბაზარში გავყიდოთ და იოლად გავალთო.

თქვეს და შეასრულეს კიდეც...

ერთ ხანს მართლაც უზრუნველად და „შინაარსიანად აშაბათებდნენ“ ზამთრის მოკლე დღეებს და გრძელ საღამოებს. რა თქმა უნდა, მე არაფერი ვიცოდი. დილიდან გვიანობამდე მაღაზიაში ვმუშაობდი, რათა ზამთარი სითბოსა და სიმაძღრეში გადაგვეტანა. კორნელიც მამშვიდებდა, ცოტაც გავიჭირვოთ, გენაცვალე, დაიწყება საგაზაფხულო სამუშაოები, ხვნა-თესვა და მე ვიცი და ჩემმა კაცობამო. მეც ვითმენდი. არ დაგიმალავთ, შემიყვარდა კორნელი, ეს კი ის ძალაა, ადამიანს მთებს რომ შეგაძრევინებს...

მათი უკეთურობა დიდხანს ვერ დაიმალა: დღეს, დილით, კლუბის დამლაგებელი ანფისა მოვიდა მაღაზიაში, გამიხმო გვერდზე და მიჩურჩულა:

- ტატიანა, ძვირფასო, ჩემს თვალწინ გაიზარდე და დაქალდი, ვიცნობდი და ვდაქალობდი დედაშენთან, ამიტომ არ მინდა, ოფიციალუად განვაცხადო მილიციაში... მეზობელმა დაინახა - კორნელიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შენმა პავლიკამ გუშინ, დღისით მარტოსულ დედაბერს ერთადერთი მარჩენალი თხა მომპარეს, დაკლეს, ხორცი ქალაქში წაიღეს და ბაზარზე გაყიდეს, შემდეგ კი იქეიფეს. გთხოვ, ხმაურის გარეშე ამინაზღაურე ზარალი, მე კი არსად ვიტყვი, ნამუსს შეგინახავთ.

რა თქმა უნდა ვიუარე, ზარალის ანაზღაურებაზე კატეგორიული უარი ვთქვი და დავემუქრე, შანტაჟისთვის იქით გიჩივლებ-მეთქი. მაშინ კი მოვიშორე, მაგრამ ანფისა პავლოვნა კერკეტი ქალი აღმოჩნდა. მაღაზიიდან გასულმა, გაბრაზებულმა და სასოწარკვეთილმა, მაშინვე შეატყობინა უბნის ინსპექტორს და სანამ სახლში მივიდოდი, ბოროტმოქმედები მილიციამ აიყვანა, მე კი შემომითვალეს, მილიციის განყოფილებაში გამოვცხადებულიყავი. გაოგნებული გავარდი სახლიდან.

მილიციის განყოფილებაში ყველაფერი ამიხსნეს, გამაცნეს ჩემი ბედოვლათი კაცების აღიარებითი ჩვენებები. რაღა მეთქმოდა... სიმწრის ოფლმა დამასხა და მწარედ ავტირდი. მოკლედ ლოგიკური ჯაჭვი გაინასკვა: ნებივრობა,ცდუნება,უზნეობა... ამას როგორ წარმოვიდგენდი - არყის გამო მოხუცს მარჩენალი თხა მოპარო და გაუყიდო? ახლა ეჭვიც აღარ მეპარება: მეზობლების ქათამ-ბატებიც მათი მოპარულია.

ასე როგორ უნდა დაეცეს კაცი, რატომ ვერ უნდა მოიძიოს შემოსავლის სხვა წყარო. ნუთუ, ასე უზნეოდ და უღირსად იქცევიან ქართველები? - ჩამეძია, საყვედურიანი თვალები მომაბჯინა და მწარედ აქვითინდა.

დავამშვიდე და დახმარებას შევპირდი.

გიჟს ვგავდი. ვიცოდი, რომ კორნელი სუსტი ნებისყოფის, ცოტა თავქარიანი და უპასუხისმგებლო კაცია, მაგრამ ასეთი უზნეო?.. ერთი წუთითაც ვერ წარმომედგინა, კორნელი ასე თუ დაეცემოდა: ქათამ-ბატების და თხის ქურდობა? რისთვის? მყრალი, ერთნახადი ჭარხლის არაყი რომ გადახუხოს და გაპენტერებული, გამოთაყვანებული ღობე-ყორეს მოედოს?.. არა, ამას ვერ დავიჯერებ... მაგრამ ტატიანა ტყუილს ხომ არ მეტყოდა?.. კი, ბატონო, კორნელი მხოლოდ მისი საყვარელია. შეიძლება, იჩხუბეს და თავიდან მოშორება უნდა, მაგრამ საკუთარ, ერთადერთ შვილს ქურდობას და ლოთობას დასწამებდა?..

ეჰ! კორნელი, კორნელი! უზნეოვ და უნამუსოვ! ამისთვის დაჰყარე საქართველოში, ლანჩხუთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ახლადჩასახლებული, სოფელთან ჯერ კიდევ შეუჩვეველი ოჯახი - ცოლი და სამი შვილი, ხის ოროთახიან, საჩქაროდ და ზერელედ ნაშენ ფიცრულში, რომ რუსეთში უზრუნველად და უპასუხისმგებლოდ გეცხოვრა?.. არაყისა და კიტრის მწნილის გამო ჯერ ვირივით გემუშავა, ზამთარში კი ქათამ-ბატი და თხა გეპარა... არ ვიჯერებ... აკი, ტატიანა მიყვარსო!? განა, ასე ექცევიან საყვარელ ადამიანს!?. მესმის... არ მაქვს მორალური უფლება, დავადანაშაულო სამშობლოს და ოჯახის მიტოვების სატანურ ცოდვაში... მეც ასე მოცვიქეცი, მაგრამ მე წრფელმა, ხალასმა, ნაღდმა და სამარადისო სიყვარულმა გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. ნუთუ, ერთ თარგზეა გამოსაჭრელი ჩემი და კორნელის საქციელი? არ ვიცი, ვერ ვაზროვნებ, ვგიჟდები...

გადავწყვიტე, ხვალვე ჩავიდე ქალაქში, ვნახო მილიციის უფროსი, გავერკვე სიტუაციაში, გამოვიხსნა, შემდეგ კი მატარებლის ბილეთი ვუყიდო და საქართველოში, სახლში გავაგდო... თუ არა და, აქ ბოლომდე წახდება. ერთჯერ „ფაფანაჭამს“ მეორეჯერაც წასცდება ხელი, რეციდივს კი არავინ აპატიებს, მთელი ცხოვრება ციხე-ციხე უნდა იტანტალოს.

გვიან ჩამეძინა.

დილით ადრე ავდექი, ტაიანას გავუარე და წავედით ქალაქში.

მილიციაში იგივე დამიდასტურეს, რაც ტატიანამ მიამბო.

მოსაკითხი ვიყიდე და მილიციის უფროსთან შეხვედრა ვითხოვე. მიმიღო. მომისმინა. სლავ ადამიანს უკვირდა: ქართველმა კაცმა, მთელს მსოფლიოში სამშობლოს სიყვარულით და ოჯახის ერთგულებით განთქმულმა, ნუთუ, მხოლოდ იმიტომ მიატოვა ოჯახი, რომ რუსეთში იოლი ცხოვრების გზა ეძებნა და ბოლოს ისე დაცემულიყო, რომ არაყის გამო მეზობლის თხაც მოეპარა...

აღარც სანაქებო ქართული ზნეობა, აღარც სინდისი, აღარც სახელოვანი ქართული ტრადიციები... გაოგნებული და გაბრაზებული იყო უფროსი.

მეც სიმწრის ოფლში ვცურავდი, მეც მტანჯავდა და მაწუხებდა სინდისის ქენჯნა, მაგრამ ამაზე კრინს როგორ დავძრავდი...

შევთანხმდით: თუ მეზობელს, ანფისა პავლოვნას, ზარალს აუნაზღაურებენ და ეს უკანასკნელი განცხადებას გაიტანს, მაშინ ერთთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობის და საზოგადოებისათვის სასარგებლო-გამოსასწორებელი სამუშაობის შემდეგ გავათავისუფლებთო.

ისიც დასძინა: - სანამ სერიოზული გადაცდომა ან დანაშაული არ ჩაუდენია, დროზე გაარიდე აქაურობას, გაგზავნე საქართველოში, ნუ დაიდებ მისი ცოლ-შვილის ცოდვასო.

მინდოდა, გამეპროტესტებინა, რა შუაში ვარ, მე ხომ არ შემიცდენია, ან მოტყუებით ხომ არ წამომიყვანია საქართველოდან-მეთქი, მაგრამ ეს მხოლოდ შინაგანი პროტესტი იყო. აღვუთქვი, გავითვალისწინებ თქვენს რჩევას-მეთქი და ვთხოვე კორნელისთან შეხვედრა, მაგრამ კატეგორიული უარი მივიღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრცხვენოდა და მერიდებოდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო: ნატალიასა და ტატიანასთან ერთად მოვძებნე ანფისა პავლოვნა, კორნელის და პავლიკას საქციელის გამო ბოდიში მოვუხადე და საჩივრის გამოტანის სანაცვლოდ შევთავაზე ზარალის ანაზღაურება.

ანფისა პავლოვნა ბობოქრობდა: - რას მელაპარაკებით?! მათ ერთადერთი მარჩენალი თხა მომპარეს, პენსიონერი, ავაადმყოფი, მარტოხელა ქალი გამაუბედურეს, მანერვიულეს და რას მთხოვთ?! დამნაშავეები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონო.

ტატიანა ემუდარა, ერთადერთი შვილი შეავედრა, მდუღარე ცრემლებად დაიღვარა... პავლოვნა როგორც იქნა მოლბა. შევთანხმდით, მეწველ თხას ვუყიდით, საჩივრის განცხადებას გამოიტანს, დამნაშავეებმა კი ამდენი ნერვიულობისა და განცდის გამო ბოდიში უნდა მოუხადონ. იმავე დღეს მოვიძიეთ მეწველი თხა. ვიყიდე. მივუყვანე დაზარალებულს და წავედით ქალაქში. ანფისა პავლოვნამ გამომძიებელს განუცხადა, რომ ზარალი აუნაზღაურეს, პრეტენზია აღარ აქვს.

მოსამართლემ ორივეს ერთთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

დამძიმებული ფიქრებით დავბრუნდით დაბაში. დანა კბილს არ მიხსნიდა. ვფიქრობდი: "უმრავლესობას წვრილბუნებოვნება სჭირს: ხასიათში, ზრახვებში, ქცევებში. თხემიდან - ტერფებამდე ბნელეთის დაღი და ბზარი აზის... ნახევრად ცუდი, ნახევრად კარგი თვისებები დააქვთ ხურჯინივით გადაკიდებულ-გადახვეული... ზოგიერთს - უმცირესთ ცოტა ცუდი, ბევრი კარგი. უმრავლესობას კი ბევრი ცუდი, ცოტა კარგი... იოტის ოდენა, ძლივს საპოვნი... როგორც მცირედი შეკვრა, ჭილობში დაკარგული ერთი ნამცეცი თვალი მარგალიტისა."

ერთი თვეც გავიდა. მე და ტატიანა დათქმულ დროს მივედით მილიციაში, იქიდან კი დროებითი დაკავების იზოლატორში. ფორმალობანი დაცულია. ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გასულია. სასჯელი მოიხადეს.

კორნელი გაუპარსავი, ჭუჭყიანი, ცოტა გამხდარი და ფერმკრთალი მეჩვენა. თავჩაქინდრული და მოღუშული განზე გადგა. თვალებს ვერ მისწორებს. ეტყობა, რცხვენია კიდეც. ბევრი აღარ დაგვიხანებია. დავბრუნდით დაბაში. ტატიანას მაინც შეეცოდა შვილიც და საყვარელიც.

- მოისვენეთ, მოიწესრიგთ თავი, ხვალ გესტუმრები და დავილაპარაკოთ,- ვუთხარი კორნელის და გავეცალე.

ხმა არ ამოუღია. ბუტია ბავშვივით მოკუმულ ტუჩებს ოდნავ შესამჩნევად აცმაცუნებდა და დუმდა.

განა, აქვს რაიმე სათქმელი? ან რით უნდა იმართლის თავი ოცდაათ წელს გადაცილებულმა მუტრუკმა... სამი შვილის მამა ქათამ-ბატებს და თხას იპარავს... მერედა რისთვის? არაყისთვის?!. იმის გაფიქრებაც კი მზარავს - რა რექცია ექნებათ ჩვენიანებს საქართველოში, მისი უკეთური საქციელი და უზნეობანი რომ გაცხადდეს.

მახსოვს ბაბუაჩემის შეგონება: „ავია, თუ კარგი, ჩვენიანი ჩვენი საჭირისუფლოა! ვითმინოთ, ვიდრე სათმენია! შევაგონოთ შესაგონებელი, ვამხილოთ სამხილებელი! დავგმოთ ორპირნი, მენახევრენი! ასეთები დიდ, საჭირბოროტო საქმეს ვერც ერთ დროში ვერ უთავკაცებენ, ვერ მოაბამენ თავს, ვერ გააკეთებენ... კაცი ან სულ ცუდი უნდა იყოს, ან სულ კარგი! მაშინ დაიძრება საქმე... ან ავსა ან კეთილ გზაზე!.. ხმელ-ნედლი ხე არც საცეცხლედ ვარგა და არც - სანერგედ!.."

საუბედუროდ, მართალი იყო ბაბუაჩემი. კორნელის აქ, რუსეთში ჭირისუფალი და პატრონი ჩემს გარდა არავინ ჰყავს. შევეცდები შევაგონო და შევაგნებინო, რომ მისი აქ დარჩენა სრული უაზრობაა. ვამხელ ქათამ-ბატის და თხის ქურდობაში. დავგმობ მის უკაცურობას და მკაცრად, კატეგორიულად მოვთხოვ საქართველოში ოჯახთან, ცოლ-შვილთან დაბრუნებას...

დილით ტატიანასთან გადავედი. კორნელი მოწესრიგებული, გაპარსულ-დაბანილ-დასუფთავებული, მაგრამ საგრძნობლად გაფითრებული და გამხდარი დამხვდა. უთავბოლო ლოთობას, უაზრო ცხოვრებას და ერთთვიან პატიმრობას თავისი კვალი დაეჩნია. ტატიანას მოვუბოდიშე და კორნელი მეორე ოთახში გავიყვანე... ვამხილე, ვანამუსე და ვეცადე, შემეგონებინა, რომ მისი უკეთურობა მისსავე უპასუხისმგებლო, უზნეო საქციელშია. ვამუნათებდი - რას დაემსგავსე დარბაისელი ერის შვილი და ოჯახის პატრონი!.. საბრალო ბაბუაშენი, დედაშენი... საფლავებში გადატრიალდებიან სირცხვილით... საწყალი მამაშენი - ამას გასწავლიდა და გარიგებდა? შენს პატარა ქალ-ვაჟს რა უნდა უთხრა, თვალებში როგორ უნდა ჩახედო, რა უნდა ასწავლო, რა მაგალითი უჩვენო?

კორნელი მისმენდა და ხმას არ იღებდა. მაგიჟებდა მისი დუმილი და სასოწარკვეთამდე მივყავდი მის უაზრო, გამოთაყვანებულ გამოხედვას... იმ მომენტში სრულ ჭკუაზე მყოფს არ გავდა, მოჯადოვებულივით იჯდა, ჯირკივით იდო...

ბოლოს ამოხეთქა:

- შენ ვინ მიგდიხარ, ვინ ჩემი ფეხები ხარ, რა მორალური უფლება გაქვს, რაიმეში გამამტყუნო ან დამანამუსო, განა, შენც არ მიატოვე სამშობლო, ოჯახი, ოთხი შვილი და მეუღლე!? განა, შენ არ დაუმალე ნატალიას, რომ ცოლშვილიანი იყავი და მეორედ იქორწინე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევეცადე, ამეხსნა განსხვავება ჩემსა და მის მოქმედებებს შორის, ჩემს სიყვარულით შექმნილ ოჯახს, პატიოსან და თავდაუზოგავ შრომა-გარჯას და მის ფუქსავატურ, უაზრო და უზნეო ცხოვრებას შორის... ვფიქრობ, ეყო სინდისი, შეიგნო და დამთანხმდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. მეორე დღესვე წავიყვანე ქალაქში. ვუყიდე ახალი ტანისამოსი და ფეხსაცმელი, მატარებლის ბილეთი და გამოვისტუმრე საქართველოში.

კორნელთან გამო განშორების ტატიანას პროტესტი არ გამოუთქვამს. გაუხარდა კიდეც, მისი შვილი ამფსონის გარეშე რჩებოდა. ასე მეტი შანსი იყო, იგი წესიერ გზაზე დაეყენებინა.

***

კორნელის წასვლიდან რამდენიმე წელი გავიდა. მის შესახებ არაფერი მსმენოდა. სიმართლე გითხრათ, მისი ბედი არც მაინტერესებდა და არც მენაღვლებოდა. ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობდი - ვშრომობდი და ვუვლიდი მოსიყვარულე ოჯახს. მაგრამ, ეტყობა, კორნელი ფუტურომის რუსული ეპოპეა ამით არ დასრულებულა.

ერთხელ, სახლში მისულს, ცოლმა, გაკვირვებულმა და გაოგნებულმა მამცნო:

- ყუბანის ტელევიზიის კრიმინალურ მიმოხილვაში გადმოსცეს: კრასნოდარის მხარის ქალაქ კორენოვსკში სამძებრო მილიციის თანამშრომლებმა ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება დააკავეს. ერთი კორნელი ფუტურომეა...

ვერ დავიჯერე, ის ხომ საქართველოში გავამგზავრე. დახეთ, ოხერი, ისევ ჩამომხტარა ვაგონიდან...

ორი ურთიერთგამომრიცხავი გრძნობა დამეუფლა: კორნელის ბედისადმი გულგრილობა, ახია-მეთქი, უაზრო და უპასუხისმგებლო ცხოვრებით დაიმსახურა, და მეორე - ბაბუაჩემი შემაგონებდა: „ავია თუ კარგი, ჩვენიანი ჩვენი საჭირისუფლოა!..“

მთელი ღამე ვერ მოვისვენე. ისევ მტანჯავდა კორნელის მიმართ გრძნობათა გაორება. განვლილმა ცხოვრებამ კინოფილმის კადრებივით ჩამიქროლა თვალწინ. ერთად გატარებული ბავშვობა, ყრმობა... ერთად მუშაობის წლები... მატარებლიდან ერთად ჩამოხტომა... უეცრად გაელვებულმა აზრმა გამომაფხიზლა: მე რომ ტუაფსეში მატარებლიდან არ ჩამომხტარვიყავი, განა, კორნელიც ჩამოხტებოდა? დამოუკიდებლადაც ასე მოიქცეოდა? - ეს აზრი ამეკვიატა. დიდხანს ვიფიქრე და მივხვდი, ჩემმა მოქმედებამ კორნელი წააქეზა და მომბაძა... მე რომ რუსეთში არ დავრჩენილიყავი, არც კორნელი ჩამოხტებოდა მატარებლიდან ტუაფსეში. გამოდის, მის გაუბედურებაში მეც მიმიძღვის ბრალი.

დილით, უძინარი, საწოლიდან ცუდ გუნებაზე ავდექი. ღამის ნაფიქრალი ამყვა. კიდევ ერთხელ გავისიგრძეგანე ძილ-ღვიძილში ნაფიქრალი და მივიღე გადაწყვეტილება: კიდევ ერთხელ მივხმარებოდი კორნელი ფუტურომეს...

მეუღლეს მოკლედ ავუხსენი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ და ავტოსადგურში წავედი. კორენოვსკის მილიციის განყოფილებაში მოვიკითხე კორნელი. იქ მხოლოდ ის მითხრეს, რომ ასეთი გვარ-სახელის კაცი ნამდვილად არის მოთავსებულია დროებითი დაკავების იზოლატორში და მიმდინარეობს გამოძიება. დავადგინე გამომძიებლის ვინაობა და შეხვედრა ვთხოვე. რამდენიმე წუთის შემდეგ მის კაბინეტში ვიჯექი. მაძებარი კორნელის ვინაობით და განვლილი გზით დაინტერესდა. მოვუყევი, რაც ვიცოდი. ისიც ვუთხარი, რომ პირველი სასჯელის მოხდის შემდეგ საჩუქრებით ხელდამშვენებული მატარებლით საქართველოში გავაცილე-მეთქი.

გამომძიებელმა მოკლედ ამიხსნა კორნელის ბრალეულობა და მირჩია, ჩემთვის საინტერესო ამბების გასაგებად ადვოკატი მენახა. მას გამომძიებლის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე დავუკავშირდი და მეორე დღეს კაფეში დავთქვით შეხვდრა. ადვოკატი - ვიტალი ვასილევიჩ ზახაროვი კარგი მოსაუბრე და გულისხმიერი, გაგებული კაცი აღმოჩნდა. მეტად განათლებული და გამოცდილი პიროვნება ჩანდა. კორნელის ცხოვრების დეტალები გამომკითხა. თავის მხვრივ შემპირდა, რომ ძალისხმევას არ დაიშურებდა, რათა კორნელისთვის სასჯელი შეემსუბუქებინა. რაც ვიცოდი, ყველაფერი ვუამბე და დავინტერესდი კორნელის საქმის ვითარებით.

ადვოკატმა მიამბო: კორნელი ფუტურომე კარენოვსკის რაიონის სტანიცა ვისილკოვსკაიაში სამი წლის წინათ, თანამემამულე კოსტა გაბელიასთან ერთად გამოჩნდა. ისინი მატარებელში გაცნობიან ერთმანეთს. გაბუნია დიდი ხანია მეურნეობაში მექანიზატორად მუშაობს. სხვა თანასოფლელებთან ერთად მეურნეობის მექანიკურ-შემკეთებელი საამქროს უფროსს გიორგი ნაჭყებიას ჩამოუყვანია. გიორგის ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტოსაინჟინრო ფაკულტეტი დაუმთავრებია, თანაკურსელი გოგონა შეყვარებია, მასზე დაქორწინებულა და საცხოვრებლად მეუღლის ოჯახში, სტანიცა ვისილკოვსკაიაში დარჩენილა. ჰყავს დიდებული მეუღლე და შვილები. სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით და ნდობით. ერთი სიტყვით, კოსტამ კორნელის გიორგი ნაჭყებიასთან უშუამდგომლა. მას გამოცდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიზატორი და ტრაქტორის ძრავების შემკეთებელი, მით უმეტეს თანამემალე, რა თქმა უნდა, სჭირდებოდა. სამუშაოზე მიიღო და თავის აგარაკზე მიუჩინა ბინა. კორნელის კრიმინალური წარსული დაუმალავს. მუშაობდა მუყაითად. გამრჯე ოსტატი დადგა. მაგრამ უქალობაც არ იქნებოდა. თანამემამულეებმა გააცნეს სტანიცელი კლავდია ფიოდოროვნა. იგი ადგილობრივ კაფეში მზარეულად მუშაობდა. ერთმანეთს შეეწყვნენ. კორნელი მასთან გადავიდა და ცხოვრობდნენ სიამტკბილობით. ამასობაში საბჭოთა კავშირი დაიშალა. საბჭოთა მეურნეობები აგრარულ კომპლექსებად დანაწევრდა და კერძო მფლობელობაში გადავიდა. გიორგი ნაჭყებიამ შეძლო ტექნიკა-დანადგარების შენარჩუნება, მეურნეობის სარემონტო საამქროს ბაზაზე ჩამოაყალიბა მანქანა-ტრაქტორთა სადგური და გამართა საქმიანობა. გიორგიმ კორნელი, როგორც კარგი მოტორისტი, დააწინაურა, ჩააბარა ბორბლიანი ტრაქტორების ძრავების სარემონტო საამქრო. ფუტურომეს სტაბილური და სოლიდური შემოსავლის წყარო გაუჩნდა... კინაღამ დამავიწყდა: კლავდია ფიოდოროვნას ჰყავდა ოცდაათი წლის, უცოლშვილო ვაჟი - ვალერი, რომელიც იმ ხანად ქურდობისა და ჩხუბისთვის სასჯელს იხდიდა. პირობით, ვადამდე გათავისუფლებული, შარშან შემოდგომაზე დაბრუნდა. ეს მის აღრიცხვაზე აყვანას და მილიციის კონტროლს ითვალისწინებდა.

ვალერამ შრომას გული ვერ დაუდო. ქურდობასა და დებოშს დროებიოთ თავი ანება, მაგრამ ლოთობას მიჰყო ხელი. ხშირად გონდაკარგვამდე თვრებოდა, ხან ეზოში, ხის ძირას, ხან კი პირდაპირ ტროტუარზე ეძინა. კორნელი ჯერ მაგრობდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „ცუდი მაგალითი გადამდებიაო," ნელ-ნელა ბახუსს „დაუმეგობრდა." მეზობლები ხშირად უჩიოდნენ მამობილსა და გერს. მათი სახლიდან ყვირილი და უწმაწური სიტყვები ისმოდა. უბნის ინსპექტორმა არაერთელ დაიბარა ორივე და ხელწერილებიც ჩამოართვა. სიტუაცია, განსაკუთრებით, დაზამთრებისას დაიძაბა. ყინვების გამო საამქრო დროებით დაიხურა, შესაბამისად გამომუშავებაზე მყოფ კორნელის ანაზღაურება შეუწყდა. ერთი სიტყვით ფული შემოაკლდათ და პრობლემებიც მოუმრავლდათ. კლავდიას ხელფასი ოჯახის ხარჯებს ძლივს ფარავდა. კორნელის მადლიანი ხელის წყალობით თანამეინახეებმა (სობუტილნიკი) კუსტარული წესით დამზადებული არყის სახდელი აპარატი დაამონტაჟეს და შვებით ამოისუნთქეს. არაყის შესაძენიად ფული აღარ იყო საჭირო, ხოლო საარაყე ხორბალი და ქერი ბლომად ჰქონდათ.

ნაახალწლევს კორნელი ფუტურომეს თანამენამულე ესტუმრა. იგი ადრე გიორგი ნაჭყებიასთან მუშაობდა ზეინკალად. ეს კაცი, უბნის ინსპექტორის დახასიათებით, წესიერი, მუყაითი, ყაირათიანი და გამჭრიახი გონების ადამიანი იყო. მომჭირნეობით და თავდაუზოგავი შრომით საკმაო თანხას მოუყარა თავი. ნაცნობების მეშვეობით დაადგინა, რომ თურქეთსა და საქართველოში "კამაზის" მარკის ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებზე განსაკუთრებული მოთხოვნა იყო. ერთი სიტყვით, სავაჭრო არხის გაჭრა მოახერხა და საქმე ააწყო. კორნელის რომ ესტუმრა, გაიშალა პურმარილი. შეზარხოშებულ სტუმარს სასმელმა საღერღელი აუშალა და მასპინძლებს თავის სავაჭრო წარმატებებზე უამბო. უთხრა, რომ თათრეთის რესპუბლიკაში, ნაბერეჟნიე ჩელნში, სათადარიგო ნაწილების შესაძენად, ქარხანასთან აპირებს ხელშეკრულების გაფორმებას და, ვინ იცის, რა მიზნით, ამერიკული დოლარების მოზრდილი დასტა ამოიღო ჯიბიდან. ამით საბედისწერო შეცდომა დაუშვა... ფულის დანახვამ ვალერას მხეცური ინსტინქტი გაუღვიძა, „ძველი პროფესიის" ალღოთი დაამუღამა და მზაკვრული გეგმაც ჩაიფიქრა. თავი შემოინახა, სტუმარს კი დალევას აძალებდა. კორნელი და მისი თანამემაულე უგონოდ დათვრნენ. სტუმარი ცალკე ოთახში მოასვენეს. შუა ღამით ვალერა შეიპარა, მძინარე ბალიშით მოგუდა, ფული ამოაცალა, საიმედო ადგილას გადამალა და, ვითომც არაფერიო, ძილს მისცა თავი.

დილით გვიან გაეღვიძათ. კლავდია ფიოდოროვნა სამუშაოზე წასულიყო. მოიკითხეს სტუმარი, მაგრამ ვეღარ გააღვიძეს. შეწუხებული კორნელი მუშტებს თავში იშენდა და გრძნობით მოთქვამდა. ვალერამ, ნაბახუსევიდან რომ გამოსულიყო, ასი გრამი გადახუხა და კორნელისაც შესთავაზა. არაყის ყლუპმა კინაღამ დაახრჩო, ანდა, ყელში როგორ გადასცდებოდა უბედურებით დათრგუნულს. კორნელი ქურდობისთვის ნასამართლევი უკვე იყო, ვალერა - უდო-თი(უდო-რუსულად შემოკლებით: პირობით-ვადამდელი გათავსუფლება- ავტ.შენ.) გათავისუფლებული და მილიციის კონტროლზე მყოფი. სტუმრის სიკვდილის შესახებ ვერ განაცხადებდნენ, მათ დაბრალდებოდათ. გადაწყვიტეს, ჩუმად დაემარხათ. ვინმეს რომ არ შეენიშნა, შორს არ წაუღიათ, იქვე, ბოსტანში გაუთხარეს სამარე. სასმლისგან ძალაგამოცლილებს გაუჭირდათ გაყინული მიწის ღრმად ამოთხრა, არც მეზობლების ზედმეტი ყურადღების მიქცევა სურდათ და თოვლნარევი მიწა ზემოდან თხლად წააყარეს.

სტუმრის ფულით გამოიზამთრეს. ქეიფსა და დროსტარებაში განცხრომით ცხოვრობდნენ. ბოსტანში, დაფლული სტუმრის ნეშტი სულაც გადაავიწყდათ.

გამოზაფხულდა. დათბა. თოვლმა დნობა დაიწყო და ცხედრის ხელი გამლღვალი თოვლიდან ამოიმართა. ნანახით გაოგნებულმა მეზობელმა უბნის ინსპექტორი გამოიძახა. სასამართლო ექსპერტიზამ მკვლელობის ფაქტი დაადასტურა. მიცვალებულის პიროვნებაც დადგინდა. საწყალს გულის ჯიბეში პასპორტი აღმოაჩნდა. მთავარ ეჭვმიტანილებად, ნასამართლობის და უზნეო, აღვირახსნილი, ლოთიანი

ცხოვრების წესის გათვალისწინებით, კორნელი და ვალერა მიიჩნიეს. ყველა კვალი მათკენ მიდიოდა. მათაც გაითავისეს მკვლელობის უარყოფის უაზრობა და გატყდნენ, ყველაფერი დაწვრილებით აღიარეს.

ადვოკატი დადუმდა. ვიცოდი, გამოძიების დასრულებამდე და საქმის სასამართლოზე გადაცემამდე კორნელის არ შემახვედრებდნენ. ადვოკატის თქმით, მის წინააღმდეგ საქმე მკვლელობაში თანამონაწილეობისა და დანაშაულის დაფარვისთვის იყო აღძრული, გერის წინააღმდეგ კი განზრახ მკვლელობის ბრალდებით.

კორენოვსკში აღარაფერი მესაქმებოდა. ისღა დამრჩენოდა, ადვოკატისათვის კორნელის მიმართ შემამსუბუქებელი გარემოებების მოძებნა მეთხოვა. მისამართები გავცვალეთ და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

სამი თვის შემდეგ ადვოკატი დამიკავშირდა და სასამართლოს განხილვის თარიღი მამცნო. ყველა სხდომას დავესწარი. კორნელი თვალს მარიდებდა, ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს. განა კი ჰქონდა საამისო პირი?!. თავჩაქინდრული იჯდა და ფრჩხილებს იკვნეტდა. მკვლელობაში თანამონაწილეობის მუხლი მოუხსნეს, დანაშაულის დამალვისთვის კი მიუსაჯეს სამი წელი - მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით. გერს განზრახ მკვლელობა დაუმტკიცდა და თექვსმეტი წლით "ვირის აბანოში" გაამწესეს. ასე დაიშალა „კრაზანების ბუდე."

პირობა დავდე კორნელი კოლონიაში არ მომენახულებინა და არც მოსაკითხი შემეგზავნა. არ იყო ღირსი და იმიტომ - ძალიან მაწყენინა, იმედები გამიცრუა, გული მომიკლა.

პირობა შევასრულე.

მოკლული ჩვენებური ახალგაზრდა - ოცდახუთი წლის, დაუცოლშვილებული ბიჭი აღმოჩნდა. მასაც და მის ახლობლებსაც ბავშვობიდან ვიცნობდი. ძალიან შემეცოდა: პატიოსანი, შრომისმოყვარე და ღირსეული ოჯახის შვილი იყო. მილიციამ მოიძია მისი ნათესავები და შვილის გარდაცვალება შეატყობინა. ჭირისუფალი ჩამოვიდა კორენოვსკში. გამწარებულ და გაუბედურებულ ხალხს ვერ შევხვდებოდი... სამშობლოში გადაასვენეს. კიდევ ერთი თუთიის კუბო წაიღეს რუსეთიდან საქართველოში... როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, როდემდე?! ნუთუ, ვერ შეძლებს ჩვენი ერი, ჩვენი მთავრობა ქვეყანა დაალაგოს, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამოასწოროს, სამუშაო ადგილები შექმნას და თავის მოქალაქეებს არსებობის საშუალება ადგილზე გაუჩინოს?

როდემდე უნდას ვიყოთ „საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული ერი?!"

***

...რამდენიმე წელი გავიდა. კორნელი ფუტურომეს შესახებ აღარაფერი მსმენოდა. აღარც მაინტერესებდა. თითქმის დამავიწყდა კიდეც. მაგრამ განგებას რას გაუგებ?!.

ერთხელ, გვიან ღამით გაბმული ზარის ხმამ გამაღვიძა. მარტოდ ვიყავი. ოჯახის წევრები კროპოტკინში სტუმრად წავიდნენ. ტელევიზორის ყურებისას ჩამძინებოდა. ზოზინით წამოვდექი, ფლოსტები ჩავიცვი და კარი გავაღე. ზღურბლთან შუა ხნის, საშუალოზე მაღალი, მოდგმული ტანის, შავგვრემანი, სანდომიანი გამომეტყველების, კავკასიური სახისნაკვთიანი მამაკაცი იდგა. შინ შეივიპატიჟე. ნაგვიანევი სტუმრობისთვის მომიბოდიშა. ყავის მოდუღება განვიზრახე.

მოსულმა, გამართული ქართულით, მადლიან იმერულ კილოკავზე მომიკითხა და, უფრო სწორ მისამართზე მოსვლის დადასტურების მიზნით, ზრდილობიანად მკითხა:

- თქვენ კოტე ხოშორაძე ბრძანდებით?

მომხიბლა მისმა თავაზიანმა და სანდოობით გაჟღენთილმა ტონმა.

- კი, ბატონო, მე გახლავართ,- დავუდასტურე და ვკითხე, - ასე გვიან რამ შეგაწუხათ ეს დარბაისელი კაცი?

- ბევრ დროს არ წაგართმევთ, მოკლედ მოგახსენებთ, - თქვა და სავარძელში მორიდებით ჩაჯდა.

- ბრძანეთ, ბატონო, - მივმართე.

უცნაური, ზრდილობიანი და თავაზიანი თანამემამულის მოულოდნელმა სტუმრობამ ცოტა შემაცბუნა. სიმართლე გითხრათ, მრავალ მიზეზთა გამო, ვერიდები თანამემამულეებთან ურთიერთობას.

უცნობს ბევრი თავპატიჟი არ დასჭირვებია, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

- მე ცაცი ხმიადაშვილი გახლავართ, წარმოშობით ქალაქ ქუთაისიდან. ვცხოვრობ და ვმუშაობ ქალაქ არმავირში, საკუთარი რესტორანი მაქვს. თქვენ, წარმოშობით ბათუმელს, კორნელი ფუტურომეს თუ იცნობთ? - მკითხა და ცნობისმოყვარე თვალები მომაბჯინა.

მოულოდნელობამ დამაბნია, მაგრამ თავი ხელში მალე ავიყვანე, ემოციები მოვთოკე და რაც შეიძლება გულგრილად ვუპასუხე:

- დიდი ხნის წინათ ვიცნობდი ასეთი გვარის და სახელის კაცს. მოხდა რამე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ჩემო ბატონო, სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს თქვენი ვინაობა და სადაურობა, არც ის, როგორი ურთიერთებობი გაქვთ, თუ გქონდათ წარსულში ფუტურომესთან, მაგრამ ჩემმა ბიძაშვილმა მთხოვა და ამიტომ გავისარჯე და ამხელა გზა გამოვიარე... - სათქმელი აღარ დაასრულა და გაჩუმდა. ეტყობ, ჩემი რეაქცია არ მოეწონა და ნანობდა, რომ ასე მომმართა.

მივხვდი, გულგრილად ვიქცეოდი. უხერხული სიტუაციის გამოსწორება ვცადე.

- უკაცრავად, გულისყურით გისმენთ, განაგრძეთ, ბატონო, - ვუთხარ და სანდოდ გავუღიმე.

მან მცირედი გაუგებრობა დასძლია და განაგრძო:

- არმავირის შრომა-გასწორების კოლონიაში, მეოთხე რაზმში, ეგრეთ წოდებულ სამრეწველო ზონაში ჩემი ბიძაშვილი იხდიდა საჯელს. ახლახანს გათავისუფლდა, თავად უნდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ მილიციამ არ დაანება, სასჯელის მოხდისთანავე გაუფორმეს საბუთები და რუსეთის ტერიტორიიდან გააძევეს. მან დამიტოვა ფუტურომის წერილი და მთხოვა, აუცილებლად პირადად გადმომეცა შენთვის. კითხვა-კითხვით მოვიძიე შენი მისამართი და, აი, ახლა შენს წინაშე ვარ. თქვა და გულისჯიბეში ხელი ჩაიყო, იქიდან პატარა კონვერტი ამოიღო და გამომიწოდა... ბევრი აღარ დაუყოვნებია. წამოდგა. შეწუხებისათვის კიდევ ერთხელ მომიბოდიშა და გასასვლელისკენ გაემართა. ვთხოვე, იქნებ, ერთად გვევახშმა-მეთქი, მაგრამ კარის ზღურბლიდან მომაძახა,- თუ კიდევ შევხვდებით, შემდეგში იყოსო. წამოვეწიე, გადაველობე და არმავირის მისამართი ვთხოვე, ჩამოვალ, აუცილებლად გინახულებთ-მეთქი. გაჩერდა, მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა და მითხრა:

- არმავირის ცენტრში, ავტოსადგურის მახლობლად არის რესტორანი „ქართული კერძები." თუ გზა დაგირჩათ, დიდი სიამოვნებით გიმასპინძლებთ. ხელი ჩამომართვა, გამიღიმა, შეთქმულივით თვალი ჩამიკრა და დამამშვიდა: - გულწრფელად გეუბნებით, სასწრაფო საქმე გამომიჩნდა, დაუყოვნებლივ უნდა დავბრუნდე არმავირში, იქ გელოდებით, - და აჩქარებული ნაბიჯით მანქანისკენ გაეშურა. ახლაღა შევნინე, საჭესთან ახალგაზრდა ბიჭი იჯდა და თანამგზავრს მოთმენლად ელოდა.

სახლში შევბრუნდი, სავარძელში ჩავჯექი და ჯიბიდან კორნელის ბარათი ამოვიღე. კონვერტი უბრალო, უმარკო იყო. გახუნებული და გაცრეცილი, ნამალავი... ბადრაგს გამოპარებული... რატომღაც გული ამიჩქარდა, ხელი ოდნავ ამიკანკალდა... სასამართლოს შემდეგ კორნელის შესახებ აღარაფერი მსმენია. ოთხი წელია გასული... მას სამი წელიწადი ჰქონდა მისჯილი. უკვე გარეთ უნდა იყოს. ნეტა, პატიმრობის ვადა გაუგრძელეს, ან ისევ დააპატიმრეს? ქვეცნობიერად იკვანძებოდა ეჭვები და აზრები. გავხსენი კონვერტი. სასკოლო რვეულის ფურცლის ნაგლეჯზე ფანქრით კორნელისეული ბატიფეხურით იყო ნაწერი. ბარათი გავშალე და სულმოუთქმელად წავიკითხე:

„კოტე, ძმაო! ვიცი, გაგიჭირდება, მაპატიე. ამას არც გთხოვ, მაგრამ გემუდარები, სარეცელზე მიჯაჭვულს, მომაკვდავ თანასოფლელს მოუსმინო: უკურნებელი სენი შემეყარა - ჯერ ჭლექი, ახლა კი - კიბო, მეოთხე სტადია... მალე მოვკვდები, ალბათ... ციხის ექიმმა მითხრა, შანსი აღარ გავსო... ზონიდან ახლადგამოსულმა, იქვე, არმავირის რკინიგზის სადგურის კაფეში ვისადილე. არაყიც შევუკვეთე... ერთი სომეხი ამეკიდა. არ ვიცი, რა უნდოდა. როგორც კავკასიელს, შევთავაზე, სადღეგრძელო დამილიე-მეთქი. რამდენიმე ჭიქა გადაჰკრა, შემდგ კი ამიხირდა - რაღაც ბოდიალი დაიწყო აფხაზეთის ომზე. იქ ქართველების მიერ მის მოკლულ ძმაზე. მაგინა, მლანძღა, მოკვლით დამემუქრა, გამოიწია კიდეც... მე, სვედავსებულსა და ბედგამწარებულს, სომხის გინება მინდოდა კიდევ?.. თან არაფრის გამო. ჯერ ერთი, მე და ომი რა შუაში ვიყავით. მეორეც, ან მის ძმას რა ჭირი და მოუნელებელი უნდოდა აფხაზეთში, გაგანია ომში... თან ჩვენების წინააღმდეგ იბრძოდა. პასუხი იქეთ უნდა მომეკითხა, თუ მოსაკითხი იყო... არ ვიცი, რა დამემართა. ერთი მახსოვს მხოლოდ - „ბუფეტჩიკს" ხელიდან პურის დანა გამოვსტაცე და სომეხს მკერდში მთელი ძალით ვაძგერე. გაშმაგებულმა და ჭკუაარეულმა ვერ მოვზომე... შემომაკვდა ის უბედური. როგორც რეციდივისტსა და ადრე არაერთჯერ ნასამართლევს, თხუთმეტი წელი მომისაჯეს. თავის დაცვა არც მიცდია... ერთი წელია ვზივარ - დასნეულებული, გაუბედურებული, ჭლექიან-კიბოიანი... თხუთმეტი წელი კი არა, თხუთმეტი დღე თუ დამცალდა... ვიცი, სამშობლოში ვერ გადამასვენებ... არც გთხოვ... ვიცი, ცოდვამ მიწია... გაუბედურებული, უპატრონოდ მიტოვებული ცოლ-შვილის და მამაჩემის ცოდვამ... დედის მოუვლელი საფლავის ცოდვამაც, ალბათ... აღარ ღირს წუწუნი. სამართლიანად დავისაჯე...

კოტე, იცი, საქართველოში ბიჭი მეზრდება. უკვე კაცია, ალბათ... თუ ოდესმე გეღირსა სამშობლოში დაბრუნება ან ხმის მიწვდენა შესძელი, მოუყევი ან გადაეცი - მამაშენი ღირსეულად ცხოვრობდა, სულ ენატრებოდით, ოცნებობდა ოჯახში დაბრუნებასა და თქვენს გულში ჩაკვრაზე-თქო... ნუ ეტყვი ჩემს ლოთ-ბაზარულ, უპასუხისმგებლო არსებობისა და ციხე-ციხე წანწალის შესახებ... ცოდვაა, დაიჩაგრება... აბა, შენ იცი, თხოვნა არ გამიცრუო....

შენი კორნელ ფუტურომე... მართლა ფუტურო..."

არ ვიცი, რა დამემართა.

კორნელის ბარათს ხან გულში ვიხუტებდი, ხან ვკოცნიდი, ხან მჯიღს ვიბაგუნებდი მკერდზე.

გულამოსკვნილი ვტიროდი, ხმით ვღრიალებდი და მდუღარე ცრემლები ღაწვებს მიღარავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავტიროდი უბედურ კორნელის...

დავტიროდი ჩემს თავს... ჩემი ხელით მიწამიუყრელ, მოუვლელ მშობლების საფლავებს... ჩემი ცოლშვილის საყვედურიან ხსოვნას...

ხვალ, უთენია, მივდივარ არმავირში. კორნელი უნდა ვნახო.

***

ადრიან დილით ავდექი. სასწრაფოდ შხაპი გადავივლე. არც მისაუზმია, ჩემი "გაზელით" დავადექი არმავირის გზას. კითხვა-კითხვით მივაგენი კოლონიის ადგილსამყოფელს. მეოთხე რაზმის შესასვლელთან მივაგდე მანქანა. სამორიგეო ნაწილის უფროსს კი არ ვთხოვე, შევბღავლე:

- აქ ჩემი სიყრმის მეგობარი, თანასოფლელი კორნელი ფუტურომე იხდის სასჯელს, გთხოვთ, ნახვის საშუალება მომცეთ-მეთქი. ჩემმა ქცევამ გააკვირვა, ცოტა გააოგნა კიდეც უფროსი. სადღაც დარეკა, კორნელი ფუტურომე იკითხა. კავშირის ბოლოში პასუხი შეყოვნდა. ჩემში, რატომღაც, უიმედობამ დაისადგურა. არც მორიგეს გამომეტყველება მომეწონა. გამართლდა კიდეც ჩემი ეჭვი - მომიბრუნდა, მომიბოდიშა და მითხრა:

- საუბედუროდ თქვენი მეგობარი ერთი კვირის წინათ გარდაიცვალა, უკურნებელი სენი შეეყარა. ვცადეთ, მისი ახლობლებისთვის შეგვეტყობინებინა, მაგრამ რუსეთის ტერიტორიაზე ჭირისუფალი არ აღმოაჩნდა, საქართველოში კი, ცნობილი მიზეზების გამო, ეს ვერ მოვახერხეთ. (ალბათ, საქართველო-რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობას გულისხმობდა - ავტ.შენ.) აქვე დავმარხეთ, ციხის სასაფლაოზე. თანამშრომელს გაახლებ და მიგაცილებს. სათანადო საბუთებს ციხის ადმინისტრაციის კადრებისა და კონტინგენტის განყოფილებაში მიიღებ, - თქვა და გამშორდა.

ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდა სამხედრო გამოვიდა, ხოშორაძე თქვენ ხართო, იკთხა და უსიტყვოდ გამიძღვა წინ... ზონის განაპირას, შამბნარიან და ეკალბარდიან ადგილას მიმიყვანა.

ახალმიწამინაყარი, პატარა ბორცვი...

ზედ დარჭობილი მართკუთხა რკინის ფირფიტა, მხოლოდ ერთადერთი - შავით თეთრზე ნაწერი - 11257...

ესე იგი, კორნელი 11257-ე ბინადარია ამ ეკლიანშამბნარიანბარდიანი ხრიოკისა... უპატრონო, უსახელო, უკანასკნელი, სამუდამო სადგომის ბინადარი...

თვალთ დამიბნელდა, დავბარბაცდი. ჯარისკაცს ხელი რომ არ შეეშველებინა, საფლავის ბორცვს დავენარცხებოდი... ვეღარ ვაზროვნებდი, ფიქრები მერეოდა, თავში გაუსაძლისი ხმაური ჩამესმოდა. კორნელის სამარეს სანუგეშო ვერც ვერაფერი ჩავსძახე. ან რა უნდა მეთქვა?!.

ეჰ! კორნელი ფუტურომე!.. საღ-სალამათი, შენი ფეხით მიდიოდი უაზროდ და უთავბოლოდ ემიგრაციაში, მოუსავლეთში... სადღაც შორს, სადაც, ვინ იცის, რა უბედურება და ხიფათი მოგელოდა: გადაგვარება, მშობლიური ენის დავიწყება, რჯულისა და მრწამსის დაკარგვა, დაღალატიანება, გამრუდება... იქნებ, ვაჟკაცობის დაკარგვაც, უჭირისუფლო სიკვდილიც და უპატრონო საფლავიც...

ეჰ! მუდამ საგლოვი არიან ემიგრაციაში წასულნი, საგლოვი და საფათერაკო... იცის, განა არ იცის კონსტანტინემ, იცის, მაგრამ რა ქნას... რა ჯვარს ეცვას კიდევ?! განა, მიაკლო რამე: ან ხელი ან გული ან ცდა ან ფული ან რჩევა-მუდარა?!.

ეეჰ!!! კვდები იქ, უცხო მიწაზე... თუ გაგიმართლა და პატრონი გამოგიჩნდა, გადაგასვენებს შენს ქვეყანაში - დედა ან ცოლი მაინც დაგიტირებს და საფლავი სამშობლოში გექნება, თუ არა და, სადღაც დაგმარხავენ პოლიეთილენის პარკში შეხვეულს, შენს საფლავს სახელსაც არ დააწერენ, შესანდობარსაც არავინ იტყვის შენსას...

იქ მეტს ვეღარ დავრჩებოდი, აღარც შემეძლო, გასკდა გული. ხელი გადავუსვი კორნელის უწარწერო, მოუვლელ საფლავს, მეცივა... მოვტრიალდი... აღარც ცრემლი, აღარც სლუკუნი, მოთქმა ან ხმით დატირება ხომ ზედმეტია.

რაღაც ჩაწყდა ჩემში, რაღაცას სამუდამოდ გამოვემშვიდობე... რაღაცას უკვე შევეგუე... ნუთუ, უფლის ნება იყო კორნელის ასეთი აღსრულება?! გამწარებულმა გულზე მჯიღი დავირტყი - კორნელის საფლავს უსახელოს არ დავტოვებ...

შევძლებ კი, ამხელა, უკიდეგანო რუსეთში ამდენ უპატრონო და უჭირისუფლოთა პატრონობასა და ჭირისუფლობას...

თავი XXVIII

„სხვის სამოთხეში გინდ ყოფილხარ, გინდ ნუ იქნები.“

ომარ ხაიამი

ნატალიას დეიდა კრასნოდარის მხარის დინსკოის რაიონის სტანიცა ნოვოტიტაროვსკაიაში ცხოვრობს. ზინაიდა იქაური კაზაკის - კუზმა დანილიჩ ზუბენკოს მეუღლეა. ჰყავთ ქალ-ვაჟი. 1992 წლის შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს მოსაწვევი ბარათი მოგვივიდა. კუზმა და ზინაიდა შვილის - ვასილის ქორწილში გვეპატიჟებოდნენ. სიდედრ-სიმამრი საკმაოდ ხანდაზმულები არიან და ქორწილში წასვლა მე და ნატალიას გვხვდა წილად. ბავშვები ბებია-ბაბუას დავუტოვეთ.

ნათესავებმა გულთბილად მიგვიღეს. საქორწილო სამზადისი მოეთავებინათ. სუფრა რესტორანში გაეშალათ. საქორწინო კორტეჟიც ერთი ამბით მოამზადეს. ხელმოწერის ცერემონიალი დაბა დინსკოეში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა. აქედან გადავინაცვლეთ სტანიცაში. შენობა, რომელშიც რესტორანია, ტრასის გაყოლებაზე, საკმაოდ კეთილმოწყობილ და მოვლილ ბაღში დგას. ბეტონის მყარი კედელი, ალაყაფიანი შესასვლელი და მოვარაყებულ-მოჩუქურთმული ჭიშკარი ადასტურებს, რომ მისი მეპატრონე ქართველი თუ არა, კავკასიელი მაინცაა.

მეპატრონე, მომსახურე პერსონალი და თეთრხალათიანი მზარეული შესასვლელში შეგვეგებნენ. რესტორნის მეპატრონე საშუალოზე მაღალი, წარმოსადეგი, მხარბეჭიანი, სპორტული აღნაგობის მამაკაცია.

იგი ღიმილიანი სახით ვარდების თაიგულით ხელდამშვენებული, მიეგება ნეფე-პატარძალს. პატარძალს თაიგული მიართვა, ნეფეს კი მამა-შვილურად მოეხვია, გადაკოცნა, შეუღლება მოულოცა და ბედნიერება უსურვა.

ასე მხოლოდ ქართველს შეეძლო, ასე მხოლოდ ქართველი მასპინძელი იქცევა. ისიც ვიგუმანე, რომ ასეთ უჩვეულო დახვედრას სარეკლამო დატვირთვაც ჰქონდა.

დრო ვიხელთე და კუზმა დანილიჩთან რესტორნის მეპატრონის ვინაობითა და სადაურობით დავინტერესდი. ეტყობა, იგი მეპატრონეს კარგად იცნობდა და გულითადი ურთიერთობაც ჰქონდა. ულვაშებში ჩაიცინა და კაზაკური უშუალობით მახარა:

- ოო, ჩემო კოტე, რესტორნის მეპატრონე ჩემი მეგობარი და ვაჟკაცი კაცია, შენი თანამემამულეა, ქართველი. ნოშრევან ხასანოვიჩი დიდი ხანია ჩვენს მხარეშია. წესიერ და პატიოსან კაცად იცნობს ყველა. კარგი მესუფრე, მოქეიფე, ნამდვილი ქართველია. გვექნება შესაძლებლობა, აუცილებლად გაგაცნობ, - დამაიმედა.

ქორწილს, სლავური წესით, ორგანიზატორი უძღვებოდა. ჩვენებური-ქართული ქორწილი თამადის საუფლოა. გულითადი სადღეგრძელოები, მოზომილი, ბრძნული სიტყვა და შეხამებული ცეკვა-თამაში, ზღაპრული სამყაროა. აქ კი წამყვან-ორგანიზატორია ქორწილის მეუფე. უფრო წინასწარ დაგეგმილ და დათქმულ სპექტაკლ-წარმოდგენას ჰგავს. სადღეგრძელოებიც მწირია. ძირითადად ნეფე-პატარძლის საქებ-სადიდებელი, რაც, ხშირად, ხმაშეწყობილი ოვაციებითა და „გორკა-გორკას“ შემახილებით მთავრდება. სვამენ თავიანთი სურვილისამებრ. ამიტომაცაა, ალბათ, რომ ქორწილი ხშირად უთავბოლო ღრეობასა და თავდაგადადებულ ლოთობაში გადაიზრდება. რა თქმა უნდა, ქორწილის „ღმერთია“ მისი აღმატებულება - მუსიკა და ცეკვები. მექორწილეები ლაღობენ, ქცევა თავისუფალია, რაიმე ტრადიციული ან პირობითული წესი, მგონი, არ არსებობს. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, არ შემინიშნავს.

ბევრის დალევას ვერიდები, ამიტომაც რამდენიმე სადღეგრძელო შევსვი და რესტირნის ეზოში გავედი, მოვერიდე დაძალება-დახათრიანებას. არც ცეკვა-თამაშისა და ღრეობა-წარმოდგენების ხალისზე ვიყავი. ეზოს სიღრმეში ძელსკამი მოვძებნე და ჩამოვჯექი. ჩემდაუნებურად ფიქრები მომეძალა. ჩემი ქორწილები მომაგონდა. ისევ გაორება. ისევ ფიქრთა ჭიდილი... ამ მდგომარეობიდან კუზმა დანილიჩის ხმამ გამომიყვანა. მასაც მოსურვებოდა სუფთა ჰაერზე ყოფნა. გვერდით მომიჯდა, სიგარეტი და სანთებელა ამოიღო. ერთი ღერი თითებით მოსრისა, მოუკიდა, ორო ღრმა ნაფაზი დაარტყა და მხოლოდ ამის შემდეგ გამომიწოდა სიგარეტის კოლოფი:

- ხომ არ გააბოლებდი?!

მადლობა გადავუხადე, ერთი ღერი ამოვიღე და გავაბოლე. მცირე ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმე კუზმა დანილიჩმა დაარღვია:

- ეჰ! ჩემო კოტე, ვბერდებით. აი, მეორე შვილიც დავაქორწინე. ვალმოხდილობის გრძნობა მახალისებს და კმაყოფილი ვარ, მაგრამ რაღაცნაირ სიცარიელეს ვგრძნობ აქ, - თქვა და გულზე მჯიღი მიიდო.

მივუხვდი. საუბრის მხარდაჭერის მიზნით, თითქმის ჩემთვის, ჩავილაპარაკე:

- მართალი ხარ, კუზმა, ვბერდებით. შვილები წამოიზარდნენ, რა უცებ გავიდა დრო.

დამეთანხმა. მხარზე მომითათუნა და შემაპარა:

- შენ რას წუწუნებ, ჩემთან შედარებით ბავშვი ხარ და შვილებიც ჯერ ბავშვები არიან!..

კუზმამ მხოლოდ ჩემი აქაური შვილების შესახებ იცის. წარმომიდგენია, რა რეაქცია ექნებოდა, რომ ცოდნოდა, საქართველოში ოთხი ქალიშვილი ბებია-ბაბუის ამარა რომ დავტოვე. ცუდ გუნებაზე დავდექი. ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ მინდოდა. ვიცოდი, კუზმა კომბაინერია, ამიტომ ვკითხე:

- კუზმა დანილიჩ! წელს მოსავალს როგორი პირი უჩანს, მკას როდის იწყებთ?

კუზმამ მადიანი, ღრმა ნაფაზი დაარტყა, ჩემსკენ შემობრუნდა და უკვე გაშინაურებულმა პათოსით მითხრა:

- ჩემო კოტე, წელს ხორბლის არნახული მოსავალია. ყანები წელამდე მწვდება, ხოლო თავთავი, ის დალოცვილი, თითქმის მტკაველის სიგრძეა. ახლა, მთავარია, ამინდებმა გვაცალოს და დროზე, დანაკარგების გარეშე დავაბინავოთ მოსავალი.

ცოტა ხანს ვისაუბრეთ. შემდეგ კუზმა დანილიჩმა ხელი მომხვია და რიხით მითხრა:

- აბა, ქვისლო, წამო, ერთიც გადავკრათ, თორემ აქ ტყუილად ჯდომა რა ბედენაა. ჩემი ვასიას ქორწილია, დავლიოთ და გავიხაროთ. ხვალისა ხვალე იყოს.

შევედით დარბაზში. დამსწრე საზოგადოება გასიგრძგანებულ ქეიფსა და დროსტარებაში იყო. ზოგი, სახეზე აპილპილებული, თავდავიწყებით როკავდა და გველივით კლაკნიდა მოქნილ სხეულს, ზოგიც, დარბაისელნი და ასაკოვანნი, მაგიდებს უსხდნენ და ნებიერ მასლაათსა და პურის ჭამაში იყვნენ გართულნი. ჩვენც ჩამოვჯექით. დანილიჩის ქალიშვილმა უმალ მოირბინა:

- მამილო, იცი რა ბედნიერი ვარ ჩვენი ვასკას დაქორწინებით?! - პასუხს არ დალოდებია, მამა ჩაკოცნა, ჩამოგვისხა არაყი, მამის ჩანგალზე დამწნილებული კიტრი წამოაგო, ხელში შეაჩეჩა, გაამოთო, მოგვამახა, თავადაც გადაჰკრა, ხელები ქამანდივით მოიქნია, ბავშვური ცელქობით წაგვეკეკლუცა, ეშმაკურად, შეთქმულივით თვალი ჩაგვიკრა და მოცეკვავეთა წრეს შეერია. მე და კუზმამაც გადავკარით. წამყვან-ორგანიზატორმა მიკროფონში ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და საზეიმოდ გამოაცხადა:

- ახალშეუღლებულთ მიესალმება სასტუმროს მფლობელი და დირექტორი, ჩვენი ძვირფასი ნოშრევან ხასანოვიჩი! - და მიკროფონი მიაწოდა.

ნოშრევან ხასანოვიჩმა მოიბოდიშა, არყიანი სირჩა აიღო, მიკროფონი მოიმარჯვა და ახალშეუღლებულები დალოცა. ბედნიერება და მრავალშვილიანობა უსურვა და რესტორნის პერსონალის სახელით საჩუქრები უსახსოვრა. არაყი გადაჰკრა, დარბაზს თვალი მოავლო, მასპინძლებს მადლობა გადაუხადა და ჩვენსკენ გამოეშურა. ნოშრევან ხასანოვიჩმა კუზმას ხელი ჩამოართვა და გადაეხვია. მოულოცა შვილის გაბედნიერება, გამოსცალა მიწოდებული სირჩა და გვერდით მოგვიჯდა. თითოც რომ გადავკარით, კუზმა დანილიჩმა მხოლოდ ამის შემდეგ „ინება“ ჩემი წარდგენა:

- აბა, ჩემო ნოშრევან, დროა, გაგაცნო ჩემი ქვისლი - ზინაიდას დისშვილის ქმარი და შენი თანამენამულე კონსტანტინ შოტაევიჩ ხოშორაძე!

წამოვდექი, ხელი გავუწოდე:

- მიხარია, ჩემი თანამემულეს გაცნობა, მოგესალმებით, ბატონო ნოშრევან!

ხელი ჩამომართვა, დიდი ხნის უნახავი ახლობელივით გულზე მიმიხუტა და ქართული წესისამებრ მარჯვენა მხარზე მეამბორა. რამდენიმე სადღეგრძელო დავლიეთ. ამასობაში ზინაიდა და ნატალია მოვიდნენ. ნოშრევან ხასანოვიჩმა მოგვიბოდიშა, საქმეები მოიმიზაზა, მე კი მომიბრუნდა და მითხრა:

- ჩემო კოტე, ნაბახუსევს ქართველებს ხაში გვიყვარს. მოდი, ახლაც ტრადიციას ნუ დავარღვევთ, ხვალ დილით ხაშზე გეპატიჟებით ორივეს. - თქვა და აჩქარებული ნაბიჯით სამსახურებრივი გასასვლელისკენ გაემართა. მესიამოვნა თანამემამულის სტუმართმოყვარეობა და მოფერება.

ქორწილი გვიან აიშალა.

დილით კუზმა დანილიჩს შევახსენე ნოშრევანის ხაშზე მიპატიჟების შესახებ.

სახლში ყველას ეძინა, მხოლოდ ზინაიდა ფუსფუსებდა სამზარეულოში. ვუთხარით, სადაც ვიქნებოდით და წავედით.

რესტორანში ხაშის თადარიგი უკვე დაეჭირათ. ნოშრევანიც იქ დაგვხდა. შინაურულად მოგვესალმა და კაბინეტში მიგვიპატიჟა. მზარეული გააფრთხილა, - სუფრა კაბინეტში გაგვიშალე და ხაშიც დააჩქარეო.

ბატონი ნოშრევანიც ბათუმელია. დიდი ხანია რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს. ადრე ვაჭრობდა, ორი წლის წინათ კი რაიონის მესვეურთა ხელშეწყობით ძველი სასადილოს შენობა გრძელვადიანი იჯარით აიღო, გაარემონტა და ქართული რესტორანი გახსნა. რესტორნის ორიგინალურობა და მიმზიდველობა გამორჩეულია მისი ქართული კარმიდამოთი, შიდა სკვერ-შადრევან-ბაღით და ქართული კერძების ფართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევანით. ნამდვილი პატარა სამოთხეა. მზარეულიც ჩვენებური ჰყავს, გორელი კაცი - ვალიკო. რესტორნის ზედამხედველი მისი ძმაა, სამსონი. მომარაგება კი ძმისშვილ ზაურისთვის აქვს მინდობილი. დანარჩენი პერსონალი ადგილობრივები არიან.

ნოშრევანის ოჯახი საქართველოში ცხოვრობს. დროდადრო ჩადის, პატრონობს, ფულს უგზავნის. ჰყავს ერთი ქალიშვილი, რომელიც მეუღლესთან ერთად ხშირად სტუმრობს.

სამსონი კი ამ მხვრივ მოიკოჭლებს. სამი წელია ნოშრევანთან მუშაობს.თავიდან, ქალაქ პენზაში წასულა სამუშაოდ.საქმისთვის თავი ვერ მოუბამს.ნოშრევანს ძმის წახდენა არ უნდომია, ჩამოუყვანია,- დავასაქმებ, ორ კაპიკს გააკეთებსო, მაგრამ აქ ერთი ქალი აუჩენია, მასთან გადაბარგებულა და სამშობლო და ოჯახი დავიწყებია. არადა ბათუმში მეუღლე და ქალ-ვაჟი ჰყავს.

- სამსონის ოჯახს უჭირს. მისი სახელით მე ვუგზავნი ფულს. რა ვქნა, ის თუ უვარგისი და უპასუხისმგებლოა, რძალს და ძმისშვილებს ულუკმაპუროდ ხომ ვერ დავტოვებ, - თითქოს მიმიხვდაო ცნობისმოყვარეობას და განაგრძო, - ზაური კი ახალგაზრდაა, უცოლშვილო. მინდა, ცოტა თანხას მოუყაროს თავი. გავგზავნი ბათუმში, მამამისსაც შეეხიდება და საკუთარ ოჯახსაც შექმნის.

ამასობაში ვალიკომ შემოიხედა:

- ბატონო ნოშრევან, ყველაფერი მზადაა, ახლავე მოგართმევთ! მიმტანმა გააწყო სუფრა. ქართული კერძებს საამო ოხშივარი ასდიოდა. მშობლიურმა სურნელმა და ნოშრევანის მამა-შვილურმა მოპყრობამ გამაბრუა. მშობლიურ გარემოში ვიგრძენი თავი.

ჩემი სულის მოძრაობა და განცდები ბატონ ნოშრევანს არ გამოპარვია, მონატრებამ იცისო,- თქვა და სუფრასთან მიგვიპატიჟა. ხაში ძალიან მომნატრებია. ბარემ, ათი წელია არ მიჭამია. მამა-პაპური წესით შევაზავე. ქართული შოთის პურის დიდი ნაჭრებიც ჩავაწყვე და მადიანად ხარბად შევექეცი.

ბატონმა ნოშრევანმა ვალიკო იხმო:

- შე დალოცვილო, მადლი თუ ჰქენი, ბარემ მარილიც მოაყარე.

ვალიკო მიუხვდა, კინაღამ დამავიწყდაო,- ჩაილაპარაკა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა. მალევე შემობრუნდა პატარა დოქხელდამშვენებული. ქართული ყურძნის არაყია, ხაშს უხდებაო, - თქვა და სირჩებში ჩამოასხა:

- აი, მესმის, ნამდვილი ჭაჭა!.. კარგია, მაგარია?! - იკითხა კუზმამ და სირჩას წაეპოტინა.

- დალიე და ნახავ, - წააქეზა ბატონმა ნოშრევანმა.

გადავკარით. სუნთქვა შემეკრა. მადლიანი ქართული ჭაჭა შესაშური ნახელავი იყო. კუზმა კი, ოოო, მაგარიაო, - გაიძახოდა და ულვაშებზე ხელს ისვამდა. სამ-სამი სირჩა დავლიეთ. ვისაუზმეთ. ქართული კერძები ძალიან მომეწონა. თავი სამოთხეში მეგონა, პატარა ქართულ სამოთხეში. რესტორნის ეზო-კარიც ხომ ქართულადაა მოწყობილი, ბუჩქებიც და ხეებიც ჩვენებური ჯიშისაა. ყვავილებიც და ბოსტნეულიც განსაკუთრებული სურნელით გამოირჩევა, ეტყობა, მათი თესლები საქართველოდანაა ჩამოიტანილი.ეს ბატონ ნოშრევანმაც დამიდასტურა. ყველაზე მეტად იმან გამაოცა და მომაჯადოვა, რომ ამ პატარა საქართველოში ქართული სული ტრიალებდა. ქართული სტუმართმოყვარეობა და სითბო სუფევდა.

ჩვენს მასპინძელს მეურნეობაც მოუწყვია. ღორები მოუშენებია. არენდით აუღია ხორბლის ყანები. რესტორნის მიმდებარე ნაკვეთზე ბოსტანი და სასათბურე მეურნეობა გაუმართავს. ყველგან და ყველაფერს ეტყობა გამრჯე და მეურნე კაცის ხელი. მე ნაამები და ფრიად ნასიამოვნები დავრჩი.

აქ დიდხანს ვერ გავრჩერდებოდით, კუზმას სახლში სტუმრები გველოდნენ. მოვუბოდუშეთ ბატონ ნოშრევანს, მადლობა გადავუხადეთ შინაურული, გულითადი დახვედრისა და მასპინძლობისათვის. სტანიცაში დავბრუნდით.

კუზმას მეუღლეს მაგიდა ეზოში, დიდი მსხლის ჩრდილში გაეშალა. ჩვენ გველოდნენ. კუზმამ სტუმრები სუფრასთან მიიპატიჟა და თამადობა მე მთხოვა. ნოშრევანის უშუალობას და გულთბილ სტუმართმოყვარეობას თავისი ექნა, კუზმა თავისიანად და სანდო კაცად მთვლიდა. თავპატიჟი არ დამიწყია. ქართულ-რუსული ნაზავი სადღეგრძელოები ჩამოვარიგე...

მე და ნატალია სახლში მეორე დღეს დავბრუნდით.

* * *

გავიდა ხანი. კუზმა დანილიჩმა ისევ დაგვპატიჟა. ამჯერად შვილიშვილის - ვასილის ვაჟის ოქროს დაბადების დღესთან დაკავშირებით. ბიჭი 10 წლის ხვდებოდა.

ჩინებული სუფრა გაეშალა ეზოში, იმავე მსხლის ძირას, საამო ჩრდილში. ბევრი დრო გასულა. კუზმა დანილიჩს ჭაღარა მოსძალებია, მსხალსაც კანი აქერცლია. მეც შევბერდი, საფეთქლები შემეევერცხლა და

ქოჩორიც გამიმეჩხერდა. კარგი პურობა გამოგვივიდა. დასაძინებლად გვიან წავედით. გული არ მასვენებდა, მინდოდა ბატონი ნოშრევანის შესახებ მეკითხა, მაგრამ კუზმა სულ რაღაცით დაკავებული იყო. ბევრს ვეღარ სვამდა, მაგრამ მუდამ ფუსფუსსა და ერთ ამბავში იყო.

დილით, სამხრობის შემდეგ, კუზმა დანილიჩი დავიმარტოხელე და ნოშრევან ხასანიჩთან სტუმრობა ვთხოვე. მან გაკვირვებულმა, შემომხედა და მკითხა:

- შენ რა, ამ ხნის განმავლობაში ნოშრევანი არ გინახავს? მის შესახებ არაფერი გსმენია?!

კუზმას რეაქცია და სამდურავნარევი ტონი არ მომეწონა. ცუდად მენიშნა.

-არა, აქეთ გზა აღარ მქონია, არც რაიმე მსმენია მის შესახებ, შეემთხვა რამე? - ვკითხე და ცუდი ამბის მოლოდინში გული შემეკუმშა.

- კარგი, წავიდეთ, ადგილზე დავათვალიეროთ ყველაფერი, თავად ნახავ, დანარჩენს კი იქ მოგიყვები, - მითხრა და ძველი ავტომობილი ფარეხიდან გამოაგორა.

ათიოდე წუთში ადგილზე ვიყავით. რაც იქ ვნახე, ძნელი წარმოსადგენია, გაოგნებული დავრჩი. სადღა იყო პატარა ქართული სამოთხე... შემოგარენი - მორღვეული. ლამაზი ყვავილნარ-ბუჩქნარი - ცეცხლის ნაძოვს დამგვანებული. გაზონები - დანგრეული.

შადრევანი და ქანდაკება ბიჭისა, რომლის პაწია ხელებს დოქი ეპყრა, ხოლო დოქის ყელიდან წყლის ჭავლი მოსჩქეფდა და საამოდ რაკრაკებდა, სადღა იყო... ქანდაკებას თავი ჰქონდა მოგლეჯილი და ხელები ჩამოტეხილი. რესტორნის შენობა კარებჩამოღებული, ფანჯრებჩალეწილი, ბათქაშჩამოძონძილი და გავერანებული დამხვდა.

ფრხილად შევაბიჯე ტყვიასავით დამძიმებული ფეხი. თავი მიბრუოდა. სამგლოვიარო ზარის მგვანი ხმა ყურებში ყრუდ ჩამზუზუნებდა... ხელები მითთრთოდა. დარბაზი, სამზარეულო, ნოშრევანის კაბინეტი და კუპეებიც კი იავარქმნილი, ჩამოცვენილი ბათქაშით თუ ქარისგან შემონახვეტი ნაგვით სავსე...

შედარებით მყუდრო სათავსოები და გარეშე თვალისაგან მოფარებული კუთხეები აშმორებული და ფეკალიებით სავსე იყო. მოხეტიალე ძაღლების სადგომად და შემთხვევით შემოხეტებულ სალახანათათვის საპირფარეშოდ ქცეული...

სამზარეულოს ერთ კუთხეში იატაკში ჩატანებული ქართული თონე შევნიშნე. პირმონგრეული, ნაგვით სავსე, მოთხუპნული კედლებით - საცოდავი სანახავი იყო.

ეეჰ!.. ოდესღაც აქ ქართული დედას პური ცხვებოდა, შოთებად გამოყვანილი, სურნელოვანი, დაბრაწული!..

ოოოჰ!!! უკვე მერამდენედ გულში ისევ რაღაც ჩამწყდა და მოუსავლეთში შთაინთქა. რა ულმობელი ყოფილა დრო და ადამიანის უგუნურობა!.. განა, შეიძლებოდა ამ წალკოტი კარ-მიდამოს, ლამაზი ყვავილნარის და შესანიშნავი შენობა-ნაგებობების გაპარტახება?!. ახლა შევამჩნიე: კუზმა დანილიჩი მთელი ამ ხნის განმავლობაში, ლანდივით თან დამყვებოდა, უტყვი და თავჩაქინდრული. ალბათ, მასაც იგივე სტანჯავდა, რაც მე...

გული ამომიჯდა, როცა მომაგონდა ხაშპატიჟი, სურნელოვანი ქართული შოთის პურები, ქართული სამზარეულოს ვალიკოსეული შედევრები, ბატონი ნოშრევანის თავაზი და სამაგალითო სტუმარ და კაცთმოყვარეობა...

მომაგონდა დიდი შოთას უკვდავი სიტყვები: „ვაჰ სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“ შენობაში ყოფნა აღარ შემეძლო.

გარეთ გამოვედი, სული მოვითქვი და ძველი ძელსკამი მოვძებნე. ის, მე და კუზმა რომ ვიჯექით. კუზმაც მომყვა. ძელ-სკამი მორყეული და გაცრეცილ-აქერცლილი დამხვდა. ხელით გადავწმინდე და ჩამოვჯექი. კუზმაც მომიჯდა. უსიტყვოდ ვეწეოდით სიგარეტს. გული ცუდს მიგრძნობდა. მეშინოდა საუბრის დაწყება. კუზმა დანილიჩი მიმიხვდა ხვაშიადს. სიგარეტი ბოლომდე დაიყვანა. ნამწვი ქვას მიასრისა, წკიპურტით შორს გასტყორცნა და მკითხა:

- ჩემო კოტე, ვხედავ, გული გატკინა ნანახმა. ვხვდები, გაინტერესებს, რა მოხდა?!. სად წავიდა ის პატიოსანი ხალხი, შენი თანამემამულეები?!. ბევრი და ძნელი მოსათხრობია. მიძნელდება მოყოლა. ნოშრევანი ხომ ჩემი მეზობელი და მეგობარი იყო.

სიტყვა „იყო,“ არ მომეწონა, ცუდად მენიშნა. გაბზარული ხმით ვკითხე:

- კი, მაგრამ, რატომ „იყო“? რა მოხდა? ბატონ ნოშრევანს რა შეემთხვა?!. მომიყევი, თუ ძმა ხარ, თორემ გამისკდა გული, - წამოვძახე და ნათქვამს გულიც ამოვაყოლე.

კუზმა დანილიჩმა ღრმად ამოიოხრა. ისევ სიგარეტს მოუკიდა. ხელი მოწყვეტით ჩაიქნია. განწირულივით მომაპყრო დარდითა და სევდით სავსე თვალები და შემდეგი მიამბო:

- ნოშრევან ხასანიჩს,როგორც იცი, ცოლ-შვილი საქართველოში ჰყავდა. აქ საყვარელ ქალთან ცხოვრობდა. ჩემი სახლიდან ორ კვარტალში. ქალს სხვა კაციდან ერთი ვაჟი ჰყავდა, რომელსაც ნოშრევანი ღვიძლი შვილივით ზრდიდა და უვლიდა. მეგობრულად ცხოვრობდნენ. ნოშრევანი ჩიტის რძესაც არ აკლებდა და ცივ ნიავს არ აკარებდა დედა-შვილს. ბიჭი სწავლაში ბეჯითობდა. მამობილმა ყველა პირობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუქმნა, რომ ესწავლა, ოჯახი შეექმნა და ღირსეულად ეცხოვრა. მანაც გაუმართლა, მაგრამ რატომღაც საცხოვრებლად ქალაქ როსტოვში გადავიდა. ნოშრევანი იქაც ხშირად აკითხავდ**ა** - სოფლის ნობათით ხელდამშვედნებული. მატერიალურადაც ეხმარებოდა. ფროსია (ასე ჰქვია მის აქაურ საყვარელს) დიდად კმაყოფილი იყო მზრუნველი ნოშრევანისა.

თავდაპირველად ბიზნესის საქმე კარგად მიდიოდა. რესტორანი გამართულად მუშაობდა, წვეულებები და ბანკეტები ხშირად იმართებოდა. ქართული კერძების დასაგემოვნებლად კრასნოდარიდანაც კი ხშირად სტუმრობდნენ, რომ არაფერი ვთქვათ მეზობელი დაბების და სტანიცების ბინადართა შესახებ. ნოშრევანი რამდენადაც მუყაითი, გამრჯე და საზრიანი, საქმის გამკვლევ-ორგანიზატორი იყო, იმდენად ცუდი ადმინისტრატორი და ფინანსური მენეჯერი. ამ მიმართულებას მისი ძმა, სამსონი განაგებდა. ენდობოდა ძმას და ერთხელაც არ მოსვლია აზრად, შეემოწმებინა რესტორნის ფინანსური მდგომარეობა, შემოსავალ-გასავალი.

სანამ მისი მეგობარ-მფარველები რაიონის ადმინისტრაციაში ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებდნენ, არც ერთ მაკონტროლებელ ორგანოს არ შეუწუხებია. მხარის ადმინისტრაციის ცვლილებასთან ერთად რაიონის ადმინისტრაციაც შეიცვალა. ამას თან სდევდა აფხაზეთის ომის შემდეგ ანტიქართული პროპაგანდის გაღვივება. ამან თავისი ნაყოფი გამოიღო. ჯერ იყო და, უკანონოდ გაუუქმეს იჯარის ხელშეკრულება. ნოშრევანმა სასამართლოს მიმართა. რესტორანი დალუქეს. პერსონალი რომ არ შემოფანტოდა, საკუთარი ჯიბიდან უხდიდა ხელფასს. ამას დაერთო ძმის, სამსონის უსინდისობა, თურმე დიდ თანხას ითვისებდა, ნოშრევანს კი ატყუებდა, შემოსავალი მწირიაო. მისივე ცოდვით, ერთ ღამეს ღორების ფერმა გაქურდეს, გოჭების უმეტესობა მოიპარეს. სასამართლო პროცესი რამდენიმე თვეს გაგრძელდა. მართალია,საქმე მოიგო და რესტორანი კვლავ გახსნა, მაგრამ იმიჯი შეელახა, კლიენტები შეუმცირდა, ვაჭრობამ იკლო. მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან გახშირდა უთავბოლო შემოწმებები. ეს ხანძარსაწინააღმდეგო ინსპექციაო, სანეპიდსადგური, სურსათის უვნებლობის სამსახური, საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ მებრძოლი მილიციის განყოფილება, საგადასახადო ინსპექციაო და სხვა... ჯარიმა ჯარიმას ემატებოდა. ერთი სიტყვით, ვიღაცა დაინტერესებული იყო მისი გაკოტრებით და მიაღწია კიდეც. ნოშრევანმა რესტორანი დახურა. შენობა-ნაგებობები მეიჯარეს დაუბრუნა. ინვენტარი და დაზგა-დანადგარები გაყიდა, ზედ ავტომობილიც მიაყოლა და ძლივს დაფარა საჯარიმო თანხები.

სამსონი არაფერში დახმარებია. შავი დღისთვის გადადებული დანაზოგიც კი წაიღო და სტანიციდან ძმის დაუკითხავად წავიდა. სამსონი, თავისი ხასიათის, ნებისყოფისა და საქმიანი შესაძლებლობის პატრონი, დამოუკიდებლად არაფრის გამკეთებელი არ იყო. ამიტომ არჩია სამშობლოში დაბრუნება.

ნოშრევანმა ღორების ფერმაც გაყიდა. სახნავ-სათესი მიწებიღა შემორჩა. ის ოპტიმისტი და მიზანდასახული კაცი იყო. ცხოვრების ნაბეგვ-ნაგვემი და გამობრძმედილი ბედისა თუ კაცის უკეღმართობას ასე იოლად ვერ შეეგუებოდა და არც უცდია შეგუება. შემოდგომაზე შეიძინა ვაშლის დიდი პარტია და კუთვნილი სატვირთო ავტომანქანით ვოლგოგრადში წაიღო. საჭეს ძმისშვილი - ზაური მართავდა. გონებაგამჭრიახმა, საზრიანმა და წინდახედულმა ვოლგოგრადშიც გაჭრა კომერციული არხი. საიმედო პარტნიორები შეიძინა და სარფიანი ხელშეკრულებაც გააფორმა და შემკვეთებს დიდი ოდენობით ხილ-ბოსტნეულსა და მარცვლეულს აწვდიდა. ჯერ თვითონ აცილებდა ტვირთებს, მაგრამ ხანგრძლივი მოგზაურობა ჭარმაგი კაცისათვის ძნელი აღმოჩნდა. დროს თავისი მიაქვს. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა თავისი სასიკეთო შედეგი ბიზნესმენებისთვისაც გამოიღო. კომუნიკაციების საშუალებები დაიხვეწა. მობილურმა კავშირმა და ინტერნეტმომსახურებამ გააიოლა ბიზნესის მართვა. ახლა შესაძლებელი იყო ზაურის რეისში დამოუკიდებლად გაშვება. საუბედუროდ ნოშრევანს აქაც ღვიძლმა ადამიანმა - ძმისშვილმა უღალატა. მან ბიძის ქონების მითვისება გადაწყვიტა. ნოშრევანი ბანკებს რატომღაც არ ენდობოდა. ყოველთვის ცდილობდა, ვაჭრობა და სხვა აღებ-მიცემობა ნაღდ ანგარიშზე ეწარმოებინა. ახლაც ასე იყო. ვაშლს და სხვა ხილ-ბოსტნეულს ნაღდ ფულზე ყიდდა. ზაურიმ ამ გარემოებით ისარგებლა. ჯერ ამონაგებ თანხას სრულად არ უბრუნებდა. აქაოდა, გზაში მანქანა შევაკეთეო. საგზაო ინსპექცია მოვქრთამეო... ბიძა-ძმისშვილის ურთიერთობები ნელ-ნელა იძაბებოდა, მაგრამ ნოშრევანი ზაურის კვლავ დამოუკიდებლად აგზავნიდა რეისში.

ერთ მშვენიერ დღეს ნოვოტიტაროვსკაიაში აღარც ზაური გამოჩნდა და აღარც მანქანა. თურმე, რაღაც ობიექტური საჭიროების მომიზეზებით, ზაურიმ მოახერხა და ბიძამისს დასტყუა სატვირთო მანქანაზე გენერალური მინდობილობის გაფორმება. ნოშრევანმა ვერ გათვალა, ან შეიძლება ვერც იაზრა, რომ გენერალური მინდობილიბით მინიჭებულ უფლებებს ძმისშვილი სათავისოდ გამოიყენებდა და ბიძას უღალატებდა. თურმე ზაურიმ ბიძამისს ხაფანგი სწორედ აქ დაუგო. ვოლგოგრადში ნახა მანქანის კლიენტი. გაყიდა. საბაზრო საქონლის და მანქანის ამონაგები მიითვისა და საქართველოსკენ გაუტია.

ნოშრევანმა ძმისშვილისგან მიყენებული არაკაცური დარტყმა ძალიან განიცადა. ბევრი ინერვიულა და ჯანმრთელობაც საგრძნობლად შეერყა. ჯერ გულმა შეუტია, შემდეგ კუჭნაწლავმა. თავდაპირველად ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა. ოჯახური საშუალებებით და სტანიცის ექიმბაშების წამლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკურნალობდა. სათანადო გამოკვლევები არ ჩაიტარა. ერთ საღამოსაც კუჭ-ნაწლავის ძლიერმა შეტევამ დააგდო საწყალი.

ადგილობრივ სავაადმყოფოში მკურნალობამ სასურველი შედეგი არ გამოიღო და კრასნოდარში გადაიყვანეს. დადგინდა, რომ ნოშრევანს კუჭ-ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნე აწუხებდა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ კრასნოდარის სავაადმყოფოდან გამოწერეს.

ფროსია ვიღაცამ თითქოს გამოცვალა. თავაზიანი და მოსიყვარულე ქალი "ქმრისადმი" გულგრილი და უყურადღებო გახდა. ხშირად დიდი ხნით ტოვებდა ავადმყოფს და სადღაც მიდიოდა, საღამოობით კი შეზარხოშებული და ნაქეიფარი ბრუნდებოდა და ნოშრევანის მიმართ უწმაწურ და შეურაცხმყოფელ გამოთქმებსაც არ იშურებდა. ფროსიას აღარ სურდა უმაქნისი და გამოუსადეგი კაცის მოვლა-პატრონობა. მისთვის ნოშრევანი მანამდე იყო საჭირო, ვიდრე ფული და გავლენა ჰქონდა, შეეძლო მისი ვაჟიშვილის მოვლა-აღზრდა-პატრონობა, ღირსეული მამაკაცური და სექსუალური თვისებებით გამოირჩეოდა. ახლა კი... ფროსიას რაღად სჭირდებოდა მოსავლელი და საპყარი ნოშრევანი?!. მისგან მაქსიმუმი მიიღო: ნოშრევანმა აუშენა და გაუმართა ორსართულიანი, კეთილმოწყობილი სახლი. გააშენა ბაღი და შექმნა მოზრდილი საოჯახო მეურნეობა. შეიძინა ვრცელი სახნავ-სათესი სავარგულები. ღვიძლი შვილივით გამოზარდა, უპატრონა, ასწავლა და დააოჯახა ფროსიას ვაჟიშვილი, რომელსაც ქალაქ როსტოვში უყიდა და გაუწყო სამოთახიანი ბინა. საერთოდ, ნოშრევანს ფროსია ძალიან უყვარდა. ხელის გულზე ატარებდა. ცივ ნიავსაც კი არ აკარებდა. მის ბედს ბევრი ღირსეული ქალი შენატროდა. მსმენია კიდეც: რაღა ფროსიაზე ამოუვიდა ნოშრევანს მზე და მთვარე. მაგაზე ღირსეული და წესიერი ქალი ბევრი მოიძებნებოდაო სტანიცაში, რომლებიც გულითადად მიიღებდნენ ნოშრევანს და ამდენ ამაგს და მადლს დაუფასებდნენ, სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩებოდნენ. ფროსია კი სხვა ჩამოსხმის იყო. ის ანგარებიანი, ცივგათვლიანი და თავისთავის მოყვარული იყო მხოლოდ. აკი, ამიტომაც გაშორდა პირველ ქმარს!.. სკოლის მერხიდან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ გასცილდა, რომ მეუღლემ ტრაქტორისტ-კომბაინერის ხელფასით ვეღარ დააკმაყოფილია ფროსიას დღითიდღე მზარდი მოთხოვნები.

ნოშრევანი საპყარი და ოჯახისთვის გამოუსადეგარი გახდა... ავადმყოფს სპეციფიკური კვება, დიეტა და მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა. მოუვლელი, ხშირად მშიერ-მწყურვალი, საცოდავი სანახავი იყო ოდესღაც ვაჟკაცი, მოსიყვარულე, გულკეთილი და მოამაგე კაცი.

ნოშრევანი დავითანხმე და მისი ავადმყოფობის შესახებ საქართველოში მის ოჯახს შევატყობინე. სიძე და ქალიშვილი მაშინვე ჩამოვიდნენ და სპეცრეისით გადააფრინეს მშობლიურ ქვეყანაში. ფროსიასთვის მამის ქონებიდან კაპიკიც კი არ მოუთხოვიათ...

კუზმა დანილიჩი დადუმდა. მე ვისარგებლე ამ გარემოებით და ვკითხე:

- კუზმა დანილიჩ! როგორც ვიცი, ფროსიას ვაჟიშვილი ნოშრევანს ღვიძლი შვილივით უყვარდა და მზრუნველი მამის ყველა მოვალეობა პირნათლად შეუსრულა - აღზარდა, ფეხზე დააყენა. მან თუ ინახულა ავადმყოფი?

- შენ წარმოიდგინე, ჩემო კოტე, რომ არა. არასდროს დაურეკავს და არ უკითხავს, როგორაა მისი მამა-მარჩენალი, ახლა კი უიმედოდ ავადმყოფი ნოშრევანი. ერთხელ წამოსცდა ფროსიას - ჩემი დენისი უღირსი ადამიანი გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ ნოშრევანმა ყველაფერი გაუკეთა, ღირსეულად აღზარდა და ფეხზე დააყენა, არც ერთხელ არ დარეკა და არ მოიკითხა. ბუნებრივია,არც ჩამოსვლის და ნახვის სურვილი გასჩენია, ვალის მოხდის მიზნით, მაინც.

ჩემო მკითხველო, აქ ორ ასპექტზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება: ორ განსხვავებულ იდეოლოგიაზე, ზნეობაზე, ეროვნულ ხედვაზე.

პირველი - ეს ოჯახის და ცოლქმრული ურთიერთობის განსხვავებული რუსულ-ქართული აღქმაა: ქართველისთვის ოჯახისადმი ზრუნვა უფრო ღვთიური მადლი და უზენაესის მომადლებული ნიჭია. მისთვის ოჯახის შექმნის აუცილებელი პირობაა ქალისა და მამაკაცის ურთიერთსიყვარული, პატივისცემა და ერთ ჭერქვეშ ცხოვრების გააზრებული სურვილი. ქართველს ისიც შეგნებული აქვს, რომ ოჯახის უკან დგას ორი გვარი, ორი მოდგმა და მათი დამოყვრება საერთო პასუხისმგებლობას და ურთიერთთანადგომას ემყარება. ახალშექმნილი ოჯახის ღირსება ორივე გვარის ღირსებაა, ორივე გვარის პასუხისმგებლობაა. ესე იგი, სასწორზე იდება არა ორი კონკრეტული ადამიანის სურვილი და ღირსება, არამედ ორი ისტორიული გვარის და გვარიშვილობის ღირსება და პასუხისმგებლობაც. ამიტომაცაა, რომ ოდითგანვე ტრადიციული ქართული ქორწინება არ საჭიროებდა სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრაციის აუცილებლობას. ქართული ოჯახის შექმის აუცილებელი წინაპირობა იყო ჯვრისწერა და ტრადიციული ურთიერთობები. ეროვნული ტრადიციები და მართლმადიდებლური ეკლესია, სხვა რელიგიური კონფესიებიც, რა თქმა უნდა. ადრე რუსეთშიც ასე იყო, მაგრამ კომუნისტურმა იდეოლოგიამ და მისმა შემადგენელმა - ათეიზმმა, რიგ შემთხვევაში ეროვნული ფასეულობები გააუფეწრულა, რიგ შემთხვევაში ყოველდღიური ცხოვრებიდან საერთოდ განდევნა. ბევრი ეროვნული ტრადიცია და ზნეობრივი თვისება დააკნინა. ეს ეხება კომუნისტების მიერ თავისუფალი სქესობრივი ურთიერთობის ქადაგებასაც. ამ გაუკუღმართებულმა იდეოლოგიამ და

ცხოვრების წესის ახლებურმა აღქმამ განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა სლავურ რესპუბლიკებსა და ხალხებში. ფაქტობრივად, ამ საზოგადოებებში თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის დანერგვა მოხერხდა. ოჯახის შექმნის ტრადიციულ, მართლმადიდებლურ-რელიგიურ პროცედურებს დაუპირისპირა სახელმწიფო ორგანოებში რეგისტრირებული ქორწინება. წყვილების ერთობლივი თანაცხოვრება მოინათლა, როგორც „სამოქალაქო ქორწინება." ეს თანაცხოვრება ქმნიდა ოჯახის შექმნის ილუზიას. ქალის და მამაკაცის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება სიმბოლურად ოჯახურს ჰგავდა, მაგრამ მეუღლეებს შორის რაიმე ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას არ წარმოშობდა, გარდა მორალურისა. რა თქმა უნდა, ასეთი თანაცხოვრების პირობებში ბავშვებიც იბადებოდნენ, მაგრამ ისინი უკანონოდ შობილებად ითვლებოდნენ და დედას მიეკუთვნებოდნენ.

ტრადიციული, მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებების მოშლამ ქალისა და მამაკაცის თანაცხოვრების უფრო მახინჯი ფორმებიც წარმოქმნა. განსაკუთრებით სლავურ საზოგადოებაში. თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის დანერგვის, გნებავთ, ლეგალიზაციის, ფართოდ გავრცელებული ფორმაა, ეგრეთწოდებული, „საჟიტელსტვო" (თანაცხოვრება), ანუ საყვარლის ლეგალურად ყოლა და მასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. პირველ წლებში ეს სამარცხვინო ქმედებად ითვლებოდა. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის მხრიდან გაკიცხვას და დაგმობას იწვევდა, მაგრამ შედარებით მასობრივი ხასიათი რომ მიიღო, უკვე ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვეს. რიგი კატეგორიის მოქალაქეებისათვის იგი ცხოვრების ნორმად იქცა. მას, ესე იგი, „თანამეცხოვრეს" ქალის (მამაკაცის) ოჯახის წინაშე კანონისმიერი, განსაკუთრებული მორალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მას მხოლოდ მატერიალური დატვირთვა აქვს. მატერიალური შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. მას აგრეთვე არ ევალება ქალის (მამაკაცის) შვილების აღზრდა-განათლებაზე ან მატერიალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვა. მათი თანაცხოვრება გრძელდება მანამ, სანამ ერთმანეთი უყვართ, აქვთ ერთმანეთის მიმართ სექსუალური ლტოლვა და შესაძლებლობა, მატერიალური ფასეულების ან ფულის შემოტანის უნარი. თუ ერთ-ერთი პირობა დაირღვა, მათი ურთიერთობები მთავრდება და ერთმანეთის მიმართ უცხოები და გულგრილები ხდებიან.

ნოშრევანს ფროსია და მისი ვაჟი სწორედ ასეთად აღიქვამდნენ, თუმცა თითქმის სამ ათეულ წელიწადს ერთად ცხოვრობდნენ. ნოშრევანი, ფროსიასა და მისი ვაჟის აზრით, მხოლოდ „საჟიტელი" - ლეგალური სექსუალური პარტნიორი იყო, მეტი არაფერი. მისი ფროსიას ოჯახზე ზრუნვა აღიქმებოდა როგორც ერთობლივი ოჯახური და სექსუალური თანაცხოვრების საზღაური, თავისებური გადასახადი, მეტი არაფერი. დენისი ნოშრევანს დედის საყვარლად და სექსუალურ პარტნიორად აღიქვამდა. სძულდა კიდეც, რადგანაც უცნობი და უცხოტომელი მამაკაცი ერთ მშვენიერ დღეს, მისი სურვილისა და ნების გაუთვალისწინებლად, მათ მყუდრო ოჯახში შემოიჭრა და დედის სიყვარულში შეეცილა. შესაბამისად ის მხოლოდ დედის საყვარელია. ეს გარემოება კი მისი მხრიდან ნოშრევანის მიმართ რაიმე მორალურ თუ მატერიალურ ვალდებულებას არ წარმოქმნის. მათი ურთიერთობისა და თანაცხოვრების ხანგრძლივობა დამოკიდებულია მხოლოდ დედის და არა ნოშრევანის სურვილზე. ამ გარემოებამ, დროთა განმავლობაში, დენისს ჩამოუყალიბა სტერეოტიპი - მას ნოშრევანი არც უყვარდა და არც სძულდა. შეეგუა, რომ ის დედის საყვარელია, ესე იგი დედის ლეგალური სქესობრივი პარტნიორი, რომლის ოჯახში შემოშვებას ორი პირობა ედო. პირველი - მამაკაცური ფუნქციის აღსრულება და, მეორე - ქალის ოჯახისთვის მატერიალური კეთილდღეობის შექმნა და მათზე ზრუნვა. ამიტომაც იყო, რომ არც დენისი და არც ფროსია ნოშრევანის მზრუნველობას, ოჯახისადმი ერთგულებას მამობრივ წმინდათაწმინდა გრძნობას კი არ უკავშირებდნენ, არამედ მათ ჭერქვეშ ყოფნის და სექსუალური თანაცხოვრების საზღაურად მიითვლიედნენ. არაა სადავო, რომ ფროსია ნოშრევანის მიმართ ხშირად ავლენდა თბილ და ნაზ გრძნობებს, მაგრამ ეს არ ყოფილა წრფელი, ხალასი სიყვარულის და ოჯახური მადლიერების შედეგი. ეს სითბო და მადლიერების გამოვლინება უფრო ცხოველური, მდედრისგან მამრის მიმართ სექსუალური და მატერიალური სიმაძღრის შეგნების უპირობო რეფლექსი იყო. სწორედ ამის გამომახილი იყო ის, რომ, როცა ნოშრევანს უკურნებელი სენი შეეყარა და საწოლს მიეჯაჭვა, ფროსიამ ყოველგვარ ზრუნვაზე ხელი აიღო, დენისმა კი ავადმყოფის ნახვის სურვილიც არ გამოთქვა. ნოშრევანმა მათ წინაშე ყველა რესურსი ამოწურა. ფუნქცია დაკარგა. ის გამოუსადეგარი გახდა, ზედმეტ ტვირთად იქცა. უვარგისი ნივთივით ყრუ კუთხეში მიაგდეს და დაივიწყეს. ფროსიამ სხვაგან მოძებნა ხვადი.

ფროსია და მისი შვილი ნოშრევანს მთელი ამ წლების განმავლობაში ოჯახის მამად, თუგინდ წევრადაც კი არ მოიაზრებდნენ. ის მათთვის იყო ლტოლვილი, გადამთიელი ქართველი, რუსეთსა და მათ ოჯახს შემოკედლებულ-შემოხიზნული სასარგებლო, გამოსადეგი ხვადი და მატერიალური სახსარის შემომტანი. შეიძლება ისიც გააზრებული ჰქონდათ, რომ ნებისმიერი საგანი ოდესღაც თავის შესაძლებლობებს ამოწურავს და მისი საბოლოო ნავსაყუდელი სანაგვეა...

დასანანი და გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ნოშრევანი, ქართულ ოჯახში დაბადებული და ქართულ, ტრადიციულ გარემოში გაზრდილი, ქართული მორალით და ზნეობით გაჟღენთილი, ასე მდაბიო და

ანგარებიან ოჯახში იმასაც ვერ ამჩნევდა, რომ ასე უნამუსოდ და უზნეოდ იყენებდნენ და წინასწარ გასაწირად გამეტებული ჰყავდათ...

საქართველოში კი... მას საქართველოში ქართულ ზნეობასა და მორალზე დაფუძნებული ოჯახი ელოდა. მის მეუუღლეს, დარდით და ლოდინით დაოსებულს, რამდენი უძილო ღამე უთენებია. ცისფერი, ცქრიალა თვალები რამდენჯერ ამოღამებია ფანჯრის პირას მიმჯდარს, ღამის წყვდიადში მზირალს, სასწაულის მოლოდინში რამდენჯერ ძილი გასტეხია. რამდენჯერ გამოუღვიძებია ზმანებას და კართან გულგახეთქილი მივარდნილა: ჩემი ნოშრევანი მოსულა, მისი ფეხის ხმაა, ღმერთო, ამ წყვდიადსა და სიცივეში გათოშილს ბევრი ხომ არ ვალოდინეო... ლოდინისა და იმედის სამი ათეული წელიწადი. იმის მიუხედავად, რომ ნოშრევანი დროდადრო ჩამოდიოდა სახლში და ხშირ შემთხვევაში სხვაგან, რომელიმე ნათესავთან ღამეს ათევდა, ქართველმა მანდილოსანმა მარტოობა გამოიარა, სიდუხჭირე და ბევრი გაჭირვება ნახა, მაგრამ შვილი ღირსეულად გაზარდა, ღირსეულ ქართველ ვაჟკაცს შერთო. კერია არ გააცივა, ოჯახს ღირსება და პატივი შეუნახა. სხვანაირად ვერც მოიქცეოდა... ის ქართულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. დედის რძესთან ერთად შეთვისებული ჰქონდა ქართველი მანდილოსნის ღირსება, ქართული მორალი და ზნეობა, ქართული ტრადიციები და ადათ-წესები... ამან გააძლებინა ამდენხნიანი მარტოობა. შეაძლებინა შვილის აღზრდა-დაოჯახება. კერია არ გააცივა, ოჯახი შეინახა. სანამ ნოშრევანი რუსეთში განცხრომით ცხოვრობდა, სხვის თეოზე ძაღლივით ება, სხვებზე ზრუნავდა, იგი მაინც ელოდა. იმედს არ იწურავდა. წელებზე ფეხსებს იდგამდა. ცალუღელა ოჯახს უძღვებოდა, უვლიდა. ღირსებას და ნამუსს უნახავდა. როცა ნოშრევანი, სარეცელსმიჯაჭული ჩამოიყვანეს, ქალმა მოიკრიბა ნებისყოფა და წინაპრების, ოჯახის, შვილის და შვილიშვილების სიყვარულითა და ხათრით გამონახა ძალა და ნოშრევანს აპატია. შეუნდო. მიიღო როგორც ოჯახის უფროსი და მეუღლე. სამი თვის განმავლობაში მზრუნველობა და პატივი არ მოუკლია. მის სასთუმალთან ღამეები უთენებია. მისი ტკივილი ტკიოდა და მასთან ერთად იტანჯებოდა... ღირსეულად დაიტირა და უჭირისუფლა. სამუდამო გლოვის ნიშნად შავ ძაძებში გაეხვია და ქართველი ქალის, ქართველი ქვრივის ძნელ, მაგრამ საპატიო ჭაპანს დღესაც ღირსეულად ეწევა...

რუსეთში კი - ფროსიას და მისი შვილისადმი ოცდაათწლიანმა ზრუნვამ და გარჯამ ფუჭად ჩაიარა... მადლი არ დაუფასეს, პატივი და ღირსება არ მიაგეს და როცა უმაქნისი და საპყარი გახდა, სანაგვეზე მოსასროლად გაიმეტეს...

ეეჰ, ჩემო ნოშრევან! მე შენდობაზე როგორ დაგელაპარაკები...შენზე ასჯერ მეტად ცოდვილი ვარ.

არ ვიცი, მკითხველი შეგინდობს კი?!

მხოლოდ ერთი რამ მრჩება ნუგეშად - სანამ მავანი უცხოეთში გადასახლების გადაწყვეტილებას მიიღებდეს, მინდა, კარგად დაფიქრდეს და სწორი ნაბიჯი გადადგას...

მინდა ვთქვა, ახია შენზე-მეთქი, ნოშრევან, მაგრამ ვინ მომცა სხვისი განსჯის უფლება. მე, მომაკვდავს, ჩემი მძიმე ჯვარი მაქვს სატარებელი.

შენს შემყურეს მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: კაცს დედა დავიწყებოდა და დედინაცვალზე იფიცებოდაო...

* * *

ასე დამთავრდა ნოშრევანის ნებაყოფილებით ლტოლვილობაში და ცხოვრების იოლი და უკეთესი პირობების ძიებაში გატარებული მშფოთვარე და ტრაგიკომიკური ცხოვრება!..

* * *

დასევდიანებულმა და ნოშრევანის ტრაგედიით გულშეძრულმა კიდევ ერთხელ მოვათვალიერე ნარესტორნალი კარმიდამო. ადრე რომ ედემის ბაღად და პატარა ქართულ საოცრებად-მადლიანი საქართველოს პატარა წალკოტად მიმაჩნდა, აღარ იყო. ნამუსრევ, ნაომარ ბრძოლის ველს ჰგავდა... მხოლოდ კუთხეში მიგდებული ქართულწარწერიანი, ყელმოტეხილი ღვინის დოქი, პირმოღიავებული, მაგრამ მკვიდრად ჩაბეტონებული ქართული თონე, ალაყაფის ბოძზე ცალყურზე ჩამოკიდებული, კავკასიონზე ამირანივით მიჯაჭვული, ქართულორნამენტიანი ჭიშკარი თუ გამოდგებოდა საბუთად, რომ ოდესღაც აქ ქართველები ბინადრობდნენ, ილხენდნენ და... რომ აქ ქართული სული ტრიალებდა...

* * *

მოგვიანებით ბათუმიდან ჩამოსული თანამემამულის მეშვეობით შევიტყვე: ნებაყოფილობითი ლტოლვოლობიდან დაბრუნებული მეორე უძღები შვილი - სამსონი ცოლ-შვილს არ მიუღია. გამოუძევებიათ ოჯახიდან. ქალს პრინციპულობა გამოუჩენია: შინაურების დაძალების მიუხედავად თავის განზრახვაზე და გადაწყვეტილებაზე ბოლომდე დამდგარა და ყოფილი ქმრისთვის სამუდამოდ მიუკეტავს სახლის კარი. მარტოხელა, ჯანგატეხილი და იმედგაცრუებული კაცი სოფელში ძმას შეჰკედლებია და იქ ათრევს თავის ძაღლურ ცხოვრებას.

ზაური დაქორწინებულა. ცხოვრება მოუწყვია. ბიძას სიკვდილის წინ მოსურვებია ძმისწულთან შეხვედრა. შეუნდვია. უპატიებია და დაულოცავს - ახალგაზრდა შეჰბრალებია. ძმის სამსონის ნახვა კი არ ისურვა თურმე. ანდერძიც დაუგდია: - აუკრძალეთო ჩემს პანაშვიდზე და გასვენებაში მოსვლა. ჭირისუფალმა ანდერძი შეასრულა...

ბიბლიურ უძღებ შვილს მამამ შეუნდო. აპატია. სიხარულით მიიღო და ძმებიც შეარიგა. ჩვენს შემთხვევაში კი - უძღები ქმარი და მამა ცოლ-შვილმა აღარ მიიღო. არც აპატია, არც შეუნდო...

თავი XXIX

ერთხელ ვარაზამ მთხოვა, ქალაქ ლაბინსკში ახლობლის ქორწილში მისი ნათესავები წამეყვანა. ხათრი ვერ გაუტეხე, მაგრამ იმ პირობით დავთანხმდი, რომ მაშინვე უკან გამოვბრუნდებოდი. სამუშაო დღე რომ არ ჩამეგდო, მეზობელს ვთხოვე, ჩემს მაგივრად ემუშავა.

უკან რომ გამოვბრუნდი, კრასნოდარის შესასვლელთან, წყალსაცავის შემოვლით წრიულზე დიდი სიჩქარით ჯიპი შემოვარდა, ღერძულა ხაზი გადმოკვეთა და პირისპირ შემეჯახა. მანევრირება ვერ მოვასწარი, დამცავ ზღუდეს შევეჯახე და ამოვყირავდი. კარის ფანჯრიდან გამოძვრომა მოვახერხე, უსაფრთხო ადგილას გავხოხდი და გონი დავკარგე.

მარცხენა ფეხი და ხელი მომტეხოდა. ტკივილისაგან შოკში ჩავარდნილი კრასნოდარის ცენტრალური სავაადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში მოვედი გონს. ხელ-ფეხი თაბაშირში ჩამისვეს და ფეხზე გირადაკიდებული პალატაში გადამიყვანეს. ალბათ, განგების მადლია, რომ მოტეხილობებით გადავრჩი.

მკურნალი ექიმი ჩემს მეუღლეს დაუკავშირდა და ამცნო ავტოავარიის და ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ნატალია კრასნოდარში მეორე დღესვე ჩამოვიდა. აფორიაქებული და ანერვიულებული ჩანდა. ორ დღეს დარჩა. ჰიგიენური საშუალებებით და მედიკამენტებით მომამარაგა. მთავარ ექიმს შეხვდა, თხოვა, ჩემზე ყურადღება არ მოეკლოთ. რომ დარწმუნდა, მზრუნველობა არ მომაკლდებოდა, დაბრუნდა დაბაში. სკოლის ხანგრძლივი დროით გაცდენა არ შეეძლო... თანაც გამოსაშვები კლასი ებარა.

ნატალიას წყალობით ცალკე პალატაში მომათავსეს.

ჩემი ყურადღება ერთმა ღამის მედდამ მიიპყრო. ის ძალიან ლამაზი იყო, მაღალი, ტანკენარი, ქერათმიანი, ცისფერთვალება, მკერდსავსე, სანდომიანი, მოხდენილი... განსაკუთრებით მომხიბლა მისმა ყურადღებიანობამ, ხასიათმა და საამო, ჟღუტრულა ხმამ. ხუმრობა-ხუმრობით, სიცილ-კისკისით, საოცარი სიფაქიზით და მოფერებით მიტარებდა პროცედურებს.

როგორც შემეძლო, ქათინაურებით ვანებივრებდი. ფეხზე გირა მეკიდა. ადგომა კი არა, გვედზე გადაბრუნებაც არ შემეძლო. ასეთ მდგომარეობას შევეგუე, მაგრამ საშინლად მერიდებოდა და მესირცხვილებოდა მედდის დახმარებით და თანდასწრებით ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ვცდილობდი, ცოტა მეჭამა და მეტი სითხე მიმეღო.

მედდამ ეს შემატყო და მითხრა:

- ბატონო კოტე, თუ საჭმელს არ შეჭამ, ორგანიზმი სათანადო კალორიას ვერ მიიღებს, გამოიფიტები, დაუძლურდები და გამოჯანმრთელების პროცესი გაჭიანურდება.

- რა ვქნა, უმადობა დამჩემდა, - ვიმართლე თავი.

ოქსანამ (ასე ერქვა მედდას), ჰიგიენური ჭურჭელი გამომწვევად შეათამაშა და რუსული ანდაზა შემახსენა:

- რაც ბუნებრივია, ის უმსგავსობა არაა! ასე, რომ ნუ გერიდებათ: ჭამეთ, სვით, ხოლო ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში მე მოგეხმარებით, განა, მაგისთვის არ მიხდიან ხელფასს?! - და მომაჯადოებლად გამიღიმა.

საოცარი სითბო ჩამეღვარა გულში... წამოვწითლდი და თავის მართლება ვცადე:

- როგორ გეკადრებათ! ხედავთ, ისეთი რამ დამემართა, რომ ასეთ ანგელოზს მწოლარე დაგხვდი და სათანადო პატივი და ყურადღება ვერ მოგაგეთ...

ჩემმა პასუხმა და წამოწითლებამ ოქსანა უფრო გაათამამა. მოვიდა. შუბლზე ხელი მომითათუნა, მომეფერა, მომაჯადოებლად გამიღიმა, გამომწვევად თვალი ჩამიკრა და მკითხა:

- ბატონო კოტე, უკაცრავად, მაგრამ მინდა გკითხოთ, თქვენ ქართველი ბრძანდებით?!

თავის დაკვრით დავუდასტურე და კითხვა შევაგებე:

- ჩემს ქართელობას რამე უხერხული დატვირთვა ხომ არ აქვს?

- როგორ გეკადრებათ! პირიქით, მსმენია, რომ ქართველები ყურადღებით, მზრუნველობით და რაინდული ქცევებით გამოირჩევით. თავაზიანები ხართ. იცით ქალის ფასი და მათთან ურთიერთობისას დელიკატურები ხართ...

- ჩემო ოქსანა, დიდი მადლობა! შევეცდები, იმედები და შეხედულებები არ გაგიცრუოთ, მაგრამ ვაი, რომ ამ საწოლს ვარ მიჯაჭვული... - ვთქვი და უხერხული მდგომარეობა რომ დამეფარა, ვკითხე:

- ოდესმე თუ გყოლიათ ქართველი ნაცნობები?

- კი, ერთი ოჯახი ცხოვრობდა მეზობლად. ქმარი ქართველია, ცოლი კი - სომეხი. თუ არ ვცდები, თბილისიდან უნდა იყვნენ.

- კი, მაგრამ ახლა აღარ არიან მეზობლები?

- რამდენიმე წელიწადია ქალაქის ცენტრში გადავიდნენ, ახალი სახლი იყიდეს. ბიზნესმენია.

- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ ჩემს თანამემამულესა და მის ოჯახზე?

- ბავშვურ შთაბეჭდილებებს გეტყვი - ზრდილობიანი და მოწესრიგებული კაცი იყო. ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში მუშაობდა. ინჟინერია. ჰყავს ქალ-ვაჟი. ჩემზე საკმაოდ უფროსები არიან. ორივე ნასწავლი და ჭკვიანია. როგორც ვიცი, უკვე დაოჯახებულებიც არიან.

- მათთან ახლა კონტაქტი აღარ გაქვთ? როგორი მეზობლები იყვნენ?

- სამწუხაროდ დავკარგეთ ერთმანეთი... ისე, ძალიან კარგი მეზობლები იყვნენ. თავაზიანები. მოზომილი და უბრალო,სადა ურთიერთობები გვქონდა.

- ბავშვებთან არ ახლობლობდით?

- როგორ არა. მართალია ჩემზე გაცილებით უფროსები იყვნენ, მაგრამ ძალიან მაფასებდნენ და მანებივრებდნენ. ტკბილეულით ხშირად მიმასპინძლდებოდნენ. არასდროს უჭირდათ. მამამ ორივეს ავტომობილი უყიდა. ხშირად სკოლაშიც დავყავდი. სამედიცინო სასწავლებელში რომ დავიწყე სწავლა, ცუდ კომპანიაში მოვხვდი: მიმაჩვიეს დალევას, სიგარეტის მოწევას... სახლში ნასვამი რომ ვბრუნდებოდი, არ მოსწონდათ. არცერთს არ გავუკიცხივარ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობები გაცივდა.

- კი, მაგრამ რა ძალა გადგათ, სიგარეტს და დასალევს რომ მიეძალეთ?

- ეეჰ! ბავშვური სიგიჟე. საუბედუროდ, მოზარდებს გვგონია, რომ თუ გააბოლებ და დალევ, მაგარი ხარ, ჯიგარი... ისე, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ბიჭი შემიყვარდა. დაქორწინებას ვაპირებდით. ჯარში გაიწვიეს. ერთი წლის შემდეგ მომწერა: ჩემი მეთაურის ქალიშვილი შემიყვარდა, აღარ მელოდო, დავშორდეთო. რაღა გზა მქონდა...

- მერე, დაქორწინდა იმ ქალიშვილზე?

- არ ვიცი. მე კი ჩემი დამემართა. ეს ამბავი მძიმედ გადავიტანე. მამაკაცისადმი რწმენა დავკარგე. საკუთარ თავში ჩავიკეტე. წიგნთან ვპოვე შვება. ცხოვრების წესი გამოვიცვალე, სწავლას მოვკიდე ხელი. დავამთავრე სამედიცინო სასწავლებელი. აქ დავიწყე მუშაობა. უკვე მესამე წელია ღამის მედდა ვარ...

- მის მერე არავინ შეგყვარებიათ?

- იყო ერთი. ეროვნებით ადიღეელი. ვმეგობრობდით. ვხვდებოდით, მაგრამ მისი მშობლები ჩვენი დაქორწინების კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. ალბათ, ეროვნული თუ რელიგიური აღმსარებლობის სხვაობის გამო... ბიჭმა მშობლებს ხათრი ვერ გაუტეხა და დავშორდით.

- ქალს ასაკი ჰკითხო უხერხულია, მაგრამ მაინც გკითხავთ: რამდენი წლის ხართ?

- მე?! - ცოტა გაიკვირვა ოქსანამ, უხერხულობა თითქმის არ შეიმჩნია და უზრუნველად მიპასუხა: - მალე ოცდაათი წლის გავხვდები. უკვე დავბერდი... - გაიკეკლუცა.

- ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ. ლამაზი, მიმზიდველი და სანდომიანი... თქვენთან ოჯახის შექმნასა და სიყვარულზე ბევრი მამაკაცი უარს არ იტყოდა...

ოქსანა წამოწითლდა...

- ბატონო კოტე! მანებივრებთ... ისე კი, გამოგიტყდები, ქათინაურები ძალიან მომწონს... ქართველებს ეს შესანიშნავად გეხერხებათ.

- თუ გამოვკეთდი და არ დავინვალიდდი, თქვენს დაბადების დღეზე ვალსი ჩემზე იყოს, - ვიხუმრე. უხერხულად მომივიდა სხეულის დაჭიმვა და სიმწრისაგან დავიღრიჯე. გირაზე დაკიდული, თაბაშირში ჩასმული ფეხი ძალიან მეტკინა. ოქსანამ იგრძნო ჩემი ტანჯვა. მომიჯდა და მხარზე ხელი მომითათუნა. ქალის სიახლოვემ და თამამმა ქცევამ უხერხულობაში ჩამაგდო.

- ნუ იძაბები, მოეშვი, ყველაფერი რიგზე იქნება, - მოხდენილად გამიღიმა.

ქალის სოთბომ და სათნოებამ თავისი ქნა - დამავიწყა ჩემი სავალალო მდგომარეობა. მედდის მომაჯოდოებელმა ღიმილმა დამიპყრო. გულში საამო სითბო ჩამეღვარა. ვერ მოვითმინე და საღი ხელი მოვხვიე... არ მომიშორა. მიმეკრა.

- ბატონო კოტე, ყველაფერი რიგზე იქნება. მოდუნდით. დაისვენეთ. შეეცადეთ, დაიძინოთ. მე სხვა ავადმყოფებსაც დავხედავ. მოგვიანებით შემოგივლით. თუ რამე დაგჭირდებათ, არ მოგერიდოთ, გიშველით, - თქვა, შეთქმულივით თვალი ჩამიკრა. ისევ მომაჯადოვებლად გამიღიმა და პალატიდან გავიდა.

ეს ცუღლუტი გოგო ამირევს ტვინს და ოჯახს დამინგრევს. ამ აზრმა ოქსანას გასვლისთანავე თავში გამიელვა. ვგრძნობდი, ამ გოგომ მომაჯადოვა. თითქმის ისე, როგორც თავის დროზე დიანამ და ნატალიამ... რაც უფრო ბევრს ვფიქრობდი ოქსანაზე, მით უფრო მწვავედ ვგრძნობდი: მის მიმართ გულგრილი აღარ ვარ. გულში ნაცნობი სითბო ჩამეღვარა. ნუთუ, მესამედ ვარ შეყვარებული?!

ახალჩაძინებული კარის ჭრიალმა გამაღვიძა. გამომაფხიზლა. აქსანა იყო...

- როგორ, უკვე ყველა ავადმყოფს დაჰხედეთ? - ნამძინარევი ხმით ვკითხე.

- ყველაფერი რიგზეა. ყველას საღათა ძილით სძინავს. სანამ მოსასვენებლად წავალ, ბატონ კოტეს კიდევ ერთხელ დავხედავ-მეთქი, ვიფიქრე და შემოგიარეთ. წაძინება თუ მოასწარით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- კი. ცოტა, მაგრამ თქვენ გამაღვიძეთ! არაფერია. დილაუთენია სამუშაოზე მეჩქარება, თუ რა? - ვიხუმრე, თან მისი გამხნევება მინდოდა.

- ოო, ბოდიში, თუ გაგაღვიძეთ. ახლავე გავალ, - თქვა და გასასვლელისკენ გაიწია.

- ახლა სადღა მიგეჩქარება, მე უკვე გამოვიღვიძე. კარგა ხანს მაინც აღარ დამეძინება, - დავამშვიდე და ამით დარჩენის სურვილიც გამოვხატე.

- კარგი. ჭრილობებს და ნახვევებს შეგიმოწმებთ. მალამოსაც წაგცხებთ, - ჩაილაპარაკა. მოვიდა. ზეწარი გადამაძრო. ქვედა საცვლების ამარა დავრჩი. თაბაშირიანი ფეხი გამისინჯა. შეშუპება ნელ-ნელა ცხრებაო, ჩაილაპარაკა. წვივზე მასაჟი გამიკეთა... მუხლის თავიც შემიმოწმა. ბარძაყს ააყოლა ხელი და საზარდულთან შეაჩერა. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ აღვიგზენი. ეს საოხრესაც შეეტყო. მომერიდა. ზეწრის მოფარება მინდოდა, მაგრამ ვერ მივწვდი, ოქსანამ უფრო შორს გადასწია. თაბაშირში ჩასმული ხელი ვერაფერში გამომადგებოდა. მარჯვენით დავიფარე სასირცხვო ადგილი. ჩემმა რეაქციამ და დაბნეულობამ უფრო გაათამამა და წააქეზა. მომეახლა, მკერდზე გადამაწვა და წაიკისკისა:

- აბა, მაჩვენეთ, აქ რა განძი გაქვთ, რას მიმალავთ ასე თავგამოდებით?! - თქვა და მარჯვენა ხელზე დამადო თბილი და ფაფუკი ხელი.

- ოქსანა! ღმერთმანი! არ გინდათ! მე გაცილებით უფროსი ვარ თქვენზე, თანაც დაოჯახებული. ნუ მაცდუნებთ... - მისი შეჩერება და დაშოშმინება ვცადე, მაგრამ ამაოდ...

- აი, ნამდვილი მამაკაცი! ეს მშვენიერია! განა ეს დასამალია! პირიქით, საამაყოა, - თქვა, სასირცხო ადგილიდან ძალით ამაღებინა ხელი.

... ხელი ნაზად გადამისვა, საამოოდ მომეფერა. "ჩემი რაინდი" განსაკუთრებით გათამამდა, როცა ოქსანას ნაცადმა ხელებმა საცვლების ტყვეობიდან იხსნეს. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. ქალის სურვილებს ავყევი, მივენდე. ოქსანას ცხელმა და ნაზმა ბაგეებმა საბოლოოდ მიმბნიდა და ნეტარების მორევში შევცურდი...

ოქსანა შემიყვარდა. მან მოინადირა ჩემი გული. დაიპყრო ჩემი არსება. სხვა ქალი აღარ მინდოდა. აღარავინ მაღელვებდა, აღარ მაწუხებდა... არც ნატალია. მას ჩემი ცხოვრების წიგნის უკვე წაკითხულ და გადაშლილ ფურცლად მივიჩნევდი. ამაში საბოლოოდ მაშინ დავრწმუნდი, როცა ცხადსა თუ ძილში მხოლოდ ოქსანაზე დავიწყე ფიქრი და მისი მორიგეობის დადგომას მოუთმენლად, გულის ფანცქალით ველოდი, მის გამოჩენას ვნატრობდი. მისი დანახვა ისევე მიფორიაქებდა სულს და გულს, როგორც თავის დროზე დიანა და ნატალია... ერთი სიტყვით, მთელი არსებით და სიმძაფრით შეგვიყვარდა ერთმანეთი.

საავადმყოფოში ორ თვეზე მეტ ხანს დავრჩი. უკვე შემეძლო ყავარჯნით ან ხელჯოხით სიარული. პირველი ნაბიჯებიც ოქსანას დახმარებით გადავდგი...

თითქმის გამოვმჯობინდი. საავადმყოფოში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, გაწერაც არ მინდოდა. ეს პალატა ხომ ჩემი და ოქსანას სიყვარლის ბუდე და ნეტარების სავანე იყო.

სხვა გზა არ იყო. ევგენის და ნატალიას შევატყობინე და საავადმყოფოდან გასაწერ სამზადისს შევუდექი.

ბედად, იმ ღამეს ოქსანა მორიგეობდა. კიდევ ერთხელ ჩავიყურყუმელავეთ სიყვარულის მორევში... შემდეგში ურთიერთობების და შეხვედრის პირობები დავთქვით.

დილას ევგენიმ და ნატალიამ მომაკითხეს.

ყოჩაღ, ევგენი! მიკროავტობუსი ისე შეუკეთებია, ახალი გეგონება. ფორმალობები მოვაგვარეთ და კროპოტკინის გზას დავადექით. თითქმის ოთხი საათის სავალია. ნატალია გვერდით მიზის. ევგენი ავტომანქანას მართავს. ნატალია საეჭვოდ დუმს. ძველებური ტემპერამენტი და სიკისკასე აღარ ემჩნევა. ცივად შემხვდა და ახლაც სევდიანია. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თუ დასცდა. აშკარად ვგრძნობ, სახლში ჩემს არ ყოფნისას რაღაც მოხდა. ჩემი და ოქსანას ურთიერთობის შესახებ ხომ არ შეიტყო? არა მგონია. ჩვენი შეხვედრები პალატას არ გასცდენია. არც მოწმეები გვყოლია, ნატალიას ყურამდე ამბავი რომ მიეტანა. არადა, ნატალია ასეთი ცივი და სიტყვაძუნწი არ იყო. პირველ ხანებში მე ჩემი გატეხილი ჯანმრთელობის ბურანში ვიყავი და იმაზე ბევრი არ მიფიქრია, თუ ასე რამ შეცვალა.

ვიდრე ყავარჯნებს გადავყრიდი და თავს ისე მხნედ ვიგრძნობდი, რომ შემძლებოდა, ჩვეულ საქმიანობას დავბრუნებოდი, კიდევ სამი თვე გავიდა. ჭრილობები და მოტეხილობები ნელა მიშუშდებოდა. ალბათ, ასაკიც თავისას შვრებოდა... ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად გავხდი. სახის სიმკრთალე და გაცრეცილი იერი გადატანილი მძიმე ავადმყოფობის ნიშნად შემრჩა. ჯანი გამიტყდა, ჯანმრთელობა საგრძნობლად შემერყა. უბნის ექიმმაც მიმითითა იმუნიტეტის დაქვეითებაზე და მირჩია, დიეტა და ჯანსაღი ცხოვრების წესები განუხრელად დამეცვა. საჭირო რჩევა-დარიგებაც მომცა.

სამარშუტო ხაზზე გავედი. გრაფიკში ჩავჯექი და დავიწყე მუშაობა.

მე ოქსანას პროვნებით ვიყავი გატაცებული. სულ მასზე ვფიქრობდი.

გვიან შევნიშნე, ნატალიას რომ ვკარგავდი.

მისი ჩემდამი გულგრილობა და გაუცხოება დღითიდღე მატულობდა. ურთიერთობებიც განელდა, მხოლოდ ცოლ-ქმრული ვალის მოხდის დონეზე დავიდა.

თავი XXX

მუშაობის დაწყებიდან ერთი თვე გავიდა. თავს ვეღარ ვძლიე და ოქსანას დავურეკე. მანაც, მენატრებიო და შეხვედრა მთხოვა. ავადმყოფობა მოვიმიზეზე, ორი დღით გავთავისუფლდი. მანქანა გარაჟში გავაჩერე და ისე, რომ სახლშიაც არ შემივლია, კრასნოდარისკენ ავიღე გეზი.

დაუვიწყარი ორი ღამე გავატარე ოქსანასთან. ნატალიას დავურეკე და მოვატყუე, ორი დღით სოჭში მივდივარ-მეთქი. ქალი ამ ამბავს მშვიდად შეხვდა. მიზეზიც არ უკითხავს, კარგიო, მხოლოდ ეს მითხრა. ცუდად მენიშნა, ასეთი რამ მის ცნობისმოყვარე ხასიათში არ ჯდებოდა. ადრე დაწვრილებით გამომკითხავდა, ერთად წასვლასაც შემომთავაზებდა, დაინტერესდებოდა, რას ვიცვამდი, რას ვჭამდი, რას ვსვამდა და კიდევ ბევრი წვრილმანით. ახლა კი, კარგიო და მორჩა...

მე ოქსანას სიყვარულის მორევში ვცურავდი, მის საწოლში ვნებივრობდი და ვერ ვხვდებოდი, რომ ჩემს თავზე შავი, ავისმომასწავებელი ღრუბლები იყრებოდა...

ორი დღე მალე გავიდა. დიდი სიყვარულით და განშორების ცრემლებით გამომაცილა სატრფომ. გულარხეინი და ნასიამოვნები დილაადრიან დავბრუნდი კროპოტკიანში. დრო არ დამიკარგავს. მიკროავტობუსი ხაზზე გავიყვანე და საღამომდე ჩვეული გრაფიკით ვიმუშავე. რატომღაც გადამავიწყდა, ნატალიასთვის მეცნობინებინა, რომ დავბრუნდი.

ბოლო რეისს მოვრჩი თუ არა, სუპერმარკეტში სურსათ-სანოვაგე ვიყიდე. ნატალიას საყვარელი ტიტებიც გავიყოლე და შინ წავედი. სახლში უჩვეულო სიჩუმე დამხვდა. ტელევიზორიც კი დუმდა. სინათლე მხოლოდ სამზარეულოში ენთო. კარი ღია დამხვდა. უხმოდ შევაღე და პირდაპირ სამზარეულოსაკენ წავედი. ზღურბლზე ფეხი შევდგი თუ არა, გავშეშდი - ნატალიას რომანტიული საღამო მოეწყო, მაგრამ არა ჩემთვის. შუქი გამოერთოთ. სანთლები ენთო. მაგიდაზე შამპანიური ღვინის ბოთლები... ლარნაკში ნატალიას საყვარელი ტიტების უშველებელი კონა... ნუგბარი სასუსნავით სავსე თეფშები.... ფუჟერებში ახლადჩამოსხმული ღვინის შხეფები.... ქალს შილიფად, მაგრამ ჩვეული სექსუალური გემოვნებით ეცვა. ვარცხნილობაც შეეცვალა, მაკიაჟიც. მის მოპირდაპირედ შუა ხნის, ხმელ-ხმელი, მაგრამ ჯანმაგარი, ქერა, საშუალოზე მაღალი მამაკაცი იჯდა და ცოტა შიშნარევი, გაოცებული თვალებით მიყურებდა. ნატალია წამოდგა, ვითომ აქ არაფერიო, ცივად, ზერელედ მომესალმა. პარკები ჩამომართვა. ღია კარადაში გაუხსნელად შეაწყო და ჩემს აკანკალებულ მარჯვენაში მთრთოლვარე ტიტების თაიგულს დააცქერდა. ხან ლარნაკს, ხან კი ჩემს ათრთოლებულ ხელს უმზერდა. მოიფიქრა და უგემურად ჩამომართვა ყვავილების კონა. წამით უცნობის მიერ მირთმეულ ტიტებს შეადარა. უღირსი სარკაზმით და დაცინვანარევი მზერით შემომაფეთა თვალები და ჩემი მირთმეული თაიგული მაცივრის თავზე უდიერად მიასვენა. წყლიანი კონსერვის ქილაც კი არ აღირსა.... გავვოგნდი. ზეზეულად გავშრი. გუმანით თუ ვხვდებოდი, რომ ჩემს თავს რაღაც სერიოზული ხდებოდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, ემოცია დავფარე, სიბრაზე მოვთოკე და ვიკითხე:

- ნატალია, მიკვირს, ცივად რომ შემხვდი. ბოლო სამი თვეა უცნაურად იქცევი. არ მეტყვი, რა ხდება, ვინაა ეს მამაკაცი?! რა უნდა ჩემს სახლში? ეს რა რომანტიკული საღამო მოგიწყვიათ?..

ნატალია სკამზე უგემურად ჩამოჯდა. სინანულით შემომხედა. იმ წუთში, ალბათ, ვეცოდებოდი კიდეც. ცოტა გაბზარული, მაგრამ დამაჯერებელი, წყნარი ტონით ალაპარაკდა;

- ეს საშაა, ჩემი თანაკლასელი. არ დაგიმალავ, ბავშობაში გვიყვარდა ერთმანეთი. ვხვდებოდით კიდეც. სკოლის დამთავრების შემდეგ მე სასწავლებლად წავედი კრასნოდარში, საშა კი ჯარში გაიწვიეს. პირველ ქმარს ინსტიტუტში გავეცანი. შეგვიყვარდა ერთმანეთი. საშამ, ჯარიდან დაბრუნებულმა, რომ გაიგო, სხვა შემიყვარდა, ეწყინა. გულგატეხილი და იმედგაცრუებული სახლში ვეღარ გაჩერდა, მიატოვა ყველაფერი და შორეულ აღმოსავლეთში ამოჰყო თავი. ქალაქ ჩიტაში გადაბარგდა. იქვე დაამთავრა სამთო ინსტიტუტი და როგორც სამთო ინჟინერი, სამუშაოდ კრასნოიარსკის მხარეში გაამწესეს. იქ საბადოებზე მუშაობდა. ახლა, ჩრდილოეთის შეღავათების გათვალისწინებით, პენსიაში გავიდა და მშობლიურ დაბას დაუბრუნდა.

- კი, მაგრამ ჩემს სახლში რა უნდა?! თანაც რომანტიკულ ვახშამზე და შამპანიურის ჭიქით ხელში?

ვატყობდი, მოთმინებას ვკარგავდი და უკანასკნელ ძალას ვიკრებდი, რომ რამე უბედურება არ დატრიალებულიყო.

- კოტე, იცი რა... მე შენს წინაშე დამნაშავე ვარ, დიდი ცოდვა მაძევს კისერზე, მაგრამ, შეეცადე, გამიგო - შენ რომ საავადმყოფოში იწექი, მაშინ, შემთხვევით, დაბის სკოლასთან შევხვდით ერთმანეთს. სწორედ იმ სკოლაში ვსწავლობდით, ერთ კლასში. საშა თითქმის ოცდაათი წელი არ მენახა. ჯერ ვერც კი ვიცანი, ისე შეცვლილიყო. ჩამოვჯექით სწორედ იმ ძველ სკამზე, რომელზედაც ოდესღაც, ჯერ კიდევ ბავშვებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიყვარდა ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩახუტებული ჯდომა და შეყვარებული მტრედებივით ჟღურტული. არ ვიცი, რა დამემართა, მთელი სიცხადით გამახსენდა ახალგაზრდობა. პირველი კოცნა. სამუდამო სიყვარულის აღთქმა და იმედები... გრძნობამ, რომელიც ოცდაათ წელიწადს მეხსიერებაში დალექილი, თვლემდა, ახალი ძალით იფეთქა და წაგვლეკა უკვე ხანშიშესული ადამიანები. სიყვარულმა, თურმე, ასაკი არ იცის, თურმე უკვალოდ არაფერი ქრება და იკარგება... საღამოს სახლში დავპატიჟე. შედეგს კი ხედავ... ვიცი, უსინდისოდ მოვიქეცი, მაგრამ გულს რა ვუყო? ის მთელი ძალით, თავდავიწყებით მიყვარს. მასაც ვუყვარვარ. უერთმანეთოდ ვერც ვიცოცხლებთ და ვერც ვიცხოვრებთ! მე და შენს შორის ყველაფერი დამთავრდა, უნდა გავეყაროთ ერთმანეთს...

ნატალიას წინადადება არ დავასრულებინე, ვიღრიალე:

- როგორ თუ შეგიყვარდა?! როგორ თუ უერთმანეთოდ არ შეგიძლიათ!? ჩემზე თუ იფიქრე?! მე მაშინ ვინ ვარ?!

მამაკაცი, საშად წოდებული, წამოდგა, ჩემსკენ გამოიწია და ჩემდა გასაოცრად საკმაოდ დინჯად და აუღელვებლად მომმართა:

- კონსტანტინ შოტაევიჩ, თქვენ ასაკიანი და დაღვინებული კაცი ხართ, გამოცდილი. შეგნებული. მინდა გესმოდეთ, რომ მე და ნატალიას ბავშობიდან გვიყვარდა ერთმანეთი. ცხოვრებამ დაგვაშორა. გაგვყარა. ახლა კი, უკვე ხანშიშესულები, კვლავ შეგვყარა... ასე ყოფილა ჩვენი ბედისწერა, თუ გნებავთ, განგების ნება... გთხოვთ გაგვიგოთ.... დამითმეთ ნატალია...

ეს კი მეტისმეტი იყო. დაგითმო, რა ფუნთუშაა?! ჩემს თავს აღარ ვეკუთნოდი. ამ უტიფარ და უსინდისო ნაძირალას მუშტი მთელი ძალით სიფათში ვთხლიშე. იატაკზე დავარდა. არ ვიცი, წიხლებით რამდენი ვზილე და ვთეთქვე. ნატალია კედელსაკრული, სახეზეხელებაფარებული გულამოსკვნით ტიროდა. მამაკაცის ცემით რომ გული ვიჯერე, მასაც მივწვდი, მთელი ძალით ცხვირ-პირში ვურტყამდი, ვუყვიროდი, სალანძღავ სიტყვებს არ ვიშურებდი:

- შე ნაძირალა! კახპა! სინდისგარეცხილო, უზნეო დედაკაცო! ვითომ პედაგოგი გქვია?! შენ ქუჩის მაწანწალა და ბოზი ხარ! ეს რა გამიკეთე?! ეს რა მაკადრე! შე უსირცხვილო, შენა! - და თმებით ვითრიე. მთელი ძალით, გამეტებით იატაკზე დავანარცხე და თავი ვარახუნებინე. ალბათ, შემომაკვდებოდა, მაგრამ გონსმოსულმა საშამ შამპანიურის ბოთლი თავზე გადამაფშვნა. უცებ მოვდუნდი, მოვეშვი, თვალებში ჯერ წითელი ნაპერწკლები აციაგდა, შემდეგ ბინდი ჩამოწვა და წყვდიადში ჩავიძირე...

თავი XXXI

გონს სავაადმყოფოს პალატაში მოვედი. ჩემს სანახავად არავინ მოსულა. უფრო სწორად, პალატაში არავის უშვებდნენ, კართან პოლიციის თანამშრომელი მორიგეობდა. თავი მტკიოდა. პირი მიშრებოდა. თავბრუხვევის და გულისრევის უსიამო შეგრძნება მტანჯავდა.

თვალი გავახილე, მაგრამ ქუთუთოები დასიებული მქონდა. ამეწვა. თვალები მივლულე და შევეცადე, გავრკვეულიყავი, რატომ და რანაირად მოვხვდი აქ? ვერაფერი დავასკვენი, რადგან მეხსიერება და საღი აზროვნება არეული მქონდა. ენას ვერ ვაბრუნებდი. პირგამიშრალს ყელში უსიამოვნო, მწარე გემოს შეგრძნება მტანჯავდა. მწყუროდა, მაგრამ ხმას ვერ ვიღებდი, გამხმარ, ანთებულ სასაში ბგერები იხირებოდა და ბაგეებამდე ვერ აღწევდა, მხოლოდ გამშრალი, სიცხისაგან დამსკდარი ტუჩების ცმაცუნიღა შემეძლო. ხელ-ფეხი მოვისინჯე. ამოძრავება შევძელ. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, ვიდრე ტუმბოს მივწვდებოდი. ჭიქა იატაკზე ჩამოვაგდე, იქნებ ვინმემ ყურადღება მომაქციოს-მეთქი. ხმაურზე პოლიციელი შემოვიდა. რა გნებავსო, მკითხა და შუა ოთახში გაჩერდა. დავიხავლე, მაგრამ სიტყვა ვერ წარმოვთქვი. ხელის მოძრაობით ვანიშნე, წყალი მინდა-მეთქი. მედდა იხმო და წყლის მოტანა დაავალა. სითხემ დამსკდარ ტუჩებზე მაცოცხლებლად იმოქმედა. პირველი ყლუპი გამიძნელდა. წყალს გამხმარ პირსა და სასაში უჭირდა გადასვლა. როგორც იქნა, წყლით გული ვიჯერე. წყლით მონიჭებული სიამოვნებისგან თვალები მივლულე და გავინაბე. ცოტა ხნის შემდეგ მხარზე შეხება ვიგრძენი და თვალები გავახილე. შუა ხნის, თმაშეჭაღარავებული, თეთრხალათიანი მამაკაცი თავს მედგა და ფრთხილად მანჯღრევდა.

- ღმერთს მადლობა, გონს მოხვედით. უკვე სამი დღეა უგონოდ ხართ. თავის ტვინის მძიმე შერყევა გქონდათ, თან ბევრი სისხლი დაკარგეთ. იმ ოჯახქორმა ასე გამეტებით როგორ ჩაგარტყა ბოთლი?! - თქვა, ჩემს რეაქციას არ დაელოდა, მაჯაში მწვდა და საათს დააკვირდა. ცოტა ხნის შემდეგ ხელი გამიშვა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა, მაჯისცემა ნორმალურიაო და მიუბრუნდა მედდას:

- აბა, კატიუშა, პაციენტს წნევა გაუსინჯე და დანიშნულების ბარათი მომიტანე.

მედდა პალატიდან სასწრაფოდ გავიდა და მოკლე ხანში დაბრუნდა წნევის აპარატით და დანიშნულების ბარათით. წნევა გამისინჯა. დაბალი აქვსო,- ჩაილაპარაკა, გვერდზე გადგა და ექიმის მითითებებს დაელოდა.

ექიმმა ბარათი ჩაიკითხა. ჩემსკენ გადმოიხარა და მკითხა:

- კონსტანტინ შოტაევიჩ, როგორ გრძნობთ თავს? მძიმე ტრავმა კი გადაიტანე...

მადლობის თქმა მომინდა.ჯერ გაჭირვებით,შემდეგ კი შედარებით თვისუფლად ავლაპარაკდი.უფალს დიდება, მეტყველება აღმიდგა!

- გმადლობთ, ექიმო! შედარებით უკეთ ვგრძნობ თავს, ოღონდ თავი მტკივა, თავბრუ მეხვევა და გულისრევის შეგრძნება მტანჯავს, - ვუთხარ მისუსტებული ხმით.

- თავის ტვინის შერყევისას ეს ჩვეულებრივი ამბავია. მალე გამომჯობინდებით. თქვენი განძრევა არ შეიძლება. წამოდგომაზე ფიქრიც ზედმეტია. მოგცემთ დამამშვიდებელ, ტკივილგამაყუჩებელ და საძილე წამლებს. ხვალ უკეთესად იქნებით.

ექიმი მაგიდას მიუჯდა. დანიშნულების ბარათში ახალი მითითებები ჩაწერა. გამომჯობინება მისურვა და, ის იყო, პალატიდან უნდა გასულიყო, რომ პოლიციელმა შეაჩერა:

- ბატონო ექიმო, გამომძიებელი პაციენტის დაკითხვას როდის შეძლებს?

- დღეს, ნამდვილად, ვერ შეძლებს. გონს მხოლოდ ახლა მოვიდა. მძიმე ტრავმა გადაიტანა. ხვალ, დილით, პაციენტის მდგომარეობას ისევ შევამოწმებ და შედეგს მოგახსენებთ,- თქვა და პალატიდან გავიდა.

მედდამ რაღაც აბები დამალევინა. ორიოდე ნემსიც გამიკეთა.

არც ფიქრი შემიძლია და არც განსჯა. მხოლოდ გამომძიებლის ხსენებამ გამაკვირვა. უჯიშომ ოჯახი თავზე დამაქცია და კიდევ მე ვარ დამნაშავე?! ამის გაფიქრება მტანჯავდა.

მალე წყვდიადში ჩავიძირე.

თავი XXXII

სამი დღის შემდეგ იმდენად მოვმჯობინდი, რომ ექიმმა გამომძიებელს ჩემთან გასაუბრების ნება დართო.

გამომძიებელი ასე 40-42 წლის იქნებოდა. საშუალოზე ცოტა მაღალი, სპორტული აღნაგობის, ქერათმიანი. ლაპარაკის მანერით შევიცანი - ყურბანელი კაზაკია. გაწონასწორებული, დინჯი ხასიათი და ადამიანურობა იმთავითვე თვალშისაცემი იყო.

პალატაში დინჯად შემოაბიჯა. ქუდი სკამზე დადო. მაგიდას მიუჯდა. ბლოკნოტი და საწერკალამი მაგიდაზე დაალაგა და პალატის ინტერიერი შეათვალიერა. შემდეგ სათვალეები მოირგო, ბლოკნოტი გადაფურცლა, რაღაც წიკითხა, გამჭოლი მზერა მომაბჯინა და დინჯი, ცოტა ბოხი ხმით მკითხა:

- თქვენ ბრძანდებით ხოშორაძე კონსტანტინე შოთას ძე?
- კი, ბატონო, გახლავართ, - დავუდასტურე.

ჩემს შესახებ საკმაოდ ბევრი იცოდა: ჩემი დაბადების თარიღი, ადგილი, მისამართი და საქმიანობა. თავის დაქნევით და მოკლე პასუხებით ვუდასტურებდი. კმაყოფილი დარჩა, როცა ვუთხარი, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობას ვაპირებდი. ან რა მქონდა დასამალი... წყალი დაისხა. დალია და მეც შემომთავაზა. ყურადღების და თავაზიანობისთვის მადლობა გადავუხადე. საქაღალდე გახსნა, ნაბეჭდი ფურცლების დასტა ამოიღო. დაალაგა და ერთ-ერთი წამიკითხა. ეს იყო ჩემი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილად ცნობის ოქმი. შემდეგ გამაცნო ჩემი ცოლის - ნატალიას და მისი საყვარლის - ალექსანდრეს დაზარალებულად აღიარების ოქმი და მათი ჩვენებები. გამოდიოდა, რომ მე მაგიდასთან მსხდომ დიდი ხნის უნახავ ყოფილ თანაკლასელებს მივუვარდი, მყუდროება დავურღვიე, უშვერი სიტყვებით ვლანძღე და ვაგინე, შემდეგ კი რიგრიგობით ორივეს მივაყენე საშუალო სიმძიმის სხეულის დაზიანება და, რომ არა ალექსანდრეს მიერ, როგორც უკიდურესი, აუცილებელი მოგერიების მიზნით, შამპანიურის ბოთლის თავში ჩარტყმა და ჩემი განეიტრალება, არავინ იცის, კიდევ რა უბედურებას დავატრიალებდი.

ნატალიას და ალექსანდრეს ცინიზმმა უკიდურესობამდე შემძრა. ჯერ გავოგნდი, შემდეგ კი ისეთი ბრაზით ავენთე, მზად ვიყავი, იმ მომენტში კაცი მომეკლა. ჩემს ყვირილზე ავტომატიანი პოლიციელი შემოვარდა. იარაღი მომიღერა და სიმშვიდისკენ მომიწოდა. ერთხანს ვბორგავდი და ვილანძღებოდი. წამოდგომაც ვცადე, მაგრამ ადრე მოტეხილი ფეხი მეტკინა და ვერ დავიმორჩილე. ეტყობა, გონწასულს ალექსანდრემ წიხლები მირტყა და ახლადშეხორცებული ფეხისა და ხელის ძვლები დამიშავა.

გამომძიებელი მშვიდად მივიდა ფანჯარასთან. სარკმელი გამოაღო. სიგარეტი გააბოლა. ჩემს დამშვიდებას დაელოდა. ყვირილით და გინებით გული ვიჯერე, დავმშვიდდი, შექმნილი ვითარება გავითავისე და რეალობას შევეგუე.

მივხვდი, ცოლმა და მისმა საყვარელმა საბოლოოდ გამწირეს. რუსეთში თავისუფალი სიყვარული არაა საზოგადოების მხრიდან განკიცხვის საგანი და ოჯახის შექმნა ან დანგრევა მხოლოდ ორი პიროვნების სურვილზეა დამოკიდებული. ამას ვერ არეგულირებს ქრისტიანული მორალი და საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი ნორმები. ასეთ ვითარებაში ძნელია, გაიმართლო თავი. ეჭვიანობა ცუდ ტონად ითვლება, პირიქით, უფრო ამძიმებს დანაშაულს. აფექტის მდგომარეობაში ყოფნა კი შემამსუბუქებელ გარემოებად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ მეუღლე ცოლს უშუალოდ სხვა მამაკაცთან სქესობრივი აქტის დროს წაასრებს.

ქართული მორალი და ზნეობა ამ შემთხვევაში დიდი ვერაფერი ნუგეში და მხსნელი იყო. უბრალო არგუმენტადაც არ განიხილავდნენ. გამახსენდა წინაპრების შეგონება: ”სადაც წახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო.” რუსებიც იტყვიან - ”სხვის მონასტერში საკუთარი წესდებით არ დადიანო.” ყველაფერი მესმის, მაგრამ ქართველებიც და რუსებიც ხომ მართმადიდებელი ქრისტიანები ვართ. ათი მცნება და შვიდი ნეტარებაც ხომ ერთნაირად გასაგები და სავალდებულო უნდა იყოს ყველა ქრისტიანისთვის?! აქ ეს ყველაფერი ფასადური და ფარსი რომ ყოფილა ადრევე უნდა მივმხვდარიყავი...

გამომძიებელმა ფურცლები და საწერკალამი მოიმარჯვა და ჩემი ჩვენების ჩასაწერად მოემზადა.

ყველაფერი დაწვრილებით, თანმიმდევრობით ვუამბე, მხოლოდ გამოვტოვე კრასნოდარში ჩემი ჩასვლის და ოქსანასთან ურთიერთობის ამბავი. ეს საქმეს არ ეხებოდა. ოქსანასთან ჩემი ინტიმური ურთიერთობის გამხელა საქმეს დაამძიმებდა და უკანასკნელ, მორალურ ბერკეტსაც გამომაცლიდა.

ჩაწერას მორჩა. ჩვენება წაიკითხა. თუ ეთანხმებიო,- მკითხა და რომ დავუდასტურე, ხელი მომაწერინა.

გამომძიებელმა დაკითხვის ოქმი საქაღალდეში ჩადო და მომიბრუნდა:

- კონსტანტინ შოტაევიჩ! თქვენ ცნობილი ხართ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილად და აყვანილი ხართ ადმინისტრაციულ პატიმრობაში. თქვენი პალატის შესასვლელთან სადღეღამისო მორიგეობა დაწესდება. სამედიცინო პერსონალის გარდა შენთან შემოსვლა ნებისმიერ მნახველს ეკრძალება.

- ადვოკატის აყვანის უფლება თუ მაქვს? - ვკითხე და წყალწაღებულივით ხავსს ჩავეჭიდე.

- შეგიძლიათ ადვოკატი ახლავე აიყვანოთ, ან მას შემდეგ, როცა სასამართლო ბრალდებულად გცნობთ და აღმკვეთი ღონისძიების განსაზღვრისა და შეფარდების შესახებ იმსჯელებს.

- ადამიანურად, როგორც მამაკაცი მამაკაცს, გთხოვთ, როგორმე შემახვედრეთ ჩემს ახლობელს - დაბა გორკოვსკოეში მცხოვრებ თანამემამულეს - გრიგორ ერასტოს ძე ჩუტიძეს. მის გარდა რუსეთში არც პატრონი მყავს და არც გამკითხველი, - ვთქვი და ხელები სახეზე ავიფარე. არ მინდოდა გამომძიებელს ჩემი სიმწარის ცრემლები დაენახა.

- კონსტანტინ შოტაევიჩ, როგორც კაცს, მესმის შენი, მაგრამ გამოძიების მსვლელობისას ნებისმიერ პიროვნებასთან ნებისმიერი სახის პაემანს კანონი არ ითვალისწინებს, ვიდრე სასამართლო დამნაშავედ არ გცნობს და მსჯავრს არ წაგიყენებს. ესეც მაშინ მოხდება, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა.

- ბატონო გამომძიებელო, მე მძიმე ავადმყოფი ვარ. ახლობელს ნება დართეთ, როგორც ავადმყოფი მნახოს და არა როგორც ეჭვმიტანილი, გთხოვთ.

- კონსტანტინ შოტაევიჩ! მესმის შენი, მაგრამ ადმინისტრაციული წესით დაკავებული ხარ და ბადრაგი გიცავს.

გრიშა ძიას ვერასგზით დავუკავშირდი.

გამომძიებლის ვიზიტიდან მეორე დღეს ჩემთან ახალგაზრდა, თვალებცქრიალა ქალიშვილი მოვიდა და წარმომიდგა:

- მე ნადეჟდა სერგეევნა ტიტოვა ვარ, თქვენი ადვოკატი. იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის გამო კერძო ადვოკატს ვერ აიყვანდით, სასამართლომ სახელმწიფო ხარჯებით დამნიშნა თქვენს ადვოკატად. პრეტენზიები ჩემი პერსონის მიმართ, აცილება, ან შეკითხვა ხომ არ გაქვთ? - მომმართა და სკამზე ჩამოჯდა.

სიმართლე გითხრათ, ადვოკატის დანიშვნა გამიხარდა. ჯერ ერთი - ჩემს უფლებებს დაიცავდა და მეორეც - როგორმე გრიშა ძიას დამაკავშირებდა. ის გამოცდილი კაცია. ბევრი ნაცნობი ჰყავს. კარგი ავტორიტეტით და საქმიანი რეპუტაციით სარგებლობს რაიონისა თუ მხარის მაღალჩინოსნებში.

- ნადეჟდა სერგეევნა! მე რუსეთში უკვე მარტოხელა და მიუსაფარი კაცი ვარ. ერთადერთი საყვარელი ადამიანი მყავდა და იმანაც სხვაზე გამცვალა, სხვასთან მიღალატა... თქვენ და გრიგოლ ერასტიჩი ხართ ჩემი უკანასკნელი იმედი.

- მესმის თქვენი! ამაზე კონკრეტულად და ვრცლად მერე ვისაუბრებთ. გრიგოლ ერასტიჩი ვინაა? თქვენი ნათესავია?

- არა, ნათესავი არ არის. ის ჩემი მეგობარი და კარის მეზობელია, ჩემი თანამემამულე. ეს, განსაკუთრებით უცხოეთში, ქართველებისთვის ძმობაზე მეტია. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მას? მეც მომხედავს, თქვენც სათანადო პატივს მოგაგებთ და, რაც მთავარია, საქმის თაობაზე ობიექტურ და უტყუარ ინფორმაციას მოიპოვებს და მოგაწვდით.

- კარგი, ბატონო! თქვენ მისი ტელეფონის ნომერი და სახლის მისამართი მომეცით და შევეცდები დაუკავშირდე.

საჭირო ცნობები ჩავაწერინე და დავსძინე, რომ საჭიროების შემთხვევაში პირადი მანქანით მოგემსახურებათ-მეთქი.

- კარგი. გრიგოლ ერასტიჩს დღესვე დავუკავშირდები. გავაცნობ საქმის ვითარებას. მასაც მოვუსმენ და შემდგომში თქვენი დაცვის გეგმასაც შევიმუშავებ.

- დიდი მადლობა! თქვენ იმედი ჩამისახეთ. მივიწყებულად და უთვისტომოდ უკვე აღარ ვგრძნობ თავს.

- კონსტანტინ შოტაევიჩ! ხვალ სასამართლო სხდომაა დანიშნული. გამოძიებამ და პროკურორმა ბრალი უნდა წაგიყენონ, სასამართლო კი აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ იმსჯელებს. იმედია, წინასწარ პატიმრობას არ მიგისჯიან. გასაგებია, მეუღლესთან ერთად ერთ ჭერქვეშ ვეღარ იცხოვრებთ. გაქვთ სხვა საცხოვრებელი?

- არა. მე და ჩემს მეუღლეს საერთო ბინა გვაქვს. თავის დროზე საბჭოთა მეურნეობის ბალანსზე ირიცხებოდა, შემდეგ კი მისი პრივატიზაცია მოვახდინეთ მეუღლის სახელზე.

- მესმის. კანონის მიხედვით, ეს ბინა ერთად თანაცხოვრების პერიოდში არის შეძენილი, მაშასადამე თქვენი და თქვენი მეუღლის ერთობლივი საკუთრებაა, თანაბარი წილით. ბავშვები თუ გყავთ? რომელიმე თქვენთან ჩაწერილია?

- რომ შევუღლდით, ნატალიას ქალ-ვაჟი ჰყავდა. ერთი ქალიშვილიც ჩვენი ქორწინებიდან გვყავს. თავის დროზე გერები ვიშვილე, ჩემს გვარს ატარებენ. ვაჟი დაცოლშვილებულია. კროპოტკინში, ბაბუამისის სახლშია ჩაწერილი. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს სოჭში. უფროსი ქალიშვილი - ვერონიკა გათხოვილია. კრასნოდარში საკუთრი ბინა აქვთ და იქაა დარეგისტრირებული. უმცროსი ქალიშვილი - დიანა ფრანგს გაჰყვა და საფრანგეთის მოქალაქეა. ცხოვრობს ნიცაში. იურიდიულად, ბინა ჩემი და ნატალიას ზიარია. მყავს მიკროავტობუსი, მაგრამ ის ევგენის სახელზეა გაფორმებული.

- ეს კარგია. მეუღლესთან განქორწინებაზე ხომ არ გიფიქრიათ?

- როგორ ფიქრობთ, იმ საშინელი ღალატის და ჩემს წინააღმდეგ მიცემული ჩვენების შემდეგ ერთად ვიცხოვრებთ? - შევაგებე კითხვა.

- მესმის თქვენი. სიმართლე გითხრათ, მეც ასე მოვიქცეოდი. კონსტანტინ შოტაევიჩ, ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ვიცოდე თქვენი და ნატალიას გაცნობის და თანაცხოვრების დეტალები.

- ნატალია სერგეევნა, ამ თემაზე საუბარი ძალიან მიმძიმს. ცოდვა არ მასვენებს და ბოღმა მახრჩობს, მაგრამ რა გაეწყობა, თუ ეს საქმეს წაადგება, მოკლედ მოგახსენებთ: საქართველოში მეგობრული და ტრადიციული ოჯახი მქონდა.მყავდა მეუღლე და ოთხი შვილი. 28 წლის წლის წინათ, ჩემი რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საკვებმომპოვებელთა ბრიგადასთან ერთად აქ, დაბა გორკოვსკოეში ჩამოვედი. აქაურ მეურნეობასთან პირუტყვისთვის უხეში საკვების შესყიდვა-დამზადების ხელშეკრულება გვქონდა დადებული. მაშინ გავიცანი ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი. მომეწონა და გადავწყვიტე დაახლოება. თავდაპირველად ახლოსაც არ მიმიკარა. ჯერ წინააღმდეგობის გადალახვის სირვილმა, შემდეგ კი მისდამი წრფელმა სიყვარულმა, მასზე დაქორწინების გადაწყვეტილება მიმაღებინა. ისიც დამთანხმდა... ერთსაც გეტყვით: მის სიყვარულზე გავცვალე სამშობლო, დედ-მამა, სანათესავო, სამეგობრო, ცოლი, ოთხი შვილი და მას დავუკავშირე ჩემი ბედი და მომავალი ცხოვრება. 27 წელიწადია ერთად ვცხოვრობთ. ვიყავი სანიმუშო მეუღლე, მზრუნველი მამა და მისი ნათესავების პატივისმცემელი და დამფასებელი. ამ ხნის განმავლობაში საქართველოშიც არ ვყოფილვარ. ვერ დავიტირე ბებია-ბაბუა და დედ-მამა, მის მშობლებს კი სანაქებო და შესაშური წესი აუგე და საფლავებიც მოვუწყვე. საკუთარი შვილებისთვის იოტისოდენაც არ გამიკეთებია, მის შვილებს კი გადავყევი. ჩიტის რძე არ მიმიკლია და ცივი ნიავი არ მიმიკარებია... ვფიქრობდი, უსაზღვრო სიყვარულს, უანგარო სამსახურს, მის შვილებზე ზრუნვას და მამის მაგივრობას დამიფასებდა და სიბერეს შევირგებდით, უზრუნველად ვიცხოვრებდით. მაგრამ... - საუბარი ვეღარ გავაგრძელე. ყელში რაღაც მომებჯინა. ბოღმამ და სინანულმა სული შემიხუთა. ცუდად გავხვდი. ნადეჟდა სერგეევნამ წყალი მომიტანა. მოვსვი. სიგარეტი გავაბოლე. ცოტა დავმშვიდდი.

- კონსტანტინ შოტაევიჩ, ადრე კონფლიქტი ხომ არ გქონიათ? როდის შეამჩნიეთ, რომ თქვენს ცოლს თქვენდამი გრძნობები გაუცივდა?

- დაახლოებით სამი თვის წინათ აქაურმა ახლობელმა ლაბინსკში თავისიანების გადაყვანა მთხოვა, ქორწილში იყვნენ დაპატიჟებული. უკანმობრუნებულს, კრასნოდარში, წყალსაცავის ხიდზე ავტოავარია შემემთხვა და მარცხენა ხელი და ფეხი მოვიტეხე. მომათავსეს კრასნოდარის ცენტრალურ სავაადმყოფოში, სადაც ორ თვეზე მეტ ხანს ვმკურნალობდი. ნატალიამ ჩემი უბედურების შესახებ რომ შეიტყო, მაშინვე მომაკითხა. წუხდა. ტიროდა. სახეს იხოკავდა. მთავარ ექიმს ცალკე, კეთილმოწყობილი პალატაც კი გამოაყოფინა. ჩემთან დიდხანს ვერ დარჩებოდა. სკოლას ვერ გააცდენდა. დღეში რამდენჯერმე მირეკავდა. მამშვიდებდა, მამხნევებდა. იყო მზრუნველი და მოსიყვარულე. ბოლო ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის განმავლობაში აღარ დაურეკავს. მეც ვერ ვუკავშირდებოდი, მობილური ტელეფონი გათიშული ჰქონდა. ვღელავდი, რამე უბედურება ხომ არ შეემთხვა-მეთქი. ბოლოს ქალიშვილს - ვერონიკას ვთხოვე, ჩასულიყო კროპოტკინში და შეეტყო, დედას რა სჭირდა. ისიც არ დამზარდა. ორი დღის შემდეგ მომინახულა. ცუდ ხასიათზე იყო. ნირწამხდარი მეჩვენა. მის ოჯახურ პრობლემებს დავაბრალე და უხასიათობის მიზეზს არ ჩავეძიე. დედამისმა რომ არ მომაკითხა და არც შემეხმიანა, ასე ახსნა - მისი კლასი სტავროპოლის მხარეში ექვსკურსია-ლაშქრობაზეა წასული და ისიც თან გაჰყვაო. დავმშვიდდი. სავაადმყოფოდან გამოწერის შემდეგ შინ ვმკურნალობდი. რომ გამოვჯანმრთელდი, ჩვეულ საქმიანობას დავუბრუნდი, გავედი რეისში.მაშინ მივლინებიდან სახლში ადრე, გაუფრთხილებლად, დავბრუნდი. დანარჩენი კი თქვენც მოგეხსენებათ... - სათქმელი დავასრულე და სიმწრითა და ბოღმით ამოვიოხრე.

- კონსტანტინ შოტაევიჩ, გაქვთ რაიმე მტკიცებულება, რომ თქვენი მეუღლე გღალატობდათ? ალექსანდრესთან ინტიმური ურთიერთობის ფაქტს დავამტკიცებთ?

- არა, მაგრამ ოთახში რომ შევუსწარი, ნატალიამ მითხრა, გვიყვარს და ერთმანეთს ვხვდებითო.

- კონსტანტინ შოტაევიჩ, თქვენ რომ შეხვედით, ნატალია და ალექსანდრე რით იყვნენ დაკავებული? ხომ არ კოცნიდნენ ერთმანეთს ან ინტიმური ხასიათის ქმედებებს ხომ არ ჰქონდა ადგილი?

- არა. ინტიმური საღამო ჰქონდათ, სანთლების შუქზე ქეიფობდნენ. ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. შამპანიურის ჭიქები ეჭირათ ხელში...

- გამოდის, რომ ეჭვიანობის ნიადაგზე დაგიწყიათ ჩხუბი. თვითონ გითხრეს, რომ ისინი სკოლის მერხიდან მეგობრობდნენ? ძველი სიყვარული გაიხსენეს? ერთმანეთს ხვდებოდნენ? ანუ მათ არ დაუმალავთ, რომ სანამ თქვენ სავაადმყოფოში მკურნალობდით, მათ ინტიმური ურთიერთობები ჰქონდათ?

- სწორედაც. პირში მომახალეს. როგორ გგონიათ, ამას ნორმალური ადამიანი გაიგებდა და მოითმენდა? თანაც არ დაგავიწყდეთ, მე ქართველი ვარ, კავკასიელი. ჩვენთვის ოჯახი და მეუღლის ერთგულება წმინდათაწმინდაა...

- გასაგებია, მაგრამ კანონის წინაშე ყველა თანაბარი ვართ. განურჩევლად ენის, ეროვნების და ასე შემდეგ... ასე, რომ თქვენს ეროვნულ წარმოშობას, ქართულ მორალს და ზნეობრივ თავისებურებებს მოსამართლე არ და ვერ გაითვალისწინებს. თქვენ რომ მეუღლისთვის სქესობრივი აქტის დროს ან სხვა ინტიმურ მდგომარეობაში წაგესწროთ, მაშინ თქვენი აფექტის მდგომარეობაში ყოფნა დადასტურდებოდა. ეს გარემოება თუ არ გაგამართლებდათ, დანაშაულის შემამსუბუქებელი მაინც იქნებოდა და მოსამართლეს ვთხოვდით, სასჯელის მინიმალური ზომა შეეფარდებინა... - თქვა და თავი ჩაქინდრა.

მესმოდა ადვოკატის. მორალური თვალსაზრისით მე ცამდე მართალი ვიყავი, მაგრამ, ვაი, რომ ხშირად სამართალი და მორალი სხვადასხვა მცნებებია. სამართალი კანონითაა უზრუნველყოფილი, მორალი კი ზნეობრივი კატეგორიაა. საუბედუროდ, მორალური ნორმების დარღვევა კანონით არ ისჯება, ის მხოლოდ საზოგადოების განკიცხვის საგანი შეიძლება იყოს. ჩემი მეუღლის ქმედება რუსეთში არ განიკიცხება, ეს ამ საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმაა. გამართლებაც აქვს, უყვარდა, გადაიყვარა, აღარ უყვარს, გაშორდნენ. სხვა შეიყვარა, ახალი ოჯახი შეიქმნა.

ადვოკატს სხვა კითხვა აღარ დაუსვამს. კიდევ ერთხელ შემახსენა:

- ხვალ სასამართლო სხდომაა დანიშნული. უნდა მოვემზადო, შევეცდები წინასწარი პატიმრობა არ შევაფარდებინო. ყველაზე ოპტიმალური იქნება გაუსვლელობის ხელწერილი ან, უკიდურეს შემთხვევაში, გირაო. გირაოს შემთხვევაში შესატან თანხას მოიძიებთ?

- არაა პრობლემა. თუ საჭირო დარჩა, გირაოს თანხას გრიგოლ ერასტიჩი შეიტანს. მთავარია, თქვენ მას დაუკავშირდეთ.

ამით ჩვენი საუბარი დამთავრდა. ადვოკატმა მალე გამოჯამრთელება მისურვა და გავიდა. მე კი მარტოდ დავრჩი ჩემს დარდთან და საფიქრალთან...

მესამე დღეს ადვოკატი ისევ მოვიდა. ცუდ ხასიათზე არ იყო. მომესალმა. ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა და მაცნობა:

- გუშინ, სასამართლოში, გამოძიების მხარემ და პროკურორმა ბრალი წაგიყენეს. სასამართლომ გაიზიარა ჩემი მოსაზრება, თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მხოლოდ საცხოვრებელი ადგილიდან გასვლა შეგიზღუდა. ბადრაგი მოგეხსნებათ. თავისთავად მნახველებიც მოვლენ. მომჯობინდები და სავაადმყოფოდან გაგწერენ. კავკაზსკაიას რაიონის ტერიტორია არ უნდა დატოვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში აღკვეთ ზომას შეგიცვლიან, დაგაპატიმრებენ. გამოძიება გაგრძელდება...

- ნადეჟდა სერგეევნა, დიდი მადლობა! გაუსვლელობის ხელწერილიც დიდი შეღავათია. წინასწარი პატიმრობის საკანში არ მომიწევს გამომჯობინება და ჯანმრთელობის აღდგენა.

ადვოკატმა საბრალდებო დასკვნა წამიკითხა და ხელი მომაწერინა. შემდეგ წინასწარ შედგენილი და გამომძიებლის მიერ ხელმოწერილი გაუსვლელობის ხელწერილი გამაცნო და აქაც ხელი მომაწერინა. ოქმი და საბრალდებო დასკვნა საქაღალდეში ჩააწყო და მითხრა:

- ახლა უნდა იმკურნალოთ. მალე გამომჯობინდებით. შემდეგ შეხვედრაზე გამოძიების საქმის მასალებს გაგაცნობთ და დაცვის სტრატეგიაც ერთად შევიმუშაოთ, - თქვა და წამოდგა.

- პალატიდან გასვლა რომ დააპირა, შევაჩერე და ვკითხე:

- ბადრაგს როდის მომიხსნიან?

- ოო, კინაღამ დამავიწყდა, ხელმოწერილ ოქმებს გამომძიებელს გადავცემ და, ვფიქრობ, საღამოს ბადრაგი აღარ გეყოლება. სასამართლომდე თავისუფალი იქნები. დანარჩენი მერე ვნახოთ.

- ნადეჟდა სერგეევნა, ბოდიშს გიხდით, რომ გაყოვნებთ, გრიგოლ ერასტიჩს დაუკავშირდით?

- რა თქმა უნდა. შენს უბედურებას ძალიან განიცდის. ბადრაგის მოხსნის შესახებ ცნობას ელოდება. პირველი შესაძლებლობისთანავე გინახულებს. ეტყობა, პატიოსანი და გულკეთილი კაცია.

ადვოკატის ნაამბობმა დამამშვიდა. ხსნის იმედი ჩამესახა. ციხე არ მიმისაჯონ და რაღაცას მოვიმოქმედებ, მოვიფიქრებ. დავწყნარდი და მადაც მომივიდა. მედდა ვიხმე და სადილის შემოტანა ვთხოვე.

თავი XXXIII

ბადრაგი მოხსნეს თუ არა, ჩემს სანახავად გრიშა ძია და მისი მეუღლე, სადაბო საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ანასტასია პეტროვნა მოვიდნენ.

მომხდარს ძალიან განიცდიდნენ, წუხდნენ, ნატალიას საქციელით გაცოფებული და გაოგნებულები იყვნენ.

მათგან ჩემი უბედურების გაზიარებამ და სრულმა მხარდაჭერამ გული ამიჩუყა. ცრემლსაც აღარ ვმალავდი. არ მერიდებოდა ქვითინი.

გრიშა ბიძია სკამზე ჩამოჯდა, ანასტასია პეტროვნა კი საწოლთან მოვიდა, ქოჩორზე მომეალერსა, მომეფერა. იარები, ჩლურჯებული და ადრე მონატეხი ადგილები გამისინჯა. სამედიცინო ფანარი თვალებში ჩამანათა. დაინტერესდა, თავი თუ მტკიოდა, თავბრუხვევის და გულისრევის შეგრძნება ხომ არ მქონდა.

მეუღლეს მიუბრუნდა:

- გრიგოლი ერასტიჩ, საავადმყოფოს ექიმებს ვნახავ. მათ აზრსაც მოვისმენ. მინდა, დაბის საავადმყოფოში გადავიყვანო. ზედამხედველობას გავუწევ. იმედია, ჩემი მზრუნველობით უფრო მალე მომჯობინდება.

მაგიდას დაუბრუნდა. ჩანთა გახსნა, მოსაკითხი მაგიდაზე დააწყო. თავისი გამომცხვარი ღვეზელი მომაწოდა და მითხრა:

- ჩემო კოტე, შენი ამბავი რომ გავიგეთ, გრიგოლ ერასტიჩი კინაღამ გაგიჟდა. სახლში ვიყავით და თქვენთან ხმაურის გამო ჩამოვედით. იმ უღმერთოებმა მოსაკლავად გაგიმეტეს. გრიგოლ ერასტიჩმა უყვირა, გამოლანძღა და ორივე ბინიდან გაყარა. ის უსინდისოები აქეთ დაგვემუქრნენ. გაგსინჯე, უგონოდ იყავი. საჭირო იყო რაიონულ საავადმყოფოში გადაყვანა, კვალიფიციური გამოკვლევა და მკურნალობა. საუბედუროდ, სადაბო საავადმყოფოში შესაბამისი სამედიცინო აპარატურა და სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებიც არ გვყავს. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანით ქალაქში გადაგიყვანეთ. იქ გადაუდებელი დახმარება აღმოგიჩინეს და გამოსაკვლევად სტაციონარში მოგათავსეს. მომხდარის შესახებ საავადმყოფოს ადმინისტრაციამ პოლიციას აცნობა. მოვიდნენ, მოგვისმინეს, ცხელ კვალზე დაჰკითხეს ნატალია და ალექსანდრე. მათ ჩვენება მისცეს, რომ თავს დაესხი და ორივე უმოწყალოდ სცემე. იმ არამზადას განუცხადებია, რომ მხოლოდ თავდაცვისა და შენი განეიტრალების მიზნით ჩაურტყმს შამპანიურის ბოთლი. გამოძიებამ ეჭვმიტანილად გცნო. პალატის კარებთან ბადრაგი დაგიყენეს. შენთან ყოველგვარი კონტაქტი აგვიკრძალეს. ადვოკატი ყოჩაღი გოგო აღმოჩნდა. ყველაფერი იღონა, რომ მოსამართლეს შენთვის შედარებით მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიების ზომა შეეფარდებინა.

დიდხანს ვისაუბრეთ. ვიმსჯელეთ. წასვლის წინ გრიშა ბიძიამ იმედი მომცა, დამამშვიდა:

- კოტე, გპირდები, ყველა ღონეს ვიხმარ, მთელ საახლობლოს ფეხზე დავაყენებ და ციხეში არ გაგიშვებ!

წავიდნენ. დავრჩი მარტოდ. მწარე და უსიამოვნო ფიქრები მიბურღავდა ტვინს.

ანასტასია პეტროვნას თხოვნით და მითითებით დამამაშვიდებელი და საძილე წამლები დამალევინეს. ჩამეძინა.

მეხუთე დღეს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით, დაბა გორკოვსკოეს კლინიკაში გადამიყვანეს.

ანასტასია პეტროვნამ ყველაფერი გააკეთა, რომ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ვყოფილიყავი.

მნახველები ბევრი მყავდა: მეზობლები, ძველი და ახალი თანამშრომლები. ევგენი და ვერონიკაც ჩამოვიდნენ ოჯახებთან ერთად. წუხდნენ მომხდარით. დედას ამტყუნებდნენ და სიტუაციიდან გამოუვალობით დამძიმებულები და სასოწარკვეთილები უმწეოდ ხელებს ასავსავებდნენ. საფრანგეთიდან დიანამაც დამირეკა. მომიბოდიშა, ასეთი მძიმე მდგომარეობის დროს ჩემს გვერდით რომ არ იმყოფებოდა. პატიება მთხოვა, დამაიდა, პირველი შესაძლებლობისთანავე ჩამოვალ და გინახულებო. გული დამწყდა...

გრიშა ბიძია ყოველ დღეს მაკითხავდა. მეუღლის ნახელავი ნუგბრით მანებივრებდა. ანასტასია პეტროვნა იყო ჩემი მკურნალი ექიმი. შვილივით მივლიდა. ხალხური მედიცინის საშუალებებსაც მაძლევდა. ცდილობდა, შერყეული ჯანმრთელობა დროულად აღმედგინა.

მისმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო: რამდენიმე დღეში დამოუკიდებლად სიარული შევძელი, თუმცა უღონოდ ვიყავი. დავსუსტდი. სახეზე სიყვითლემ იძალა. თვალების გარშემო, შუბლზე, ღაწვებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეთქლებზე ნაოჭები გამიჩნდა. ჭაღარაც საგრძნობლად შემერია. ერთი სიტყვით, ნახევარი წლის განმავლობაში, თხუთმეტი წლით მაინც, მოვხუცდი. ჯამრთელობა საგრძნობლად შემერყა. მონატეხი ადგილები, განსაკუთრებით ნესტიან ამინდში, მტკიოდა, მტეხდა, მაგრამ ამას ნაკლებად განვიცდიდი. გაურკვევლობა და მომავლის შიში მკლავდა. რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო? რომ მომისაჯონ?! შერყეული ჯანმრთელობით ციხის გაუსაძლის პირობებს რამდენ ხანს გავუძლებ?

ეჰ, რა უცებ დამთავრდა ბედნიერება, უზრუნველი ცხოვრება!.. ჯერ იყო და, ავტოავარიაში დავსახიჩრდი, ცოლმაც მიღალატა, ოჯახი თავზე დამენგრა. დავრჩი უსახლკარო და მიუსაფარი... ახლა იმის მოლოდინში ვარ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?!.

ნაცოლარმა სასამართლოში გაყრის მოთხოვნით განცხადება შეიტანა. პრეტენზიები არ გამომითქვამს. ბინის წილის ფულადი კომპენსაცია მერგო. ევგენიმ მიკროავტობუსი დამითმო, ჩემს სახელზე გადმოაფორმა.

ჩემი თხოვნით, გრიშა ბიძიამ მიკროავტობუსიც გაყიდა და თანხა ბანკში ჩემს სახელზე გახსნილ ანგარიშზე შეიტანა. დაბის ხელმძღვანელობა შეაწუხა და ქარხნის საერთო საცხოვრებელში ოთახი გამოაყოფინა.

მალე საავადმყოფოდან გამწერეს. ახალ ბინაში ჩემი კუთვნილი ჭურჭელ-ინვენტარი და პირადი ნივთები გრიშა ბიძიამ გადმომიტანა.

ნატალიას დანახვაც არ მინდოდა.

თავი XXXIV

ერთ საღამოს დაბის ფოსტალიონმა სასამართლოს უწყება მომიტანა.

ვიცოდი: გრიშა ბიძიას და ადვოკატის მცდელობის მიუხედავად, ნატალიამ და მისმა საყვარელმა საჩივრის უკან გამოტანაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. ის კი არა, დაჟინებით მოითხოვდნენ ჩემს დასჯას. რა თქმა უნდა, მათ მყუდრო ცხოვრებას ჩემი გარეთ ყოფნა დისკომფორტსაც უქმნიდა და საფრთხესაც.

მოსალოდნელი იყო, სასამართლოს ჩემი გამამტყუნებელი გადაწყვეტილება მიეღო.

ადვოკატი და გრიშა ბიძია სასამართლოში გამოძახების შესახებ საქმის კურსში ჩავაყენე.

სიმართლე გითხრათ, ბედის უკუღმართობას უკვე შევეჩვიე. ჩემთვის არც სასამართლოს გადაწყვეტილება იყო მნიშვნელოვანი. უიღბლო სიყვარულს და ცხოვრების ამაოებას დავსტიროდი. ბედის და განგების მწყინდა, ასე, ხუხულასავით, რომ დამენგრა ცხოვრება.

იმასაც ვფიქრობდი, ცოდვამ მიწია-მეთქი, უაზროდ, უმიზეზოდ, უღმერთოდ მიტოვებული მშობლების, ცოლ-შვილის, სამშობლოს ცოდვამ.

ღმერთი სამართლიანია!...

სასამართლო სხდომა დიდხანს არ გაგრძელებულა. მოსარჩელეებმა და მოწმეებმა ადრე მიცემული ჩვენებები დაადასტურეს და მოითხოვეს ჩემი დასჯა.

ბრალდების მხარემ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართილს კოდექსის შესაბამისი მუხლის შფარდება და სასჯელის სათანადო ზომა მოითხოვა.

ადვოკატი მომზადებული და თანმიმდევრული იყო. ჩემს დაცვას არგუმენტირებულად შეეცადა, მაგრამ მოსამართლის რეაქციიდან გამომდინარე, ვგრძნობდი, ჩემი საქმე წასული იყო.

სასამართლო გამოძიება დამთავრდა. მხარეებმა შემაჯამებელი და დასკვნითი სიტყვები წარმოსთქვეს. ორივე მხარე თავიანთ პოზიციაზე დარჩა. მეც მომცეს თავის მართლების შესაძლებლობა. მსაჯულმა აღიარა, რომ ზნეობის და მორალის თვალსაზრისით მართალი ვიყავი, მაგრამ თავისუფალი საზოგადოება და სამართალი ვერ დაუშვებს კერძო პირის მიერ, თუნდაც ნამდვილი დამნაშავის, პირადი შეხედულებით დასჯას. ეს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

სასამართლო სათათბირო ოთახში გავიდა.

დარბაზი მოვათვალიერე.

გრიშა ბიძიას სევდიანი, ცრემლჩამდგარი თვალები დავინახე. სახე მომარიდა. ჩემზე ნაკლებად არ წუხდა. კიდევ ერთი ქართველის გაფარჩაკება გულს უთუთქავდა, ალბათ.

ნატალია თავჩაღუნული იჯდა. მზერას მარიდებდა. ნეტა, თუ ნანობდა?!

ალექსანდრე კი ნამდვილად კარგ ხასიათზე იყო. იქნებოდა ბედნიერი, აბა, რა! სხვისი ნაშრომ-ნაჯაფი ქონება და ოჯახი მიითვისა. მთელი ცხოვრება უაზროდ და უპასუხისმგებლოდ რუსეთის უკიდეგანო ტრამალებში იხეტიალა. არც თავისი და არც სხვისი ოჯახი ურჩენია. არც თავისი და არც სხვისი შვილები გაუზრდია, არ უზრუნია, მათ საწოლთან ღამეები არ უთენებია. სიბერის ჟამს მზამზარეული მიითვალა ყველაფერი, მშვიდი და ბედნიერი სიბერე გაინაღდა. ფეხებზე არ ჰკიდია კოტეს ამაგი?! ვინაა მისთვის უცხოტომელი!.. ვიღაც კავკასიური წარმოშობის კაცი?!.

გული მეტკინა. სული ამეწვა. ახია ჩემზე. ”რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო,”- მომაგონდა ქართული ანდაზა...

ბურანიდან სასამართლოს მდივნის ბრძანებამ გამომიყვანა.

სადღაც შორეთიდან ჩამესმა: ადექით, სასამართლო მოდის!

დარბაზში მყოფნი ფეხზე წამოდგნენ. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მოსამართლეს მისჩერებოდა. მსაჯულმა სათვალეები შეისწორა. ჩაახველა და დინჯად ჩაიკითხა: ხოშორაძე კონსტანტინე შოთასძე რუსეთის ფედერაციის სისხლის სმართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ცნობილიქნას დამნაშავედ და მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, სასჯელის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

პატიმრობაში სასამართლოს დარბაზშივე ამიყვანეს. ხელბორკილები დამადეს. ბადრაგი ამომიყენეს და დარბაზიდან სამსახურებრივი გასასვლელით გამიყვანეს.

ჯერ კროპოტკინის საგამოძიებო იზოლატორში მომათავსეს. ცოტა ხნის შემდეგ კი ეტაპით არმავირის შრომა-გასწორების კოლონიაში გადამიყვანეს.

კარანტინის შემდეგ გამამწესეს მეოთხე რაზმში. ჩამრიცხეს მექანიზატორთა ბრიგადაში. კიდევ ერთ პატიმართან ერთად "კამაზის" მარკის თვითმცლელი ჩამაბარეს.

დილიდან საღამომდე ვმუშაობდით. დაღლილ-დაქანცული ლოგინამდე, უფრო სწორად, "შკონკამდე" ძლივს მივლასლასდებოდი.

ჩემს თავში ჩავიკეტე. არც "ჩალიჩი" მაინტერესებდა, არც კარტი და არც ხშირი კრიმინალური გარჩევები. საკნის "მაყურებელს" და სხვა პატიმრებს ვთხოვე, ჩემთვის თავი დაენებებინათ, ზედმეტად არ შვეწუხებინე. მე არც კრიმინალური წარსული მქონდა და არც ქურდულ "გაგებას" ვიზიარებდი. ერთი უბრალო მძღოლი კაცი ვიყავი, მეტი არაფერი.

პატიმრებმა გამიგეს. არ მაწუხებდნენ...

დრო უღიმღამოდ მიდიოდა. ზამთარიც დადგა...

ერთხელ მეზობელი ზონის სამშენებლო ობიექტზე მიმავლინეს. გზაში მანქანა გამიფუჭდა. ზონის უფროსი გაბრაზდა, ბრძანა, სანამ მანქანას არ შეაკეთებს, ბარაკში ვერ დაბრუნდებაო. რაღა მექნა. ბადრაგს ჩამოვუწერე აუცილებელი სათადარიგო ნაწილების სია და ავტომობილის შეკეთებას შვუდექი. ღამით მოთოვა. დილით კი ყინვები დაიჭირა. დაღლილი-დაქანცული, მთლიანად სველი და გათოშილი დავბრუნდი ჩემს რაზმში. გავცივდი. მაღალი სიცხე მომცა. მთელ ტანში მამტვრევდა. აუტანლად მტკიოდა მონატეხი ხელ-ფეხი. ლაზარეთში გადამიყვანეს. ორ კვირაში მოვმჯობინდი, მაგრამ უყურადღებობის, ცუდი კვებისა და სათანადო პრეპარატების უქონლობის გამო ბოლომდე ვერ განვიკურნე. ისედაც შერყეული ჯანმრთელობა უფრო გამიუარესდა.

ფილტვების ფარული ანთება დამემართა. სიცივემ, ცუდმა კვებამ და გაუსაძლის პირობებში ცხოვრებამ და მუშაობამ საბოლოოდ გაანადგურა ჩემი ჯანმრთელობა, დავჭლექიანდი... თითქმის მთელი ზამთარი ლაზარეთში გავატარე. გაზაფხულზე ცოტა მოვმჯობინდი.

"გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო,"- ბრძენ წინაპრებს უთქვამთ. ერთხელ "პარაშის" გატანისას ყინულზე დავცურდი და მარჯვენა ფეხი მონატეხ ადგილზე კვლავ მოვიტეხე.

ერთ ხანს სიკვდილ-სიცოცხლეს ვებრძოდი. ბოლოს და ბოლოს ციხის ადმინისტრაცია მიხვდა ჩემი პატიმრობაში შემდგომი ყოფნის უაზრობას და ვადამდე პირობით გამათავისუფლა. დამოუკიდებლად გადაადგილება აღარ შემეძლო. ჩემი თხოვნით ციხის ადმისტრაცია დაუკავშირდა გრიგოლ ჩუტიძეს და ჩემი კროპოტკინში, ე. ი. სახლში გადაყვანა სთხოვა.

გრიშა ბიძიამ მეორე დღესვე მომაკითხა. გამათავისუფლეს. მართალია, ჯანმრთელობა საბოლოოდ გამიტყდა,ჯანი და ღონე ძველებურად აღარ მომდევს, მაგრამ თავისუფალი ვარ...

ციხის მასიური რკინის კარები მძიმედ გაიღო. მომისროლა, როგორც უვარგისი ნივთი და ისევ ჩაირაზა.

გრიშა ბიძია დასუსტებული,დანაღვლიანებული და გულგატეხილი მეჩვენა. უხასიათოდ იყო. ცივად მომესალმა. უხალისოდ მიმაცილა მანქანამდე. მთელ საათს სიტყვაგაუცემლად ვმგზავრობდით. სიჩუმე ისევ მე დავარღვიე:

- არმავირის კოლონიამ ჩემი მეგობარი და თანამემამულე კორნელი ფუტურომე მოინელა. საფლავიც ვეღარ ვნახე. მე კი ხეიბარი და ჭლექიანი, როგორც ზედმეტი ბარგი და უსარგებლო ნივთი, მომისროლა... ახლა რა ვქნა? სად წავიდე?!

- ეეჰ, ჩემო კოტე, ცხოვრება ულმობელია. შენც როგორ მოგექცა?!... ვინ წარმოიდგენდა, რომ ჯან-ღონით სავსე, მზრუნველი და გამრჯე კაცი წელიწადნახევრის განმავლობაში ამ დღეში ჩავარდებოდი. ქალის შესაძლებლობები და მზაკვრობანი უსაზღვროა. გსმენია, ალბათ, ასეთი შგონება: "ქალი აგავსებს და ქალი დაგავსებსო." შენ ქალმა მრუშობითა და ორგულობით დაგავსო და გაგაუბედურა, მე კი ჩემმა ანასტასიამ მიმატოვა. წელს ზამთარში გამომეცალა ხელიდან. დაიძინა და აღარ გამოიღვიძა. დავრჩი ცალუღელი, მარტოსული... პენსიაზე გავედი. დილა-საღამოს სასაფლაოზე ვარ, ჩემი ნასტიას სამარეს ვეფერები. ვსაყვედურობ, რატომ მიმატოვე, რატომ ჩამიშხამე სიბერე... ვემუდარები, მეც წამიყვანე და საბოლოოდ მოვისვენებ-მეთქი.

- ვიზიარებ შენს მწუხარებას. არ ვიცოდი. ან საიდან უნდა მცოდნოდა ოთხ კედელში გამომწყდეულს, გარე სამყაროს მოწყვეტილს. ანასტასია პეტროვნა ღირსეული ადამიანი იყო. მზრუნველი, კარგი მეუღლე და დიასახლისი... სავაადმყოფოში როგორ ზრუნავდა ჩემზე, განიცდიდა ჩემს თავს დატეხილ უბედურებას... - გავჩუმდი. ამოვიოხრე.

- მართალი ხარ, ჩემო კოტე! ის ჩემი სამშობლოც იყო, მეგობარიც, თანამეცხედრეც... ახლა რაღა მეშველება?! ცოტაც და სამოცდათხუთმეტის გავხდები. აღარც მუხლი მერჩის და აღარც ღონე. ჩემი ქალიშვილი ოჯახთან ერთად ჩამოვიდა დედის დასატირებლად. ოც დღეს დარჩნენ. სიძე ორმოცსაც არ დაელოდა, იწუწუნა,- საქმეები გადავდე, ბავშვებმაც სკოლა გააცდინესო და წავიდნენ.

ამას წინათ ინტერნეტში ქართული საიტი მოვიძიე და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე წავიკითხე. აი, რა ეწერა:

”როცა ადამიანი წყვეტს, წავიდეს საცხოვრებლად უცხოეთში, უნდა ახსოვდეს, რომ მისი შთამომავლობა მოისპობა. მე არაფერს ვამბობ სასწავლებლად წასულზე. ქართველმა ადამიანმა უნდა ისწავლოს უცხოეთში, თუმცა როდესაც საცხოვრებლად მიდიხარ, ადგილობრივი შთანთქავს შენს ისტორიას და კულტურას. ადამიანი მტკიცედ უნდა იდგეს ეროვნულ ნიადაგზე. უნდა იცნობდეს ქართულ ისტორიას, კულტურას და ამის შემდეგ შეიძლება წასვლა უცხოეთში, ისიც მცირე ხნით”.

განსაკუთრებით გულში მახვილივით მომხვდა სიტყვები: ”უნდა ახსოვდეს, რომ მისი შთამომავლობა მოისპობა.” ვაი, რომ არც შენ და არც მე ეს სიტყვები ადრე არ გვსმენია...

- ეეჰ, გრიშა ძია, მე კისერზე უფრო დიდი ცოდვა მაწევს, ვიდრე შენ. ცოლი და ოთხი ქალიშვილი უმიზეზოდ და უაზროდ მივატოვე სამშობლოში და რის გულისთვის?! იმ ქალის გამო, რომლის სიყვარულმა დამაბრმავა, ვისი შვილებიც ვიშვილე და გავზარდე. ეს მაშინ, როცა ჩემი შვილები მამის ხელსა და ყოველგვარ მზრუნველობას იყვნენ მოკლებულნი... ის კი როგორ მომექცა, ვიღაც ნაძირალა-მოხეტიალეში გამცვალა, ოჯახი თავზე დამანგრია. შეურაცხყოფა და გათახსირება არ მაკმარა, ციხეშიც ამომაყოფინა თავი... ვინ ვარ ახლა მე?!. უსამშობლო, უსახლკარო, მიუსაფარი, დასნეულებული, ჭლექიანი და ხეიბარი... - დავდუმდი და მწარედ ავქვითინდი. ამდენმა ტანჯვამ, დარდმა და მწუხარებამ, გამოუვალმა და უსუსურმა მდგომარეობამ ნერვები მთლად ამიწეწა, გონება და ნებისყოფა დამიჩლუნგა, გულჩვილობა დამჩემდა. ხშირად ცრემლით ვიოხებ დანაცრულ გულს...

- ჩემო კოტე, შენ მაინც შეგრჩა საქართველოში ფესვი და ძირი. მართალია, შენი ზრუნვის გარეშე, მაგრამ ქალიშვილები დაგეზარდნენ, უკვე შვილიშვილებიც გყავს. მშობლიურ, ქართულ გარემოში იზრდებიან. მე კი ჩემთვის და საქართველოსთვისაც შთამომავლობა მოვსპე. ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ჩემს ქართულ გვარსაც აღარ ატარებს... თუნდაც ატარებდეს, რა მნიშნელობა აქვს, ქართული ენა არ იცის, ქართულ ისტორიას და კულტურას არაა ნაზიარები. აღზრდა-განათლებით, მსოფლმხედველობითა და ეროვნული შეგნებით ჩამოყალიბებული რუსია. ზნეობა და მორალიც რუსული აქვს. გათხოვდა თავისი ნებით, ჩემთვის არც უკითხავს. ქართული გვარიც ადვილად დათმო. იმის მიუხედავად, რომ ჩემი გვარის ერთადერთი გამგრძელებელი იყო... ეს იმიტომ მოხდა, რომ საქართველოსთან და, საერთოდ, ყოველივე ქართულთან გენეტიკური კავშირის გარდა არაფერი აკავშირებდა... საქართველოსა და ქართველ ერთან კონტაქტი არ ჰქონდა, მის წინაშე პასუხისმგებლობას არ გრძნობდა... შვილიშვილებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია... მე მოვსპე ჩემო შთამომავლობა, ცოცხლად დავმარხე ჩემი თავი... - თქვა და ცრემლები მოეძალა.

მანქანა გზიდან გადააყენა. ჩუმად, სიტყვაგაუცემლად, დაურიდებლად ვქვითინებდით ორი ქართველი მამაკაცი. ოდესღაც გოროზი სიამაყითა და კაიქართველობით გადიდგულებულები, პურმარილიანები, გაჭირვებულსა და უპოვარზე ხელისშემშველებლები. უცნობ-ნაცნობის და ქვრივ-ობოლთ განმკითხველნი. სულითა და ხორცით ძლიერნი, ახლა კი - მარტოსულები, გათითოკაცებულები, შთამომავლობამოსპობილები, მიუსაფარნი, იმედ და ჯანგატეხილები..

გოდებითა და მოთქმა-ვაებით ვიჯერეთ გული. მოვიოხეთ.გზა უბრად განვაგრძეთ...

ცოტა დავწყნარდი.

ყოფითი საფიქრალი მტანჯავდა. ვეღარ მოვითმინე და ვკითხე:

- გრიშა ძია, ვიცი, არ უნდა მენაღვლებოდეს, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მტანჯავს, სადაა ნატალია, როგორ არის?

- ჩემო კოტე, ასეთი უმადურობა და ურჯულობა ჯერ არ მინახავს! თითქმის ოცდაშვიდი წელიწადი ერთად ცხოვრობდით. მან ეს ყველაფერი უცებ წაშალა, გამოხვეტა ნაგავივით და... შენი დაპატიმრების შემდეგ მალევე იქორწინეს. ერთ კვირაში ალექსანდრე შენს ბინაში გადაბარგდა. ოჯახური იდილია სუფევს, თითქოს ნატალიას ცხოვრებაში არასდროს ყოფილხარ. შვილებიც მალე შეეგუენ ამ გარემოებას. ხშირად აკითხავენ, სტუმრობენ, ერთად დღეობებსაც მართავენ. ვერონიკა და ევგენი ალექსანდრეს თბილად და ტკბილად ეპყრობიან, შვილიშვილები კი ბაბუკას ეძახიან. ეჭვიც კი შემეპარა, ევგენი ხომ არ აპირებდა ქართული გვარის გამოცვლას? დრო შევურჩიე და ვკითხდე. იწყინა,- კოტე ჩემი მამაა, გამზრდელი. მის გვარს მეც და ჩემი შთამომავლობაც სამუდამოდ ვატარებთო. გამიხარდა. გული ისევ ამომიჯდა...

- ჩემთვის ესეც შვებაა, ცოტა ნუგეშიც. ხომ გაგიგონია - ”წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო...” მაგრამ ეს ცუდიცაა, ჩემი გვარი ფორმალურად ექნებათ, ყოველგვარ ქართულ შინაარსსა და არსს მოკლებული და იდენტურობას მოწყვეტილი... - ჩავიქნიე ხელი.

- ჩემო კოტე, ახლა რას აპირებ, სად იცხოვრებ? ხომ არ ჯობდა, ორ მარტოხელას ერთ ჭერქვეშ გვეცხოვრა? - მკითხა გრიშა ბიძიამ.

- დიდი მადლობა, მაგრამ შენთან ვერ ვიცხოვრებ. ასე განადგურებული, დასნეულებული და გაფარჩაკებული ნატალიას ვერ ვეჩვენები. ვერ გავახარებ მის საყვარელს თუ ქმარს. მეორეც, არ მინდა კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამე შარში გავეხვიო. მართალია, უკვე ნაკაცარი ვარ, მაგრამ სულით და ხორცით მაინც ქართველი... საერთო საცხოვრებელში დავბრუნდები,ალბათ, - ვთქვი და კითხვა შევუბრუნე:

- შენ რას აპირებ?

- მე?! - თავისთავს შეეკითხა, - მე?.. საქართველოში და-ძმა მყავს, მათი შვილები... საახლობლო და სამეგობრო. წავალ, სიტუაციას შევისწავლი... სიზმარეული ზმანება არ მასვენებს - მიწა მეძახის, მშობლების და წინაპრების ხსოვნა და მათი საფლავები მიხმობენ! ჩემი ბავშვობის ადგილები მენატრება, მოგონებები გულს მიკუმშავს, სულს მიფორიაქებს, მის მარადისობას მანატრებს და მახსენებს... წავალ, ალბათ... შენც წამოდი საქართველოში!

- გრიშა ძია, სულის შეძვრამდე მინდა სამშობლოში დაბრუნება. აქ აღარაფერი დამრჩენია, მაგრამ მრცხვენია, მრცხვენია და მერიდება. როცა ყველაზე მეტად ვჭირდებოდი, მაშინ ვუღალატე მამულს, მშობლებს, ცოლ-შვილს... რა პირით შევხედო მათ? რა ვუთხრა? - უძღები შვილი დაგიბრუნდათ და შეუნდეთ-მეთქი?! ჩემი შვილები სურათით თუ მიცნობენ... მშობლისადმი სიყვარული მათში მე ჩავკალ... თუნდაც შემინდონ და მაპატიონ, უთქმელი, მდუმარე საყვედური მუდამ ეხლება ჩვენს ურთიერთობებს... იქ დიდი ხანია გამომიტირეს... რა პირით, რა ნამუსით მივიდე ბებია-ბაბუის, მშობლების საფლავებთან?! ბაბუაჩემი სარკმელთან, მონატრებითა და სევდით მზირალი, მომკვდარა, ერთადერთ ვაჟ - შვილიშვილზე დარდით და გაუსაძლისი მოლოდინით წასულა წუთისოფლიდან... მშობლებიც იმას ნატრობდნენ, ერთადერთმა ვაჟიშვილმა დაგვიხუჭოს თვალები და მიგვაბაროს მიწასო... არა, გრიშა ძია, ამას ვერ შევძლებ. სინდისის ქენჯნა დამტანჯავს, მომინელებს. მირჩევნია, აქ გავატარო დარჩენილი დღეები, ჩემთვის, მარტოდ მარტომ... ასე სჯობია... - საუბარი ვეღარ გავაგრძელე, ისევ ამომიჯდა გული...

- მესმის შენი. ასეთ საქმეებში ცუდი მრჩეველი ვარ. ქართული ანდაზაც შეგვაგონებს: - "სხვა სხვისა ომში ბრძენიაო"...

დაბაში გვიან ღამით შევედით. ჩემს ოთახში ყველაფერი ხელუხლებელი დამხვდა. ობს და აბლაბუდას ემძლავრა მხოლოდ.

ციხიდან გამოყოლილი ხიბაკი კუთხეში მივაგდე.

გრიშა ბიძიამ ფულის დასტა და შემნახველი ბანკის წიგნაკი გადმომცა:

- აქ შენი წილი ბინისა და მიკროავტობუსის გაყიდვის შედეგად ამონაგები თანხაა, ანგარიშის ნომერი და კოდი თან ერთვის. კარგა ხანს გეყოფა, შემდეგ რაღაცას მოვიფიქრებთ.

ერთხანს უხმოდ ვიჯექით. ეტყობა, მასაც უმძიმდა ჩემი ტანჯვა-ვაების და სიგლახის ყურება, მომიბოდიშა და წავიდა.

თავი XXXV

დაღლილ-დაქანცულს მალე ჩამეძინა. გვიან გავიღვიძე. შიმშილისაგან კუჭი მეწვოდა. ჩავიცვი. ჩავედი ეზოში. ხშირად, ყრუდ მახველებს. ჭლექის ბრალია, ალბათ. არავის ნახვა არ მინდა. ხალხთან შეხვედრის მრცხვენია და მერიდება. ან როგორ ვეჩვენო?! ოდესღაც ამაყი და დარდიმანდი, ქალების გულთამპყრობელი და გულადი ქართველი ვაჟკაცი... ახლა ვინ ვარ?! - დაავადებული, ხეიბარი, დაჩაჩანაკებული, ქალისაგან ნაღალატევი, ოჯახიდან გამოპანღურებული, ჭლექიანი, დაჩიავებული. ამდენი ნაცნობი და ახლობელი მაინც არ მყოლოდა... მწარე ფიქრებიდან ნაცნობმა ხმამ გამომიყვანა:

- ოო, კოტე, ძვირფასო! გათავისუფლებას და დაბრუნებას გილოცავ!

ხმას მივუბრუნდი. თომა იყო. ძველი ტრაქტორისტი. ახლა კი გალოთებული და ჩემზე არანაკლებ გაფარჩაკებული. მისი დანახვა გამიხარდა. უფრო იმიტომ, რომ სასურსათო მაღაზიაში გავგზავნიდი... მივესალმე, ზრდილობის გამო მოვიკითხე. ფული გავუწოდე, ჩამოვუთვალე, რა უნდა ეყიდა და საერთო საცხოვრებელში შევბრუნდი.

თომა ცოტა ხანში დაბრუნდა. სურსათ-სანოვაგესთან ერთად, რა თქმა უნდა, სიგარეტი და არაყიც ეყიდა. კერძი მოვამზადე, მაგიდა გავშალე. ცოტა დავლიეთ. ერთმანეთს ჭირ-ვარამი გავუზიარეთ. თომას შემხედვარეს, რატომღაც, სულმნათი ილიას სიტყვები მომაგონდა: "... ერთ ბედს ქვეშა ვარ, ლაბავ, მე და შენ"...

მე და თომა დავმეგობრდით, ერთმა ბედმა და ხვედრმა სამუდამოდ დაგვაკავშირა.

გრიშა ბიძია ხშირად მაკითხავდა, მირჩევდა, არაყს ძალიან არ მივძალებოდი. ჭლექიანი კაცის ჯანმრთელობა გამუდმებულ სმას ვერ გაუძლებს და დაიღუპებიო.

იქნებ, მეც ეგ მინდა... დავიღალე უაზრო ცხოვრებისაგან. რა ძნელი ყოფილა უიმედო, უმომავლო, გაურკვეველი ცხოვრება, - გავიფიქრე, მაგრამ მისთვის არაფერი მითქვამს.

სანამ გრიშა ბიძია დაბაში იყო, ალკოჰოლოს ცდუნებას ხშირად ვუძალიანდებოდი, არ მინდოდა, გამეწბილებინა ბერიკაცი. რა თქმა უნდა, თანამეინახეები მაკითხავდნენ, ვუმასპინძლდებოდი, მაგრამ უზომოდ არ ვსვამდი.

ერთ საღამოს გრიშა ბიძია მოვიდა. კარგ ხასიათზე იყო. ხუმრობდა. ცოტა დალია კიდეც. მიზეზი თავად მითხრა:

- გუშინ ბათუმიდან დამირეკეს. ჩემს ძმას ქორწილი ჰქონია - რძალი მოჰყავს. პირობა ჩამომართვეს, ქორწილში აუცილებლად უნდა ვიყო. ხომ არ წამომყვებოდი?! - მკითხა და გამომცდელად თვალი თვალში გამიყარა.

- გრიშა ძია, ვერ წამოვალ. ჩემი ამბავი კი იცი. პასპორტიც არ მაქვს. საზღვარზე ვინ გამიშვებს? - ვითომ თავი ვიმართლე.

- მესმის შენი. გადავწყვიტე, საკუთარი მანქანით წავიდე. გავიგე, რუსეთ-საქართველოს საზღვარი დარიალის მონაკვეთზე გაუხსნიათ. საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმიც კი დაუშვია... ამ გზით ჯერ არ ვყოფილვარ. თან დავათვალიერებ, მანქანით უფრო მოსახერხებელი იქნება. ზუსტად არ ვიცი, როდის დავბრუნდები. შევეცდები, თუ ჯამრთელობამ არ მიმტყუნა, უკან მალე მოვბრუნდე. შენი მარტოდ დიდხანს დატოვებაც არ შეიძლება. შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა მაშფოთებს. ძალიან გთხოვ, სასმელს არ მიეძალო, დაგღუპავს. საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხა გაქვს, სახელმწიფო დახმარებაც დაგერიცხება. იქ შენს ნათესავებსაც მოვინახულებ. მჯერა, ჩამოვლენ და წაგიყვანენ. აბა, ხომ არ გაგწირენ? - თქვა, მომეხვია, კარგად ყოფნა მისურვა და დამემშვიდობა.

ჩემი უკანასკნელი ნუგეშიც წავიდა...

თავი XXXVI

მეორე დღეს თომა და მისი თანამეინახე ანდრეი მესტუმრნენ. სათევზაო მოწყობილობა თან ჰქონდათ. ერთად თევზაობა შემომთავაზეს. ჩემი და გრიშა ბიძიას "ფიქრის კარავი" მომაგონდა. ღმერთო ჩემო, რა უმადური ვარ!? თითქმის ორი თვე გავიდა, რაც დაბაში დავბრუნდი და ჩემი საყვარელი ადგილი არ მოვინახულე. იქ ყოფნას რა სჯობია: - ჩვენი ფარდული, ჭადრის და ფიჭვის ჩრდილები, ჩიტების ჭიკჭიკი და გალობა, წყალსაცავი, ტალღების ლივლივი და ლელიანის შრიალი, სუფთა ჰაერი, ღამის სიმყუდროვე და სიმშვიდე....

შემოთავაზებამ გამახარა.

- თომა, ნამდვილი ჯადოქარი ხარ! იქ ხომ ჩემი ფარდულია! რა სჯობია თევზაობას! ღია კოცონზე მომზადებულ უხას! იქ ფიქრსა და ოცნებას...

- შე დალოცვილო! "უხა" და ასი გრამი არაყი, ამას რა სჯობია! - შესძახა თომამ და მადააღძრულმა ტუჩები ააწკლაპუნა.

წავედით სათევზაოდ. ავიღეთ სურსათი, სიგარეტი და რამდენიმე ბოთლი არაყი. წყალსაცავს მივაშურეთ.

სანამ თომა და ანდრეი თევზაობდნენ, ფარდულის კარი გავხსენი. გავანიავე. ქვეშაგები და ფარდები გავამზეურე. ჯამ-ჭურჭელი დავრეცხე. შეშა შევაგროვე. თუჯის კარდალი წყლით გავავსე და ცეცხლზე შემოვდგი.

თომამ და ანდრეიმ თევზი ბლომად დაიჭირეს. გავწმინდეთ. დავანაწევრეთ და კარდალში ჩავაწყვეთ. ცოტა ხანში სასიამოვნო სურნელი დატრიალდა. კარგად მოვილხინეთ... იმ ღამეს საერთო საცხოვრებელში აღარ წავსულვარ. აქ მოვისვენე. მომეწონა. გადავწყვიტე, სანამ სიცივეები არ დაიჭერს, ფარდულში ვიცხოვრებ.

მეორე დღეს საერთო საცხოვრებლიდან ტანსაცმელი და საჭირო ნივთები წამოვიღე და დროებით საცხოვრებლად ფარდულში გადავედი.

თომა და ანდრეი ყოველ დღე მაკითხავდნენ. თევზს ვიჭერდით, ხან ვწვავდით, ხან ვხარშავდით და ვლოთობდით.

ბოლოს ისე წავიდა საქმე, რომ ალკოჰოლის გარეშე აღარ შემეძლო. ნაბახუსევზე ერთიანად ამტკივდებოდა მთელი სხეული. განსაკუთრებით სახსრებში მტეხდა. დავლევდი და ტკივილები მაშინვე დამიამდებოდა, სამოთხეში მეგონა თავი.

ალკოჰოლმა თავისი ქნა. დასუსტებული და ჯანგატეხილი ორგანიზმი უთავბოლო და გამუდმებულ ლოთობას და სიცივეს ვეღარ უძლებდა.

ჭლექი გამირთულდა, გამუდმებით ვახველებდი. ერთ დილას ამონახველს სისხლიც ამოჰყვა. ვიცოდი, ეს ტუბერკულოზის განვითარების ბოლო ფაზაა. ფილტვებში კავერნები გამეხსნა. ესე იგი ჩემი სენი უკვე გადამდები და უკურნებელი გახდა.

სიკვდილი მიახლოვდება. ამის შეცნობა თავზარდამცემიც იყო და შვების მომგვრელიც. თავზარდამცემი იმიტომ, რომ კიდევ მინდოდა სიცოცხლე!... შვება კი იმიტომ, რომ მალე დამთავრდება ყველაფერი. გათავდება ეს ძაღლური და უაზრო ცხოვრება და მეც სამუდამოდ მოვისვენებ... მაგრამ ასეთ სიკვდილს ვნატრობდი?!...

ამხანაგებისთვის ჩემი ჯანმრთელობის გაურესების შესახებ არაფერი მითქვამს. ჩვეულებრივ ვაგრძლებდით ლოთობასა და ღრეობას...

რატომღაც, მეხსიერებაში ამოტივტივდა ქართული საქეიფო სიმღერის მელოდია და დაუვიწყარი სიტყვები: "მთვრალი თუნდაც ჯოჯოხეთში წავალ..." ამ აღმოჩენამ სინანულით გამაცინა და ჩამაფიქრა, მართლა ჯოჯოხეთში წავალ?.. მართლა ბევრი ცოდვა მაწევს კისერზე?.. ამაზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ თავი ჯოჯოხეთისთვის ვერ გავიმეტე.

ბოლოს თანამეინახეებმაც აღარ მომაკითხეს... ერთ დილით ნაბახუსევი და გაბრუებული კარზე კაკუნმა თუ ფხაკუნმა გამაღვიძა. ძლივს წამოვდექი, კარებამდე მივლასლასდი, ურდული გადავწიე და შემოსასვლელთან ჩაცუცქული ფინია დავინახე.

ვაა! ზარბაზან?!! სულ ”მიმინოს” ზარბაზანას ჰგავდა... კარი გავუღე. ძაღლი მაშინვე შემოვიდა. შიოდა. თევზის ნარჩენები და გამხმარი პურის ნაჭრები დავუყარე. თვალები მომანათა, თითქოს მადლობის თქმა უნდაო... ამის შემდეგ ყურშა აღარსად წასულა.

როგორც იქნა, თომაც გამოჩნდა. ვუსაყვედურე:

- არ გრცხვენია, ავადმყოფი კაცი ბედის ანაბარა მიმატოვე?!

- კოტე, როგორ გეკადრება! უბედურება დატრიალდა - ანდრეის სატვირთო მანქანა დაეჯახა და ადგილზევე მოკლა. სანამ მიწას მივაბარეთ, მის კუბოს გვერდში ვედექი... შენ მარტოდ რას შვრებოდი? საჭმელი თუ გქონდა?

- მქონდა, თანაც ვთევზაობდი. იოლად გავდიოდი... - ვიცრუე. არა და ორი დღეა წყლის მეტი ყელში არაფერი გადამსვლია. ფული მივეცი და საყიდლებზე გავუშვი. მე სიარული აღარ შემიძლია. რამდენიმე ნაბიჯს თუ გადავდგამ, ისიც ფარდულიდან ფეხის ალაგამდე... ძალიან დავუძლურდი. მივსავათდი. აღარც ხელ-ფეხი მემორჩილება...

დაბრუნდა თომა. ცეცხლი დაანთო. ჩაის მოდუღება ვთხოვე. ჯერ გაიკვირვა, არყის ბოთლზე მიმითითა:

- ამაზე უებარ დასალევსა და წამალს სად ნახავ? - ჩაილაპარაკა, მაგრამ ჩემს ნებას დამორჩილდა, ცეცხლზე ჩაიდანი შემოდგა.

თომამ ახალი კიტრი,პომიდორი, ძეხვეულობა და თევზის კონსერვები მოიტანა. რამოდენიმე პურიც ეყიდა.

- ამდენი ხორაგეულობა რომ იყიდე, განა, ვინმეს ველოდებით? - გაკვირვებულმა ვკითხე.

- კოტე, ერთ კვირას დაბაში არ ვიქნები. როგორც ვხვდები, სიარულიც გიჭირს. გრიგოლი ერასტიჩი საქართველოდან ჯერ არ დაბრუნებულა. მშიერი ხომ არ დარჩები? - მლიქვნელურად ჩაიცინა და მხარზე ხელი მომითათუნა...

თავი XXXVII

იმ საღამოს ბლომად დალიეს. საარაკოდ მოილხინეს... თომა გვიან წავიდა, უფრო სწორად, უაზროდ და უმისამართოდ სადღაც წაბარბაცდა.

დილით უსაშველო, აუტანელმა თავის ტკივილმა გააღვიძა. საფეთქლებში რამდენიმე მჭედელი ჩაქუჩს ერთდოულად ურტყამდა... თვალის ქუთუთოები დაუმძიმდა. ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდა...

მიხვდა: ყველაფერი გათავდა...

კვდება...

ეეჰ! სადაური, სად კვდება!..

ნუთუ, ამ ქვეყნისთვის, ამ დაბის მცხოვრებთათვის იოტისოდენაც არ გაუკეთებია, რომ სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭულს სიტყვის გამცემიც არ ჰყავს?

არც წყლის მიმწოდებელი...

წყლის ერთი ყლუპი ინატრა, რომ დაულბოს გამშრალი პირი და დაგვალული ყელი...

წყალი...

მხოლოდ ერთი წვეთი წყალი...

ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა. კაცის ჭაჭანება არ ჩანს, ჩამიჩუმიც არ ისმის... მხოლოდ ლელიანში გაშლიგინებული მხეცის ან ბეღურას ფრთების შრიალი თუ მისწვდება ყურს...

მაგრამ რა ხდება?! ნუთუ, უკანასკნელ წუთს უფალმა მოჰხედა... ნუთუ, ისმინა მისი ლოცვა-ვედრება... ნუთუ, ცოდვების შენდობის შანსი მისცა და მხსნელი მოუვლინა... მხსნელი თუ არა, უკანასკნელი კაცი-ნუგეში... თვალებს მაინც დაუხუჭავს მომაკვდავს.

შეხმიანება სურდა. პირსაც აღებდა, მაგრამ თითქმის ვერაფერს ამბობდა... მიხვდა, რომ რუსულის კარგ მცოდნეს აღარ ახსოვდა, აღარ ესმოდა რუსული, მაინც უცხოური... ქართული სწყუროდა, მაინც მშობლიური, ხშირად დაგმობილი, მაგრამ სიკვდილის პირას მყოფი უღვიძლო კაცისთვის, მაინც ღვიძლი! კეთილქართული სიტყვა კი დუმდა!

რაღაც თბილი და რბილი ლოყაზე შეეხო... უფრო იგრძნო... ალბათ, ადამიანი ხელს უთათუნებს... მაგრამ არა... ხაოიანი და ნერწყვიანია... უკანასკნელად გაახილა თვალი... ლურჯი ცა დალანდა და უკიდეგანო დასალიერი... შემდეგ საუკუნოვანი ჭადრების და ფიჭვების კენწეროები... ზურგზე იწვა... გვერდზე გადმობრუნება სცადა... მხოლოდ თავის მობრუნება შესძლო... წყალსაცავის მოლურჯო-რუხმა სარკემ თვალი მოსჭრა... ყურზე ხაოიანი ალოკვა და ამონასუნთქის სითბო შეიგრძნო... ესიამოვნა... მოალერსე არსებას მარჯვენა ძლივს მოჰხვია... ეამა... ცოცხალი სხეულის სითბო ეამა...

ეს მისი ყურშაა. საყვარელი, მშობლიური არსება, რომელიც ნატანჯს, ნაგვემს, მიხრწნილს უკანასკნელ იმედად შერჩა... ბოლო ხანებში მის გვერდით მხოლოდ ყურშა იყო. მას ესაუბრებოდა. მასთან კამათობდა. გულისნადებს და საფიქრალს ანდობდა. მაგრამ, ვაი, რომ ცხოველი იყო და უკანასკნელ სურვილს ვერ გაანდობდა, ანდერძს ვერ დაუტოვებდა...

უკანასკნელ დღეებსაც ყურშასთან ატარებდა, ეჩურჩულებოდა, ევედრებოდა, ემუდარებოდა ...

ყურშა კი, ვითომ გაეგებაო, გულმოდგინედ უსმენდა ცხადშიც და ძილშიც... მის სიზმრიან შეკივლებაზე ისიც იღვიძებდა, თრთოდა, ღელავდა, ელაციცებოდა, თვალებს და ლოყებს ულოკავდა, თითქოს ესმოდა მისი და მთელი მონდომებით ლამობდა ტკივილის დაამებას, დარდის და ვარამის შემსუბუქებას... გაგების და დასტურის ნიშნად წამოყუნცდებოდა, ჭკვიან თვალებს მიაბჯენდა და ყურებს აცქვეტდა... კუდს გააქიცინებდა...

ძაღლი ადამიანის უერთგულესი მეგობარია. ის პატრონს არასოდეს უღალატებს ...

მომაკვდავს მტანჯველი აზრი ისევ გაუკრთა: სადაური სად კვდება...

ყოველგვარ ადამიანურს დანატრებული, ყველასგან მივიწყებული, მიუსაფარი, მიგდებული...

თვითონ გულგრილი და მოღალატე...

გულგრილობის და ღალატის მსხვერპლი...

მაწანწალა ძაღლს ჩახვეულ-ჩახუტებული კვდება...

უკანასკნელად გაუნათდა გონება.

უკანასკნელად ინანა.
უკანასკნელად ჩასწყდა გულ-ღვიძლი, ჩაეფერფლა...

გავარვარებული ლურსმნივით ტვინში ჩაერჭო წინაპართა შეგონება:

”რაღა დროის...
დამტვრევიათ რქები ხარებს,
სხვის უღელში და გუთანში ნაბამთ,
უპირველეს შენს ქვეყანას მოუარე,
დამბადებელს ემსახურე, ბაბა!”

მაგრამ, ახლა რაღაის, რაღა დროის...
თვალის უკანასკნელად გახელა მოუნდა...
ირგვლივ მხოლოდ წყვდიადი და კუნაპეტი სიბნელე იდგა ...
მორჩა...
ყველაფერი გათავდა...
მოკვდა...
ნაზ ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი...
იდუმალი მწუხარებით არ შემოუხედავს ოთახში სატრფოს, ნაცნობებს არ მოუკითხავთ...
უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია...
დედას, მეუღლეს და შვილებს არ დაუყრიათ ცხარე ცრემლები...
მოკვდა უცხოეთში...

* * *

ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე , ჩემო მკითხველო, ჩემიც მეთქვა:

წინაპართა შეგონება არ დაივიწყო...

სხვის ცოდვებზე, შეცოდებებსა და შეცდომებზე ისწავლე...

საკუთარ თავს ცდებს და გამოცდებს ნუ ჩაუტარებ...

არ დაგავიწყდეს:

”სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა...”

ადამიანს სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ ეძლევა.

შენი სიცოცხლე, ცოდნა და სიბრძნე მშობელ ერს და დედასამშობლოს ეკუთვნის.

მას ემსახურე, მას მოახმარე...

საჭიროების შემთხვევაში, გონივრულად შესწირე...
თუ ვაჟკაცი ხარ!..

ბოლოთქმის მაგივრად

”... თუ იმათ დასცინებ,მითამ შენის თავისთვის დაგიცინია,თუ დასტირებ - ეგ კაი ნიშანია: სჩანს,სწუხარ,რომ ამისთანანი ვართ, სჩანს, შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ჰქნას,რომ ეგ აგრე იყოს!

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ,რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა,რომ შენ დაგანახვოს - რამოდენადაც შეძლება აქვს - შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე - თუ გინდა - მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნებ გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, - სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ,თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა - და - შიგ ლაქებიანიცაა? რაცა მქონდა ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი,შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავღონდები,რომ შენშიაც მოვტყუვდი: რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულხელ-დაკრებილს ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყივლია და გათენდება თუ არა - ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არ ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!..

სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა...”

ილია ჭავჭავაძე

” კაცია - ადამიანი?!”

ბათუმი
2013 წელი.

რედაქტორები:

ოთარ ციწარიძე
ოთარ ფუტკარაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ალიოშა მახარაძე